რუსლან ხასბულატოვი: "დიდ პოლიტიკაში ბოდიში რომ მოიხადო, ძალიან ჭკვიანი კაცი უნდა იყო" A4

ნავთობმოპოვებაში ინვესტიციები იზრდება
გაზის მეურნეობას კი უფრო და უფრო ებღაუჭება "იტერა" A6

გელბახიანის პატიმრობის დღეები დათვლილია A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 31 აგვისტო, 2002 წელი. №90

ფასი 50 თეთრი

## რისკი და სიმართლე

ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას პანკისში!

ზაზა ფაჩუაშვილი

*იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ მთლიანად ვაკონტროლებთ სიტუაციას პანკისის ხეობაში, საქართველოს ხელისუფლება უკიდურეს რისკზე წავიდა და ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის სრული შემადგენლობა (რუმინეთისა და ვატიკანის წარმომადგენლების გარდა) ხეობის ბოლომდე გაასეირნა.*

### რისკი

პანკისის ხეობა მშვენებარე ხადორჰესით მთავრდება. იმის იქით, რუსეთის საზღვრამდე (40-50 კმ), კაციშვილის ჭაჭანება აღარ არის. აქ ხეობა ისე ვიწროვდება, რომ მთები პირდაპირ თავზე დაგყურებენ და ადამიანის დაშავება "რაგატკითაც" ადვილი შესაძლებელი ხდება (პანკისში "რაგატკა" რომ არ გაგახსენდეს, არ იქნება). სწორედ ამ ხელის ერთ გაშლაზე მისაწვდენ ადგილზე დაჰყო ნახევარი საათი "მთელმა მსოფლიომ". ერთი, თუნდაც სრულიად უვნებელი ტყვიის გავარდნა საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ საერთაშორისო სკანდალი მომხდარიყო, საქმე უკუღმა დატრიალებულიყო და დიპლომატებს ჩვენთვის დამღუპველი დასკვნა გაეკეთებინათ – საქართველო თავისი ძალებით სიტუაციას ვერ აკონტროლებსო. ამით ვინ იხეირებდა და ვინ იყვირებდა, საქართველოს მე დავეხმარებიო, ყველამ კარგად ვიცით.

ასეთი საშიშროების მიუხედავად, ძალოვნებმა მაინც იკისრეს მძიმე პასუხისმგებლობა, ვინაიდან დიპლომატებს ჩვენს შესაძლებლობებში, თურმე, ეჭვი ეპარებოდათ.

გაგრძელება A4 გვერდზე



უცხოელი დიპლომატები პანკისის ხეობაში

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

## საქართველო ვერ ასრულებს მოქალაქეთა უფლებების დაცვის ვალდებულებებს

ეკა კვესიტაძე

*ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის - ჰელსინკის "ჰუმან რაიტის" მონაცემებით, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა, საქართველოს ყოფილ საბჭოთა სივრცეში ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში მიღწეული შედეგებით ერთ-ერთი ბოლო ადგილი უჭირავს.*

*ამ ორგანიზაციის ყოველწლიურ ანგარიშში დაწვრილებით არის აღწერილი ის პრობლემები, რომლებიც საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში დაგროვდა.*

*სიტყვის თავისუფლება, პოლიტპატიმრები, სასამართლო სისტემა, დაკავებულების წამება და პოლიციის სხვა უკანონო ქმედებები, რელიგიური შეუწყნარებლობა - ეს არის ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც ჰელსინკის ორგანიზაციამ ყველაზე მეტად გაამახვილა ყურადღება.*

*გთავაზობთ ამონარიდებს ამ ანგარიშიდან.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ხშირ შემთხვევაში, საქმეთა გახსნა დაკავებულთა წამების გზით ხდება", - აცხადებენ არასამთავრობოები

ინგა ალავიძე

*არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის და პარლამენტს საქართველოს საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანას სთხოვს. საუბარია პოლიციისთვის მინიჭებულ ოპერატიულ უფლებაზე - დაკავებულის ეჭვმიტანილად ცნობის 12-საათიან და დაკავების 72-საათიან ვადაზე.*

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სწორედ ამ პერიოდში ხდება დაკავებულთა ცემა-წამება და ამ გზით მოპოვებული მასალებით საქმეთა "შეკერვა". ამიტომაც, "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი გიგა ბოკერია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის დროულად გასწორებასა და წინასწარი დაკავების საკნებში მონიტორინგის ჩატარების უფლებას ითხოვს, რათა პოლიციას ადამიანის უფლებების დარღვევის, ფაქტობრივად, დაკანონებული უფლება ჩამოერთვას. **"ხშირ შემთხვევაში, საქმეთა გახსნა დაკავებულთა წამების გზით ხდება. თარგამაძე ამაყობდა იმით, რომ გახსნის მაჩვენებელი 89 პროცენტი ჰქონდა. ეს იმ დროს, როცა დასავლეთის ქვეყნებში საქმის გახსნის მაჩვენებელმა თუ 40 პროცენტს გადააჭარბა, განგაში ატყდება, სტატისტიკა ლამაზდებაო. თარგამაძიდან ნარჩემაშვილის ეპოქაში გადმოვედით და არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ ნარჩემაშვილი ლმობიერად იღიმება, ადამიანთა ცემა-წამება კი კვლავ გრძელდება და ისეთ დონეს მიაღწია, რომ ჩვენი სამართალდამცავები წამებაში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ,"** – აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ადვოკატები.

გაგრძელება A7 გვერდზე

უკანონო მშენებლობების მომრავლებაში სასამართლოსაც თავისი წვლილი მიუძღვის A2

რას მოგვცემს კანონი რელიგიის შესახებ A3

ბლოკი "აღორძინება" ნადარეიშვილს უტევს A3

რჩეულიშვილი მშვიდობის მტრედებს ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ აფრენს A4

გაერო-ს ექსპერტების სენსაციური მოხსენება ანტიტერორისტული კამპანიის შესახებ A5

სომხეთის ოპოზიცია პრეზიდენტობის კანდიდატს ეძებს A5

სპეცოპერაცია მაროკოელი არაბის წინააღმდეგ A7

## მიწისძვრით დაზარალებულებში შევარდნაძე მოკავშირეებს ეძებს

გიორგი ასანიშვილი

25 აპრილს თბილისში მომხდარი მიწისძვრის პირველ ხანებში პოლიტიკაში ჩაბმული ბიზნესმენები და მათი გარემოცვა ძალიან აქტიურობდა. ისინი დაზარალებულებს თანადგომას აღუთქვამდნენ და მატერიალურ მხარდაჭერას ჰპირდებოდნენ. ისე, მაშინვე გამოითქვა ეჭვი, რომ გულუხვ დაპირებებს წინასაარჩევნო სუნი დაჰკრავდა (2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კარს

გაგრძელება A4 გვერდზე

## „კომანდომ„ საქართველოში სამხედრო სამსახური პრესტიჟული უნდა გახადოს

ვერიკო თევზაძე

***"მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უყვართ ჯარისკაცი. საკუთარი თვალით მინახავს, როგორი პატივისცემით ექცევიან და აფასებენ ჯარისკაცებს ამერიკაში, მაკედონიაში, პორტუგალიაში, თურქეთში. საქართველო ამ მხრივ სამწუხარო გამონაკლისია. საბედნიეროდ, ბატალიონი "კომანდო", რომელიც არა მხოლოდ ნებაყოფლობით (საქართველოში ჯარში სამსახური ხომ იძულებასთან არის გაიგივებული), არამედ კონკურსის საფუძველზეა დაკომპლექტებული, პირველი მერცხალი იქნება, რომელიც შეცვლის ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას ჯარისადმი"***, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას "კომანდოს" ბატალიონის წევრმა, სერჟანტმა ლევან ფიცხელაურმა. *დღევანდელ ვითარებაში "კომანდომ" თავისი პროფესიონალიზმით და სიძლიერით მარტოოდენ ქვეყნის უსაფრთხოება და სტაბილურობა როდი უნდა უზრუნველყოს. ბატალიონი თავის სამშობლოში უნდა გახდეს ცოცხალი მაგალითი, რომელიც გვაუწყებს, რომ სამხედრო სამსახური საქართველოშიც პატივსაცემი და დასაფასებელი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრესტიჟულია; "კომანდომ" უნდა დაამტკიცოს, რომ ჯარი არ არის დაჩაგრულთა და გაჭირვებულთა დასჯის ადგილი.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## საქართველო მსოფლიოს 15 ყველაზე კორუმპირებულ ქვეყანათა რიცხვშია

გვანცა კვინიკაძე

ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია "ტრანსპარანს ინტერნეიშენალის" ("ტი") მიერ ახლახან გამოქვეყნებულ კორუფციის აღქმის ინდექსში ("კაი") საქართველოს 2,4 ქულით, 102 ქვეყანას შორის, 85-ე ადგილი უკავია. ამ მეტად არასაპატიო ადგილს საქართველო უკრაინასა და ვიეტნამთან ერთად იყოფს. ქართველი ექსპერტები "ტი"-ს გამოკვლევის შედეგებს რეალურად მიიჩნევენ და აცხადებენ - ყოველგვარი გამოკვლევის გარეშეც ცხადია, რომ საქართველო, კორუმპირებულობის მხრივ, მართლაც იმსახურებს ასეთ არასახარბიელო შეფასებას.

"კაი" არის ინდექსი, რომელიც ასახავს მეწარმეთა და სპეციალისტთა შეხედულებებს ამა თუ იმ ქვეყნის კორუმპირებულობის შესახებ. "კაი" პირველად 1995 წელს შედგა. წელს იგი ცხრა დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ 15 სხვადასხვა გამოკითხვას ეყრდნობა, რომლებშიც შესულია კონკრეტული ქვეყნების მოქალაქეთა და იქ მცხოვრები უცხოელების, ასევე მეწარმეებისა და ანალიტიკოსების შეფასებები და, გარკვეულწილად, მათი შეხედულებების შეჯერებას წარმოადგენს.

გაგრძელება A6 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | |
| ქუთაისი | 28 | |
| ბათუმი | 27 | |
| სოხუმი | 28 | |
| ფოთი | 28 | |
| თელავი | 22 | |
| ზუგდიდი | 29 | |
| გორი | 22 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1650 |
| ევრო | 2.1325 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3635 |
| რუბლი | 0.0685 |

## რუსული ნავთობისა და გაზის საექსპორტო პოზიცია და სამხრეთ კავკასია



ნავთობის ნაკადები შავი ზღვის მიმართულებით

ლიანა ჭერვალიძე

*რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა, დასავლეთის ბაზარზე ტრადიციული მიმწოდებლების (სპარსეთის ყურიდან) შევიწროების ხარჯზე, რუსული წარმოების ნავთობისა და გაზის წილი გაზარდოს. რუსეთს ამ ამოცანის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ კასპიისპირეთის დანარჩენი მწარმოებლების ექსპორტის ტრანზიტი მისი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდება. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანსა და საქართველოზე გამავალი საერთაშორისო სატრანზიტო პროექტები ძირეულად ეწინააღმდეგება რუსეთის როგორც სტრატეგიულ (კასპიისპირეთის ქვეყნების თავისი გავლენის ორბიტაში შენარჩუნება), ისე სასიცოცხლო ეკონომიკურ ინტერესებს (სატრანზიტო ტარიფები, რუსული ინფრასტრუქტურის მილსადენების, პორტების რეაბილიტაცია, საპორტო სერვისული ფირმების დასაქმება, რუსული ეკონომიკის ზრდის ტემპებით განპირობებული გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება იაფი კასპიისპირული რესურსებით).*

საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან რუსულ-ქართული ურთიერთობები მუდმივი სამხედრო დაპირისპირებისა და ომის ზღვარზე დგას. რუსეთს დაძაბული ურთიერთობები აქვს აზერბაიჯანთანაც. ეს ორი სამხრეთკავკასიური ქვეყანა ვერ აკონტროლებს საკუთარი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს და დეზინტეგრაციის საფრთხის წინაშეა. ბოლო ხანებში განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის, რასაც მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მოუქნელ საგარეო პოლიტიკურ კურსს ვერ დავაბრალებთ.

ჩვენი აზრით, სახეზეა რუსეთისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების (საქართველო-აზერბაიჯანი) სტრატეგიულ და ეკონომიკურ ინტერესთა დაპირისპირება, რაც ხელს უშლის რეგიონში რუსეთის მიერვე ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების მოწესრიგებას. არასტაბილური პოლიტიკური გარემო, თავის მხრივ, აფერხებს იმ საერთაშორისო პროექტების განხორციელებას (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ერზრუმი), რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ სამხრეთ კავკასიისა (აზერბაიჯანი-საქართველო) და ცენტრალური აზიის ენერგომწარმოებელი ქვეყნების უსაფრთხოებისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის.

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 პოლიტიკა A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 TV-პროგრამა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

**სოხუმი.** უსაფრთხოების ზონაში სიტუაცია მშვიდი და სტაბილურია, თუ არ გავითვალისწინებთ ენგურის ხიდზე მიმდინარე აქციას, - განაცხადა გაერო-ს მისიის მთავარმა სამხედრო დამკვირვებელმა კაზი აშფაკმა გალის რაიონში ოთხმხრივი შეხვედრის დასრულების შემდეგ.

უკვე 7 დღეა, გრძელდება ხიდის ბლოკირება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გაერო-ს მისიის მოღვაწეობაზე.

მოპიკეტეების მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელთა აზრით, კონფლიქტის ზონა უნდა დატოვონ რუსმა სამშვიდობოებმა და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებმა, ვინაიდან ისინი ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, აშფაკმა განაცხადა, რომ ეს ბრალდებები უსაფუძვლოა. "არ მიმაჩნია, რომ თავს ვერ ვართმევთ ჩვენს ამოცანებს. მოწინააღმდეგე მხარეები დაშორიშორებულნი არიან და მშვიდობიანი მოლაპარაკებებისთვის ყველა პირობაა შექმნილი," - აღნიშნა აშფაკმა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში ერთობლივი ქართულ-რუსული პატრული კოდორის ხეობის ზემო ნაწილში მორიგ მონიტორინგს ჩაატარებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** სოფელ რუხში მიმდინარე დევნილთა აქციის მონაწილეები ფოთში პარლამენტარ ბორის კაკუბავასა და ფრაქცია "აღორძინების" მიერ გამართულ მიტინგს დაესწრნენ. ფოთის აქცია სოფელ რუხში მიმდინარე დევნილთა აქციის საპროტესტოდ გაიმართა. დევნილთა აქციის შტაბის წევრმა მურმან მალაზონიამ განაცხადა, რომ აქციის მონაწილეებს სერიოზულად აინტერესებთ, რა არგუმენტებს წარმოადგენენ აფხაზეთის საკითხში ასლან აბაშიძის მოღვაწეობით კმაყოფილი ადამიანები. ფოთში ჩასული რუხის აქციის მონაწილეები "აღორძინების" მიტინგზე თავისი პოზიციის დაფიქსირებას აპირებდნენ.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, დევნილთა შეკრება კონსტრუქციულ ვითარებაში გაიმართა და დაპირისპირებულმა დევნილებმა აფხაზეთისა და აჭარის ხელისუფლების მეთაურებს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებული პრობლემების დიალოგის გზით გადაწყვეტისკენ მოუწოდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**პანკისი.** "პანკისის ხეობის არანაირი წმენდა არ განხორციელდება," - განაცხადა სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებთან, მათ შორის რუსეთის ელჩთან და ჟურნალისტებთან პანკისის ხეობაში გამართულ შეხვედრაზე. მისი თქმით, ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაციისას სპეცსამსახურებსა და შინაგან ჯარებს "ბევრი სამუშაო ექნებათ". კერძოდ, ხეობაში, შესაძლოა, ყალბი დოკუმენტების მქონე პირები იმყოფებოდნენ, რომელთაც შეამოწმებენ. ხეობაში წესრიგი დამყარდება, - თქვა ვალერი ხაბურძანიამ. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც ჩანს, საქართველოს პარლამენტში ქურდობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ფაქსისა და ტელეფონის აპარატებთან ერთად უკვე ფულიც იკარგება.

ინფორმირებული წყაროს ცნობით, ბოლო თვეებში ერთ-ერთი დეპუტატის კაბინეტიდან დაიკარგა 5 000 ლარი, მეორემ კი 4000 დოლარი დაკარგა. ამ დღეებში ფრაქცია "აღორძინების" აპარატის ხელმძღვანელის კაბინეტიდან დიდი თანხა დაიკარგა, რაც ფრაქციის დეპუტატთა ხელფასებისთვის იყო განკუთვნილი. აპარატის ხელმძღვანელმა - მაია შონიამ განაცხადა, რომ ეს ფულის დაკარგვის პირველი შემთხვევა არ არის, მაგრამ ფრაქციას ამაზე ხმაური არ აუტეხავს.

წყაროს ინფორმაციით, პარლამენტში კაბინეტების კარები ქურდებისთვის დიდ წინააღმდეგობას არ წარმოადგენს, ისინი საკმაოდ ადვილად იღება. უნდა აღინიშნოს, რომ ქურდობის არც ერთი ფაქტი გამოძიებული არ არის, ვინაიდან, ქურდობის სერია უმნიშვნელო ნივთების გატანით დაიწყო, რის გამოც აჟიოტაჟი არ ღირდა. ამჟამად საქმე უკვე სერიოზულია და პარლამენტის აპარატი აპირებს, რომ აღნიშნულ პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სკოლის მოსწავლეები 2 სექტემბერს საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ იმგზავრებენ, - აცხადებენ დედაქალაქის მერიაში. ეს წესი ვრცელდება მხოლოდ იმ საქალაქო ტრანსპორტზე, რომელიც მუნიციპალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. მოსწავლეებისთვის 2 სექტემბერს უფასო იქნება თბილისის მეტროპოლიტენით, ტრამვაით, ტროლეიბუსებით და საქალაქო ავტობუსებით მგზავრობა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორი ნიკოლაი პატრუშევი ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის გააქტიურებას აუცილებლად მიიჩნევს. "სიტუაციის განსამუხტავად მზად ვართ ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობისთვის, აუცილებლობის შემთხვევაში თანადგომისთვის ამერიკელებს მივმართავთ," - განუცხადა მან ჟურნალისტებს.

მისი თქმით, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური აქტიურად ცვლის ინფორმაციებს ამერიკელ კოლეგებთან, განსაკუთრებით კი – საერთაშორისო ტერორისტების, ასევე ტერორისტთა ჯგუფებში მონაწილე დსთ-სა და რუსეთის მოქალაქეების საკითხში. სამსახური ქართულ მხარესთანაც თანამშრომლობს.

ნაყოფიერი თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია ტერორისტ ადამ დაკუშევის დაკავება, რომელსაც კავშირი აქვს მოსკოვსა და ვოლგოდონსკში მომხდარ აფეთქებებთან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ფოთი.** გუშინ ფოთის გემთმშენებელი ქარხნის თანამშრომლები გაიფიცნენ. ისინი ექვსი თვის სახელფასო დავალიანების გაცემას ითხოვენ. ქარხნის ხელმძღვანელობა თანამშრომლებს მხოლოდ ერთი თვის დავალიანების დაფარვას სთავაზობს. მათი ერთ-ერთ არგუმენტი ის არის, რომ ქარხანა რამდენიმე თვის განმავლობაში გაჩერებული იყო. გაფიცულები ამ წინადადებაზე უარს აცხადებენ და აქციის შეწყვეტას მხოლოდ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ აპირებენ.

გუშინვე „გემთსაშენის" ადმინისტრაციამ აქციის მონაწილეებს ერთი თვის ხელფასები დაურიგა. 15 სექტემბრამდე კი ორი თვის სახელფასო დავალიანების დაფარვასა და უხელფასო შვებულებაში გაშვებულ თანამშრომელთა 80 პროცენტის საწარმოში დაბრუნების საკითხის უახლოეს დღეებში განხილვას შეჰპირდა.

თუ ადმინისტრაციის დაპირებები 15 სექტემბრისათვის არ შესრულდება, გემთსაშენის თანამშრომლები კვლავ საპროტესტო აქციას გამართავენ. დღეიდან გემთსაშენში ჩვეულებრივი სამუშაო დღე იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უახლოესი ათი დღის განმავლობაში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე რუსუდან ბერიძე სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობისგან შეწყალებაზე მეომარ პატიმართა სიებს მიიღებს.

რამდენიმე კვირის წინ, შეწყალებაზე ოთხასამდე მეომარი მსჯავრდებულის სია წარადგინეს, რაც სათანადო მასალების არქონის გამო უკან დაუბრუნეს. ახალი სიები გაცილებით მცირერიცხოვანი იქნება, რადგან წინა შემთხვევაში მხოლოდ პატიმართა მიერ წარმოდგენილ ცნობებს ეყრდნობოდნენ, რომლითაც მსჯავრდებულები ნაბრძოლნი იყვნენ, საიდანაც ზოგიერთი დოკუმენტი, შესაძლოა, ყალბიც აღმოჩენილიყო. ამჯერად, სხვადასხვა დოკუმენტებთან ერთად, აუცილებელია სასამართლო დასტურიც, რომლითაც კონკრეტული მსჯავრდებული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის რომელიმე საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭო თბილისის მიწისძვრით დაზიანებული ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის პროექტს დააფინანსებს. ამ პროექტის სამუშაო ვარიანტი უკვე გადაეცა განსახილველად ქართულ მხარეს.

პროექტის ღირებულება 400 ათასი ევროა. გაისად დაიწყება და სამ-ოთხ წელიწადში შემუშავდება თბილისის ძველი უბნების არქიტექტურული ძეგლების რეაბილიტაციის ცალკე პროექტები, რომელთა დასაფინანსებლად ევროსაბჭო თავის წევრ ქვეყნებს მიმართავს.

ამ პროექტის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა უკანონო მშენებლობების აღკვეთა, წინააღმდეგ შემთხვევაში თბილისმა, შესაძლოა, ეს დახმარება ვერ მიიღოს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი სექტემბრის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს ეწვევა და ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის სასაზღვრო სამმართველოებს მოინახულებს. ამერიკელი დიპლომატი დაათვალიერებს ფოთის სანაპირო დაცვის ბაზას, გაეცნობა სუფსის სარადარო სადგურის სამუშაო სპეციფიკას. საქართველოს სანაპირო დაცვის პირველ დივიზიონში გაიმართება შეხვედრა აჭარის რეგიონული სასაზღვრო სამმართველოს უფროსთან, გენერალ-მაიორ თენგიზ კონცელიძესთან. ამერიკის ელჩი და საქართველოს სასაზღვრო უწყების შეფი, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე დაესწრებიან ამერიკის მიერ საქართველოსათვის კატარღა "გენერალ მაზმიშვილის" გადმოცემის საზეიმო ცერემონიალს. ელჩის ვიზიტი საქართველოს სასაზღვრო უწყებებისადმი ამერიკის მხარდაჭერას გამოხატავს.

რიჩარდ მაილსის დასავლეთ საქართველოში ვიზიტი 6 სექტემბრამდე გასტანს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** უახლოეს დღეებში აფხაზურ „ჩერნომორენერგოსა" და ქართულ მხარეს შორის ხელი მოეწერება პირდაპირ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, აფხაზური მხარე ენგურჰესიდან წინა წლებში მიღებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდას იკისრებს.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას განცხადებით, ამ თემაზე ქართული და აფხაზური მხარეები ჯერ კიდევ გაზაფხულზე, სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძის აფხაზეთში სტუმრობისას შეთანხმდნენ. მინისტრს არ დაუკონკრეტებია, სად მოხდება ხელმოწერა;

მირცხულავას ცნობით, 1993 წლის შემდეგ აფხაზები ენგურზე გამომუშავებულ ელექტროენერგიას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მოიხმარენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის შეფი ავთანდილ იოსელიანი აცხადებს, რომ თიანეთის რაიონის და ილტოს ხეობის ტერიტორიების 23 აგვისტოს დაბომბვები მოზდოკის ან არმავირის აეროდრომებიდან აფრენილმა თვითმფრინავებმა განახორციელეს.

იოსელიანს ამის ვარაუდის საფუძველს აძლევს წინმსწრები ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ანალოგიური ტიპის თვითმფრინავები "ჩეჩნეთში მოზდოკიდან და არმავირიდან მუშაობენ". რადგან რუსეთი დაბომბვის ფაქტს საერთოდ უარყოფს, ქართული მხარე შეეცდება, რომ მფრინავების გვარები და საფრენი აპარატების ნომრებიც კი დაადგინოს. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** დასასრულს უახლოვდება გაერო-ს დევნილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის პროგრამა აფხაზეთის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რემონტთან დაკავშირებით. ამ პროგრამაში ჩართულია 60-ზე მეტი სკოლა. კომისარიატმა სამშენებლო მასალებით უზრუნველყო ყველა სასკოლო დაწესებულება, სარემონტო სამუშაოების დაფინანსება კი თავის თავზე აიღო სახელმწიფომ. ამ მიზნით მთავრობამ 1,5 მილიონი რუბლი გამოყო. **კავკას-პრესი.**

# უკანონო მშენებლობების მომრავლებაში სასამართლოსაც თავისი წვლილი მიუძღვის

ეთერ მამულაშვილი

"ცოტა ხნის წინ თბილისში სვანიძის ქუჩაზე აშენდა სახლი, რომლის პროექტის შეთანხმება ჩვენთან არ მომხდარა. სახლის მესაკუთრეს, მშენებლობის დასრულების შემდეგ გავახსენდით. ჩვენმა სამსახურმა სარჩელი სასამართლოში შეიტანა, მაგრამ მოსამართლემ საქმის განხილვის ნაცვლად დაგვავალა, რომ რაც შეიძლება სწრაფად შეგვეთანხმებინა პროექტი სახლის მფლობელთან. უფრო მეტიც, ყოფილა შემთხვევები, როცა სასამართლო პირდაპირ გვავალდებულებს, რომ ამა და ამ მშენებლობაზე გავცეთ ნებართვა. როგორ მოვიქცეთ ასეთ სიტუაციებში?" –ეს შეკითხვა ქალაქის მთავარი არქიტექტორის პირველმა მოადგილემ გიორგი კურცხალიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დასვა.



*კახა ტრაპაიძე, გია შაიშმელაშვილი, გიორგი კურცხალია*

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ბოლო დროს თბილისში მომრავლებული უკანონო მშენებლობები გუშინდელი შეხვედრის მთავარი თემა იყო. ამ პრობლემის არსებობა კურცხალიამ დღევანდელ კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს დააბრალა. კერძოდ, მოქმედი კანონით, ქალაქის არქიტექტურის სამსახურს უკანონო მშენებლობის შეჩერების უფლება არ აქვს, რაც ისევ კანონის დამრღვევთა წისქვილზე ასხამს წყალს. "ძველი თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე შენდება სახლი, რომელიც ყველანაირ დაწესებულ ნორმას არღვევს. მივმართეთ სასამართლოს და მშენებლობის შეჩერება მოვითხოვეთ. აღმოჩნდა, რომ ერთი მოსამართლე ცუდად არის, მეორე კი შვებულებაში ყოფილა. მშენებელი კი ისე გათავხედდა, რომ ის არათუ შეჩერებას აპირებს, არამედ სახლს საცაა დაამთავრებს. ამას გარდა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა მიმდინარე წელს სასამართლოს 22 უკანონო მშენებლობის საქმე გადასცა. არცერთ მათგანს სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია", - განაცხადა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, კახა ტრაპაიძემ.

კანონმდებლობის მეორე ნაკლოვანება, როგორც პარლამენტის ქალაქმშენებლობისა და ურბანიზაციის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე გია შაიშმელაშვილი განმარტავს, უკანონოდ აშენებული სახლის დანგრევაა. შენობის დანგრევაზე ნებართვას დღეს სასამართლო გასცემს, ასეთი ნებართვის მოპოვებას კი ქალაქის არქიტექტურის სამსახური თითქმის ვერასდროს ახერხებს. "მოგეხსენებათ, ჩვენი სასამართლოს დღევანდელი ვითარება. საქმის ჩაწყობა და მოსამართლეების მოქრთამვა უკანონო მშენებლობების ავტორებისთვის პრობლემას რომ არ წარმოადგენს, თავადაც ხვდებით. კანონში ცვლილებების შეტანა და არქიტექტურის სამსახურისთვის მეტი უფლებების მინიჭება, ვფიქრობ, შექმნილ ვითარებას ძირეულად გამოასწორებს. ამისათვის კი , დამერწმუნეთ, ბევრი არაფერია საჭირო, მთავარია, იყოს პოლიტიკური ნება", - თქვა შაიშმელაშვილმა.

უკანონო მშენებლობებისადმი ასეთი გულგრილობა, გარდა იმისა, რომ კანონის დამრღვევებს ახალისებს, კულტურული ძეგლების დაცვისა და აღდგენის რამდენიმე სერიოზული პროექტის განხორციელებასაც ხელს უშლის. აღნიშნული მიზეზის გამო იუნესკომ გასულ წელს ძველი თბილისი მსოფლიო ძეგლთა დაცვის ნუსხაში არ შეიტანა. "ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში სიტუაცია უკეთესობისკენ ოდნავ მაინც შეიცვლება და ძველი თბილისის ისტორიული უბნები იუნესკოს ძეგლთა დაცვის სიაში წელს მაინც მოხვდება", - იმედს არ კარგავს შაიშმელაშვილი.




გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) [illegible] სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: [illegible] ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი [illegible]

# „კომანდოს" საქართველოში სამხედრო სამსახური პრესტიჟული უნდა გახადოს



ქართველი "კომანდოები" აღჭურვილობას იბარებენ

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

გუშინ ბატალიონ "კომანდოს" ამერიკული აღჭურვილობა გადასცეს. პროგრამის მესამე ფაზის დაწყების პირველსავე დღეს სამხედროებს რვა დასახელების ნივთები დაურიგეს, გუშინ – სამოცდათერთმეტისა. ეს არის საველე წვრთნებისათვის საჭირო აღჭურვილობა და სხვადასხვა სახის უნიფორმა.

თითოეული ჯარისკაცისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა 2000 დოლარის ღირებულებისაა. მაიორი მაი ჟურნალისტებთან საუბრისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინვენტარი საბითუმო ფასებშია შეძენილი და ამით ხაზს უსვამს მათ ფასეულობას. თუმცა, ამგვარი განმარტების გარეშეც ადვილი შესამჩნევი იყო, რომ ქართველ "კომანდოთათვის" განკუთვნილი ნივთები ხარისხიანი და გემოვნებით შერჩეულია. საძილე ტომრები, დასაკეცი საწოლები, ჟილეტები, ლაბადები, ქუდები, მაჯის საათები, რა თქმა უნდა, წყალგაუმტარია. ჟურნალისტები (თეთრი) შურის თვალით შესცქეროდნენ ნაირ-ნაირ და ლამაზ ზურგჩანთებს, მომხიბვლელ საწვიმარ ლაბადებს. ზურგჩანთებზე ჯარისკაცების რეგისტრაციის ნომრებია მიმაგრებული, რაც ადვილს გახდის მათ აღრიცხვიანობას.

ჯარისკაცები ვალდებულნი არიან, ძვირად ღირებულ აღჭურვილობას კარგად მოუარონ. წვრთნების პროცესში დრო და დრო შემოწმდება, წესრიგში აქვთ თუ არა მათ ნივთები. იარაღს "კომანდოს" მომდევნო კვირაში გადასცემენ. საუბარია რუსული წარმოების "აკ – 47" ტიპის ავტომატებზე.

ამჟამად ჯარისკაცებს პირველად სამედიცინო შემოწმებას უტარებენ. "კომანდოს" ტაქტიკური წვრთნები, დაახლოებით, რვა სექტემბრისათვის დაიწყება. მაიორი მაი, რომელიც ერთდროულად დიდ პატივს სცემს ჟურნალისტებსაც და იუმორსაც, ახლანდელი ჭინჭყლი ამინდების შემხედვარე, ამ დღეს წვიმისა და ტალახის შესაფერისი ფეხსაცმლით გვეპატიჟება.

# ბლოკი "აღორძინება" ნადარეიშვილს უტევს



ჭემალ გამახარია

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

აჭარისა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს. ერთხანს ინიციატივას, თითქოს, თამაზ ნადარეიშვილის ბანაკი დაეუფლა და მოწინააღმდეგე საკმაოდ შეავიწროვა, მაგრამ არც ასლან აბაშიძის გუნდი გამოდგა ჯაბანი. მათაც რამდენიმე მწვავე ჩხვლეტა მიაყენეს მეტოქეს და აგრძნობინეს, რომ საბოლოო გამარჯვებამდე - აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაყენებამდე - იბრძოლებენ. განსაკუთრებული აქტიურობით ბათუმური ალიანსის სადეპუტატო კორპუსი გამოირჩევა. ისინი, "აფხაზური ფრაქციებისგან" განსხვავებით, სისტემატურად მართავენ პრესკონფერენციებს და "იდეოლოგიურ ფრონტზე" პოზიციების განმტკიცებას ცდილობენ.

ბლოკ "აღორძინების" ტრიო - ანზორ აბრალავა, ჯემალ გამახარია და ელიზბარ ჯაველიძე - გუშინაც ფორმაში იყო და თამამად უტევდა თამაზ ნადარეიშვილს. ყველაზე უკეთ მაინც "იმელში" გალახული გამახარია ირჯებოდა, რომელსაც, ეტყობა, წყენა ჯერ კიდევ არ განელებია. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ის **"უსაქმურს, უქნარას, ორგანიზაციულ ნიჭს მოკლებულსა და მხოლოდ ინტრიგებში დახვეწილს"** უწოდებს და აცხადებს, რომ, ნადარეიშვილის ანტიკონსტიტუციური ქმედებების გამო, მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

გამახარიას მტკიცებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიებს დეპუტატები არ ესწრებიან, კვორუმი არ გროვდება და, ამდენად, ყველა მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა. გარდა ამისა, გამახარია აღნიშნავს, რომ, აფხაზეთის კონსტიტუციით, ნადარეიშვილს არა აქვს მთავრობის დათხოვნის უფლება და, აქედან გამომდინარე, მისი ამასწინანდელი ქმედება არასამართლებრივია.

ფრაქცია "XXI საუკუნის" წარმომადგენელი ნადარეიშვილს სხვა ბრალდებებსაც უყენებს. გამახარიას თქმით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ჰყავს უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება "იუპიტერი", რომლის წევრებმაც ჯერ კიდევ სოხუმში ყოფნის დროს მთელი რიგი ობიექტები გადაწვეს. როგორც ჩანს, "იუპიტერელებს" ეს ჩვევა თბილისშიც გადმოჰყვათ, რადგან, გამახარიას აზრით, აჭარის წარმომადგენლობაში ცეცხლის გაჩენასაც სწორედ ისინი შეეცადნენ.

გუშინდელი პრესკონფერენციის მონაწილეებმა ეჭვქვეშ დააყენეს ისიც, რაც თამაზ ნადარეიშვილის "საფირმო ნიშნად" იქცა - საბრძოლო სულისკვეთება.

**"თუ ასეთი ბრძოლის ჟინი აქვს, აქ თბილისში რას უზის? გელაევივით ჩაიცვას სამხედრო ფორმა, წავიდეს კოდორის მთებში და იბრძოლოს!"** - ურჩევს ელიზბარ ჯაველიძე აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ხელმძღვანელს.

ბათუმური ალიანსის წარმომადგენლები, ნადარეიშვილთან ერთად, ცენტრალურ ხელისუფლებასაც აკრიტიკებენ და მას ენერგოპოლიტიკას უწუნებენ.

**"ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე, აფხაზეთს ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდება. საინტერესოა, მაინც – ვის? არძინბას რეჟიმს? რუს სამშვიდობოებს? ფაქტია, რომ ამ სიკეთით იქ დარჩენილი ქართული მოსახლეობა ვერ სარგებლობს. არადა, გადაუხდელი თანხა - 46,6 მილიონი დოლარი - სახელმწიფო ვალად აღიარეს და ამ ვალში უნდა მოხდეს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გასხვისება"**, - აცხადებს გამახარია. მისივე თქმით, ამ საკითხზე, რომელსაც "კორუფციის სუნი ასდის", ფრაქცია "XXI საუკუნე" ახლო მომავალში ღია სხდომას გამართავს და მასზე ენერგეტიკის მინისტრსა და მთავრობის სხვა წევრებსაც მიიწვევს. გარდა ამისა, დეპუტატი აპირებს, აღნიშნული თემა პარლამენტის პლენარულ სხდომაზეც წამოჭრას და მის შესასწავლად საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვოს.

# საქართველო ვერ ასრულებს მოქალაქეთა უფლებების დაცვის ვალდებულებებს

პირველი გვერდიდან

საქართველო ჯერ კიდევ შორს დგას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში წარმატებისაგან. მიუხედავად ცალკეული მცდელობისა, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეასრულა ვერც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ვერც ევროსაბჭოსა და ვერც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები.

2001 წლის სექტემბერში ევროსაბჭომ საგანგაშო მოხსენება გააკეთა საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ ასრულებს იმ ვალდებულებას, რომელიც მან, როგორც ევროსაბჭოს წევრმა ქვეყანამ, აიღო. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ასევე დაჟინებით მოითხოვა, რომ მეტი ყურადღება გამახვილებულიყო კორუფციაზე, რომელიც ქართული საზოგადოების უმთავრეს პრობლემად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა, რათა ქართული კანონმდებლობა ევროპული სტანდარტებისთვის დაეახლოვებინა, უზარმაზარი პრობლემა არსებობს რეალურ ცხოვრებაში ამ კანონმდებლობის განხორციელების თვალსაზრისით.

საქართველოში არც მასმედია და სიტყვის თავისუფლებაა ბოლომდე დაცული. ხშირად აქვს ადგილი ჟურნალისტების დაშინებას, ერთი ჟურნალისტი მოკლეს კიდეც.

ძალიან გახშირდა რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტები, განსაკუთრებით, იეღოვას მოწმეების წინააღმდეგ. ასეთ სიტუაციაში კი სამართალდამცავი ორგანოები სრულ უმოქმედობას ავლენენ. არავინ არ სჯის ადამიანთა იმ ჯგუფებსაც, რომლებიც რეგულარულად ესხმიან თავს რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს.

თუმცა, მთავარი საფრთხე, რომლის წინაშე ქართული საზოგადოება აღმოჩნდა, კორუფციაა, რომელმაც უკლებლივ ყველა სახელისუფლებო სტრუქტურაში შეაღწია. გადასახადების აკრეფა ეკონომიკის ყველაზე სუსტი წერტილია, ისევე, როგორც ბუნდოვანი და ორაზროვანი საგადასახადო კოდექსი. გადასახადების აკრეფაში შექმნილი სერიოზული პრობლემები კი პირდაპირ კავშირშია ხელფასებისა და პენსიების გაუცემლობასთან. სოციალურმა დაუცველობამ და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ განაპირობა ის, რომ ბოლო წლებში ქვეყანა 1.5 მილიონმა ადამიანმა დატოვა.

## დამოუკიდებელი მედია და სიტყვის თავისუფლება

დამოუკიდებელ მასმედიას რომ არც თუ ისე უსაფრთხო პირობებში უწევს მუშაობა, ამას გასული წლის ოქტომბერში დამოუკიდებელი კომპანია "რუსთავი 2"-ის ოფისში განხორციელებული რეიდიც ადასტურებს. ეს რეიდი დამოუკიდებელი კომპანიის დაშინების პირველი მცდელობა არ იყო. მანამდე, 26 ივლისს "რუსთავის 2"-ის წამყვანი ჟურნალისტი საკუთარ ბინაში მკვდარი იპოვეს. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება მიმდინარეობს, საზოგადოებისათვის ჯერჯერობით დამნაშავე ცნობილი არ არის.

საქართველოში ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ მსგავსი ქმედებების მიზანი "რუსთავი 2"-ის ნეიტრალიზება იყო, რადგან ტელეკომპანია ხელისუფლების მიმართ ძალიან კრიტიკულადაა განწყობილი.

დაშინებისა და თავდასხმის მსხვერპლი გასულ წელს "კავკასპრესის" დირექტორი პაატა ყურაშვილიც გახდა, რომელსაც უცნობი პირი თავს დაესხა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

## სასამართლო სისტემა

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სისტემის რეფორმა ჩატარდა, ამ სისტემაში ისევ ბევრი პრობლემა დარჩა. მას შემდეგ, რაც პარლამენტმა სისხლის სამართლის განახლებულ კოდექსში ცვლილებები შეიტანა, ეს კოდექსი ევროპულ სტანდარტებს კიდევ უფრო დასცილდა, რის გამოც ძალიან გახშირდა წინასწარ დაკავებაში მყოფი პირების უფლებების დარღვევა.

ამასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა სერიოზულ შეშფოთებას გამოხატავს: **"შეშფოთებულნი ვართ იმ ფაქტებით, რომლებიც წინასწარი დაკავების საკნებსა და წინასწარ გამოძიებაში მყოფი ადამიანების წინააღმდეგ ხდება. მათ აწამებენ და უკანონოდ ექცევიან. მათი უფლებები უხეშად ირღვევა. პატიმრებს ართმევენ ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან დაკავშირების საშუალებას, ხშირად ირღვევა პროცედურული ნორმები, ადგილი აქვს დაშინებას, პირადი საკუთრების ხელყოფასა და ასე შემდეგ..."**

სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა შეასუსტა წინასწარი გამოძიების პერიოდში პროკურორზე სასამართლოს ზედამხედველობა. ეს განსაკუთრებით შემაშფოთებელია მაშინ, როცა წინასწარ გამოძიებაში მყოფი პირების უფლებები განუწყვეტლივ ირღვევა წამებით თუ სხვა უკანონო მოპყრობით.

დაკავებულთა წამების ფაქტებმა საქართველოში საგანგაშო ზღვარს მიაღწია. წინასწარი დაკავების დროს სასურველი ჩვენების მისაღებად წამების პარაქტიკა ძალიან ხშირად გამოიყენება, რომელსაც, როგორც წესი, სხვა პროცედურული ნორმების დარღვევებიც ახლავს თან. დაკავებულებს ხშირად სცემენ, ემუქრებიან, რომ მათი ოჯახის წევრებს მოკლავენ ან აწამებენ და გათავისუფლების სანაცვლოდ დიდი რაოდენობით თანხას სთხოვენ.

## რელიგიური შემწყნარებლობა

2001 წლიდან საქართველოში რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტები საგრძნობლად გაიზარდა. ორთოდოქსი ექსტრემისტების ყველაზე ხშირი მსხვერპლი იეღოვას მოწმეები და ბაპტისტები ხდებიან. ქართველი ორთოდოქსი მღვდელი ბასილ მკალავიშვილი და მისი ჯგუფი რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს სცემენ, არბევენ მათ თავყრილობებს და წვავენ მათ ლიტერატურას. 1999 წლიდან 2002 წლამდე იეღოვას მოწმეებზე 80-მდე თავდასხმას ჰქონდა ადგილი.

მიუხედავად ამისა, ბასილ მკალავიშვილი პოლიციას დღემდე არ დაუპატიმრებია."

ჰელსინკის საერთაშორისო ორგანიზაციის მოხსენებაში დიდი ადგილი ეთმობა ასევე პოლიტპატიმრების უფლებების დარღვევის ფაქტებსაც და აღნიშნულია, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ბოლომდე არ აქვს მოგვარებული პოლიტიკურ პატიმრობაში მყოფ, ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერთა პრობლემა.

რაც შეეხება აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილებს, მოხსენებაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთისა და ოსეთის ადგილობრივი ადმინისტრაციები უხეშად არღვევენ იქ დარჩენილი ქართველი მოსახლეობის უფლებებს.

# რას მოგვცემს კანონი რელიგიის შესახებ

გია სიამაშვილი

**საზოგადოება დაბნეულია. ერთი მხრივ, მას ახსენებენ დიდი ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის რელიგიურ შემწყნარებლობას, რამაც საქართველოს ძლევამოსილება და აყვავება განაპირობა, მეორე მხრივ კი, განგაშის ზარით აყრუებენ - გადავარჩინოთ საქართველო ეშმაკის მოციქულებისაგანო. ამასთან, მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხელს უწყობს აგრესიული ინსტიქტების გაღვივებას. საზოგადოებაში დაგროვილ დესტრუქციულ ენერგიას კი ოსტატურად იყენებენ დემაგოგები. ხელისუფლება კი დუმს, მისი მთავარი საზრუნავი ის გახლავთ, რომ რაიმე პროვოკაციაზე არ წამოეგოს, რა თქმა უნდა, არა ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ თანამდებობრივი პრივილეგიების შესანარჩუნებლად. საპატრიარქოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა პირად საუბარში განმიცხადა, რომ მკალავიშვილი რუსეთიდან იმართება და მასთან მკვეთრმა დაპირისპირებამ, შესაძლოა, სერიოზული დესტაბილიზაცია გამოიწვიოსო.**

**ბევრს გულუბრყვილოდ სჯერა, რომ სექტების წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიას მართლა სარწმუნოებრივი საფუძველი გააჩნია და, თუ რელიგიის შესახებ კანონის მიღებას საშველი დაადგა, პრობლემა თავისთავად მოიხსნება - კანონი ყველას მიუჩენს თავის ადგილს. ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით პარლამენტის კონსულტანტს რელიგიის საკითხებში, ბატონ ლევან აბაშიძეს:**

- ვინც სულმოუთქმელად ელის კანონს რელიგიის შესახებ, დარწმუნებულია, რომ მისი მეშვეობით აიკრძალება არატრადიციულ რელიგიათა ქადაგება, მაგრამ ჩვენ ხომ გვაქვს კონსტიტუცია - ქვეყნის ძირითადი კანონი, რომელშიც საუბარია სინდისის თავისუფლებაზე, ეკლესიის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობაზე... გარდა ამისა, საქართველო შეუერთდა გაეროსა და ევროსაბჭოს კონვენციებს, რაც გარკვეულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, მათ შორის - სარწმუნოების საკითხებთან დაკავშირებით. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ რელიგიურ ურთიერთობათა მარეგულირებელი კანონები გაგვაჩნია. თუ მისაღები კანონი აკრძალვითი ხასიათის იქნება, იგი წინააღმდეგობაში მოვა კონსტიტუციასთან და საერთაშორისო კონვენციებთან. კანონი ვერ დააწესებს კერძო შეზღუდვებს, თუ მათი შესაძლებლობა არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით.

**- ესე იგი, კანონი, რომც მიიღოს პარლამენტმა, დავის საგანი მაინც იარსებებს?**

- ვფიქრობ, რომ ასეა, მაგრამ კანონი მისაღებია, რათა სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის დამყარდეს ლეგიტიმური ურთიერთობა. ისე კი, მიღება გაგვიჭირდება: ვინც სექტებს ებრძვის, მათ ეს კანონი ზედმეტად ლიბერალური მოეჩვენებათ, ლიბერალებს კი მეტისმეტად მკაცრი. სოლომონური გადაწყვეტილება კი კობა დავითაშვილს ეკუთვნის: კანონის მიღების ნაცვლად სამოქალაქო კოდექსში შევიტანოთ შესწორებებიო, რაც გაამარტივებს რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციას.

**- ისე, სექტების მომრავლება მარტო ჩვენი თავის ტკივილი არ გახლავთ. როგორ აგვარებენ ამ პრობლემას უცხოეთში?**

- სახარებაში არის გაფრთხილება: "ერიდეთ ცრუ წინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსით მოდიან თქვენთან, შინაგანად კი მტაცებელი მგლები არიან" (7.15 მათე), მაგრამ, ვინ უნდა დაიცვას გამოუცდელი სულები ცრუ წინასწარმეტყველებისაგან - სახელმწიფომ, თუ ეკლესიამ? მე მიმაჩნია, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს რელიგიათა შორის ურთიერთობის საკითხებში. ისტორიულად ამგვარ ჩარევას მხოლოდ უარყოფითი შედეგები მოჰყოლია.

**- კი მაგრამ, ხელისუფლების ჩაურევლობის შედეგი არ არის დარბევები, ცემა-ტყეპა, წიგნების დაწვა და ა.შ.?**

- თქვენ უცხო ქვეყნების გამოცდილებაზე მეკითხებოდით. იქ არსებობენ საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც ზღუდავენ სექტების საქმიანობას. ეს შეზღუდვები, რა თქმა უნდა, ცივილური ფორმებით ხორციელდება. მიმდინარეობს საგანმანათლებლო მუშაობა, ტარდება ლექციები და სემინარები, გამოიცემა შესაბამისი ლიტერატურა.

**- გეთანხმებით, რომ აგრესიის ძირითად წყაროს გაუნათლებლობა წარმოადგენს, მაგრამ მასობრივ საგანმანათლებლო საქმიანობას ხომ სერიოზული დაფინანსება სჭირდება. იეღოვას მოწმეები კი სოლიდურ ფინანსურ დახმარებას იღებენ უცხოეთიდან.**

- ვფიქრობ, რომ ჩვენს მართლმადიდებლურ ეკლესიასაც გააჩნია საკმარისი სახსრები. გარდა ამისა, ამგვარი კეთილშობილური საქმიანობისათვის მასაც შეუძლია, დახმარების მოთხოვნით მიმართოს მართლმადიდებელ ეკლესიებს უცხოეთში. ცოტა კი უხერხულია იმაზე საუბარი, რომ საქართველოში მართლმადიდებელ ეკლესიას იეღოვას მოწმეების წინააღმდეგ უცხო ქვეყნების დახმარება სჭირდება.

**- სექტებს ხშირად იმაში სდებენ ბრალს, რომ ისინი სარგებლობენ ადამიანთა უმწეო მდგომარეობით, ჩალის ფასად ყიდულობენ მათ სულებს. რას იტყვით ამის შესახებ?**

- უნდა განვასხვაოთ კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი. პირველი გულისხმობს ადამიანის ბუნებრივ მისწრაფებას, აზიაროს თავის რწმენას როგორც ახლობლები, ასევე უცხო პირები, მაგრამ არსებობს "არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი", რომლის მქადაგებელსაც სხვა, ფარული მიზნები ამოძრავებს. ამ შემთხვევაში გამოიყენება ტყუილი, დაშინება, შანტაჟი, ან, როგორც თქვენ თქვით, ადამიანის უმწეო მდგომარეობით სარგებლობენ. სამართლებრივ ქვეყნებში ამგვარი ქადაგება კანონით ისჯება, თუმცა, ზოგჯერ ძნელია საზღვრის გავლება კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ ქადაგებებს შორის. როგორ გინდა, დანაშაულში ამხილო პიროვნება, რომელიც ბოროტად იყენებს ინტელექტუალურ უპირატესობას, სარგებლობს მასების დაბალი კულტურით?!

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

ფონდი"საქართველო" აცხადებს კონკურსს ფონდის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე.

განმცხადებელი უნდა იყოს გამოცდილიმენეჯერი, ანალიტიკური აზროვნების უნარით.

დირექტორობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სულ მცირე 5 წლის მენეჯერულიგამოცდილება "უნდა შეეძლოს ადამიანურიდა ფინანსურირესურსების მართვა, ოფისის ზედამხედველობა და ამასთან დაკავშირებული პროცედურების შემუშავება".
- სულ მცირე 3 წლის მუშაობის გამოცდილება საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან.
- სტრატეგიულად, ახლებურად და ანალიტიკუარდ აზროვნების უნარი.
- დამოუკიდებელი მუშაობის და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებნის უნარი.
- ფინანსურ დოკუმენტებთან მუშაობის უნარი.
- გუნდურიმუშაობის უნარი.
- ინგლისური და ქართულიენების სრულყოფილი ცოდნა.
- კომპიუტერულიპროგრამის ცოდნა (MS office)
- ინტენსიური მოგზაურობის შესაძლებლობა.

პასუხისმგებლობის დეტალურ აღწერას შეიძლება გაეცნოთ ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველოს" ოფისში, დაინტერესებულმა განმცხადებლებმა მოტივაციის წერილი და რეზიუმე უნდა ჩააბარონ ფონდის ოფისის პირველ სართულზე, სამდივნოში.

მისამართი: ჭოველიძის ქუჩა №10, თბილისი.

განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 16 სექტემბერი, 5 საათი.

გადარჩეულ კანდიდატებს ფონდიდაუკავშირდება უმოკლეს ვადებში. საბოლოო არჩევანი გაკეთდება ფონდის აღმასრულებელი საბჭოს მიერ გადარჩეულ კანდიდატებთან გასაუბრების შედეგების მიხედვით.

გთხოვთ ტელეფონით ნუ დარეკავთ.

ფონდის ადმინისტრაცია.

# რჩეულიშვილი მშვიდობის მტრედებს ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ აფრენს



სოფო ბუკია

სოციალისტები და "მრეწველები" რუსეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. მათი ინიციატივით შეიქმნა მიმართვის ტექსტი, რომლის ერთ ეგზემპლარს კრემლის თავკაცი წაიკითხავს, მეორე კი ოკეანის გაღმა - თეთრ სახლში გაიგზავნება.

მიმართვა საქართველოს ტერიტორიის დაბომბვასთან დაკავშირებითაა მიღებული. გუშინ პარლამენტის ბიუროს დარბაზში მის ავკარგიანობაზე პოლიტოლოგები მსჯელობდნენ.

**"მიუხედავად 23 აგვისტოს ტრაგიკული ინციდენტისა, ჩვენ ისევ გამოვხატავთ ნდობას და გულწრფელ პატივისცემას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბატონ ვლადიმირ პუტინის მიმართ... რუსეთის აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია მთელ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევა. აშშ-ს გარეშე კი არ გვარდება არც ერთი კონფლიქტი მთელ პლანეტაზე,"** – წერია მიმართვაში.

მიმართვის ავტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების ერთობლივ განცხადებას ანტიტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებით, სადაც დიდი ქვეყნების ლიდერები საქართველოსაც შეეხნენ და მას დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას დაჰპირდნენ. **"სწორედ ასეთი ორმხრივი და ერთობლივი გარანტიები სჭირდება დღეს საქართველოს მშვიდობის დასამყარებლად. ამის მიღწევა გვინდა ჩვენც,"** - განაცხადა სოციალისტების ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა. მისი თქმით, აუცილებელია საქართველოს, რუსეთისა და აშშ-ს სპეციალისტების, გაეროსა და ეუთოს ექსპერტების მონაწილეობით შეიქმნას საერთაშორისო კომისია, რომელიც 23 აგვისტოს შემთხვევას შეისწავლის.

რჩეულიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მის ინიციატივას რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერი ლუბოვ სლისკა გამოეხმაურა. რჩეულიშვილის თქმით, სლისკა თანახმაა, შეიქმნას ქართულ-რუსული დაძაბული ურთიერთობების გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი კომისია, სადაც ორივე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები გაერთიანდებიან.

**"ნორმალურ პირობებში რუსეთი შესანიშნავი ეკონომიკური პარტნიორი იქნება. მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა ინატრებდა რუსეთთან ეკონომიკურ კავშირს, ჩვენ კი მეზობლად გვყავს და ხელი არ უნდა ვკრათ, საერთო ენა უნდა გამოვძებნოთ,"** – აცხადებს "მრეწველი" ზურაბ ტყემალაძე.

პოლიტოლოგთა აზრით, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა იმდენად დაძაბულია, რომ უდაოდ იმსახურებს საერთაშორისო ასპარეზზე გახმოვანებას.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრობლემის საერთაშორისო რანგში აყვანა საქართველოსთვის მომგებიანია. **"თავდაპირველად რუსეთმა უნდა აღიაროს, რომ საქართველოს ტერიტორიებს ბომბავს. საქართველომ არ უნდა აიღოს თავის თავზე პანკისი. პანკისი რუსეთის მოგონილია, მას ეს პრობლემა სჭირდება და უნდა, რაც შეიძლება, დიდხანს გაგრძელდეს. საქართველოს ხელისუფლებამ მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს რუსეთთან მიმართებაში,"** – ამბობს საყვარელიძე.

საქართველოს სტაბილურობა რომ რუსეთის გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული, ამას პოლიტოლოგი გია ნოდია არ უარყოფს. მისი თქმით, საქართველომ აუცილებლად "რაღაც" უნდა დაუთმოს რუსეთს, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი კმაყოფილი დარჩეს, მაგრამ ნოდია დარწმუნებულია, რომ ასეთი "რაღაც" ბუნებაში არ არსებობს. **"რუსეთი საკუთარ თავზეა გაბრაზებული, კავკასიაში საკუთარი უუნარობა სტანჯავს, ამიტომ არაფრით იქნება კმაყოფილი. საქართველოს ხელისუფლება თავისი სისუსტით რუსეთს მადას უღვიძებს. რუსები ფიქრობენ, კიდევ უფრო თუ დავჩაგრავთ, ერთსაც კიდევ თუ დავბომბავთ, ყველაფერს მოვაგვარებთო. საქართველოს ხელისუფლებამ მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს, არ უნდა მოდუნდეს,"** - ამბობს ნოდია.

პოლიტოლოგ ნუგზარ მოლოდინაშვილის აზრით, რუსეთ-აშშ-ს პოლიტიკურ თამაშში საქართველო ამჯერად ინდიკატორის როლს ასრულებს. **"გაიხსენეთ ბუში-პუტინის შეხვედრა, სადაც გადაწყდა, რომ პლანეტაზე ყველა პრობლემას ეს ორი სახელმწიფო ერთობლივი ძალისხმევით მოაგვარებს. საქართველოს მაგალითზე აშშ-ს ეძლევა საშუალება, გაარკვიოს, არის თუ არა რუსეთი სანდო პარტნიორი".**

აღნიშნული მიმართვის ტექსტს სოციალისტები და "მრეწველები" კიდევ უფრო დახვეწენ და განსახილველად პარლამენტს შესთავაზებენ. რჩეულიშვილი დარწმუნებულია, რომ პარლამენტი მიმართვას მოიწონებს, ამის შემდგომ კი იგი აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტებს გაეგზავნება. პრეზიდენტ შევარდნაძეს მიმართვის სამუშაო ვარიანტი უკვე გაეგზავნა, სოციალისტების ლიდერი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტს მიმართვა მოეწონებოდა.

# მიწისძვრით დაზარალებულებში შევარდნაძე მოკავშირეებს ეძებს

პირველი გვერდიდან

იყო მომდგარი) და მოსახლეობის გასაჭირი ბევრს მალე დაავიწყდებოდა. პრინციპში, ასეც მოხდა.

**"მიწისძვრით დაზარალებულთათვის შეგროვილი 2 მილიონი ლარის 99 პროცენტი სახელმწიფო სტრუქტურებმა გაიღეს",** - განაცხადა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ. კერძო პირთა "პასიურობა", როგორც ჩანს, საზღვარგარეთიდან წამოსულმა დახმარებამ გადაფარა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი დღეს არსებული მდგომარეობით კმაყოფილებას ღიად არ გამოხატავდა.

**"უფრო მძიმე სურათს და მეტ გართულებებს ველოდი",** - აცხადებს შევარდნაძე, რომელიც იმასაც დასძენს, რომ მიწისძვრის შედეგების საბოლოო ლიკვიდაციამდე ჯერ კიდევ შორია.

ვინაიდან დაახლოებით 500 ათასი სახლი ავარიულ მდგომარეობაშია და კერძო სტრუქტურები მაინცდამაინც არ აქტიურობენ, პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ისევ სახელმწიფო სექტორმა უნდა "გამოიჩინოს თავი". კერძოდ, საჭიროა, 2003 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო ბინათმშენებლობისთვის გამოიყოს 10-15 მილიონი დოლარი. ოღონდ, ამ თანხით აშენებული ბინები ხალხს უფასოდ კი არ უნდა მიეცეს, არამედ მიეყიდოს.

**"სახელმწიფო კარგი კომერსანტი უნდა იყოს",** - დასძენს შევარდნაძე.

თუმცა, როგორც ჩანს, მოსახლეობაზე ხელისუფლების ზრუნვა მთლად უანგარო ვერ არის და გარკვეულ მიზნებსაც ისახავს, მათ შორის, ალბათ, პოლიტიკურსაც.

**"ის ოჯახები, რომლებიც მიწისძვრით დაზარალდნენ, ჩვენი მოკავშირეები უნდა გახდნენ და არა - მომჩივნები",** - პრეზიდენტის ასეთი განცხადების ქვეტექსტი ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

# რისკი და სიმართლე

## ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას პანკისში!

პირველი გვერდიდან

ყოველივე ამის თაობაზე უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ შემდეგი კომენტარი გააკეთა: **"დაცვის ასპროცენტიანი გარანტია, ცხადია, არ არსებობს, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ რისკის გარეშე საქმე არ გამოდის. რისკის მინიმუმამდე დაყვანა კი შესაძლებელია და ჩვენ ამ მიმართულებით სერიოზულად ვიმუშავეთ. აქედან გამომდინარე, ჩვენი საქციელი იმდენად რისკი კი არა, უფრო იმის დემონსტრაცია იყო, რომ სიტუაციას ბოლომდე ვაკონტროლებთ".**

### პირველიდან ბოლო პოსტამდე

დიპლომატების ვიზიტის დროს დაცვის ისეთი უპრეცედენტო ზომები, როგორც ეს ედუარდ შევარდნაძის სტუმრობის დროს იყო, მიღებული არ ყოფილა (არც პოლიციელები იდგნენ გზის გასწვრივ და არც ვერტმფრენები ტრიალებდნენ კოლონის თავზე), მაგრამ ჩეჩენ ლტოლვილებს მაინც დიდი შიში უჭამიათ. ხმა გავარდნილა, კოლონა ლტოლვილების "ასაკრეფად" მოდისო და საცოდავები ყანებში "გადახვეწილან".

ამიტომ გზის გასწვრივ მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა იდგა და ხელს გვიქნევდა. განსაკუთრებით ბავშვები აქტიურობდნენ. სხვები ხან "გამარჯობას" ყვიროდნენ, ხან - "მშვიდობა გვინდა"-ს.

პირველი შეჩერება ბირკიანის ბლოკ-პოსტზე მოხდა. შეიძლება ითქვას, რომ ბირკიანი ხეობის ბოლო სოფელია (შემდეგ მხოლოდ სამი მოსახლე ცხოვრობს). იქ სრული საბრძოლო ტექნიკით დაკომპლექტებული ქვედანაყოფი დგას, მაგრამ სამხედრო კონტროლი ამით არ მთავრდება. ბოლო პოსტი ბირკიანიდან ორი კილომეტრის მოშორებით ხადორჰესის ტერიტორიაზე დგას, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ. ხადორჰესის ტალახის გულმოდგინე და-



*კონტროლდება ყველა კუნჭული.* ზაზა ფაჩულაშვილის ფოტო

ზელვის შემდეგ, დიპლომატიური კოლონა უკან დაბრუნდა და მხოლოდ ერთხელ გაჩერდა ხეობის ყველაზე დიდი სოფლის - დუისის ცენტრში, რათა ხალხს მათთან შეხვედრის საშუალება მისცემოდა.

რუსმა ჟურნალისტებმა ჩეჩენი ლტოლვილების ნახვა იქ მოისურვეს, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ყველა დამალული იყო.

### მოკლე კომენტარები ხეობიდან

ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი: **"საკმაოდ დიდი ხანი ვმსახურობდი სამხედრო ძალებში და შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი კარგად არის ორგანიზებული. კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ ჩვენი გადაადგილება ყოველგვარი ექსცესების გარეშე მოხდა. ეს ორგანიზატორების დამსახურებაა და მე ვულოცავ მათ ამას. სიტუაციაც ძალიან მშვიდობიანი და წყნარი ჩანდა. მართალია, დამნაშავეთა დაკავებისა თუ იარაღის ამოღების ოპერაციები ჯერ კიდევ წინაა, მაგრამ ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ, ჩემი შეფასებით, საქართველოს მთავრობა ამისთვის მზადაა და ეს ძალიან კარგია".**

რუსეთის ელჩი ბორის გუდევი: **"ნამდვილად უსაფრთხოდ ვგრძნობდი თავს, იმიტომ, რომ ხეობის მთელ სიგრძე-სიგანეზე დგას შინაგანი ჯარი და მძიმე ტექნიკა. მინდა დავიჯერო, რომ ეს იქნება წესრიგისა და სტაბილიზაციის დასაწყისი. მთავარია, არ მოხდეს ბოევიკების განდევნა რუსეთის საზღვრისაკენ, სადაც ისინი კვლავ დაემუქრებიან ჩვენს უსაფრთხოებას"(?).**

ჩინეთის ელჩის მრჩეველი ბატონი ცეი: **"ჩვენ ყველამ ერთად ვნახეთ, რომ ხეობაში ყველაფერი ნორმალურადაა და ეს, ალბათ, მართლაც ასეა. ხადორზე ჩვენი ხალხი მუშაობს და მათი ყურადღება მთლიანად მშენებლობაზეა გადატანილი. მათთან რაიმე სერიოზული ინციდენტი არ მომხდარა".**

### "ზაჩისტკები" არ იქნება

დიპლომატიურ კორპუსთან ერთად, პანკისის ხეობაში მრავალი უცხოელი ჟურნალისტიც ბრძანდებოდა. უშიშროების მინისტრს ვალერი ხაბურძანიასა და შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს მათ არაერთ შეკითხვაზე მოუწიათ პასუხის გაცემა. მინისტრების განცხადებით, წესრიგის დამყარება ახლა იწყება და ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იქნება, მაგრამ "ზაჩისტკები" ნამდვილად არ მოხდება. ამის აუცილებლობა, ჯერჯერობით, არ არისო, - ამბობენ ძალოვანები, თუმცა, იქვე აღნიშნავენ, რომ, საჭიროების შემთხვევაში, არც ფართომასშტაბიანი ოპერაციებია გამორიცხული.

რაც შეეხება პიტერ შოუს, თურმე, მისი კვალიც პანკისში იკარგება. კობა ნარჩემაშვილი: **"პიტერ შოუს გათავისუფლება ჩვენთვის პირველი რიგის ამოცანაა. ძალიან კარგად გვესმის საერთაშორისო ორგანიზაციების შეშფოთება. ჩვენც არანაკლებ შეშფოთებულები ვართ და ყველაფერს ვაკეთებთ მის დასაბრუნებლად. ამასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მოწოდება არ შემიძლია".**

### როდის გამოვა შინაგანი ჯარი

ნარჩემაშვილის განცხადებით, შინაგანი ჯარი ხეობიდან აუცილებლად გამოვა, ოღონდ მაშინ, როცა წესრიგი დამყარდება. სხვა ჯარები ხეობაში არ არის. უშიშროების ცალკეული წარმომადგენლები მხოლოდ პატრულირებაში მონაწილეობენ.

და ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ სამართალდამცავები დამნაშავეთა დიდ-დიდ ჯგუფებს დააკავებენ და საქმეს ერთი ხელის მოსმით მოამთავრებენ. ამ საქმეს ფაქიზი მოპყრობა უნდა.

დღეს ჯარების შეყვანიდან ერთი კვირა გავიდა.

# რუსლან ხასბულატოვი: "დიდ პოლიტიკაში ბოდიში რომ მოიხადო, ძალიან ჭკვიანი კაცი უნდა იყო"

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოში

*რუსეთის უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე რუსლან ხასბულატოვი კრემლს ჩეჩნეთის მშვიდობიანი დარეგულირების სქემას სთავაზობს - მასხადოვის ხელისუფლებასთან პირდაპირი დიალოგის გზით. ამ გეგმის გამო კრემლი მოსკოვში მცხოვრებ არისტოკრატ ჩეჩენს უნდობლობას უცხადებს. სამაგიეროდ, ხასბულატოვის თანამოაზრეებს საერთაშორისო ორგანიზაციები უსმენენ.*

*ამ დღეებში, იოჰანესბურგში, ადგილობრივი და მოსკოველი პოლიტიკოსების მონაწილეობით, ჩეჩნეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხებზე მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომელსაც უძღვებოდა რუსეთის პალამენტის დეპუტატი "იაბლოკოდან", "ნოვაია გაზეტას" მთავარი რედაქტორის მოადგილე იური შჩეკოჩიხინი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი ივან რიბკინი, მასხადოვის წარმომადგენელი ახმედ ზაკაევი, რუსლან ხასბულატოვი და სხვ.*

*რუსლან ხასბულატოვი დღეს ლეონიდ ბრეჟნევის სახლში ცხოვრობს და იმის მიუხედავად, რომ პუტინის ოპოზიციაშია, თავს, ყველა გაგებით, კომფორტულად გრძნობს. იგი მოსკოვის ეკონომიკურ აკადემიაში ლექციებს კითხულობს და გაუთავებლად ეწევა ჩიბუხს.*

*რუსეთის უზენაესი საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს სახლში ვეწვიე. საუბრის დასაწყისში თბილისში სამი წლის წინანდელი არალეგალური სტუმრობა გაიხსენა.*

*"მეგობარ პროფესორს ვესტუმრე. ასე მეგონა, მე ვიყავი დამნაშავე მის აუტანელ სიღარიბეში, დახმარებაც ვერ ვაკადრე," - ამბობს ხასბულატოვი.*

**- პანკისის მოვლენების შემდეგ საქართველოში ელოდნენ რუსეთის ოფიციალურ მობოდიშებას. რატომ არ მოხდა ასე? საინტერესოა თქვენი აზრი, მაინც ვისი ქვეყნის საფრენი აპარატები ბომბავენ ქართულ სოფლებს?**

- დიდ პოლიტიკაში ბოდიში რომ მოიხადო, ძალიან ჭკვიანი კაცი უნდა იყო. უმწიფარი პოლიტიკოსი საკუთარ დანაშაულს ვერ აღიარებს. მე მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ სწორედ რუსეთის ავიაცია ბომბავდა პანკისს. შევარდნაძის ადგილას რომ ვიყო, ამის გამო პუტინსაც შევუტევდი და რუს გენერლებსაც. დაუშვებელია ის შეურაცხყოფა და დამცირება, რასაც რუსეთი და მისი ზოგიერთი პოლიტიკოსი იჩენს საქართველოსადმი. რუსეთში დღეს გაცილებით მეტი ტერორისტია, ვიდრე ჩეჩნეთსა და საქართველოში ერთად აღებული. მთავარი ტერორისტი კი კრემლში ზის და სხვაგან ეძებენ! დრომ აჩვენა, რომ ვლადიმირ პუტინი სუსტი პოლიტიკოსია, საკუთარ გარემოცვაზე დამოკიდებული, და პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება დამოუკიდებლად არ შეუძლია. მეზობელი ქვეყნის დაბომბვის შემდეგ მას დუმილის უფლება არ ჰქონდა, ამაში გამოჩნდა მისი ყველაზე დიდი და საშიში სისუსტე. გამოჩნდა, რომ პუტინი სხვადასახვა კლანების ტყვეა.



*რუსლან ხასბულატოვი*

**- თქვენთვის, ჩეჩენი ეროვნების ადამიანისათვის, მისაღებია საქართველოს პრეზიდენტის წინადადება პანკისში მყოფი მამაკაცების მიერ ხეობის დატოვების შესახებ? არ განაწყენდებიან ჩეჩნები? დღეს მოსკოვში ბევრი პოლიტიკოსი გვიმტკიცებს, რომ შევარდნაძე ამით ჩეჩნებს საქართველოს წინააღმდეგ აქეზებს, მართლა ასეა?**

- შევარდნაძე სწორ კალაპოტს აძლევს მოვლენებს. არა მგონია, რომ ამ წინადადების გამო ჩეჩნებმა ან ქისტებმა ქართველები შეიძულონ. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი ხელისუფლება მოვა ჩეჩნეთში, როგორ დამყარდება იქ მშვიდობა და როგორ დაბრუნდებიან შინ ლტოლვილები. ასეთ პირობებში შევარდნაძე სჭირდება საქართველოს და კავკასიის ამ ფეთქებადსაშიშ რეგიონს. ამ სიტუაციაში მე მის შემცვლელს ვერც ვხედავ. ამიტომ ქართველებმა მას ყური უნდა დაუგდონ - მას არაფერი ეშლება არც რუსებთან და არც ჩეჩნებთან. სხვა საქმეა, რომ ზოგჯერ ლიდერი მოვლენების ტყვეა, შევარდნაძეც დღეს კორუფციონერების ტყვეა. ვიცი, გულით უნდა კორუფციასთან შებრძოლება, მაგრამ ძალა არ შესწევს.

**- მაგრამ საქართველოს ხელისუფლება განა დამნაშავე არაა, პანკისის პრობლემა რომ ასე გართულდა?**

- პანკისი ჩეჩნეთის გამოძახილია. სწორედ რუსეთია დამნაშავე, რომ პანკისში ტერორისტები და დაქირავებულები აღმოჩნდნენ, ისევე - როგორც ჩეჩნეთში. მეოთხე წელია, ჩეჩენი ხალხის გასანადგურებლად წმინდა კომერციული ომი მიდის. პანკისი ამ ომის პირმშოა. ხალხი საქართველოში გაიქცა, მათ შორის ტერორისტებიც იყვნენ. ამიტომ იგორ ივანოვმა შევარდნაძე კი არა, საკუთარი თავი უნდა აკრიტიკოს. საქართველოს კი მადლობა უნდა უთხრას, რომ მისი ლტოლვილები შეიფარა.

საქართველო ჩეჩნეთის ომის გამო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მეცინება, როცა რუსი გენერლების ნათქვამს პუტინი იმეორებს, რომ საქართველოში რუსეთთან ბრძოლის პლაცდარმი შექმნესო. ეს რუსეთმა შეუქმნა მეზობელ სახელმწიფოს დიდი საფრთხე და ბოდიშსაც არ იხდის. ამიტომ მოვუწოდებ კრემლს მშვიდობიანი მოლაპარაკებებისაკენ. სანამ ჩეჩნეთში ეს სამარცხვინო ომი მიმდინარეობს, პანკისში არეულობა სულ იარსებებს. სამშვიდობო დიალოგისათვის მე სათანადო ბაზა მაქვს და მზად ვარ, კრემლსა და მასხადოვს შორის შუამავლის როლი შევასრულო.

**- რას ეფუძნება თქვენი სქემა? მასხადოვთან თუ გაქვთ კონტაქტები?**

- მასხადოვისაგან უკვე ორი წერილი მივიღე, მესამე გზაშია. ჩვენ ყველაფერი შეთანხმებული გვაქვს. ჩემი გეგმის მიხედვით, ჩეჩნეთი რუსეთის სუბიექტი არ იქნება, ოღონდ იგი რჩება რუსეთის სახელმწიფო და სამართლებრივ ველში, რუბლის ზონაში. ხელმძღვანელ პოსტებზე ჩეჩნები იქნებიან, მაგრამ რუსეთი ვალდებულებას იღებს, დაეხმაროს ჩეჩნეთს საერთაშორისო კავშირების დამყარებაში ეკონომიკის გასაცოცხლებლად. ჩეჩნეთში ომით მიყენებული ზარალი 150 მილიარდი დოლარია, 400 დასახლებული ობიექტი აღიგავა პირისაგან მიწისა. რუსეთს ამის დაბრუნება არ შეუძლია, ჩეჩნეთში კი დიდი ბუნებრივი რესურსებია. რუსეთის შემადგენლობაში დარჩენის შემთხვევაში დასავლეთი ჩვენ არ დაგვეხმარება. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ კრემლში ქურდული, კრიმინალური ხელისუფლება ზის და მისგან სიკეთეს ვერ მივიღებთ. საერთაშორისო პატრონაჟითა და ინვესტიციებით ჩეჩნეთში ავღანეთის ტიპის დარეგულირებას მივაღწევთ.

**- ვინ გიშლით ხელს ამ გეგმის განხორციელებაში?**

- ვინ და რუსეთის პრეზიდენტი! ვერაფრით გავიგე პუტინის პოზიცია. ყველა ამბობს, რომ პუტინს საკუთარი გენერლები აქეზებენ. რა თქმა უნდა, გენერლები იპარავენ, რა თქმა უნდა, ჩეჩნეთის ომი ერთი დიდი კომერციული საწარმოა და ამ ბიზნესის დასრულება არავის უნდა, პანკისის მოვლენებიც ამ ბიზნესის გაგრძელებაა. კრემლს ფეხებზე ჰკიდია, რომ ჩეჩნეთში ოცი წლის ბიჭები იხოცებიან, ათასობით! მათთვის ეს არაფერია. ერთი საინტერესო ეპიზოდი მინდა მოგიყვეთ: დუმის დეპუტატმა მაჩვენა საიდუმლო რუკა, ჩეჩნეთში სად რომელ რუს გენერალს რა საწარმო და ქარხანა აქვს აშენებული. საქართველო-რუსეთის საზღვარზე უნიკალური რელიქტური ბუკის ტყეები იყო - რუსმა გენერლებმა სულ გაჩეხეს და მოსკოვში ამით აგარაკები აიშენეს. პეტერბურგის მიდამოებშიც ამ ბუკით იშენებენ აგარაკებს დეპუტატები და გენერლები, იმიტომ, რომ იციან, პუტინი დედაქალაქს მალე მოსკოვიდან იქ გადაიტანს. როცა მეუბნებიან, რომ პუტინმა ამის შესახებ არაფერი იცის, მეცინება. გასაგებია, პუტინი რუსი ნაციონალისტია და რუსეთი რუსეთისათვის უნდა, მაგრამ დაანებეთ თავი ჩემს ხალხს! დაანებეთ თავი ქართველებს! რუსების ხსენებაც არ იყო, როცა ჩეჩნები და ქართველები ამ მიწაზე დადიოდნენ.

**- რატომ იბრძოდნენ აფხაზეთში ჩეჩნები ქართველების წინააღმდეგ? ან ახლა რატომ შეიცვალეს პოზიცია?**

- უბრალო მიზეზის გამო: ყველა ჩეჩენი საველე მეთაური რუსეთის დაზვერვის ოფიცერია. გელაევიც, რადუევიც, ბასაევიც, დიდი ასლანბეკიც... ისინი პირდაპირ მეუბნებოდნენ, რომ რუსეთის დივერსიული სკოლები აქვთ გავლილი, ამიტომ, როგორც აგენტები, რუსეთისა და აფხაზეთის ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობენ. აფხაზეთში იმიტომ იბრძოდნენ ქართველების წინააღმდეგ, რომ მაშინ ჩეჩნეთში ომი არ იყო. ჩეჩნური კამპანიების შემდეგ, მათ პოზიცია შეიცვალეს. თქვენ ალბათ იცით, რომ აფხაზეთში ჩეჩენი ბოევიკების გადასახლების გეგმა არსებობს და იგი ახლაც აქტუალურია. ამიტომაც იბრძოდნენ. ამისათვის, პირადად მე, გელაევი და ბასაევი რამდენჯერმე საჯაროდ შევარცხვინე კიდეც.

**- საინტერესოა, რა გიპასუხეს?**

- რატომ აქამდე არ გვყავდა ასეთი მრჩეველიო. ისინი დაარწმუნეს, რომ მე უზენაესი საბჭოდან მხარს ვუჭერდი მათ მოქმედებებს აფხაზეთში. როცა ხასავიურტის მოლაპარაკებების შემდეგ ჩემი გეგმა არ გაიზიარეს, ჩემი ძმა გაიტაცეს და ხუთი თვე ორმოში ამყოფეს (მართალია, გამოვისყიდეთ ცოცხალი, მაგრამ - დაავადებული), მივედი მათთან ყრილობაზე და გავლანძღე, ყველას ბანდიტები ვუძახე.

**- მასხადოვს დაბრუნების შანსები აქვს?**

- არავითარი. ბასაევის დაღესტნის რეიდი მის დროს მოხდა. ამის დავიწყება არ შეიძლება. მაგრამ მის უკან დიდი ძალაა და ამიტომ მართებულია მასხადოვთან მოლაპარაკებების წარმოება. სამწუხაროდ, იგი დიდ ინფორმაციულ ბლოკადაშია მოქცეული.

**- თუ კრემლი თქვენს სამშვიდობო გეგმას არ მიიღებს, რა გზას დაადგებით, შეეგუებით ჩეჩნეთში ომის გაგრძელებას?**

- ხალხი დაგვიჭერს მხარს. ჩემი პოზიცია ოფიციალური ხელისუფლების გვერდის ავლითაც განხორციელდება. ჩეჩნეთში ომის გაგრძელება დაუშვებელია - ეს მთელ კავკასიას ააფეთქებს. ამიტომ, თუ კრემლი არ მიიღებს სამშვიდობო გეგმას, ხალხი სამხედრო გადატრიალებას მოახდენს რუსეთში. ერთი მაგალითი: 30-იან წლებში ვერაფერი რომ ვერ დააკლეს, ცნობილ აბრეკს ხასუხო მაგომედოვს სტალინმა მერკულოვი მიუგზავნა, მაგრამ - უშედეგოდ. ამ კაცმა სამამულო ომიც გამოიარა, დეპორტაციაც და ხრუშჩოვის რეჟიმიც. კგბ-მ მისი მოშორება როცა სცადა, ბოლო გასროლით რუსი ჩეკისტი მოჰკლა. 90 წლისა გარდაიცვალა 70-იან წლებში. ასე რომ, ჩეჩნებზე რუსეთი ვერასოდეს გაიმარჯვებს. თუ უახლოეს დროში კრემლი ჩეჩნეთსა და საქართველოში სამშვიდობო გზას არ დაადგება, ეს ახალგაზრდა მგლები მთელს კავკასიას ააფეთქებენ!

# გაერო-ს ექსპერტების სენსაციური მოხსენება ანტიტერორისტული კამპანიის შესახებ

ლევან ღირსიაშვილი

*შეერთებული შტატების მხრიდან, "ალ ქაიდას" ქსელის განადგურების შესახებ, უამრავი განცხადების მიუხედავად, გაერო-ს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ტერორისტული ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანია.*

მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ანტიტერორისტული კამპანიის მიმდინარეობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა მიერ შემუშავებული მოხსენების ფრაგმენტები გამოაქვეყნეს. როგორც ცნობილი გახდა, მოხსენებაზე გაერო-ს ის ექსპერტები მუშაობდნენ, რომლებიც "ალ ქაიდას" საკითხებში მაღალი კლასის სპეციალისტებად ითვლებიან.

მოხსენება საკმაოდ სენსაციურ დასკვნებს შეიცავს - გაერო-ს ექსპერტების მტკიცებით, საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის ძალისხმევას, ჯერჯერობით, თვალსაჩინო წარმატება არ მოჰყოლია. "ალ ქაიდას" უჯრედები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში კოორდინირებულ მოქმედებას კვლავ წარმატებით განაგრძობენ. ტერორისტთა და მებრძოლთა გადაადგილების შესაზღუდად არაეფექტური ღონისძიებები შემუშავდა. ტერორისტებს დღესაც საკმაოდ თავისუფლად შეუძლიათ ქვეყნიდან ქვეყანაში გადაადგილება, ხოლო ავღანეთის საზღვრების მახლობლად მდებარე რაიონებში მათი მოძრაობა საერთოდ არ კონტროლდება.



ოსამა ბინ ლადენი მრჩეველ აიმან ალ-ზავაჰირისთან ერთად (2001 წლის ნოემბერი)

რაც შეეხება "ალ ქაიდას" ფინანსების გაყინვასთან დაკავშირებით ჩატარებულ ღონისძიებებს, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მიღებული ზომები არაეფექტურია. როგორც ცნობილია, აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა, სექტემბრის შემდეგ, "ალ ქაიდას" და სხვა ტერორისტული დაჯგუფებების დონორ ორგანიზაციებს 112 მილიონი აშშ დოლარი გაუყინეს, ხოლო ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ანტიტერორისტულ კოალიციაში ჩართულმა ქვეყნებმა 10 მილიონ დოლარზე მეტის გაყინვა ვერ შეძლეს. გაეროს ექსპერტთა მტკიცებით, ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია. მოხსენების ავტორები ამასთან დაკავშირებით ერთ პრობლემაზე მიუთითებენ – მათი აზრით, ბანკების უმრავლესობას ხშირ შემთხვევაში არ სურთ ისლამური ანგარიშების გაყინვა, რადგან მომგებიანი კლიენტურის დაკარგვას ერიდებიან.

გაერო-ს ექსპერტთა მოხსენების მიხედვით, ბინ ლადენის ტერორისტების ხელში დღეისათვის, სხვადასხვა შეფასებებით, დაახლოებით, 30-დან 300 მილიონ დოლარამდეა თავმოყრილი. ამ თანხის ნაწილი ბინ ლადენის კაპიტალს შეადგენს, ხოლო ნაწილი სხვადასხვა არასამთავრობო და საქველმოქმედო ფონდიდან მოდის. ექსპერტთა მტკიცებით, "ალ ქაიდას" განკარგულებაშია დუბაის, ჰონგ-კონგის, ლონდონის, მალაიზიისა და ვენის საბანკო ანგარიშები. ტერორისტებს ამერიკის, ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკისა და აზიის ისლამური საქველმოქმედო ორგანიზაციები აფინანსებენ. მოხსენების თანახმად, "ალ ქაიდა" თანამედროვე შეიარაღების სრულ არსენალს ფლობს. ბინ ლადენის მებრძოლები კარგად არიან მომზადებულნი და მათი გამოვლენა საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენს.

გაერო-ს ექსპერტთა აღნიშნულ მოხსენებას უკვე გამოეხმაურა ოფიციალური ვაშინგტონი. აშშ-ს ფინანსთა დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოხსენებაში ანტიტერორისტული კამპანიის მსვლელობის სრული სპექტრი არ არის აღწერილი და იგი მოძველებულ ფაქტებზე დაყრდნობითაა მომზადებული.

# სომხეთის ოპოზიცია პრეზიდენტობის კანდიდატს ეძებს

გიორგი ხელაშვილი

*სომხეთში თებერვლისათვის დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციური პარტიები ერთიანი კანდიდატურის წარდგენას და კოჩარიანის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას აპირებენ.*

ხუთშაბათს, გვიან საღამოს დასრულდა სომხეთის წამყვანი პოლიტიკური პარტიების კონსულტაციები საპრეზიდენტო არჩევნების წინ ოპოზიციის ერთობლივი საარჩევნო ტაქტიკის შემუშავების თაობაზე. კონფიდენციალური შეხვედრები რამდენიმე დღე გაგრძელდა და ერთობლივი პოლიტიკური განცხადების მიღებით დასრულდა, რომელსაც მომავალ კვირას გამოაქვეყნებენ.

კონსულტაციებში, ძირითადად, მემარცხენე პარტიები მონაწილეობდნენ – სახალხო პარტია, "ჰანრაპეტუწუნი", ეროვნული თანხმობის პარტია და კომუნისტები – თუმცა, ბოლოს მათ ეროვნულ-დემოკრატიული კავშირიც შეუერთდა, რომელიც მემარჯვენე პოზიციებზე დგას.

პარტიები შეთანხმდნენ, რომ შექმნიან "წინასაარჩევნო დაჯგუფებას", რომელიც თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნებში რობერტ კოჩარიანის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას შეეცდება. დაჯგუფებაში შემავალი პარტიები ერთიანი კანდიდატის წამოყენებას აპირებენ, რომელიც ახლანდელი პრეზიდენტის დამარცხებას შეძლებს.

გარკვეული ერთსულოვნების მიუხედავად, პარტიებს კონსულტაციებზე გადაუწყვეტელი დარჩათ მთავარი საკითხი – ვინ იქნება ოპოზიციის საერთო კანდიდატი? ჯერჯერობით ამის თაობაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება.

პრეზიდენტობის ერთობლივ კანდიდატად შეიძლება დაასახელონ პარტია "ჰანრაპეტუწუნის" ლიდერი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, 1999 წლის ოქტომბერში პარლამენტში მოკლული ვაზგენ სარქისიანის ძმა - არამ სარქისიანი. იგი უკვე დიდი ხანია, რობერტ კოჩარიანს დაუპირისპირდა და თავისი ადგილი იპოვა სომხეთის პოლიტიკურ ასპარეზზე.

ოპოზიციის საერთო კანდიდატობაზე პრეტენზიას აცხადებს ეროვნული თანხმობის პარტიის ლიდერი არტაშეს გეგამიანი. პარტიების წინასაარჩევნო ბლოკს იგი იმ იმედით შეუერთდა, რომ გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატად სწორედ მას აირჩევენ. თუმცა, ეს თუ არ მოხდა, გეგამიანი დამოუკიდებლად აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული კავშირის ლიდერი, ვაზგენ მანუკიანი ჯერჯერობით ხმამაღლა არაფერს ამბობს თავისი საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ, მაგრამ მისი პოლიტიკური წარსულის გათვალისწინებით, არჩევნებში მისი მონაწილეობის შესაძლებლობაც არ უნდა გამოვრიცხოთ. 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სწორედ მანუკიანმა შეძლო სახიფათო კონკურენცია გაეწია ტერ-პეტროსიანისთვის და, ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ხმების უმრავლესობა დააგროვა კიდეც. ტერ-პეტროსიანს მაშინ სამხედროების დახმარება და არჩევნების გაყალბება დასჭირდა იმისათვის, რომ პრეზიდენტის სავარძელი შეენარჩუნებინა.

პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატად უნდა განვიხილოთ 1999 წელს ასევე პარლამენტში მოკლული კარენ დემირჭიანის ვაჟი - სტეპან დემირჭიანი, რომელიც ხალხში საკმაოდ პოპულარულია. ბოლო დღეების პოლიტიკური კონსულტაციები სწორედ მისი პარტიის – სახალხო პარტიის – ინიციატივით მოეწყო. არ არის გამორიცხული, რომ ინიციატივის მიზანი თავად სტეპან დემირჭიანის კანდიდატურის წამოყენება იყო.

და ბოლოს, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ყოფილი პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად აღარ მონაწილეობს, მაგრამ ბოლო თვეებში არ ცხრება ჭორები ხელისუფლებაში მისი დაბრუნების თაობაზე. ტერ-პეტროსიანის ერთ-ერთმა ყოფილმა თანამებრძოლმა, ყარაბაღის ომის ვეტერანთა გაერთიანების ლიდერმა ალბერტ ბაზეიანმა ტერ-პეტროსიანის არჩევნებში მონაწილეობა გამორიცხა. ტერ-პეტროსიანი მხოლოდ მაშინ დათანხმდება თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე, თუ პოლიტიკური პარტიების ფართო სპექტრის მხრიდან სერიოზულ მხარდაჭერას იგრძნობს.

სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნები თებერვლისთვისაა დაგეგმილი. ოპოზიცია დარჩენილ ორიოდე თვეში შეეცდება საერთო კანდიდატის მონახვას, რათა ეფექტურად დაუპირისპირდეს პრეზიდენტ კოჩარიანს. მაგრამ გავლენიანი კანდიდატების სიუხვე და სომხეთის პოლიტიკური სპექტრის დაქსაქსულობა არ იძლევა იმის იმედს, რომ ოპოზიცია სასურველ მიზანს მიაღწევს.

# აზერბაიჯანელ მენავთობეებს ნოვოროსიისკს სუფსა ურჩევნიათ

აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის წარმომადგენელმა ელშად ნასიროვმა განაცხადა, რომ კომპანიას არ შეუძლია ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენის საკმაო რაოდენობის ნავთობით უზრუნველყოფა იმის მიუხედავად, რომ რუსეთი მზადაა, ტრანსპორტირების ტარიფი შეამციროს.

ნასიროვის განცხადებით, აზერბაიჯანს საექსპორტოდ წლიურად მხოლოდ 2,5 მილიონი ტონა ნავთობის წარმოება შეუძლია, ხოლო ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენის სრული დატვირთვისათვის, სულ მცირე, 5 მილიონი ტონაა საჭირო. ეს მონაცემები არც 2003 წელს შეიცვლება.

ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენი 1997 წლის ოქტომბერში ამოქმედდა და დღემდე, დაახლოებით, 9,5 მილიონი ტონა ნავთობი გადატვირთა. ერთი ტონა ნავთობის ნოვოროსიისკამდე გადაზიდვის ტარიფი 15 დოლარს აღემატება.

ნასიროვის განცხადებით, ნავთობის აზერბაიჯანელი მწარმოებლები უპირატესობას ბაქო-სუფსის ნავთობსადენს ანიჭებენ, რომლითაც ერთი ტონა ნავთობის ტრანსპორტირების საფასური 3 დოლარზე ოდნავ მეტია. ("კასპიის ახალი ამბების სააგენტო")

# ბენაზირ ბჰუტო არჩევნებს მიღმა რჩება

გუშინ პაკისტანის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბენაზირ ბჰუტოს კიდევ ერთხელ უთხრეს უარი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაბრუნებაზე. ოქტომბერში დაგეგმილი არჩევნების ორგანიზატორებმა მას არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალეს იმ მოტივით, რომ ბჰუტოს ჯერ პასუხი არ გაუცია კორუფციის ბრალდებებზე. ეს ბრალდებები მისი მმართველობის წლებს უკავშირდება.

ბჰუტო, უკვე რამდენიმე წელია, დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს, მაგრამ პაკისტანის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაბრუნების იმედს არ კარგავს. ოქტომბრის არჩევნების წინ მან განაცხადა, რომ, თუ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მისცემენ, სამშობლოში დაბრუნდება. ბჰუტომ კარგად იცის, რომ, დაბრუნების შემთხვევაში, მისი დაპატიმრებაც არ არის გამორიცხული.

პაკისტანის პოლიტიკის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტ მუშარაფსა და სამხედრო ხელმძღვანელობას ბჰუტო პოლიტიკურ საფრთხედ მიაჩნიათ, რადგან მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს პოპულარობა. სამხედრო დიქტატორი მუშარაფი არც არჩევნების შემდეგ აპირებს ძალაუფლებასთან დამშვიდობებას და ქვეყნის მართვას ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარის სტატუსით აპირებს.

თავად ბენაზირ ბჰუტო არჩევნებიდან გამოთიშვას იოლად არ ურიგდება და უმაღლეს სასამართლოში სარჩელის შეტანა აქვს გადაწყვეტილი.



ბენაზირ ბჰუტო უკვე რამდენიმე წელია დიდ ბრიტანეთს აფარებს თავს REUTERS

## საერთაშორისო ამბები

# ისრაელს ღაზადან ჯარი არ გაჰყავს

პალესტინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა მოჰამედ დაჰლანმა უარყო ინფორმაცია ღაზას სექტორიდან ისრაელის ჯარების გაყვანის დაწყების შესახებ. **"ღაზაში ვითარება არ შეცვლილა. გამოცხადებულია, რომ ისრაელის ჯარების გასვლის შემდგომ ეტაპზე ისრაელის არმიამ ქალაქი ელ-ხალილი (ჰებრონი) უნდა დატოვოს, მაგრამ უკვე ნათელია, რომ ეს არ მოხდება,"** – განაცხადა დაჰლანმა. **"პირიქით, ებრაელი ჯარისკაცები პალესტინის მოქალაქეების წინააღმდეგ ფართომასშტაბიან სადამსჯელო ღონისძიებებს ახორციელებენ, ბულდოზერებით ანგრევენ საცხოვრებელ სახლებს და პოლიტიკური მკვლელობების სერიებს განაგრძობენ,"** – დასძინა პალესტინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა. მან ასევე უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს აშშ-ს ადმინისტრაცია პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტზე ვაშინგტონისათვის მისაღები ახალი კანდიდატურის გაყვანას აპირებს. **"ჩვენს საშინაო საქმეებში აშშ განმსაზღვრელ ძალას არ წარმოადგენს. გარეშე ძალებს არ მივცემთ ნებას, განსაზღვრონ, თუ ვინ იქნება პალესტინელი ხალხის ხელმძღვანელი. ეს ჩვენთვის მიუღებელია. ერთადერთი, ვისაც ამის გადაწყვეტა შეუძლია, პალესტინელი ხალხია,"** - განაცხადა დაჰლანმა. მისი თქმით, პალესტინის სახელმწიფო უნდა შეიქმნას იმ ტერიტორიაზე, რომლის ოკუპაციაც ისრაელმა 1967 წელს მოახდინა. **"ნაკლებზე არ დავთანხმდებით. პირველ და უმთავრეს პირობას ისრაელის არმიის მიერ პალესტინის ტერიტორიის დატოვება წარმოადგენს,"** - განაცხადა პალესტინის სპეცსამსახურის შეფმა.

# ჩინეთი უიღურების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას იწყებს

პეკინში აშშ-ს საელჩომ პარასკევს გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ჩინეთის ისლამისტები, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, ყირგიზეთში განთავსებულ საელჩოებზე ტერორისტული თავდასხმების განხორციელებას გეგმავდნენ. პეკინში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლის განცხადებით, ყირგიზეთში დააპატიმრეს აღმოსავლეთ თურქესტანის ისლამური მოძრაობის ორი წევრი, რომლებიც ყირგიზეთში არსებულ სავაჭრო ცენტრებში, საელჩოებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ტერაქტების ორგანიზების მცდელობაში არიან ეჭვმიტანილნი. ისინი ყირგიზეთიდან ჩინეთში არიან დეპორტირებულები.

როგორც ცნობილია, ვაშინგტონმა აღმოსავლეთ თურქესტანის ისლამური მოძრაობა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიტანა. ამის შესახებ ორშაბათს ჩინეთში ვიზიტით მყოფმა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილემ რიჩარდ არმიტიჯმა განაცხადა.

ჩინეთის ხელისუფლების მტკიცებით, ისლამური მოძრაობის მრავალმა წევრმა ავღანეთის საწვრთნელ ბანაკებში, თალიბების რეჟიმის დროს, სპეციალური მომზადება გაიარა. ამის შემდეგ, ისინი ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში, სინძიანში დაბრუნდნენ, სადაც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ უიღურელ მუსლიმებს შეუერთდნენ და საიდუმლო ტერორისტული უჯრედები დააფუძნეს. ჩინეთის ხელისუფლების განცხადებით, აღმოსავლეთ თურქესტანის ისლამური მოძრაობის ხელმძღვანელი ჰასან მაჰსუმი მჭიდრო კავშირშია უსამა ბინ ლადენთან, რომლისგანაც ინტენსიურად ღებულობს დირექტივებსა და მატერიალურ მხარდაჭერას.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის დეკემბერში პეკინში ვიზიტით მყოფმა გენერალმა ფრენსის ტეილორმა განაცხადა, რომ აშშ უიღურთა მოძრაობას ტერორისტულ ორგანიზაციად არ განიხილავს. თუმცა, დასავლელ ანალიტიკოსთა აზრით, ვაშინგტონმა ზემოაღნიშნული ისლამური დაჯგუფების მიმართ საკუთარი დამოკიდებულება მას შემდეგ შეცვალა, რაც ჩინეთმა აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ წამოწყებულ ანტიტერორისტულ კამპანიას დაუჭირა მხარი.

ჩინეთის ხელისუფლების განცხადებით, 1990-2001 წლებში, ისლამისტი მეომრების მიერ მოწყობილი ტერაქტების შედეგად, 162 ადამიანი დაიღუპა და 440 დაიჭრა.

ზოგიერთი დასავლელი ანალიტიკოსის აზრით, უიღურები დამოუკიდებლობას არ ითხოვენ და ისინი მხოლოდ კულტურული და ეკონომიკური უფლებებისთვის იბრძვიან. ლონდონში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაცია "ამნესტი ინტერნეიშენალის" განცხადებით კი, ჩინეთმა ანტიტერორისტული კამპანია, შესაძლოა, უიღურთა მოძრაობის ჩასახშობად გამოიყენოს.

# ხაბაროვსკის მხარეში 3 სექტემბერი გლოვის დღედ გამოცხადდა

გუშინწინ ხაბაროვსკის მხარეში ჩამოვარდნილი სამგზავრო თვითმფრინავის "ან-28"-ის დაღუპული 14 მგზავრიდან და ეკიპაჟის 2 წევრიდან 13 უკვე ამოიცნეს. მგზავრებს შორის ორი ბავშვი და იაპონიის ერთი მოქალაქე იმყოფებოდნენ.

მთავრობის საგამოძიებო კომისიის ცნობით, თვითმფრინავი, რომელიც ხაბაროვსკიდან დასახლება აიანში მიფრინავდა, დაჯდომამდე ოთხი წუთით ადრე კლდეს შეასკდა და ზღვაში ჩავარდა. დასახლება აიანში აეროდრომი ზღვის ნაპირას მდებარეობს და დასაჯდომ ზოლზე დასაფრენად თვითმფრინავები ზღვიდან შემოდიან. აიანი მთლიანად მოწყვეტილია გარე სამყაროს. დასახლებასთან არ მიდის არც რკინიგზა და არც საავტომობილო გზატკეცილი, ამიტომ მიმოსვლის ერთადერთ საშუალებად ავიაცია რჩება.

წინასწარი მონაცემებით, კატასტროფის მიზეზი ცუდი ხილვადობა და პილოტის შეცდომა უნდა გამხდარიყო. თვითმფრინავის ნამსხვრევები ოხოტის ზღვის პირას აღმოაჩინეს. კომისიას ჯერ არ დაუდგენია, თვითმფრინავი ნაპირს დაენარცხა თუ მისი ნამსხვრევები ზღვამ გამორიყა. ბოლო ორი წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ავიაკომპანიის რამდენიმე "ან-28" ჩამოვარდა, მათ შორის - კონგოსა და ესტონეთშიც. (НТВ)

# აზერბაიჯანელებმა ალიევის რეფორმებს მხარი დაუჭირეს

გუშინ გამოქვეყნდა აზერბაიჯანში 24 აგვისტოს ჩატარებული საკონსტიტუციო რეფერენდუმის საბოლოო შედეგები. ოპოზიციის მიერ გამოცხადებული ბოიკოტის მიუხედავად, რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 3,7 მილიონმა მოქალაქემ, ანუ ამომრჩეველთა, დაახლოებით, 84 პროცენტმა. "ინტერფაქსის" ცნობით, რეფერენდუმზე დასმულ ყველა შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა მონაწილეთა 96 პროცენტმა.

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ რეფერენდუმის შედეგების "უპრეცედენტო ფალსიფიკაცია" მოხდა და ცდილობს, შედეგების გადასინჯვას მიაღწიოს. ოპოზიცია რეფერენდუმის შედეგებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრებს. რეფერენდუმის დროს მომხდარ დარღვევებზე ისაუბრა ევროპის საბჭოს წარმომადგენელმა ანდრეას გროსმა, რომელსაც ხელისუფლებამ, კერძოდ კი, პრეზიდენტის ვაჟმა - ილჰამ ალიევმა ამას წინათ "აზერბაიჯანის მტერი" უწოდა. რეფერენდუმის დროს "მრავალი უწესრიგობა" დააფიქსირა აზერბაიჯანში შეერთებული შტატების საელჩომაც.

აზერბაიჯანის საკონსტიტუციო რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, კონსტიტუციაში პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა – პრეზიდენტად არჩევისათვის საჭირო ხმების რაოდენობა 50 პროცენტამდე შემცირდა; პრეზიდენტის ადგილმონაცვლედ იქცა არა პარლამენტის სპიკერი, არამედ პრემიერ-მინისტრი; პარლამენტში არჩევნების პროპორციული სისტემა თითქმის მთლიანად მაჟორიტარულით შეიცვალა, ხოლო პოლიტიკური პარტიების გაუქმების უფლება, უმაღლესი სასამართლოს გარდა, რაიონულ სასამართლოებსაც მიეცათ. რეფერენდუმის შედეგები, როგორც ჩანს, უფრო მეტად განამტკიცებს ალიევის რეჟიმის მმართველობას.

# სომხეთის თავდაცვის მინისტრი პანკისის მოვლენებმა შეაშფოთა

"ვიმედოვნებთ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები უახლოეს ხანში მოგვარდება და კეთილმეზობლურ ურთიერთობებში გადაიზრდება. თუ ვითარება კვლავ გაუარესდა, მაშინ ჩვენი პრობლემების რაოდენობაც გაიზრდება," – განაცხადა სომხეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა და თავდაცვის მინისტრმა სერჟ სარქისიანმა. მისი აზრით, მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების გაუარესება, შეიძლება, უარყოფითად აისახოს სომხეთის ეკონომიკაზე. ოფიციალური ერევნისათვის საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან სომხეთი თავისი საგარეო ტვირთბრუნვის ძირითად ნაწილს საქართველოს ტერიტორიის გავლით აწარმოებს. ("კასპიის ახალი ამბების სააგენტო")

## ბიზნესის ამბები

## საქმისა და ჰობის არევა ცუდად დასრულდა

თორნიკე შარაშენიძე

დაკავებული თანამდებობიდან გადადგა ბრიტანული მედია-კომპანია "გრანადას" მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი სტივ მორისონი. იგი ფორმალურად სექტემბრის ბოლოს მოიხსნის უფლებამოსილებებს და მის ადგილს ჩარლზ ალენი დაიჭერს. მორისონის წასვლის მთავარ მიზეზად ფასიანი ტელევიზიის, "აი-ტივის" გაკოტრება იქცა, რომელმაც რამდენიმე თვის წინ შოკში ჩააგდო მთელი ევროპა და თავის მამობილ კომპანიას, "გრანადას" დიდძალი წაგებები მოუტანა. "აი-ტივი" ფლობდა უფლებებს ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის ტრანსლიაციაზე და მრავალ კლუბსაც აფინანსებდა. მისმა კრახმა სერიოზული ფინანსური პრობლემები შეუქმნა არა მხოლოდ "გრანადას," არამედ ინგლისის საფეხბურთო სამყაროსაც. ბევრი კლუბი იძულებული გახდა, სასწრაფოდ გაეყიდა რამდენიმე ფეხბურთელი, რათა ბიუჯეტის დანაკლისი შეევსო. "გრანადას" ერთი იმით შეუძლია "დაიმშვიდოს" თავი, რომ "აი-ტივის" გაკოტრებით იზარალა მისმა კონკურენტმა "კარლტონმაც," რადგან "აი-ტივიში" წილს ეს უკანასკნელიც ფლობდა. ორივე მედია-კომპანიამ, საერთო ჯამში, 1,5 მილიარდი დოლარი დაკარგა. "გრანადას" შემოსავალი 12 პროცენტით დაეცა.

ალენს კომპანიის კრიზისიდან გამოყვანის საქმეში დაეხმარება ბრიტანეთში ცნობილი მენეჯერი, სერ ჯორჯ რასელი. ამ პიროვნებამ ყველას კარგად დაამახსოვრა თავი "კამელოტსა" და "მერლი ენდ ბრიტიშ ალკანში" მოღვაწეობისას, როცა ეს უკანასკნელნი ანალოგიურ პრობლემებს განიცდიდნენ. "გრანადას" აქციონერები მოუთმენლად ელიან, როდის დაატყობს სერ ჯორჯი ხელს მათ კომპანიასაც.

მორისონი კი "გრანადაში" 28 წლის წინ მივიდა და თავდაპირველად პროდიუსერად დაიწყო მუშაობა. იგი ცნობილია, როგორც ფეხბურთის თავგადაკლული ფანი და მისი მოღვაწეობის მაგალითი მოწმობს, რომ ბიზნესმენმა საქმე ჰობიში არ უნდა აურიოს. აქამდე, "აი-ტივის" გაკოტრების გამო, მის გარდა, მხოლოდ ერთმა მენეჯერმა აგო პასუხი – თავად "აი-ტივის" მთავარმა აღმასრულებელმა სტიუარტ პებლმა.

## საუდის არაბეთი ბაღდადში სავაჭრო გამოფენას ხსნის

სექტემბრის დასაწყისში საუდის არაბეთი ერაყის დედაქალაქში საკუთარი პროდუქციის სავაჭრო გამოფენას გახსნის, რაც 1991 წლის შემდეგ ორი ქვეყნის პირველი ერთობლივი ღონისძიებაა.

ბაღდადში თავს მოიყრიან სამედიცინო აპარატურის, ელექტროენერგეტიკის აღჭურვილობის მწარმოებლები, ასევე საფეიქრო და კვების მრეწველობაში მომუშავე კომპანიების წარმომადგენლები. მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში საუდის არაბეთსა და ერაყს შორის ვაჭრობის მოცულობამ 68 მილიონი დოლარი შეადგინა.

ამასთან, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ნაწარმი საუდის არაბეთის ექსპორტის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. შედარებისთვის, 2000 წელს ქვეყანამ განახორციელა 50 მილიარდი რიალის (13,3 მილიარდი დოლარის) ღირებულების ნავთობის ექსპორტი, მაშინ როდესაც საზღვარგარეთ გაყიდული კვების მრეწველობის პროდუქციის ღირებულებამ მხოლოდ 1,7 მილიარდი რიალი შეადგინა. "ლენტა.რუ"

## ძველი მოდელის „ჟიგულებს" უკრაინაში ააწყობენ

ხერსონის ავტოსაამწყობო ქარხანა "ანტო-რუსი" პირველი სექტემბრიდან "ჟიგულის" ძველი მოდელების - ვა -2104-ისა და ვა -2107-ის აწყობას იწყებს. აქამდე ხერსონში "ჟიგულის" მეექვსე მოდელს აწყობდნენ. თუმცა, ტოლიატიში მისი გამოშვების შეწყვეტამ, ხერსონში წარმოების შეწყვეტა გამოიწვია, რადგანაც "ავტოვაზმა" ვერ შეძლო უკრაინული ქარხნის ასაწყობი კომპლექტებით მომარაგება.

როგორც უკრაინული ქარხნის დირექტორმა ვიქტორ კოზონაკმა განაცხადა, მიმდინარე წლის ბოლომდე ქარხანა "ჟიგულის" 1200 "მეოთხე" და "მეშვიდე" მოდელის ავტომობილს გამოუშვებს. საერთოდ კი, ქარხნის სამრეწველო სიმძლავრე წელიწადში 30 ათასი ავტომობილია. სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, უკრაინაში გაყიდული ავტომობილების 50 პროცენტს "ავტოვაზის" ქარხნების ნაწარმი შეადგენს. "ენტევე.რუ"

## კაკაოს ფასმა რეკორდი მოხსნა

ერთი ტონა კაკაოს ფასმა, პირველად 15 წლის განმავლობაში, 2000 დოლარს გადააჭარბა. აქამდე ამ პროდუქტის ოპტიმალურ ფასად 1400 დოლარი მიიჩნეოდა.

"ბლუმბერგის" ცნობით, ამ გარემოებამ სერიოზული გავლენა მოახდინა ბაზრის უმსხვილეს მონაწილეებზე, კომპანიებზე Hershey Foods-სა და Mars-ზე. საქმე ისაა, რომ კაკაოს ფასის მატება ზრდის საბოლოო პროდუქტის თვითღირებულებას და, შესაბამისად, ეს ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს ამ ბიზნესში მონაწილეთა მოგების მაჩვენებელზე. თანაც, წლის ბოლომდე ვითარების გამოსწორება მოსალოდნელი არ არის, რადგან ბაზარს არ მიეწოდება კაკაო ამ ნედლეულის მთავარი მიმწოდებლისაგან - კოტ-დიუვარისაგან. ამ ქვეყნიდან კაკაოს მარცვლის ახალი მოსავლის პირველი პარტიის ბაზარზე მიწოდება მხოლოდ ოქტომბრის ბოლოსთვის დაიწყება. არადა, ტკბილეულის მწარმოებელ კომპანიებს ამ ნედლეულის შეძენა ყოველდღე ესაჭიროებათ. ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ უახლოეს თვეებში კაკაოს ფასმა ერთ ტონაზე, შესაძლოა, 2400 დოლარსაც კი მიაღწიოს.

"თუკი კაკაოს ფასმა არ დაიკლო, ტკბილეულის მწარმოებელ კომპანიებს საკუთარი პროდუქციის გაძვირება მოუწევთ. ეს კი არც ისე სახარბიელოა არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარების პირობებში", - აღნიშნა კომპანია Baraboo Candy-ის წარმომადგენელმა.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 25 - 31 აგვისტოს მდგომარეობით




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6442 | 0.6345 | 0.0055 |
| US$ | 1.5524 | | 0.9854 | 0.0085 |
| €uro | 1.5759 | 1.0149 | | 0.0086 |
| ¥en | 183.2 | 118.01 | 116.26 | |

### 2002 წლის 31 აგვისტოდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1325 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3635 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4530 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1650 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3307 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1836 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0685 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4420 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3828 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0629 ლარი |

# ნავთობმოპოვებაში ინვესტიციები იზრდება

### გაზის მეურნეობას კი უფრო და უფრო ებღაუჭება "იტერა"

მაია ურუშაძე

*საქართველოში ნავთობისა და გაზის მრეწველობას მრავალწლიანი ისტორია და ტრადიციები აქვს. ამ ტრადიციათა შორის ერთ-ერთია მენავთობის დღისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც გუშინ რკინიგზელთა სახლში ჩატარდა.*



*რევაზ თევზაძე, სოსო ხარატიშვილი და რევაზ არველაძე* ბესო გულაშვილის ფოტო

**"საქართველოს ნავთობის დიდი რესურსები გააჩნია,** - განაცხადა მენავთობის დღისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე "საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ რევაზ თევზაძემ, **- ამას ქართული ნავთობისადმი უცხოელ ინვესტორთა სულ უფრო და უფრო მზარდი დაინტერესებაც მოწმობს".** საქართველოში ნავთობსაძიებო სამუშაოებისთვის ფინანსები უკვე ცხრა ინვესტორმა გაიღო. უახლოეს მომავალში, შესაძლოა, მათი რაოდენობა გაიზარდოს იმ ინვესტორთა ხარჯზე, რომლებიც ახალ სალიცენზიო ზონებში ნავთობის ძიება-მოპოვებას შეუდგებიან. დღეისათვის ნავთობის ყველაზე მაღალი მოპოვებით ნინოწმინდის საბადო გამოირჩევა, რომელიც თავიდან დიდი ბრიტანეთის კომპანიას, "კასპოილის" მეწილე "ჯეი-ქეი-ექს ოილ ენდ გეზს" ეკუთვნოდა, ახლა კი კანადური კომპანია "კანარგოს" განკარგულებაშია.

ამჟამად, "საქნავთობის" გარდა, საქართველოს ნავთობისა და გაზის სფეროში რვა უცხოელი ინვესტორი მუშაობს. ესენი არიან: ზემოთ ხსენებული "ჯეი-ქეი-ექსი"; "კანარგოს" შვილობილები: "ნინოწმინდის ნავთობკომპანია", "კანარგო-ნაზვრევი" და "კანარგო-ნორიო"; შვეიცარიული "ნეშენლ პეტროლეუმ ლიმითედი"; გერმანული "გეორგეროილი" (რომელსაც საკუთარი ლიცენზია არ გააჩნია და ნავთობმოპოვებას "საქნავთობთან" შეამხანაგებულად აწარმოებს); ამერიკული "ფრონტერა ენერჯი ინკორპორეიშნ"-ის კუთვნილი "ფრონტერა ისტერნ ჯორჯია" და ამერიკული "ანადარკო კომპანი". ამ ინვესტორთა რიცხვს ემატება დანიური "რამბოლი", რომელმაც საქართველოს ნავთობისა და გაზის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა და ახლა სამგორის საბადოს სამხრეთ თაღში 510 მილიონი კუბური მეტრის ტევადობის მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის დასაწყებად მოსამზადებელ სამუშაოებს ჩაატარებს. წინასწარი მონაცემებით, ამ ტევადობის გაზსაცავის აგება 200 მილიონ დოლარამდე დაჯდება.

სულ ცოტა ხნის წინათ ქართულ ნავთობსექტორში ჩინური ინტერესებიც დაფიქსირდა. ტარიბანის საბადოდან "ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას" კუთვნილი წილის ნახევარი – 25 პროცენტი ამერიკაში დაფუძნებულმა ჩინურმა კომპანია "ტუჰა"-მ უნდა მიიღოს. კომპანია "ფრონტერასთან" იმ გამოცდილების გამო ამხანაგდება, რომელიც მას ჩინეთის რთულ გეოლოგიურ პირობებში მუშაობით აქვს მიღებული. კერძოდ, საუბარია ქვიშიანი ნიადაგის გაბურღვაზე, სადაც ჭაბურღილებში პერიოდულად ქვიშის საცობები ჩნდება. "ფრონტერა" ტარიბანის საბადოზე ქვიშის საცობების პრობლემას თავიდან გერმანული "შლუმბერჟე"-ს დახმარებით ებრძოდა, თუმცა, მოგვიანებით მან ჩინელებთან შეამხანაგება და მათთვის ქართულ ნავთობში არსებული თავისი წილის განაწილება გადაწყვიტა. "ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას" მთავარმა კონსულტანტმა, ბატონმა ცუიმ "24 საათს" განუცხადა, რომ "ფრონტერა" ძალიან კარგად მუშაობდა მათ შემოსვლამდეც, მაგრამ ჩინეთს აქვს ქართული ნიადაგის იდენტურ მძიმე გეოლოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილება. ბიზნეს-გეგმა უახლოესი დროისთვის უკვე შედგენილია. დაწყებულია ბურღვითი სამუშაოებიც. "ტუჰა" წლის ბოლომდე საბოლოოდ შეაფასებს ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობას, რის შემდეგაც განსახორციელებელი ინვესტიციის ზუსტი ოდენობაც განისაზღვრება.

ქართველ მენავთობეებთან ერთად, გუშინდელ საღამოს "საქგაზის" გენერალური დირექტორი ლეონიდ დეიკალოც დაესწრო. **"როდესაც ქვეყანაში წარმოება მუშაობს, ეს ქვეყნის განვითარების მაჩვენებელია. საქართველოს შემთხვევაში მე განვითარების ნიშანს ოდნავ სხვანაირად ჩამოვაყალიბებდი. საქართველოში წარმოების განვითარებაზე მის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ოდენობა მეტყველებს. ამიტომ საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა, მე ვიტყოდი, მის მიერ მოხმარებული გაზის რაოდენობის პირდაპირპროპორციულია,"** – განაცხადა მან.

საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა რომ უკვე დიდი ხანია, "იტერას" ჯიბის შევსების ტემპის პირდაპირპროპორციულად იქცა, ეს ახალი აღარ არის. თუმცა, გუშინ ლეონიდ დეიკალომ "24 საათს" ერთი სიახლე მაინც გაუმხილა: როგორც ირკვევა, "იტერა" საქართველოში ინტერესების დათმობას არ აპირებს და მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობაში "იტერასთან" ერთობლივ საწარმოში წილების 50/50-ზე გადანაწილების შესახებ ალაპარაკდნენ, "იტერამ," თავის მხრიდან, საწარმოს საწესდებო კაპიტალში შესატან აქტივებს ოთხი საწარმო: "თეცი", "სამტრედიაგაზი", "ვანის გაზმომარაგება" და "ბორჯომიგაზი" დაუმატა, რითიც თავისი 16-მილიონიანი აქტივები 19 მილიონამდე გაზარდა. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას "იტერასთან" ერთობლივი საწარმოს თანაბარი პროცენტული მონაწილეობით შექმნა საკმაოდ გაუჭირდება. იმ შემთხვევაში კი, თუ მის აქტივებს მაინც "დაეწია" და გაათანაბრა, ეს გათანაბრება უსაშველოდ ძვირი დაუჯდება.

## საქართველო მსოფლიოს 15 ყველაზე კორუმპირებულ ქვეყანათა რიცხვშია

პირველი გვერდიდან

"კაი – 2002"-ის მიხედვით, რეიტინგში შესული 102 ქვეყნიდან 70-მა, რომელთა შორის ბევრი ულარიბეს სახელმწიფოთა კატეგორიას განეკუთვნება, შეფასების ათბალიანი სისტემით, ხუთ ქულაზე ნაკლები დაიმსახურა. კორუფციის დონე ყველაზე მინიმალურად არის აღიარებული ფინეთში (9.7), დანიაში (9.5), ახალ ზელანდიაში (9.5), ისლანდიასა (9.4) და სინგაპურში (9.3). ამ ფონზე საქართველოს 2,4 ქულა მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლად გამოიყურება. "კაი"-ს მიხედვით, საქართველოს საგრძნობლად უსწრებს რუსეთი (2,7 ქულა და 71-ე ადგილი) და უზბეკეთი (2,9 ქულა, 68-ე ადგილი). კიდევ უფრო არაკორუმპირებულ ქვეყნებს შორის აქვთ ადგილი დამკვიდრებული ესტონეთს (5,6 ქულა, 29-ე ადგილი) და ლიტვასა და ბელორუსს, რომლებიც რეიტინგში 4,8-4,8 ქულით 36-ე პოზიციებს იყოფენ.

"ტი"-ს გამოკვლევის თანახმად, ყოფილი კომუნისტური ბანაკის ზოგმა ქვეყანამ, მაგალითად, სლოვენიამ, გაცილებით მაღალი შეფასება (6.0) დაიმსახურა, ვიდრე თავად ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა, კერძოდ, იტალიამ (5.2) და საბერძნეთმა (4.2). სამაგიეროდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრი ქვეყანა კვლავაც დაავადებულია კორუფციით. **"პრეზიდენტ პუტინის ბოლო ნაბიჯები, რომლებიც საგადასახადო რეფორმის გატარებისკენ და ფულის გათეთრების წინააღმდეგ არის მიმართული, რუსეთში კორუფციის აღქმის შერბილების შესაძლებლობის დემონსტრირებას ახდენს,** – განაცხადა "ტი"-ს თავმჯდომარემ პიტერ აიგენმა, - **"მაგრამ "კაი – 2002" მიუთითებს, რომ რუსეთს ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი, რადგან იგი კვლავაც რჩება ძლიერ კორუმპირებულ ქვეყნად, რომელმაც უზბეკეთთან, საქართველოსთან, ყაზახეთთან, მოლდოვასა და აზერბაიჯანთან ერთად, სამზე ნაკლები ქულა დაიმსახურა",** - დასძინა მან.

თუ რუსეთს გარკვეულ პოზიტიურ მონაპოვრად საგადასახადო და საკანონმდებლო ცვლილებებს უთვლიან, საქართველო ჯერჯერობით ამითაც ვერ დაიკვეხნის. "სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის" მთავარი ექსპერტის ლადო პაპავას განცხადებით, ხელისუფლებას ამ მხრივ თითქმის არაფერი აქვს გაკეთებული. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ მონაპოვრად პაპავა ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაციებს მიიჩნევს, რომელთა შესრულებასაც გარკვეული შედეგი უკვე მოჰყვა. ამ ორგანოს რეკომენდაციების გარდა, პაპავა მდგომარეობის გამოსწორების სერიოზულ იმედებს დამუშავების ეტაპზე არსებული ალტერნატიული საგადასახადო კოდექსის ამოქმედებასა და ხელისუფლების მიერ ქვეყანაში ფინანსური წესრიგის დამყარებას უკავშირებს.

**"ქვეყნების პოლიტიკური ელიტების წარმომადგენლები ნებისმიერი შესაძლებლობისას იღებენ ქრთამებს. კორუმპირებულ მეწარმეებთან ერთად, ისინი მთელ ერებს აგდებენ სიღატაკის კლანჭებში და ეწინააღმდეგებიან მდგრად განვითარებას. კორუფციამ სახიფათოდ მაღალ დონეს მიაღწია არა მარტო მსოფლიოს ღარიბ რეგიონებში, არამედ იმ სახელმწიფოებშიც, რომელთა ფირმები განვითარებად ქვეყნებში აბანდებენ თანხებს",** – განაცხადა პიტერ აიგენმა. მისი თქმით, განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ანგარებიან მეწარმეებთან თუ ინვესტორებთან და პირად გამორჩენას თანამოქალაქეთა კეთილდღეობასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე მაღლა აყენებენ. პაპავას განცხადებით, ასეთი დამოკიდებულებები არც საქართველოსთვის არის უცხო. მისი თქმით, ყველასთვის ცნობილია, რომ საქართველოში კეთილშობილურ მიზნებს ამოფარებული არაერთი უცხოელი შემოსულა, რომლებიც შემდეგ წურბელებივით ეწებებოდნენ ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს და, საკუთარი ჯიბის გასქელების გარდა, არაფერი აფიქრებდათ. ექსპერტის აზრით, სამწუხაროდ, უცხოელი ინვესტორების სანდოობის მთავარ კრიტერიუმად, საქართველოში ჯერ კიდევ მათი ევროპული წარმოშობა მიიჩნევა, რასაც ქვეყანა სავალალო შედეგებამდე ბევრჯერ მიუყვანია.

## ბანკი MBG მარნეულში ფილიალს ხსნის

სოფო კვინტრაძე

"საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი" ქსელს აფართოებს. ამჯერად "ემ-ბი-ჯის" ფილიალი მარნეულის რაიონში გაიხსნა. გახსნის საზეიმო ცერემონიალს "ემ-ბი-ჯის" ფილიალების ქსელის განვითარების მენეჯერი ასმუს როტნე, "ემ-ბი-ჯის" მარნეულის ფილიალის მმართველი ვალერი კაკულია, მარნეულის რაიონის გამგებელი გოჩა ლორია და ადგილობრივი ადმინისტრაციისა და წარმოების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

როგორც ვალერი კაკულიამ განაცხადა, მარნეულის ფილიალი მოსახლეობას საბანკო მომსახურების სრულ სპექტრს სთავაზობს: მიკრო და მცირე სესხებს, სესხებს სოფლის მეურნეობის სფეროში, სალომბარდე სესხებს, დეპოზიტებს, ფულად გადარიცხვებს და ა.შ.

**"ჩვენ ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ მარნეულზე, რომელიც ერთ-ერთი სერიოზული სავაჭრო რაიონია, გარდა ამისა, აქ განვითარებულია სოფლის მეურნეობაც. ამდენად, ველოდებით ძალიან ბევრ კლიენტს,"** – აღნიშნა "ემ-ბი-ჯის" მარნეულის ფილიალის მმართველმა ვალერი კაკულიამ.

## "ტოიოტა" და "ფოლკსვაგენი" ჩინეთის ბაზრისთვის იბრძვიან

თორნიკე შარაშენიძე

იაპონურმა ავტოგიგანტმა "ტოიოტა მოტორსმა" და ჩინეთის უდიდესმა საავტომობილო კომპანია "ფერსტ აუტომოტივ უერქზმა" ("ფაუ") ისტორიულ გარიგებას მიაღწიეს ერთობლივი საწარმოს დაარსების თაობაზე. ეს უკანასკნელი 2010 წლიდან სრული სიმძლავრით უნდა ამუშავდეს და წელიწადში 400 ათასი მანქანა გამოუშვას. "ტოიოტა" ამ პროექტში 1,27 მილიარდ დოლარს დებს, "ფაუ" კი მიიღებს აქციათა საკონტროლო პაკეტს "ტოიოტას" კიდევ ერთ ჩინურ კომპანია "ტაინჯინ აუტომოტივ ხიალიში" ("ტახ").

"ტოიოტა-ფაუს" ერთობლივი საწარმო გამოუშვებს როგორც სპორტულ, ასევე მინი და ფუფუნების კლასის მანქანებს. იაპონური კომპანიის განცხადებით, პირველი პროდუქცია დღის სინათლეს უკვე 2003 წლის ზაფხულში იხილავს. ტიანჯინში მდებარე "ფაუს" ქარხანა ყოველწლიურად 100 ათას მინი მანქანას გამოუშვებს. სპორტული მანქანები ჩანგჩუნში იქნება გამოშვებული იმავე წლის ბოლოდან და წარმადობა წელიწადში 20 ათასზე ავა. ფუფუნების კლასის მანქანები 2005 წლიდან გამოვა გაყიდვაში, სავარაუდოდ, წელიწადში 50 ათასის ოდენობით. მისი წარმოებაც ტიანჯინში მოხდება.




*"ტოიოტას" პრეზიდენტი ფუჯიო ჩო* REUTERS

როგორც უკვე ვახსენეთ, გარიგების მიხედვით, "ფუა" "ტახის" აქციათა საკონტროლო პაკეტს იძენს. ეს სიამოვნება (აქციათა 51 პროცენტი, საიდანაც 50 პროცენტი "ტოიოტასი" იყო) მას არც ისე ძვირი, 172 მილიონი დოლარი დაუჯდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ავტომწარმოებელი მთლიანად ჩინელთა ხელში გადავა, რაც უდავოდ აამებს ადგილობრივ ხელისუფლებას. ჩინეთი ხომ ყოველთვის უხალისოდ მიდის უცხოელი ინვესტორის დაშვებაზე და დიდი სიხარულით არც "ტოიოტას" ამგვარ ექსპანსიას შეხვდებოდა. ახლა "ტოიოტამ" ერთი ინვესტიციის სანაცვლოდ მეორე დათმო.

რაც შეეხება "ტახს," ეს უკანასკნელი უკვე ამა წლის ოქტომბრიდან წელიწადში 30 ათას საშუალო კლასის მანქანას გამოუშვებს. ამ კომპანიასთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია, მაგრამ "ტოიტა-ფაუს," შეიძლება, გარკვეული პრობლემები შეექმნას. საქმე ისაა, რომ "ფაუს" ერთობლივი საწარმო აქვს აგრეთვე "ტოიოტას" ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტთან, ჩინეთში მყარად დამკვიდრებულ "ფოლკსვაგენთან," რომელიც დიდი ხანია, წარმატებით მუშაობს ჩანგჩუნში. სპეციალისტთა თქმით, "ფაუს" დიდი გამოცდა ელის, რადგან ორ ასეთ გიგანტთან დაბალანსების პოლიტიკის გატარება ძნელია - ან ერთი უნდა აირჩიო, ან მეორე.

ამ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოებაც, რომ თავად "ფოლკსვაგენს" ერთობლივი საწარმო დაარსებული აქვს აგრეთვე "ფაუს" უპირველეს კონკურენტთან - "შანხაი აუტომოტივ ინდასტრისთან." ასე რომ, თავად გერმანულ კომპანიასაც თავის სამტვრევად აქვს საქმე.

თუმცა, მომავალ პროექტს უამრავი სხვა დაბრკოლებაც შეხვდება. კერძოდ კი, უმძაფრესი კონკურენცია, რომელიც ბოლო ხანს ჩინეთის ბაზარზე არნახულად გაძლიერდა. მთავარ მოთამაშედ აქ კვლავაც "ფოლკსვაგენი" რჩება, რომელიც ბაზრის 43 პროცენტს აკონტროლებს. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ წლინახევრის წინ გერმანულ გიგანტს 53 პროცენტი ეპყრა ხელთ. ასე რომ, მასაც დიდი პრობლემები აქვს. მით უფრო დიდ პრობლემებს წააწყდება "ტოიოტა," რომელსაც ბაზარზე ფეხი ჯერ ასე მყარად არ მოუკიდებია.

# „ხშირ შემთხვევაში, საქმეთა გახსნა დაკავებულთა წამების გზით ხდება", - აცხადებენ არასამთავრობოები

პირველი გვერდიდან

"თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ შეკრებილი მასალებით, წინასწარი დაკავების საკნებიდან თბილისისა და ქუთაისის იზოლატორებში ბოლო ხუთი თვის მანძილზე სხეულის დაზიანებით 164 პატიმარი გადაიყვანეს. 72-საათიანი დაკავების ვადის დარღვევით კი - 183 ბრალდებული. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციას იუსტიციის სამინისტროს სტატისტიკურ მონაცემებში ეჭვი შეაქვს. "თავისუფლების ინსტიტუტში" თვლიან, რომ წინასწარი დაკავების საკნებში ნაწამებ დაკავებულთა რიცხვი გაცილებით მეტი უნდა იყოს, მაგრამ წამებაგამოვლილები, შიშის გამო, დუმილს ამჯობინებენ. **"ეს ჩვეულებრივი ამბავია, წინასწარი დაკავების საკნებში, როგორც წესი, სიმართლეს არავინ ამბობს, რადგან ეშინიათ, უარეს დღეში არ აღმოჩნდნენ ან მათი ოჯახის წევრებს არ შეექმნათ პრობლემები. დაკავებული ციხეში გადასვლის შემდეგ ჰყვება იმ წამების შესახებ, რაც მას გადახდა, რადგან ციხეში მისი უსაფრთხოება დაზღვეულია,"** – ამბობს დეპუტატი ელენე თევდორაძე.

არასამთავრობო ორგანიზაციის - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენელი ნანა კაკაბაძე, რომლის ორგანიზაციამაც წინასწარი დაკავების საკნებში მონიტორინგი ჩაატარა, აცხადებს, რომ საკნებში არსებული მდგომარეობა გაუსაძლისია: **"დაკავებულთა წამება საკნებში არსებული უმძიმესი პირობებით იწყება. იქ ისეთი აუტანელი მდგომარეობაა, რომ ფიზიკური ძალადობისგან დიდად არ განსხვავდება, ამას ემატება ცემა-წამებაც და დაკავებულს, რასაც გინდა, იმას ათქმევინებ, ოღონდაც იმ კოშმარს თავი დააღწიოს,"** – ამბობს ნანა კაკაბაძე.


ელექტროშოკის ჩვენება "თავისუფლების ინსტიტუტში" ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინ "თავისუფლების ინსტიტუტში" წამების წინააღმდეგ გამართულ შეხვედრას, მიწვეული სტუმრებიდან, მხოლოდ გენერალური პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მთავარი ბრალდებულები - შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები შეხვედრაზე რატომღაც არ მისულან.

"თავისუფლების ინსტიტუტში" წინასწარი დაკავების საკნებში დაკავებულთა ცემა-წამების დამადასტურებელი ფოტო-მასალა მრავლად წარმოადგინა გადაცემა "60 წუთის" ჟურნალისტმა ნინო ზურიაშვილმა. მანვე მოახდინა დოკუმენტური მასალის, პოლიციის "ბრალეულობის" დამადასტურებელი ნივთმტკიცების, წამების ხელსაწყოს – ელექტროშოკის ჩვენება და მისი გამოყენების მექანიზმიც ახსნა: **"ეს არის საველე-სამხედრო ტელეფონი, რომელზეც აერთებენ დაკავებულს. მას თითზე ახვევენ სველ ხელსახოცს და შემდეგ ტელეფონის მავთულებს, რომელშიც დენი გადის. სველი ხელსახოცი კვალს არ ტოვებს და ამიტომაც იყენებენ. აღარ მეგონა, თუ შსს-ს მე-6 სართულზე კიდევ აწამებდნენ ადამიანებს, მაგრამ ძველი პრაქტიკა იქ დღესაც გრძელდება,"** – განაცხადა ნინო ზურიაშვილმა. მან წამების მსხვერპლის, მისი ერთ-ერთი რესპოდენტის შემთხვევაც გაიხსენა, რომელიც დააკავეს ისე, რომ რეგისტრაციაში არ გაატარეს, სასტიკად აწამეს და შემდეგ განაცხადეს, დაკავებული არ ყოფილა და როგორ ვაწამებდითო. როგორც ხედავთ, წინასწარი დაკავების საკნებისთვის მსგავსი კურიოზებიც არ არის უცხო.

**"წამების აპარატი ჩემთვის უცხო არ არის, ამ ხელსაწყოს, მე-6 სართულის გარდა, წარმატებით იყენებენ იმავე შენობაში არსებულ ექიმების ოთახშიც. ახლა იზოლატორიდან მოვდივარ, სადაც შევხვდი სამი ლარის მოპარვის გამო ყაჩაღობაში ბრალდებულ პიროვნებას. მან მითხრა, ელექტროშოკზე შემაერთეს, ისე მაწამეს, რომ მზად ვიყავი, ყველაფერზე მომეწერა ხელიო,"** – განაცხადა ელენე თევდორაძემ.

სწორედ ელენე თევდორაძეს დაევალა პარლამენტამდე "თავისუფლების ინსტიტუტის" საკანონმდებლო ინიციატივის მიტანა. **"პარლამენტს ურჩევნია, დროულად შეიტანოს ცვლილებები კოდექსში. თუ არადა, ჩვენ ვაპირებთ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას და არსებული ხარვეზების გამოსწორებას. საკონსტიტუციო სასამართლო ჩვენს მოთხოვნას აუცილებლად დააკმაყოფილებს,"** – აცხადებს გიგა ბოკერია.

ერთი სიტყვით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებს (რომელთა შესახებაც უკვე ხუმრობენ, იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე შექმნილი კოდექსიო) ერთიც დაემატება. მოკვლევის ორგანოების სასარგებლოდ დატოვებული საკანონმდებლო ღრიჭო პარლამენტმა, სავარაუდოდ, ოთხ თვეში უნდა ამოავსოს, რადგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიცემული პირობის თანახმად, რეფორმის ბოლო ვადა 2003 წლის 1 იანვარს იწურება.

# მართლმსაჯულება დირექტორის თანამდებობაზე აღდგენას ითხოვს

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"დაუყოვნებლივ აღსრულდეს სასამართლოს გადაწყვეტილება; სამსახურიდან გათავისუფლებული დაუბრუნდეს საკუთარ თანამდებობას",** - ასეთი ვერდიქტი გამოუტანა რამდენიმე დღის წინ საოლქო სასამართლომ 20-წლიანი სამუშაო სტაჟით სამსახურიდან გათავისუფლებულ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ყოფილ დირექტორს ნაულის ქობულიას, რომლის თანამდებობაც ორი წლის წინ ციხის საავადმყოფოში 27-მეტრიანი გვირაბის გათხრასა და ამ გვირაბიდან პატიმართა "დიდ გაქცევას" შეეწირა.

გურამ აბსანძის, ლოთი ქობალიასა და მათთან ერთად კიდევ ათი პატიმრის გაპარვას მაშინ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. სასწრაფოდ გავრცელდა უამრავი ვერსია, რომელთა მიხედვითაც პატიმრები კი არ გაიქცნენ, გააქციეს, გვირაბი გაუთხარეს და უპრობლემოდ გაუშვეს. საუბარი იყო იმაზეც, რომ პატიმრები გათხრილი გვირაბის საშუალებით არ გაპარულან, "მათ კარი გაუღეს და გაათავისუფლეს," – ასე ირწმუნებოდა ზოგიერთი. ციხიდან მოწყობილი "დიდი გასეირნების" მეთორმეტე დღეს ძებნილ პატიმართა რაჭის ტყეში აღმოჩენაც და დაკავებაც დიდი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. ეს ყველაფერი – გაქცევა-დაკავება, საბოლოოდ, პოლიტიკურად დადგმულ სპექტაკლსაც დაუკავშირეს. ორი წლის წინ მომხდარ პირველ ფართომასშტაბიან გაქცევას თანამდებობის პირებიც შეეწირნენ. იუსტიციის მაშინდელი მინისტრის ჯონი ხეცურიანის გადაწყვეტილებით, სამსახურიდან გაათავისუფლეს ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორი, მთავარი ექიმი, რეჟიმის უფროსი და რამდენიმე კონტროლიორი. თავად იუსტიციის მინისტრი კი პრეზიდენტმა მომხდარის გამო არ დაინდო და მინისტრობიდან დაითხოვა.

რაჭის ტყეში დაკავებულ პატიმართა მიმართ, გაქცევა-გაპარვის ფაქტზე, სისხლის სამართლის ახალი საქმეები აღიძრა. არც სამსახურიდან გათავისუფლებული ციხის სამკურნალო დაწესებულების დირექტორი და მისი თანამშრომლები დატოვეს უყურადღებოდ და მათ წინააღმდეგაც სისხლის სამართლის ერთი დიდი საქმე გაერთიანდა.

**"ნაულის ქობულიას გარეშე ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო დაიქცევა; ქობულია ერთადერთია, ვინც ამ დაწესებულებას გაუძლვება; ქობულიას ამ სისტემაში მუშაობის მრავალწლიანი სტაჟი აქვს და თავისი საქმის პროფესიონალია,"** – ასე აქებდნენ საკუთარ შეფს სასამართლო პროცესზე მოწმედ დაკითხული მისი ქვეშევრდომები.

სხვათა შორის, გავრცელებული ინფორმაციით, 27-მეტრიანი გვირაბის გათხრამდე რამდენიმე თვით ადრე, ნაულის ქობულიამ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება დაწერა (უფრო სწორად – დააწერინეს). განცხადება მის საპენსიო ასაკს უკავშირდებოდა. ქობულია სამსახურიდან წავიდა. თუმცა, მას ცოტა ხანში დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ მიაკითხა და უკან დაბრუნება სთხოვა.

ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ახლადაღდგენილი დირექტორი, მისი მთავარ ექიმი, რეჟიმის უფროსი და რამდენიმე კონტროლიორი სასამართლომ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებისა და სამსახურებრივი სისუსტის ბრალდებით გაასამართლა. თუმცა, ორთვიანი ხმაურიანი სასამართლო გამოძიება ბოლოს მათი პატიმრობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილებამდე მივიდა, რადგან ბრალდების გამამყარებელი მტკიცებულებები გამოძიებას არ გააჩნდა. პროკურატურამ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაესში გაასაჩივრა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლო ინსტანციამ - საკასაციო სასამართლომ საოლქოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ამის შემდეგ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა რეზო ჟღენტმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში და მართლმსაჯულებას სამსახურში აღდგენა მოსთხოვა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, რეზო ჟღენტი თანამდებობაზე აღადგინეს. სასამართლოს გადაწყვეტილებითვე, სამსახურში დაბრუნდა "დიდი გაქცევის" გამო გათავისუფლებული რამდენიმე თანამშრომელიც.

ცოტა ხნის წინ სასამართლოს კერძო საჩივრით ნაულის ქობულიამაც მიმართა. საოლქო სასამართლომ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ყოფილი დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო.

იქედან გამომდინარე, რომ შრომითი დავები დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება, ნაულის ქობულია, წესით, უახლოეს დღეებში უნდა დაუბრუნდეს სამსახურს. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტში ქობულიას საქმესთან დაკავშირებული სააღსრულებო ფურცელი ჯერაც არ შესულა.

ჩვენივე ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტრო საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. გასაჩივრების ვადა ერთ კვირაში იწურება. მანამდე კი ნაულის ქობულიას თანამდებობაზე აღდგენა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს.

# სპეცოპერაცია მაროკოელი არაბის წინააღმდეგ

პანკისის ხეობაში დაწყებული ანტიტერორისტული ოპერაციის ხუთი დღის თავზე, ოპერაციაში მონაწილე უშიშროების თანამშრომლებმა პანკისის ტერიტორიაზე მიმალული მაროკოელი არაბი (ფრანგული პასპორტით) იპოვეს და დააკავეს. ჩვეულებრივ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ არაბს ჯინსების ქვეშ კომუფლიაჟი ეცვა. ჯიბეში კი ყურანი და ახმეტის რაიონის რუკა აღმოაჩნდა. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, უშიშროების სამინისტრომ თავდაპირველად არაბის სახელი და გვარი დამალა, თუმცა, მოგვიანებით მისი სავარაუდო ვინაობა დაასახელა – ხალილ აბუ ომალი.

უშიშროების სამინისტროში გუშინ, დღის ბოლომდე ვერსიების დონეზე იძლეოდნენ ინფორმაციას დაკავებული არაბის შესაძლო კავშირზე რომელიღაც, ჯერჯერობით დაუდგენელ, საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციასთან. ძალოვნები მის "ალ ქაიდას" წევრობასაც არ გამორიცხავენ. არ გამორიცხავენ, ასევე, მის კავშირს რომელიმე ჩეჩნურ ტერორისტულ დაჯგუფებასთანაც. გავრცელდა ინფორმაცია, რომ არაბი ხალილ აბუ ომალი პანკისის ხეობაში ჯერ კიდევ 1999 წლიდან იმყოფებოდა.

საფრანგეთის პასპორტს, რომელიც, ასევე სავარაუდოდ, ყალბი უნდა იყოს, ექსპერტიზას ჩაუტარებენ. ამჟამად მიმდინარეობს დაკავებულის ზუსტი პიროვნების დადგენა. როგორც უშიშროების საგამოძიებო ნაწილის უფროსმა მალხაზ სალაყაიამ გვითხრა, დაკავებულთან ჯერჯერობით საგამოძიებო მოქმედებები არ ჩატარებულა. **"ჯერ მთავარია მისი ზუსტი ვინაობის დადგენა. დანარჩენი მერე გაირკვევა,"** – ამბობს სალაყაია. პანკისში მყოფი უშიშროების მინისტრი კი ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციის ჩატარებითა და სხვა საეჭვო პიროვნებების დაჭერით იმუქრება. "სპეცსამსახურებსა და შინაგან ჯარებს ბევრი სამუშაო ექნებათ," – აცხადებს ვალერი ხაბურძანია, რომლის უწყებაც ანტიტერორისტული კოალიციის ქვეყნებს მიმართავს, ქართველებს დახმარება გაუწიონ დაკავებული არაბის ზუსტი ვინაობის დადგენაში.

# გელბახიანის პატიმრობის დღეები დათვლილია

თამარ კაციტაძე

შვიდი წელი გავიდა თბილისში, ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი ტერორისტული აქტიდან. აფეთქებამ, რომელიც 1993 წლის ზაფხულში მოხდა, ახალგაზრდა ქალის და ხუთი წლის ბავშვის სიცოცხლე შეიწირა.

ჯაბა იოსელიანის ლიკვიდაციის მიზნით დაგეგმილი აფეთქება, თავის დროზე, გამოძიებამ გახსნილად გამოაცხადა, ხოლო უზენაესმა სასამართლომ დამნაშავეებს, რომლებიც კატეგორიულად უარყოფდნენ აფეთქებაში მონაწილეობას, უმაღლესი სასჯელები ჩამოურიგა. ტერორისტული აქტის ორგანიზატორებს: პეტრე გალბახიანს, ირაკლი დოკვაძესა და ვიქტორ დომუხოვსკის უზენაესმა სასამართლომ დახვრეტის განაჩენი გამოუტანა. მაგრამ ისინი სიკვდილისგან საკანონმდებლო ცვლილებამ იხსნა და დახვრეტა 20-წლიანი ტუსაღობით შეუცვალეს. ტერორისტებად შერაცხულ, პოლიტპატიმრებად გამოცხადებულ, ე.წ. ზვიადისტებზე ცოტა ხნის შემდეგ ისევ საკანონმდებლო ორგანოს და პრეზიდენტის წყალობა გავრცელდა, ვიქტორ დომუხოვსკი შეიწყალეს და პატიმრობიდან გაათავისუფლეს, გელბახიანს და დოკვაძეს კი 20-წლიანი სასჯელი 12 წლამდე შეუმსუბუქეს.

მიუხედავად იმისა, რომ გელბახიანი-დოკვაძის საქმე დიდი ხანია, გასცდა საქართველოს ფარგლებს და იგი საერთაშორისო ორგანიზაციების და თვით გაეროს მსჯელობის საგანიც გახდა, ისინი დღესაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებიან. ამასობაში ორივე პატიმარმა პირნათლად მოიხადა სასჯელის სამი მეოთხედი და მათ, კანონის თანახმად, ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლების შესაძლებლობა მიეცათ.


პეტრე გელბახიანი ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს პეტრე გელბახიანის ვადამდე გათავისუფლებაზე უნდა ემსჯელა, მაგრამ, პროკურორის გამოუცხადებლობის გამო, პროცესი 5 სექტემბრისთვის გადაიდო. სხდომის გადადების მიზეზმა სასამართლოში მისულ საზოგადოებაში მაშინვე ეჭვი დაბადა. ჯერ ერთი, პროცესი, რომელიც, კანონის თანახმად, გახსნილი უნდა ყოფილიყო, მოსამართლე ყაჭეიშვილმა ისე საიდუმლოდ დახურა, რომ ამის შესახებ გარეთ მყოფებმა ბადრაგისაგან შეიტყვეს. მეორეც, მონაწილე მხარეთაგან პროცესზე დაგვიანება და საათობით ლოდინი ქართული სასამართლოსთვის უცხო არ არის, გუშინდელ შემთხვევაში კი, პროკურორის დაგვიანებისას, მოსამართლე პატიმართან ხანმოკლე გასაუბრებით დაკმაყოფილდა და გელბახიანის გათავისუფლება რამდენიმე დღით გადადო.

მოსამართლის ასეთ ქმედებას კანონის სრულ იგნორირებად მიიჩნევს არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" წევრი ნანა კაკაბაძე. თავად პეტრე გელბახიანისთვის კი მართლსაჯულების ამგვარი გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა: **"ჩემი გათავისუფლებით სასამართლოს პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიეღო, რისი უფლებაც მას არ გააჩნია. ამიტომ შუალედური გამოსავალი იპოვა და პროცესი გადადო. რამდენადაც ვიცი, ჩემს გასათავისუფლებლად პრეზიდენტის შეწყალებას ამზადებენ. მართალია, არც დღევანდელ ხელისუფლებას ვცნობ და არც მის შეწყალებას, მაგრამ ჩემთვის მთავარია, ციხიდან გავიდე. ამიტომ გამოვიყენებ ამ შესაძლებლობას და თავს შეურაცხყოფილადაც არ ვიგრძნობ, რადგან შეწყალებას მე არ ვითხოვ"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფმა პატიმარმა.

მოკლედ, პეტრე გელბახიანის პატიმრობის დღეები დათვლილია. რა ფორმით გაათავისუფლებენ პოლიტპატიმრად შერაცხულ სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიის კათედრის ყოფილ თანამშრომელს, ამას, შვიდი წლის პატიმრობის შემდეგ, მისთვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.

სხვათა შორის, გუშინვე ავჭალის კოლონიაში ირაკლი დოკვაძის ვადაზე ადრე გასათავისუფლებლად ადმინისტრაციული სასამართლო პროცესი გაიმართა. მის გათავისუფლებაზე რამდენიმე დღეში გლდანი-ნაძალადევის სასამართლო იმსჯელებს. თუ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის შეწყალებამ მასაც არ მოუსწრო.

# კენედების დისშვილს სამუდამო პატიმრობა ელის

ნიკოლოზ რურუა

ამა წლის ივნისში კონექტიკუტის შტატმა კენედების დინასტიის წარმომადგენელი მაიკლ სკაკელი ოცდაშვიდი წლის წინანდელ მკვლელობაში სცნო დამნაშავედ. 29 აგვისტოს კი მოსამართლემ გასამართლებულს ოცი წლიდან სამუდამო პატიმრობამდე მიუსაჯა (როგორც ცნობილია, ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით, განსასჯელის დანაშაულსა თუ უდანაშაულობას მოქალაქეთა რიგებიდან დაკომპლექტებული ჟიური წყვეტს; იმ შემთხვევაში კი, თუ განსასჯელი დამნაშავედაა ცნობილი, ამ უკანასკნელს სასჯელის ზომას მოსამართლე უფარდებს).

მოკლული, 15 წლის მარტა მოქსლი, ვისი გოლფის ჯოხით ნაგვემი სხეულიც 1975 წლის 31 ოქტომბერს აღმოაჩინეს საკუთარი ეზოს ტერიტორიაზე, განსასჯელის მეზობლად ცხოვრობდა.

მიუხედავად პროცესზე წარმოდგენილი მხილებებისა, რომელთა საფუძველზეც სკაკელი გასამართლდა, ამ უკანასკნელმა თავი დამნაშავედ არ სცნო. მოსამართლის სიტყვებით, განსასჯელი იმსახურებს კანონით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმს, იმდენად, რამდენადაც იგი "საკუთარი დანაშაულის მიმართ არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს თავზე და მას არ ემჩნევა ოდნავი სინანულიც კი".

მართლმსაჯულების ყურადღება მიიპყრო სკაკელის კომენტარებმა მისი ოჯახის მიერ დაქირავებულ კერძო დეტექტივთან საუბრის დროს, როცა ცდილობდა აეხსნა, თუ სად იყო დანაშაულის ღამეს. მაიკლ სკაკელი 2000 წელს დააპატიმრეს ე.წ. "დიდი ჟიურის" გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ჟიურიმ მის წინააღმდეგ არსებული სამხილებელი მასალების გაცნობის შემდგომ მიიღო.

მართალია, არ არსებობდა არანაირი ფიზიკური მტკიცებულება, რომელიც სკაკელის დანაშაულს უეჭველს გახდიდა, მაგრამ მსაჯულთათვის საკმარისი აღმოჩნდა იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებთანაც განსასჯელს სხვადასხვა დროს აღიარებული ჰქონდა საკუთარი ბრალეულობა. სკაკელის ერთ-ერთი ასეთი განცხადება, რომელიც პროცესზე იქნა წარმოდგენილი, შემდეგნაირად ჟღერდა: "მე მკვლელობაც კი შემრჩება, იმიტომ, რომ კენედი ვარ".

სკაკელის ადვოკატები აპირებენ, განაჩენის შესაცვლელად სააპელაციო სასამართლოს მიმართონ. იქამდე კი მათ მოსამართლისაგან კლიენტის გირაოს ქვეშ გათავისუფლება ითხოვეს. ადვოკატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სკაკელი არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის საშიშ ელემენტს და, ამდენად, იგი იმსახურებს, საბოლოო განაჩენს საკუთარი ოჯახის გარემოცვაში დაელოდოს. სასამართლომ დაცვის ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო არ შეცვლის განაჩენს, მაიკლ სკაკელი 2014 წელს, სამაგალითო პატიმრის სტატუსის წყალობით, შესაძლოა, შეწყალების კომისიის წინაშე წარდგომის კანდიდატი გახდეს.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

კითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

# რუსული ნავთობისა და გაზის საექსპორტო პოზიცია და სამხრეთ კავკასია

პირველი გვერდიდან

სამხრეთკავკასიური ქვეყნების - აზერბაიჯანისა და საქართველოს - სატრანზიტო მიზნები რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებს არსებითად ეწინააღმდეგება მარტივი მიზეზის გამო - რუსეთი ენერგორესურსების ტრადიციული ექსპორტიორია და მას არანაირად არ აძლევს ხელს საერთაშორისო ბაზარზე ალტერნატიული და ხარისხით უკეთესი ნედლეულის გამოჩენა. ამას გარდა, აზერბაიჯანისა და ყაზახურ-თურქმენული წარმომავლობის ნავთობისა და გაზის ექსკლუზიური ტრანზიტის პრეტენზია მასაც აქვს.

მას შემდეგ, რაც 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ დაიძაბა ურთიერთობები, ერთი მხრივ, აშშ-სა და ევროკავშირს, მეორე მხრივ კი - სპარსეთის ყურის ენერგომწარმოებელ ქვეყნებს შორის, რუსეთს გაუჩნდა სერიოზული შანსი, დასავლეთის ბაზრებზე, ტრადიციული მიმწოდებლების (სპარსეთის ყურიდან) შევიწროების ან გამოძევების ხარჯზე, მნიშვნელოვნად გაზარდოს თავისი გაზისა და ნავთობის ექსპორტი. რუსეთის ხელისუფლება აშკარად გამოხატავს სურვილს, დასავლეთის ბაზრის ექსკლუზიური მიმწოდებელი გახდეს. ეს კი რუსეთს დასავლეთის ექსკლუზიურ პარტნიორად გადააქცევს, გზას გაუხსნის სახელმწიფო და კერძო კრედიტებისა და ინვესტიციების ბაზრისაკენ, გააადვილებს უახლესი დასავლური ტექნოლოგიების მიღების შესაძლებლობას.

რასაკვირველია, რუსეთს ამ მიზნის განხორციელების უკეთესი შესაძლებლობა ექნება, თუ თავისი კონტროლის ქვეშ მოაქცევს კასპიისპირეთის ენერგორესურსების ტრანზიტს, რისთვისაც საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან თავდაუზოგავად იბრძვის.

ენერგორესურსების ტრანზიტი, გარდა ტარიფების სახით მიღებული ეკონომიკური მოგებისა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ზეწოლის იარაღია. რუსეთმა ეს იარაღი არაერთხელ გამოიყენა აზერბაიჯანისა და ყაზახეთის მთავრობების წინააღმდეგ და მომავალშიც გამოიყენებს. ამიტომ არც ერთი კასპიისპირული ქვეყნის, ისევე, როგორც მათი ნავთობის იმპორტიორი ქვეყნების, ინტერესებში არ შედის, რომ დასავლეთის ბაზრისაკენ კასპიისპირეთის რესურსების ექსპორტი მთლიანად რუსეთის სატრანზიტო ინფრასტრუქტურაზე იყოს დამოკიდებული.

განვიხილოთ, რამდენად ღრმაა რუსეთისა და სამხრეთ კავკასიური ქვეყნების (საქართველო-აზერბაიჯანი) სასიცოცხლო ინტერესთა კონფლიქტი ენერგორესურსების ტრანზიტთან დაკავშირებით - ცალცალკე გაზისა და ნავთობის შემთხვევაში.

## რუსული ნავთობის საექსპორტო პოზიცია და ინტერესთა კონფლიქტი

რუსეთი ენერგეტიკული რესურსების უძველესი ექსპორტიორია. რუსული ნავთობის ექსპორტის ისტორია სათავეს იღებს ძმები ნობელების ბაქოს ნავთობწარმოებიდან, რომელსაც მოგვიანებით (1931 წლიდან) შეუერთდა ვოლგა-ურალის (თათრეთ-ბაშკირეთის), ხოლო 1960-იანი წლებიდან - დასავლეთ ყაზახეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის ნავთობი.

2001 წელს რუსული ნავთობის წილმა საერთაშორისო ბაზარზე დღეში 3.5 მილიონი ბარელი, ანუ, დაახლოებით, რვა პროცენტი შეადგინა. რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების 20-25 პროცენტს რუსული ნავთობის ექსპორტი იძლევა. იმისათვის, რომ რუსეთი დასავლეთის ბაზრის ექსკლუზიური მიმწოდებელი გახდეს, მან უნდა დააკმაყოფილოს ორი მოთხოვნა:

უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი რესურსული ბაზა, რომელიც უკიდეგანო რუსეთის დასავლეთ ნაწილში იქნება განთავსებული და რომლის ექსპორტი დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ კომერციულად გამართლებული იქნება;

უნდა ჰქონდეს დასავლეთის ბაზარზე ორიენტირებული სატრანზიტო ინფრასტრუქტურა, მილსადენები, პორტები, საპორტო მომსახურება და ა.შ.

2001 წელს რუსეთმა, დაახლოებით, დღეში შვიდი მილიონი ბარელი ნავთობი აწარმოა (ექსპორტი 3.5 მილიონი ბარელი). რუსეთის ნავთობწარმოების ლომის წილი დასავლეთ ციმბირის საბადოებზე მოდის. ექსპერტთა მონაცემებით, ვოლგა-ურალის საბადოები თითქმის მთლიანად არის ამოწურული, დასავლეთ ციმბირის საბადოები კი, არასწორი და დაუზოგავი ექსპლუატაციის შედეგად, ან ამოწურულია, ან რთულად მოსაპოვებელია, რაც აძვირებს და არარენტაბელურს ხდის მათ ექსპლუატაციას.

რუსეთის დასავლეთ ნაწილში ნავთობი აღმოჩენილია კასპიისპირეთის რუსულ ზოლში და მონაცემები მისი რაოდენობის შესახებ რამდენიმე ასეული მილიონი ბარელიდან ხუთ მილიარდ ბარელამდე ვარირებს. ამ რესურსების ათვისება არ დაწყებულა, თუმცა, ზაფხულის დასაწყისში რამდენიმე ტენდერი გამოცხადდა მახაჩყალის ოფშორულ ზონაზე.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, რუსეთს გააჩნია კარგად განვითარებული, თუმცა, ძირითადად, ამორტიზირებული სატრანზიტო ინფრასტრუქტურა, ე.წ. "დრუჟბის" სისტემის ნავთობსადენების სისტემა, რომლის მშენებლობა 60-იან წლებში დაიწყო და 70-იანი წლების ბოლოს დასრულდა. ეს სისტემა სერიოზულ რეაბილიტაციას მოითხოვს, თუმცა, დღეისათვის, სწორედ იგი უზრუნველყოფს როგორც რუსული, ისე კასპიისპირული ნავთობის ძირითადი ნაწილის ექსპორტს საერთაშორისო ბაზარზე.

შარშან ექსპლუატაციაში შევიდა ორი მილსადენი. პირველია ბალტიისპირეთის (12 მილიონი ტონა წელიწადში) ნავთობსადენი, რომელიც პეჩორის აუზს რუსეთის ბალტიისპირულ პორტ პრიმორსკისთან აკავშირებს. მას ჩაუტარდა სერიოზული რეკონსტრუქცია და წლიურად 45 მილიონი ტონა ნავთობის გატარება შეუძლია. მეორეა კასპიისპირეთის კონსორციუმის ნავთობსადენი ყაზახეთიდან რუსეთის პორტ ნოვოროსიისკამდე. დღეს ამ ნავთობსადენის გამტარობა 28 მილიონ ტონას შეადგენს. ექსპლუატაციაში სრულად შესვლის შემდეგ მისი გამტარობა 67 მილიონი ტონა იქნება წელიწადში. ამ მილსადენში აქციათა 24 პროცენტი რუსეთის ხელისუფლებას ეკუთვნის, 19 პროცენტი - ყაზახეთს, დანარჩენი კი - თენგიზის გარიგებაში მონაწილე საერთაშორისო კომპანიებს. მთლიანობაში, რუსული ნავთობსადენების გამტარობა დღეში, დაახლოებით, 2,5 მილიონ ბარელს შეადგენს. გარდა ამისა, 2001 წელს რკინიგზით გატანილი იქნა 80 მილიონი ტონა ნავთობი, სამდინარო არტერიებით კი – დაახლოებით, 12 მილიონი ტონა ნავთობი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრი ექსპერტი სერიოზულ ეჭვებს გამოთქვამს რუსეთის საექსპორტო პოტენციალის შესახებ დასავლეთის ბაზრებისაკენ. მართლაც, თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ რუსი და დასავლელი ექსპერტების მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ვოლგა-ურალის ნავთობი თითქმის მთლიანად არის ამოწურული, დასავლეთ ციმბირის არსებული საბადოები კი ან მალე ამოიწურება, ან იმდენად დაზიანებულია, რომ მათი ექსპლუატაცია კომერციული თვალსაზრისით მიმზიდველი არ არის, აღმოჩნდება, რომ რუსეთი, კასპიისპირეთის დანარჩენი ქვეყნების რესურსების ტრანზიტის გარეშე, ვერ დატვირთავს თავის სატრანზიტო ინფრასტრუქტურას. აქედან გამომდინარე, არ მოხერხდება მათი რეაბილიტაციისათვის საჭირო საერთაშორისო ფინანსების მობილიზება.

ტრანსკასპიური ნავთობსადენის პროექტს (ყაზახეთი-ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი) და ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტს (თურქმენბაში-ბაქო-თბილისი-ერზრუმი) რუსეთმა, ფაქტობრივად, ვეტო დაადო და არაპირდაპირი გზით აბრკოლებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის განხორციელებასაც. რუსეთს ეს პროექტი კომერციულად მიუღებლად მიაჩნია და რუსულმა კომპანიებმა "ლუკოილმა" და "იუკოსმა" აღარ დაადასტურეს თავდაპირველი განაცხადი ამ პროექტში მონაწილეობის შესახებ.

დასავლეთის ნავთობკომპანიებს რუსები კომერციულ გათვლებს ნამდვილად ვერ ასწავლიან. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საწყისი გამტარობა 50 მილიონი ტონაა წელიწადში (ერთი ტონა უდრის 7,33 ბარელს). ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ინფორმაციით, მისი გამტარობა ექსპლუატაციაში სრულად შესვლის შემდეგ ერთი მილიონი ბარელი იქნება დღეში. თუ ამას ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გამტარობასაც დავუმატებთ (100 ათასი ბარელი დღეში, რომელიც 600 ათას ბარელამდე შეიძლება გაიზარდოს) და ასევე საქართველოს რკინიგზით ბათუმის, ფოთისა და ყულევის (რომლის რეკონსტრუქციის პროექტი ჩაშვებულია) პორტებით გასულ ნავთობს (რამაც შარშან რვა მილიონი ტონა შეადგინა), აღმოჩნდება, რომ, პერსპექტივაში, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ინფრასტრუქტურის გამტარობა რუსული მილსადენების (გარდა კასპიისპირეთის კონსორციუმის მილსადენისა, რომლის 57 პროცენტი დასავლეთის ნავთობკომპანიებს ეკუთვნით), რკინიგზისა და სამდინარო გამტარობის (3,5 მილიონი ბარელი დღეში) მესამედს შეადგენს.

ამასთან ერთად, რუსული ნავთობის ექსპორტი პორტ ნოვოროსიისკიდან აშშ-სა და დასავლეთ ევროპისაკენ შეზღუდულია თურქეთის სრუტეების გამტარობის შეზღუდულობის გამო (40 მილიონი ტონა წელიწადში). ამიტომ, ნოვოროსიისკში მისული ტვირთების ოდისეა გრძელდება, ნაწილობრივ, უკრაინისა და ცენტრალური ევროპის დამაკავშირებელი მილსადენით, ნაწილობრივ კი, დუნაის არხით დასავლეთ ევროპისაკენ. თუმცა, სამდინარო ტანკერების ტევადობაც, ცხადია, შეზღუდულია, რაც აისახება პროდუქციის საბოლოო ღირებულებაზე - რაც მეტია ტანკერის ტევადობა, მით ნაკლებია ტრანსპორტირების ღირებულება. ასეთ ვითარებაში, ნოვოროსიისკიდან წასული ნავთობის ძირითადი ნაწილის მოხმარება რეგიონულ მასშტაბებს ვერ გასცდება. თანაც, ამ გზით მოძრავ რუსულ ნავთობს, თავის მხრივ, კონკურენციას უწევენ ქართულ პორტებში დატვირთული ტანკერები.

ამგვარად, რუსეთს, მართალია, აქვს ნოვოროსიისკისა და პრიმორსკის პორტები, მაგრამ მათგან პირველი შუალედური პორტია და მისი ფუნქციონირება შეზღუდულია სრუტეების გამტარობის შეზღუდულობის გამო, მეორისა კი - კლიმატური პირობების გამო. პრიმორსკი ზამთარში იყინება. მაგალითად, შარშან რუსულ ნავთობკომპანია "იუკოსს" ნორვეგიიდან ყინულმჭრელის დაქირავება დასჭირდა პორტიდან თავისი ნავთობის გასატანად. ეს აისახება კიდეც ნავთობის ღირებულებაზე.

უფრო მეტიც, ამ პორტებიდან და, საერთოდ, რუსეთის დასავლეთ პორტებიდან არც ერთს არ შეუძლია სუპერტანკერების (500 ათასიდან 1.5 მილიონ ბარელამდე ტევადობის) დატვირთვა. ამიტომ ლობირებს რუსეთი ასე დაჟინებით ნოვოროსიისკის ხაზის გაგრძელებას, საბორნე გადასასვლელებით, ჯერ ბურგასამდე და იქიდან მილსადენით საბერძნეთის ქალაქ ალექსანდროპოლისამდე ანდა ხორვატიის პორტ ომიშალამდე, ან მაკედონიის პორტ ვლორამდე. სუპერტანკერების მისაღებად პირველ ორს რეკონსტრუქცია სჭირდება. მაკედონიის პორტი ვლორი ერთადერთია ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, გარდა თურქულ პორტ ჯეიჰანისა, რომელსაც სუპერტანკერების დატვირთვა შეუძლია.

ამგვარად, ნოვოროსიისკი რეგიონული მნიშვნელობის შუალედური პორტია, რომლის ხაზიც ადრიატიკის უმსხვილეს პორტამდე უნდა გაგრძელდეს, იმისათვის, რომ განიტვირთოს იქ კასპიისპირეთის კონსორციუმის (ამჟამად 28 მილიონი ტონა წელიწადში), ჩრდილოეთის მარშრუტის ნავთობსადენით (ყაზახეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩრდილოეთ კავკასიის გავლით, გამტარობა 15 მილიონი ტონა წელიწადში), რუსული რკინიგზითა და სამდინარო ტრანსპორტით დაგროვებული ნავთობი. ჯეიჰანი კი საერთაშორისო მნიშვნელობის უმსხვილესი პორტია, საიდანაც ტვირთი სუპერტანკერებით ყოველგვარი შუალედური რგოლის გარეშე მიემართება საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროს მიმართულებით.

რუკაზე ერთი შეხედვითაც კი ჩანს, რომ მანძილი ყაზახეთის თენგიზის საბადოებიდან და, მით უმეტეს, დასავლეთ ციმბირის საბადოებიდან ადრიატიკის პორტებამდე, გაცილებით მეტია, ვიდრე ბაქოდან ჯეიჰანამდე (ან თუნდაც ყაზახეთი-ბაქო-ჯეიჰანამდე). ამასთან ერთად, ნოვოროსიისკის შემთხვევაში, ნავთობის ტრანსპორტირების საშუალებების მრავალჯერადი შეცვლა (მილსადენი, ბორანი, დუნაის არხი) პოზიტიურ გავლენას ვერანაირად ვერ მოახდენს ნავთობის საბოლოო ღირებულებაზე.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსული ციმბირული ნავთობის მოპოვება გაცილებით ძვირი ჯდება (15-16 დოლარი ბარელზე), ვიდრე კასპიისპირეთის, განსაკუთრებით, ოფშორული ნავთობისა (8-12 დოლარი ბარელზე).

ერთი სიტყვით, როგორც რუსული ნავთობის მოპოვების ხარჯების, ისე ნოვოროსიისკის პორტის მიმართულებით რუსული და კასპიური ნავთობის ტრანზიტის ხარჯების მიხედვით, ნოვოროსიისკის გზა უფრო ძვირი ჯდება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იქ მიტანილი ნავთობი რეგიონულ ბაზარზეა ორიენტირებული), ვიდრე კასპიური ნავთობის ტრანზიტი ბაქო-ჯეიჰანის პროექტით იმავე დასავლეთის ბაზრისკენ. რუსებმა ეს ისევე კარგად იციან, როგორც "ბრითიშ პეტროლიუმმა".

## რუსული გაზის საექსპორტო პოზიცია და ინტერესთა კონფლიქტი

რუსულ გაზს სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია ევროპის ბაზარზე. რუსეთი ევრაზიული სახელმწიფოა და მისი გაზის რეზერვები განთავსებულია, ძირითადად, მის ცენტრალურ ნაწილში, ამიტომ გაზის ექსპორტს აზრი აქვს როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ბაზრებისაკენ. რუსეთშია განთავსებული გაზის დადასტურებული რეზერვების 30,7 პროცენტი. ამასთან ერთად, მსოფლიოში გაზზე მოთხოვნა წლიურად ორი პროცენტით მატულობს, რასაც განაპირობებს გამკაცრებული ბუნების დაცვითი მოთხოვნები ქვანახშირისა და ნავთობის მოხმარების მიმართ. ეს სტიმულს აძლევს არამარტო რუსული გაზის, არამედ, საერთოდ, გაზის მოპოვებას მსოფლიოში.

რუსეთის პოზიციის სასარგებლოდ მოქმედებს ის ფაქტორი, რომ თხევადი გაზის ბიზნესი ჯერ ახლა იკრებს ძალას და, ჯერჯერობით, გაზის ექსპორტი, ნავთობისაგან განსხვავებით, მთლიანად არის დამოკიდებული მილსადენებზე.

რუსეთს დასავლეთის ბაზარზე ორიენტირებული, კარგად განვითარებული მილსადენების სისტემა აქვს, რაც საშუალებას აძლევს, ევროპული ბაზრის მოთხოვნის (2001 წელს, დაახლოებით, 470 მილიარდი კუბური მეტრი) ერთი მეოთხედი (2001 წელს, დაახლოებით, 120 მილიარდი კუბური მეტრი) დააკმაყოფილოს. რუსული გაზის მთავარი ექსპორტიორია გაზის წარმოების მსოფლიო გიგანტი "გაზპრომი", რომლის აქციათა 38 პროცენტი სახელმწიფოს ეკუთვნის და რომელიც 1997 წლიდან კვოტირებულია ნიუ-იორკის ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე.

რუსეთის ხელისუფლებას განსაკუთრებული მიკერძოებული დამოკიდებულება აქვს გაზის ექსპორტის მიმართ და ყოველგვარი ხერხებით ცდილობს, არ დაუშვას კასპიისპირული გაზი ევროპის გადახდისუნარიან ბაზრებზე. ევროპის ქვეყნებიდან თურქეთი, ბოლო ხანებამდე, ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც რუსული გაზი წამყვან როლს არ თამაშობდა. ამიტომ კასპიისპირეთის გაზის მთავარ ბაზრად მიჩნეული იყო თურქეთი და იქიდან, პერსპექტივაში, საბერძნეთის გავლით, ევროპა. 2001 წლამდე არსებობდა, სამხრეთ კავკასიაზე გავლით, გაზის ტრანზიტის რამდენიმე საერთაშორისო პროექტი:

გაზის ექსპორტის ტრანსკასპიური პროექტი თურქმენეთიდან კასპიის ზღვით, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით, თურქეთამდე (პოტენციურად ევროპამდე გაგრძელების პერსპექტივით). პროექტი ჩაიშალა აზერბაიჯან-თურქმენეთ-ირანს შორის კასპიის შელფის გაყოფასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის გამო;

რუსული გაზის ექსპორტი, საქართველოს გავლით, სომხეთისა და შემდგომ თურქეთის მიმართულებით, საქართველოზე სომხეთის მიმართულებით გამავალი მაგისტრალური გაზსადენის გაგრძელებით თურქეთამდე. ეს პროექტი ბლოკირებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ, ვინაიდან, საქართველოს კანონმდებლობით, მაგისტრალური გაზსადენი პრივატიზებას არ ექვემდებარება (პროექტის განხორციელების შემთხვევაში გაზსადენი "გაზპრომის" ხელში აღმოჩნდებოდა).

ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, საწყისი გამტარობა წლიურად ხუთი მილიარდი კუბური მეტრი, 16 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდის პერსპექტივით.

რუსული "ცისფერი ნაკადის" გაზსადენის ამოქმედების შემდეგ, რუსული გაზი მთავარ პოზიციას იკავებს თურქეთის ბაზარზე (მილსადენის საბოლოო წარმადობა 24 მილიარდი კუბური მეტრია წელიწადში). ირან-თურქმენეთს შორის ბარტერული შეთანხმების შედეგად, ჩრდილოეთ ირანისათვის მიწოდებული ექვსი მილიარდი კუბური მეტრი გაზის სანაცვლოდ, ამავე რაოდენობის ირანული გაზი შედის თურქეთის ბაზარზე, შარშან ამოქმედებული გაზსადენის საშუალებით. ასე რომ, შაჰდენიზის გაზს თურქეთის ბაზარზე უკვე ჰყავს სერიოზული კონკურენტები, რომლებიც ცდილობენ, მოედანზე არ დაუშვან ახალი მოთამაშე.

რუსული ენერგეტიკული პოლიტიკის მთავარი იარაღია ნავთობისა და გაზსადენების სისტემა, რომელიც მთლიანად სახელმწიფოს ხელშია. მთავრობა განსაზღვრავს, რომელმა კომპანიამ საიდან და რა რაოდენობით უნდა გაიტანოს თავისი რესურსი. საქმის ამგვარი ვითარება, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობას (ენერგომწარმოებელი ეროვნული სუბიექტებისა და ცალკეული კერძო კომპანიების საექსპორტო პოზიცია მთლიანად არის დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე), მეორე მხრივ, აფერხებს რუსეთის ენერგეტიკულ სექტორში პირდაპირი ინვესტიციების შედინებას. ერთადერთი მსხვილი საერთაშორისო გარიგება რუსული რესურსების ათვისების შესახებ, დადებულია სახალინზე, ოხოტის ზღვის შელფის ათვისებაზე. ცხადია, იქ მოპოვებული რესურსის გატანას მილსადენი არ სჭირდება, ამიტომ არ არის დამოკიდებული სახელმწიფო სატრანზიტო სისტემაზე.

რუსეთის ხელისუფლება, შიდა პროცესებზე კონტროლისა და საბიუჯეტო შემოსავლების დაკარგვის შიშით (მთელი ბიუჯეტის 50 პროცენტი მაინც), კატეგორიულად ეწინააღმდეგება როგორც ადგილობრივი დანიშნულების, ისე სატრანზიტო-მაგისტრალური ნავთობისა და გაზის მილსადენების პრივატიზების ყოველგვარ მცდელობას. სამაგიეროდ, რუსული კომპანიები აქტიურად ყიდულობენ წილებს აღმოსავლეთ ევროპის სატრანზიტო მაგისტრალებსა და გამანაწილებელ ქსელებში. თუმცა, ეს უკვე სხვა საკითხია.




*დასავლეთისკენ მიმართული გაზსადენების პროექტები*

რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგობა, დაუშვას ნავთობსადენების პრივატიზება, აიძულებს კასპიისპირეთის არარუსულ სექტორში მომუშავე საერთაშორისო ენერგოკომპანიებს, ალტერნატიული სატრანზიტო გზები ეძებონ, რუსეთის გვერდის ავლით, დასავლეთის ბაზრისაკენ. ეს გზა სამხრეთ კავკასიაზე გადის.

რა ბერკეტები აქვს რუსეთის ხელისუფლებას სამხრეთკავკასიური პროექტების შესაფერხებლად? იგი საკუთარი სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესების უზრუნველსაყოფად, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ქაოსსა და დესტაბილიზაციას საქართველოში, რომელიც დასავლეთის კარიბჭეა კასპიისპირეთში, მეორე მხრივ კი, თავისი სტრატეგიული მოკავშირის, ირანის მიერ კასპიის ზღვის შელფის სამხრეთ ნაწილის გადანაწილების მოთხოვნით, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ საბადოების კუთვნილების საკითხს, რომელთა რესურსიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენებით უნდა გავიდეს.

## დასკვნა

დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში სამხრეთკავკასიური სატრანზიტო პროექტების ჩაშლა ძნელი წარმოსადგენია, თუნდაც იმის გამო, რომ კასპიისპირეთში უკვე მუშაობენ უმსხვილესი ტრანსნაციონალური და უფრო მცირე ენერგოკომპანიები, დღითიდღე იზრდება მოპოვებული რესურსების რაოდენობა. დასავლეთის ბაზრისაკენ ალტერნატიული სატრანზიტო გზების არარსებობის შემთხვევაში, კასპიისპირული ნავთობისა და გაზის პერსპექტივა ასე გამოიყურება:

ერთი ნაწილით უნდა დაიტვირთოს რუსეთის სატრანზიტო სისტემის დაუტვირთავი სეგმენტი;

დანარჩენი ნაწილით დაკმაყოფილებული უნდა იქნას, რუსეთის ეკონომიკის რეაბილიტაციასთან და ზრდის ტემპებთან ერთად, რუსეთის შიდა ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნა.

გავიხსენოთ, რომ რუსეთი ცივ სარტყელში მდებარეობს და იქ წარმოებული ნავთობის ნახევარი და გაზის მესამედი შიდა ბაზარზე რჩება. დასავლეთის მიმართულების ალტერნატიული სატრანზიტო ქსელის არარსებობის შემთხვევაში, კასპიისპირეთის მომპოვებლები იძულებელი გახდებიან, თავიანთი რესურსები რუსეთის შიდა ბაზარზე გაყიდონ მსოფლიო სტანდარტებზე დაბალ ფასებში (რუსეთის შიდა ბაზარზე ნავთობისა და გაზის ფასები საერთაშორისო ბაზრის ფასების მესამედს თუ შეადგენს) ან გაიტანონ დსთ-სა ან მეზობელი აღმოსავლეთის ქვეყნების (დაბალ გადახდისუნარიან) ბაზრებზე ბარტერული გარიგებებით. ორივე შემთხვევაში, კასპიისპირეთის ქვეყნები ხდებიან, ერთი მხრივ, რუსეთის რესურსული დანამატები და, მეორე მხრივ, რუსული პროდუქციის ბაზრები.

ამ სქემით რუსეთის ხელისუფლება შეძლებდა: 1.დამატებით გამოეთავისუფლებინა საკუთარი საექსპორტო რესურსი; 2.ხელი შეეწყო თავისი მსხვილი ნავთობკომპანიებისათვის, რომლებსაც გარიგებები აქვთ დადებული ალჟირში, ლიბიაში, ერაყსა და ირანში, სადაც ვერ შედიან ამერიკული კომპანიები, მტკიცედ დაემკვიდრებინათ თავი სამხრეთ ევროპისა და აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროს ბაზარზე.

ვითარება უიმედო იქნებოდა, კასპიისპირეთის ენერგომწარმოებლები რუსეთის პირისპირ მარტონი რომ იყვნენ. კასპიისპირეთის რესურსების ათვისებაში ინვესტირებულია არაერთი მილიარდი დოლარი და ეს თანხა დახარჯული არ არის რუსული ეკონომიკის რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით. ის ფაქტი, რომ მოხდა დასავლეთ ევროპის ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზება, მიუთითებს იმაზე, რომ დამთავრდა მიწოდების გრძელვადიანი კონტრაქტების ეპოქა; ეს კი პირდაპირ ურტყამს რუსული გაზის გიგანტის - "გაზპრომის" ინტერესებს, რომლითაც სარგებლობდნენ ტრადიციული მიმწოდებლები. დასავლეთი კარს ულებს ახალ ნავთობსა და გაზს თავის ბაზარზე და აღარ დაუშვებს მიწოდების მონოპოლიზებას.

ამგვარად, რუსეთის სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, სამხრეთ კავკასიაზე გამავალ საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებს წინ ვერაფერი დაუდგება. ეს პროექტები ეკონომიკურად გამართლებულია და სტრატეგიული დატვირთვაც აქვთ, უზრუნველყონ დასავლეთის ბაზარი ალტერნატიული (არა რუსული და არა არაბული) რესურსით. უფრო მეტიც, რაც უფრო მეტ წინააღმდეგობას გაწევს რუსეთი და მეტად აურევს კავკასიაში ვითარებას, მით უფრო დაჩქარდება ამ რეგიონის უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტა "ნატოს" ქოლგის ქვეშ.

www.24hours.ge
24
B

# შინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა

ბექა მინდიაშვილი

საბჭოთა საქართველოში მისი სახელის ხსენება, დიდი ხნის მანძილზე, ტაბუდადებული იყო, მაგრამ დღეს თითქმის აღარ დარჩა გაზეთი, მასზე რომ არ მოეთხროს მკითხველისათვის. ლიტერატურულსა და სამეცნიერო პერიოდიკაში ქვეყნდება მისი ნარკვევები, გამოიცემა ნაშრომები და ქადაგებები. ამ უნიკალური ადამიანის ცხოვრებაზე სამი დოკუმენტური ფილმია გადაღებული, მათ შორის პოლონეთშიც, სადაც მისი სახელობის ტაძარი შენდება და საზოგადოება არის დაფუძნებული. ორიენტალისტები კლასიკოსად მიიჩნევენ. ჯავახიშვილი და კეკელიძე, აკრძალვის მიუხედავად, იმოწმებდნენ ანდა ეკამათებოდნენ. ვიტენბერგის უნივერსიტეტში მისი სახელობის კაბინეტი ფუნქციონირებს. მსურველებს ინტერნეტის მეშვეობით, კირხენლექსიკონიდანაც შეუძლიათ მის შესახებ ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული მასალის მიღება. საქართველოსა და პოლონეთის ეკლესიების მიერ წმინდანად არის შერაცხული. მისი სახე ხატებზეა აღბეჭდილი და სავედრებლებია დაწერილი, სადაც ნათქვამია, რომ მან "ღმერთი დაუსაბამო მართლმადიდებლობით ისიბრძნისმეტყველა და სულიც თავისი დასდვა მოყვასისთვის... თავი თვისი შესწირა ქრისტესა და გვირგვინი უხრწნელებისა მოიღო". მაგრამ, ჯერჯეობით ქართული ტაძრების ამბიონებიდან ნაკლებად ისმის მისი სახელი. ჩვენი ეკლესიის მრევლმა კარგად იცის, ვინ არიან წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი, წმ. სერაფიმე საროველი, არქიმანდრიტი იოანე კრესტიანკინი. გათვითცნობიერებულნი გახლავან იმპერატორ ნიკოლოზ მეორის კანონიზაციის პერიპეტიებში. თავისთავად, ეს პოზიტიურია – ეკლესიის საზღვრები უსაზღვროებაშია. ოღონდ, უკეთეს შემთხვევაში, დაუდევრობაა ისეთი მამულიშვილის ღვაწლის მიჩუმათება, რომელზეც ღვთისმსახური და მეცნიერი ჰენრიკ პაპროცკი ამბობს, რომ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა ქრისტიანობის არსზე დაფიქრების საშუალებას იძლევა.

წმიდა მამა გრიგოლ ფერაძის ფენომენის თაობაზე საუბარი დღეს განსაკუთრებულად აქტუალურია, რადგან ერთი მხრივ, მართლმადიდებლობად ნაცისტურ იდეოლოგიას სახავენ და ხელკეტებად ქცეული ჯვრებით უსწორდებიან ჯერ კიდევ სამოთხეში ღვთის მიერ ბოძებულ თავისუფლებას. ხოლო, მეორე მხრივ, მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალისადმი უნდობლობა ძლიერდება. საზოგადოებისათვის მამა გრიგოლ ფერაძე პასუხია კითხვისა – როგორი უნდა იყოს ქრისტიანი მოქალაქე. ქართული კულტურისათვის კი – საკუთარ ტრადიციასა და მსოფლიოს ისტორიაში დაბრუნების შესაძლებლობა. პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ პათოსის გარეშე თვითონაც არ უცხოვრია და ჩვენც არ გვრთავს ამის ნებას. მამა გრიგოლის პიროვნებაში თითქოს შეჯამდა ის, რასაც ქრისტიანული სულიერება და ჰუმანიზმი, ანდა, პირობითად, დასავლური და აღმოსავლური ტრადიციები შეიძლება ვუწოდოთ: სიცოცხლით ტკბობა და თავგანწირვა, ცოდნა და რწმენა, შეუპოვრობა და მორჩილება, სოციალური აქტივობა და მარტოსულობა, ნოვატორობა და კონსერვატიზმი, მისტიკური ინტუიცია და რაციონალური აზროვნება, სინამდვილე და ლეგენდა... პატივდებული პროფესორი მწყემსობაზე ოცნებობდა.

მისი, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის სამშობლო გერმანია იყო, ლონდონში ბერად აღიკვეცა. მღვდლად პარიზში აკურთხეს. ათონისა და სირია-პალესტინის ლავრებში პილიგრიმობდა და ქართულ ხელნაწერებს ეძიებდა, პოლონეთში აღესრულა როგორც გმირი, საქართველოში კი წმინდანად შეირაცხა.

## მეცნიერი და პედაგოგი

1921 წელს, საკათალიკოსო საბჭომ, თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი ბერლინის უნივერსიტეტში გააგზავნა თეოლოგიური განათლების გასაღრმავებლად. თუმცა, პატრიარქ ამბროსი ხელაიას, ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის მიერ ამ საქმეში გამოჩენილ გულმოდგინებას, პოლონური ფილმის თანარეჟისორი ქ-ნ თამარ დულარიძე უფრო მასშტაბურ მიზეზს უძებნის: მათი შეგირდის სახით სუკეთესოს გადარჩენას ცდილობდნენ კარსმომდგარი კატასტროფისაგან.

ბერლინის უნივერსიტეტში, რომელიც იმჟამად პროტესტანტული ე.წ.ლიბერალური თეოლოგიის ერთ-ერთი ცენტრი იყო, გრიგოლი ჰარნაკისა და დაისმანის ლექციებს ისმენს. თეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით ბონის უნივერსიტეტში გადადის, სადაც ფილოსოფიაში სადოქტორო დისერტაციას იცავს ქართული ბერმონაზვნობის თემაზე. ამ დროისათვის უკვე იცის 13 ენა. 1926-1927 წლებში ბრიუსელში, კათოლიკე ბერებთან ერთად განაგრძობს სამეცნიერო საქმიანობას. შემდეგ, ოქსფორდში ეცნობა ანგლიკანებისა და ბრიტანულ ორიენტალისტურ სკოლას. მოგვიანებით ლოზანაში გამართულ რელიგიურ კონფერენციაზე იტყვის: "არც ერთ მხარეს არ უცდია ჩემი გადაბირება. მე ყველგან პირველ რიგში ვცდილობდი, მენახა და მესწავლა ის, რაც ჩემი ეკლესიისთვის იქნებოდა მნიშვნელოვანი და სასარგებლო".

მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მეტად ფართოა. იკვლევს ქართულ წარმართობას, ვეფხისტყაოსანს, თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. მაგრამ, ძირითადად, ბიბლეისტიკა, ჰაგიოლოგია, პატროლოგია, ადრექრისტიანული ღვთისმსახურება იპყრობს მის ყურადღებას. ბონში ფილოლოგიის პრივატდოცენტობა ენიჭება. 1929 წლიდან სორბონის, ოქსფორდის, დუბლინისა და კრაკოვის უნივერსიტეტებში კითხულობს ლექციებს. ათი წლის შემდეგ კი ვარშავის უნივერსიტეტში თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანად ნიშნავენ და საცხოვრებლადაც პოლონეთის დედაქალაქში გადადის.

საპროფესორო ხელფასს ქართული ხელნაწერების მოძიებას, გაჭირვებული სტუდენტების შეწევნას, პარიზში, მის მიერ დაარსებული ქართული ეკლესიის შენახვასა და ერთადერთი ქართულენოვანი რელიგიური ჟურნალის "ჯვარი ვაზისა" გამოცემას ახმარს.

მამა გრიგოლმა მოიარა ევროპის თითქმის ყველა წიგნთსაცავი, სადაც კი ქართული ხელნაწერები ეგულებოდა. ათონის მთაზე შეიძინა 15 ხელნაწერი. სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში პეტრიწონის ტიპიკონის ქართული ვერსია აღმოაჩინა. იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოში 182 ხელნაწერს მიაკვლია. შავ მთასა და დამასკოში 24 ქართული ეტრატი შესყიდა. იგი ავტორია გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, პოლონურსა და ქართულ ენებზე დაწერილი 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა. "ყველა გამოკვლევა ერთნაირად მაღალი დონისაა. მრავალრიცხოვანი რეცენზიები არაჩვეულებრივად ფართო ერუდიციის დადასტურება გახლავთ. მისი სახელი მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში სამუდამოდ ჩაიწერა. ამას მოწმობს სხვადასხვა მეცნიერთა მიერ მისი ნაშრომების ხშირი მითითება; ანდრე ტარბი. იულიუს ასფალგი, პაულ კლუგერი ციტირებას ახდენენ გრიგოლ ფერაძის შემოქმედებიდან, როგორც კლასიკური შრომებიდან... მისი ლექციები გამსჭვალული იყო მამების შემოქმედებითი სულით... ცდილობდა, გამოემუშავებინა სტუდენტებისათვის ეკლესიის მამათა ტექსტებზე მუშაობის ჩვევები" (დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი).

## მოძღვარი

ბრწყინვალე სამეცნიერო კარიერის მიუხედავად, დაჟინებით ითხოვს საქართველოში დაბრუნებას. კორნელი კეკელიძეს სწერს: "საშინლად ვიტანჯები, არაფრის ხალისი არ მაქვს... თუმცა, ნივთიერად სრულიად უზრუნველყოფილი ვარ... რისთვის არ მიშვებენ სახლში"... საბჭოთა ხელისუფლებას მეცნიერი ღვთისმეტყველი იარაღის სამიზნედ თუ გამოადგებოდა. იქ გრიგოლის მსგავსთათვის "ტროიკების", გულაგების, ტყვია-წამლის გამზადების გადამწყვეტი ფაზა იწყებოდა. როგორც ჩანს, ვილაცას ენანებოდა და საბჭოთა საელჩოდან უარით ისტუმრებდნენ. ევროპაში კი, როგორც გერმანელი პოეტი ჰანს არპი ამბობს: "შავი კეგელბანი ქუხდა... უფრო და უფრო ბნელდებოდა მიწის სიბნელე და ხმაურადამიანები, ბომბმხარშავები, მანქანასაყვარლები მრავლდებოდნენ"... სამშობლოში დაბრუნების თაობაზე იმედგადაწურული 30 წლის დოქტორი 1929 წელს, პარიზში წმიდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიას აარსებს (ბოლო დრომდე ერთადერთი ქართული ეკლესია საზღვარგარეთ) და დიასპორის გაერთიანებასა და სულიერად გაძლიერებას ცდილობს. გრიგოლის ძმისშვილის, რომანოზ ფერაძის გადმოცემით, 1930 წლის შობის დღეებში მძიმედ დაავადებულა. სიკვდილის პირას მისულს, ხილვაში გაცხადებია, რომ ღვთისათვის ბოლომდე უნდა მიეძღვნა თავი. მოკლე ხანში ბერად აღიკვეცა. შემდეგ მღვდლად ხელდებენ და წმ. ნინოს ეკლესიაში ამწესებენ წინამძღვრად. მის კალამს ეკუთვნის მისტიკური პოემა "რომელი ქერუბინთა". ამ ტექსტის ერთ-ერთ სტროფში მოძღვრის მოწოდებაა გამოთქმული:

"ამ დროს მომესმა ძახილი ციდამ:

საით მიილტვი საბრალო მონავ?

სოფლის სიმძიმეს გოჯზედ ნუ სწონავ,

გიყვარდეს იგი, ევლე მის სახეს

და მასში ძებნე ღვთის ჩანასახი".

მამა გრიგოლი, აღჭურვილი სამეცნიერო ცოდნითა და საღვთო სიყვარულით, ბოროტებასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ამზადებს თავს. პირველსავე ქადაგებაში ამბობს: "ეკლესია არაა მუზეუმი და მე ისე ნუ ჩამთვლით, როგორც მუზეუმის ობიექტს. მე ვარ მებრძოლი, რომელიც ეძებს მებრძოლებს თქვენი წრიდან... ეკლესიისთვის მომავლის შესაქმნელად". მისი ქადაგებები თავისუფალია შაბლონებისა და ე.წ. "მაღალი შტილისაგან". მის სიტყვაში მართლმადიდებელი ბერისა და ქართველ ემიგრანტთა მოძღვრის სულიერი გამოცდილება დასავლური ჰუმანიზმის ტრადიციებთანაა შესისხლხორცებული. კერიგმის ღერძი ღმერთისა და სოციალურად აქტიური პიროვნების, მოქალაქის დიალოგია, რომლის პრიზმაში გარდატეხით საზრისს იძენს სამყარო: "როდესაც ეკლესია ლოცულობს, ან ლაპარაკობს სამშობლოზედ, ის არ გულისხმობს, პირველ რიგში, ტაძრებს, საქართველოს მზეს, მთებს და ველებს, არამედ ადამიანს და მის კეთილდღეობას... რომელიც გრძნობს წინაპართა ანდერძს... და ეკლესია უდგას გვერდით ამ ადამიანს და ეხმარება ანდერძის აღსრულებაში. და ეს ანდერძია: ძიება ღვთისა და და ძიება სასუფევლისა, ძიება ღვთის სიმართლისა ამ ქვეყანაზე – ბრძოლა უფლებისათვის, თავისუფლებისათვის და განვითარებისათვის. ამ ანდერძით ჩვენ არ ვართ შეზღუდულნი ჩვენი სამშობლოთი... მიზანი მოქალაქის ცხოვრებისა უნდა იყოს ღმერთი... თუ ადამიანის ან ერის ლოცვის პირველი სიტყვა სხვა რამეა და არა ღმერთი, გინდაც ეს სხვა რამე იყოს ისეთი, როგორიცაა სამშობლო პატრიოტიზმი, ბრძოლა და მუშაობა ერის თავისუფლებისათვის და ეკონომიკური განვითარებისათვის, მაშინ ეს სიტყვა იქნება უკმარისი. ადამიანის ცხოვრება, აგრეთვე კეთილდღეობა და წარმატება მისი ქვეყნისა მადლიანი რომ იყოს... მან თავისი მისწრაფება უნდა დაუმორჩილოს უმაღლეს პრინციპს. და ეს უმაღლესი პრინციპი ღმერთია. ადამიანმა თავისი ცხოვრება უნდა ჩააყენოს დიდ კონცეპციებში. ე.ი. მოქმედება და ცხოვრება უნდა დაუმორჩილოს ისეთ დიდ რამეს, რომლის მადლს და ძლიერებას არავითარი საზღვარი არა აქვს, რომლის ცა მთელს მსოფლიოს ჰფარავს, რომელიც ადამიანის ყოველ მიზანსა და მისწრაფებას – რა გინდა ლოკალური იყოს იგი და შემოზღუდული – უნივერსალურსა და წარუვალ მნიშვნელობას აძლევს".

როგორც რელიგიური მოღვაწე, ერთი მხრივ, ეკლესიის იდეოლოგიზირების წინააღმდეგ გამოდის და თვლის, რომ "მძიმე გამოცდის ჟამს, ეკლესია მხოლოდ საკუთარი რწმენის საკითხებით უნდა შემოიფარგლოს. ის უნდა იყოს მხოლოდ შუამავალი ხალხსა და ქრისტეს შორის... პატრიოტებს კარგად უნდა ესმოდეთ ეს საკითხი და არ უნდა მოითხოვდნენ ეკლესიისაგან იმას, რამაც შესაძლოა ეკლესიის რღვევას შეუწყოს ხელი". მეორე მხრივ კი, ეკლესიათა გაერთიანების თემაზე გამართულ კონფერენციებში მონაწილეობს და ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთ პოზიციას გამოხატავს: "ერთიანობა რაღაც წმინდა და საოცარია, - ის ჩვენი უფლის ლოცვაა მამისადმი და ბოლო წინასწარმეტყველებაც, რაც მაშინ აღსრულდება, როცა უფალი ინებებს და საამისოდ შესაბამისი დრო დადგება... ჩვენ უნდა ვილოცოთ და ვიშრომოთ, რათა იგი მალე დადგეს. მხოლოდ სიყვარულს, დიდსულოვნებას, ძმური მოთმინებისა და ტაქტიანი ანგარიშის გაწევის გზას შეუძლია, მიგვიყვანოს იქამდე. სიყვარულით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. მას არ ეშინია წინააღმდეგობების – ის ყველაფერს იტანს და ყველაფერს ადნობს და აქრობს, რაც დასადნობი და გასაქრობია"...

პარიზის ეკლესიის სამეტრიკო წიგნში წინამძღვრის ბოლო ხელმოწერა 1939 წლის 1 იანვრითაა დათარიღებული. ფაშისტების მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ მამა გრიგოლი ეკუმენისგან იზოლირებული აღმოჩნდა. ძმობისა და სიყვარულის სივრცე სულ უფრო მცირდებოდა მის გარშემო.

## მოწამე

შეეძლო თუ არა მაცხოვარს, აერიდებინა საკუთარი ჯვარცმა? "არსი და უპირატესობა ძლიერი ადამიანებისა ის არის, რომ დიადი და ძირეული შეკითხვების დასმა შეუძლიათ და ცხად პასუხებსაც თავადვე სცემენ მათ. სუსტნი კი ყოველთვის იძულებულნი არიან, აირჩიონ სხვათა მიერ შემოთავაზებული ალტერნატივები", – წერს ფაშისტური საოკუპაციო ბანაკიდან პასტორი და თეოლოგი დიტრიჰ ბანჰოფერი. ქრისტესთვის, ისევე როგორც მისი მიმბაძველობისათვის, მსხვერპლშეწირვითი სიყვარული არის არა იძულება, არამედ პროგრამა, "დიდი კონცეპცია", პასუხი მათ მიერვე დასმულ შეკითხვაზე, რომლის განხორციელების შემთხვევაში ბოროტება თავისივე იარაღით – სიკვდილით მარცხდება. მამა გრიგოლიც სწორედ ასეთ მსხვერპლშეწირვით პასუხს უმზადებდა მის მიერვე დასმულ დიად შეკითხვებს – როგორ შეიძლება სიყვარული და სიკეთე? როგორ შეიძლება იყო ქრისტიანი, მოქალაქე? როგორ შეიძლება სიბნელის ძლევა? ამბობდა, რომ "ბოროტს აქვს უფლება ადამიანზედ, მაგრამ ღმერთთან შედარებით იგი სუსტია... ღმერთს, შეუძლია ადამიანის ხსნა ამ ბოროტისაგან". გამუდმებით ქმნიდა პირობებს ანკესზე ბოროტების წამოსაგებად – ჩაბმული იყო პოლონეთის ანტიფაშისტურ მოძრაობაში, ეხმარებოდა ებრაელ ოჯახებს, ვარშავის დაბომბვისას თავშესაფრებში არ იმალებოდა, დაჭრილებს უვლიდა და დაღუპულებს აპატიოსნებდა: როდესაც საქართველოს ემიგრაციულმა მთავრობამ, გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, ქართული განძი საუქციონოდ გაიმეტა, მამა გრიგოლმა, სიცოცხლის რისკის ფასად, იმაში დაარწმუნა გერმანელები, რომ ამ ნივთებს მხოლოდ ქართველი ერისათვის გააჩნიათ ისტორიული ღირებულება. იგი თითქოს დროს აჩქარებდა მთავარი ნაბიჯის გადასადგმელად.

ბოლო წლებში, პოლონეთის ქართული სათვისტომოს თავკაცი იყო. დეკანოზმა ჰენრიკ პაპროცკიმ, გერმანული საიდუმლო არქივების გახსნის შემდეგ, გამოიძია, რომ სათვისტომოს ანტიფაშისტური კურსი გახლდათ ძირითადი მიზეზი ფაშისტების მიერ არქიმანდრიტის დაკავებისა, რაშიც სათვისტომოს ორიენტაციის შეცვლის მსურველ ქართველებს მიუძღვით წვლილი. დაპატიმრებიდან სამი თვის შემდეგ, 1942 წლის 6 დეკემბერს, ოსვენციმში მრავალშვილიანი ებრაელის ნაცვლად შედის გაზის კამერაში. არსებობს მისი სიკვდილის მეორე ვერსიაც, რომლის თანახმად სხვის მაგივრად დაიბრალა პურის ქურდობა, რაც სიკვდილით ისჯებოდა. როდესაც ფრანცისკანელმა მღვდელმა, მაქსიმილიან კოლბემ, მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო, გერმანელი ოფიცერი დაინტერესდა, თუ რატომ სჩადიოდა ამას. კოლბემ უპასუხა – იმიტომ, რომ მღვდელი ვარ. ანალოგიურ შეკითხვას მამა გრიგოლიც ანალოგიურად გასცემდა პასუხს, რადგან ქრისტეს მღვდლობა მსხვერპლსაც და შემწირველსაც ერთდროულად გულისხმობს.

■ ■ ■

მამა გრიგოლ ფერაძის მიერ შექმნილი სულიერებისა და კულტურის სივრცე, ეროვნებისა და აღმსარებლობის განურჩევლად, თვითოეული კეთილი ნების მოქალაქისათვის საკუთარი თავისა და ერთმანეთისაკენ სავალი გზების ძიების კიდევ ერთი შესაძლებლობაა: "ერთმა მეორეს უნდა შეუნდოს აქ დანაშაული, რადგან უდანაშაულო, უთანანადები, უცოდველი ჩვენს შორის არავინაა – და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა. ამინ". (არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, "მამაო ჩვენოს" განმარტება – შინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა).

ეკლესიის მიერ არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის კანონიზაციას საფუძვლად ედება წმინდანად შერაცხვის რვა საფუძვლიდან შემდეგი:

1. მოწამეობრივი სიკვდილი ქრისტესთვის.
2. მაღალი საეკლესიო და საგანმანათლებლო მოღვაწეობა.
3. დიდი დამსახურება ეკლესიისა და ერის წინაშე.
4. კეთილმსახური მართალი წმინდა ცხოვრება.
5. უმწიკვლო მართლმადიდებლობა.

**P.S. 31 აგვისტოს ქ. ზესტაფონში ფერაძეთა საგვარეულო მამა გრიგოლის დაბადების 103 წლისთავს აღნიშნავს.**



წმინდა მამა გრიგოლის ხატი





გრიგოლ ფერაძე

# რვა ქალი და 1/2 მამაკაცი

## ფრანსუა ოზონის "რვა ქალი" თბილისში

გიორგი გვახარია

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20 მულტფილმი "შეჰრაზადი" (43-ე სერია) 09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" (43-ე სერია) 10.15, 12.00, 14.45, 16.00, 18.45, 20.20, 21.10, 21.50, 23.50, 00.20 მუსიკა 10.30 მხ. ფილმი "ტარაკანა" 12.20 მხ. ფილმი "მთავარი ეჭვმიტანილი" 14.00, 19.00 დოკ. ფილმი "ფრანგი მხატვრები - პალიტრა" 15.00 დოკ. ფილმი "ბილიკების ენა" 16.15 ქართ. მხ. ფილმი "ანგელოზის გადაფრენა" 17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" (44-ე სერია) 18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" (44-ე სერია) 19.30 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო" 20.00 ლიმონი და ლიმონათი 21.20 მულტფილმი "ინსპექტორი გეჯეტი შოგის გადასარჩენად" 22.10 მხ.ფ. "ცივი გული" მთ. როლებში ჯორჯ ჰოლუეი, ჰადსონ ლიკი 00.40 მხ. ფილმი "საგედისწერო წერილები". მთ. როლებში ნასტასია კინსკი, პიტერ კოიტი, ჯერემი პივენი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ვინ არის მეოთხე" 10.55 დოკუმენტური ფილმი 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 კომედია "ბეთჰოვენი 3" 13.50 თრილერი "ფანატი" 16.15 მულტფილმი "შავი ტიტა" 17.05 მელოდრამა "გოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 ქართული მხატვრული ფილმი "დიდოსტატის მარჯვენა" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50 "პრესდაიჯესტი" 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.15 დოკუმენტური ფილმი 01.05 კომედია "არტისტი" 03.30 დრამა "მეექვსე გრძნობა" 05.10 დოკუმენტური ფილმი "სან-მარინო"

### VII არხი

09.00 ანონსი 09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი 09.15 მელოდია 09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 09.45 "აჩიკუდა" 10.10 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 10.45 მოკლედ... სპორტი 10.50 მუსიკალური ბიორითმი 11.15 ანიმაცია 11.30 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები 11.35 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 12.05 მელოდია 12.30 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე" 12.45 დისნეი და მისი მეგობრები 13.05 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო - ვიდეო - ტელე 13.45 სპორტი 13.50 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 18.10 პრესა 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" -კომპიუტერული ტექნიკა 18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები 19.00 "აჩიკუდა" 19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი 19.40 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი (წლის საუკეთესო გადაცემა) 20.30 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი 20.35 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.05 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე" 21.25 მოკლედ...სპორტი 21.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 21.40 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 22.10 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "არწივთა ბუდე" ა.შ.შ. 1972 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. მთ. როლში: კლინტ ისტვუდი. 00.40 მელოდია 00.45 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი 00.55 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 01.30 მუსიკალური ბიორითმი 02.05 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00 Новости 10.15, 19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ". 11.15 Многосерийный фильм "УБОЙНАЯ СИЛА: СУДНЫЙ ДЕНЬ". 12.20 Объектив 12.35 "ТВИНИСЫ" 13.15 "ДВЕНАДЦАТЬ СТУЛЬЕВ" 14.45, 16.15 "Ералаш" 15.00 Многосерийный фильм "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ - 2". 16.30 Сериал "БЛЕСК И НИЩЕТА КУРТИЗАНОК". 17.40 Х.ф. "ТРАНЗИТ" 19.00 Вечерние новости. 20.15 Человек и закон 20.50 Поле чудес 22.00, 01.00 Время. 22.35 Юмористическая программа 00.00 Х.ф. "ПОЛИЦЕЙСКАЯ АКАДЕМИЯ-5: ЗАДАНИЕ-МАЙАМ БИЧ" 01.45 Х.ф. "36 ЧАСОВ, ЧТОБЫ УМЕРЕТЬ" 03.40 Премьера сериала "ПРИШЕЛЕЦ".

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия". 09.45 Детективный сериал "КАМЕНСКАЯ-2" 10.50 "Сам себе режиссер" 11.50 Вести.. Дежурная часть. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ВЕСТИ. 12.20 Сериал "ЗАКОН". 13.25 Ток-шоу "Цена успеха". 14.30 "Мусульмане". 14.45 ВЕСТИ - МОСКВА. 15.20 ВЕСТИ - СПОРТ. 15.25 "Что хочет женщина". 16.25 Телесериал "ДИКИЙ АНГЕЛЮ ВОЗВРАЩЕНИЕ". 17.20 Телесериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ". 18.20 "Сказки о любви". 19.20 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА. 19.50 Сериал "ВОРОВКА". 20.50 Спокойной ночи, малыши. 21.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА. 21.50 Телеигра "Ставка". 22.20 "ШИРЛИ-МЫРЛИ" 01.15 "БЕЗУМНЫЙ МАКС".

### НТВ

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 07.05, 07.35, 08.10, 08.35, 09.10, 09.40 Утро на НТВ. 09.35 "ШЕЙХ БАДИЯР. ИСТОРИЯ ЛЮБВИ И МЕСТИ" 11.25 "Совершенно секретно" 12.15 "Вы будете смеятся" 12.50 Вкусные истории. 13.20, 19.35 Криминал. 13.35 "ЖЕНСКИЙ ВЗГЛЯД" Оксаны Пушкиной. 14.00 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 15.05 Ток-шоу. "Принцип "Домино". 16.20 Пепси-чарт 17.30, 21.45 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ - 2" 18.35 "Внимание: розыск!" 20.40 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.30 "ЗАРЯЖЕННОЕ ОРУЖИЕ" 01.20 "Все сразу!" 01.55 "БОЛЬШОЙ СОН"

## შაბათი 7.09

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 10.00 მულტსერიალი 11.30 სერიალი "ნიკიტა" 12.20 მხ.ფილმი 15.20 სიმფსონები 15.50 მხ. ფილმი 17.10 იქს მუტანტები 18.00, 00.00 კურიერი 18.20 რუსული ფილმი 20.00 მონტელგანო 21.00 კურიერი PS 22.00 ფსიქო. მხ.ფ. "ვა:იშვილის ოთახი" 00.15 მხ.ფ. "მრბოლელი". მთ. როლებში სილვესტერ სტალონე, ჯინა გერსონი 02.15 ღამის ჯაზი

### პირველი არხი

08.00, 15.00, 01.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "ქამელეონი" 09.35 "ცირკი" 10.00 "დილის პაემანი" 11.05 "მხიარული კარუსელი" 11.30 "ამბები ჩვენზე" 12.00 "ვიცი" 12.30 "მეტრო" 13.00 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" 13.25 დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" 14.25 "საქართველო, დრო, მოვლენები" 15.15 მხ. ფილმი "ამერიკელები" 16.55 "საწინდარი" 17.15 მულტსერიალი "პრინცესა ნერი" 17.40 დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით ბავშვებო" 18.00 "ვესტნიკი" 18.45 "თბილისის დროით" 19.05 "ენერგია" 19.30 პრეს-სტუდია 20.00 "რას ფიქრობს ხალხი" 21.15 "ფორტუნა" 21.50 სერიალი "ფორსაიტების საგა" 22.20 "მელომანია" 22.55 "ჰოლივუდის ვარსკვლავი" (ედი მერფი) 23.20 მხ. ფილმი "შემოდგომა ნიუ-იორკში" 01.10 ჯაზის საღამო

### მეორე არხი

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი „მხოლოდ შენთვის" 20.30 ჯემი 21.00 დოკ. ფილმი „მოდარი ტელევიზიაში" 22.00 ჰიტ-პარადი 22.10 მხ. ფილმი „კაცი, რომელიც ტიროდა"

### ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "დათვი" 12.00 პროგრამა "სალონი" 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 მუსიკა 15.00, 21.00 "ვესტი" 15.30 მულტფილმი "პრინცესა მონოკოკე" 17.30 თქვენი ადვოკატი 18.30 მულტფილმი 19.30 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 თინეიჯერი 21.25 ზერკალო 22.00 "გამარჯობა" 22.40 თეატრალური შეხვედრები 23.40 მსოფლიო სპორტი 00.40 მხ. ფილმი "მარტოხელა გმირი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "წითელი" 10.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები" 10.50 მხ. ფილმი "დიდი იმედები" 13.10, 17.30 მულტფილმი 18.00 დოკუმენტური ფილმი 19.30 ჩანახატი 20.00 მხ.ფ. "სამნი უნდა მოვიშოროთ" 22.30 მხ. ფილმი "საწოლ ოთახში" 00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი 07.30 "ცხოვრება სიტყვაში" 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 12.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით 14.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 15.30 მხ. ფილმი 17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "თავისუფლად" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 ქართული ათეული 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "დროის მანქანა" მთ. როლებში გაი პირსი, ჯერემი აირონსი 01.50 "ღამურა" მხ.ფ. "მშვიდობის მაძიებელი". მთ. როლებში ჯორჯ კლუნი, ნიკოლ კიდმანი 03.20 ნონ-სტოპი

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები" 09.20 ლიმონი და ლიმონათი 09.35 მულტფილმი "შეჰრაზადი" (44-ე სერია) 10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა" 11.20 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" (44-ე სერია) 11.45, 14.45, 16.20, 17.20, 17.45, 19.35, 22.10, 23.55, 00.20 მუსიკა 12.00 მხ. ფილმი "საბედისწერო წერილები" 13.40 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო" 14.00, 19.00 დოკ. ფილმი "ფრანგი მხატვრები - პალიტრა" 16.35 მხ. ფილმი "მატარებელი" 18.00 დოკ. ფილმი "მიამბე ციხის ნაშალო" 20.00 ევროპის სტადიონებზე 21.10 დოკ. ფილმი "საქართველოზე" 22.20 მხ. ფილმი "ვამპირის აჩრდილი". მთ. როლებში კერი ელვისი, ჯონედენ გილეტი 00.40 მხ.ფ. "კიდევ ერთი კარგი რამ" მთ. როლებში ბენჯამენ ბრატი, მაიკლ ვართანი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ქართული მხატვრული ფილმი "დიდოსტატის მარჯვენა" 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 კომედია "სამი ძმნილი" 13.50 სათავგადასავლო ფილმი "ნაპოლეონი" 15.10 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმების პროგრამა 17.00 კომედია "გმირი" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პრესდაიჯესტი" 19.40 ისტორიული ფილმი "რაინდული რომანი" (1-ლი სერია) 20.50 ქართული მხატვრული ფილმი "ნეილონის ნაძვის ხე" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50 Слово 23.30 მოკლემეტრაჟიანი ფილმი "წყნარი ქუჩა" 00.50 მხატვრული ფილმი "ცისფერი უფსკრული" 03.30 ბენი ჰილის შოუ 04.50 მხატვრული ფილმი "სხეული და სული"

### VII არხი

18.00, 21.45,23.00,01,55 ანონსი 18.05,21.50 ამინდის პროგნოზი 18.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 18.45 მელოდია 19.00 "აჩიკუდა" 19.25 "ბედნიერი ერი" - ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით. 19.30 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.05 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "შეჩერდი, თორემ დედაჩემი გესვრის" აშშ 1987 წელი. კომედია. რეჟისორი - როჯერ სპოტი. მთ. როლში: სილვესტერ სტალონე. 21.30 "ღამის კაპრიზი" 22.30 სპორტული პროგრამა -ევროპული ფეხბურთი (ლიტვა-გერმანია) 00.20 პრესის მიმოხილვა 00.30 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 01.05 მელოდია 01.40 პრესის მიმოხილვა.

### ОРТ

07.25 "ОСТОРОЖНО, БАБУШКА" 09.00, 11.00, 15.00 Новости. 09.10 Играй, гармонь любимая! 09.50 Слово пастыря. 10.05 "МИСС МАРПЛ". "ТОЧНО ПО РАСПИСАНИЮ" 11.10 Смехопанорама Евгения Петросяна. 11.45 Смак. 12.05 Фильм "ДЛИННОЕ, ДЛИННОЕ ДЕЛО". 13.45 "Чтобы помнили" 14.30 Дисней-клуб: "Утиные истории". 15.10 "Инопланетянин". 16.10 Сериал "БЕГЛЕЦ". 17.00 "УШОЛ И НЕ ВЕРНУЛСЯ" 19.00 Вечерние новости. 19.20 "Шутка за шуткой". 19.50 Футбол. Отборочный матч. Россия - Ирландия 22.00 Время. 22.30 Х.Ф. "НАСТОЯЩАЯ МАККОЙ". 00.35 Х.Ф. "РОБ РОЙ". 03.10 Реальная музыка.

### РТР

07.20 "ПЕРВЫЙ ТРОЛЕЙБУС" 08.40 "Здоровье и жизнь". 09.10 Сериал "ДРАКОША И КОМПАНИЯ" 09.35 "Золотой ключ". 10.00 "Военная программа" Александра Сладкова. 10.20 "Наука и техника". 11.20 "Сам себе режиссер". 12.20 "Сто к одному". 13.15 "ФОРТ БОЯРД". 14.10 Док\ф "ДЕЛО КОЛЬЦОВА" 15.00, 21.00 ВЕСТИ. 15.20 "3+2". 17.00 Концерт А. Зацепина 19.00 "Моя семья". 19.55 "Аншлаг". 21.25 "Зеркало". 21.55 "Стань звездой" 22.50 "АНАКОНДА" 00.40 "АМЕРИКАНСКИЙ ПИРОГ"

### НТВ

07.50 "ВАСИЛИСА ПРЕКРАСНАЯ" 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня. 09.15 "ПРОДЕЛКИ В СТАРИННОМ ДУХЕ" 10.25 "Без рецепта". Доктор Бранд. 11.20 "Квартирный вопрос" 13.25 "Все сразу!" 14.05 "СТРАХ ВЫСОТЫ" 15.50 Вкусные истории. 16.05 Своя игра. 17.30 "Неизвестная планета". 18.25 "ЖЕНСКИЙ ВЗГЛЯД" Оксаны Пушкиной. 19.00 "Шоу Елены Степаненко" 20.35 "Осень на улице разбитых фонарей" Гала-концерт 22.50 Профессиональный бокс. 00.00 "УЩЕРБ" 02.05 "ЗВЕРИ"

## კვირა 8.09

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "ნიკიტა" 11.50 ველური ბუნება 12.50 მხ.ფილმი 14.35 სიმფსონები 15.05 მხ. ფილმი 17.10 იქს მუტანტები 18.00, 21.00, 23.40კურიერი 18.20 ქართული ფილმი 20.00 მონტელგანო 21.25 ჩვენი ეზო 21.45 "ჯეოსელის კინოკლუბი". "ბრწყინვალე გონება" 8 (77) 45-79-25 რასელ კროუ, ჯენიფერ კონელი, "ბანდიტები" 8 (77) 45-79-26 ბრიუს უილისი, კეიტ ბლანშეტი, "მაკენას ოქრო" 8 (77) 45-79-27 გრეგორი პეკი, ომარ შარიფი 23.50 მხ.ფ. "გულთამპყრობელები" მთ. როლებში სიგურნი უივერნი, ჯინ ჰეკმანი

### პირველი არხი

08.00 "მოამბე" 08.10 მხ. ფილმი "შემოდგომა ნიუ-იორკში" 10.00 დილის პაემანი 11.05 "ოქროს მართვე" 11735 "მოგზაურობა სასიტყვეთში" 12.05 "სპა" 12.35 ჯაზის საღამო 13.05 მოსკოვი-თბილისი 13.35 დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" 14.25 "არათბილისური ამბები" 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.15 სატ. სპექტაკლი "ჯერ დაიხოცნენ, შემდეგ იქორწინეს" 17.15 მულტფილმი "პრინცესა ნერი" 17.40 "ტელეჩლაპარი" 18.00 "ტაიმ-აუტი" 18.20 "ჩემპიონატი" 18.55 "ეკოდაიჯესტი" 19.25 "ჩვენი მისამართია" 20.00 "ტაიმ-აუტი" 20.55 "ამბოგენ" 21.25 კონცერტი (გოგ მინცერი) 22.05 ტელესერიალი "ფორსაიტების საგა" 22.30 "მე-20 საუკუნეების დიდებული ქალბატონები" 22.50 სატელევიზიო კინოდარბაზი (პრემიერა სატელევიზიო ფილმისა) 00.55 "ტაიმ-აუტი" 01.05 მხ. ფილმი "აკვანი დაირწევა"

### მეორე არხი

19.00 მულტფილმი 19.30 დოკ. ფილმი „ვერსალის წყლები" 19.50 „მრავალსახეობა" 20.30 საქართველოს მატიანე 21.00 მშვიდობით, მეოცე საუკუნევ! 21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი „ქამელეონი"

### ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები 11.05 მუსიკალური კოლაჟი 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.25 თბილისური ოჯახები 14.10, 22.00 მუსიკა 15.00, 21.00 ვესტი 15.30 საოცარი პირამიდა 17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება 17.20 საეკლესიო კალენდარი 17.35 საუბრები ბიბლიაზე 19.00 მხ. ფილმი "უგრიუმ-მდინარე" (მე-4 სერია) 22.30 "ევროპა და ევროპელები" 23.30 მსოფლიო სპორტი 00.30 მხ. ფილმი "რაშია საქმე, დოკ?"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.10, 21.55, 00.45 მუსიკა 08.25 მხ.ფ. "სამნი უნდა მოვიშოროთ" 10.20 მხ.ფ. "საწოლ ოთახში" 20.00 მხ.ფ. "ჩიტი მავთულზე" 22.30 მხ.ფ. "ფაკულტეტი" 00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი 07.30 "მადლიანი ცნობა" 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 12.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით 14.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "გენიალური ჩვილები" 16.00 "უცნობი" 17.00 მუსიკა 19.00 ქართული მუსიკა 19.30 "ვიდეო-რადიო" 21.00 რომანტიკული მუსიკა 22.00 ინფორმატორი 23.00 "ცენტრი" 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ნაზი სიკვდილი". მთ. როლებში ხიზერ გრემი, ჯოზეფ ფაინსი 01.40 ღამურა "მსოფლიოს სახურავი". მთ. როლებში პიტერ უელერი, დენის ჰოპერი 03.10 ნონ-სტოპი

### მეცხრე არხი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20, 11.50, 18.50, 19.10, 20.50, 22.00, 23.45 მუსიკა 09.35 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00, 15.00 "დილა" 11.20 "ევროპის სტადიონებზე" 11.55 დოკ. ფილმი "ქართული მართლმადიდებლური ეკლესია" 12.25 გადაცემა "საუბრები სტუდიაში" 13.15 მხ.ფილმი "კიდევ ერთი კარგი რამ" 16.20 მხ.ფილმი "ვამპირის აჩრდილი" 17.50 დოკ. ფილმი "იამბე ციხის ნაშალო" 19.00 მაცაცერა 19.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 სად? რა? როდის? 21.00 დოკ. ფილმი "საქართველოზე" 22.10 მხ.ფ. "წნეხის ქვეშ". მთ. როლებში როგ ლოუ, ლარისა მილერი 00.05 მხ.ფ. "ბრძოლის ველი - დედამიწაზე". მთ. როლში ჯონ ტრავოლტა

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ნეილონის ნაძვის ხე" 10.45 Слово 11.25 მისტერ ბინის კომიქსები 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 სათავგადასავლო ფილმი "ახალგაზრდა აივენჰო" 13.35 კომედია "ანგელოზები არა ვართ" 15.15 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" 17.35 კომედია "მენავთობე ქალები" 19.20 ისტორიული ფილმი "რაინდული რომანი" (მე-2 სერია) 20.20 ქართული მხატვრული ფილმი "ბაში-აჩუკი" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.30 **Новости в воскресенье** 22.50 "სათქმელი" 23.20 დოკუმენტური ფილმი 00.30 მელოდრამა "ლამაზმანი" 03.30 დრამა "ბრწყინვალება" 05.10 დოკუმენტური ფილმი "1988"

### VII არხი

18.00,22.30,01,55 ანონსი 18.30,21.50 ამინდის პროგნოზი 18.20 "ლა-ლა-ლა" 19.00 "აჩიკუდა" 19.30 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 20.00 მელოდია 20.40 "ავტოტრენინგი" 21.50 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "გრაფ მონტე კრისტო" (1-ლი სერია) საფრანგეთი. 1953 წელი. სათავგადასავლო. მთავარ როლში: ლუი დე ფიუნესი. 23.25 მელოდია 00.00 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 00.35 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "გრაფ მონტე კრისტო" (მე-2 სერია) 02.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 02.50 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.20 х.Ф. "РЯДОМ С НАМИ". 09.00, 11.00, 15.00 Новости. 09.10 Армейский магазин 09.40 Дисней-клуб: "Тимон и Пумба". 10.05 "МИСС МАРПЛ". "ТОЧНО ПО РАСПИСАНИЮ" 11.10 Непутевые заметки с Дм.Крыловым. 11.30 Пока все дома. 12.05 "СТРОГАЯ МУЖСКАЯ ЖИЗНЬ" 14.00 "Самарский резидент" 14.30 Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". 15.10 Живая природа. "Чудеса света". 16.10 Сериал "БЕГЛЕЦ". 17.05 Большие родители. Валентин Катаев 17.35 "Сами с усами" 18.05 Юбилейный концерт Михаила Танича 19.50 Х.ф. "ПОЦЕЛУЙ ДРАКОНА" 22.00 Время. 22.30 Х.ф. "СИЛЫ ПРИРОДЫ" 00.30 "На футболе" с Виктором Гусевым. 01.00 Х.ф. "КРАСНОЕ СОЛНЦЕ" 03.05 Шахматный матч века. Сборная Россия - Сборная мира

### РТР

07.20 "БАГЗ-БАННИ". 08.45 Сериал "ДРАКОША И КОМПАНИЯ" 09.10 "Русское лото". 10.00 "ТВ Бинго шоу". 10.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА. 11.15 "Америка: год спустя". 11.50 "Городок". 12.25 "ПЕТРОВКА 38". 14.10 Док\ф "БРИЛЛИАНТЫ ДЛЯ МИРОВОЙ РЕВОЛЮЦИИ" 15.00 ВЕСТИ. 15.20 "Вокруг света". 16.15 "Диалоги о животных". 17.05 "Два рояля" 18.05 "Комната смеха". 19.00 "МАРС АТАКУЕТ". 20.50 В "Городке" 21.00 ВЕСТИ. НЕДЕЛИ. 22.10 "Красная линия". А. Мамонтов 22.40 "Бенефис" К. Новыковой 02.15 "Спорт за неделю"

### НТВ

07.45 Сериал "Неизвестная планета". 08.30 "Star старт" 09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня. 09.15 "ТРАКТОРИСТЫ" 11.20 "Шоу Елены Степаненко" 12.20 "Растительная жизнь". 13.25 Служба спасения. 14.00 "НЕ МОЖЕТ БЫТЬ" 15.50 Вкусные истории. 16.05 Своя игра. 17.25 Ток-шоу. "Принцип "Домино". 18.35 "Очная ставка". "Четырнадцать негритят". 19.10 "Совершенно секретно" 20.00 "КОЛОНИЯ" 22.00 "Намедни" 23.30 "АД В ПОДНЕБЕСЬЕ" 02.25 "Пепси-чарт"

ფეხბურთი

## ესროლეს სფფ-ს შენობას

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შენობის შემინულ ფასადს ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერ ესროლეს. როგორც შენობის კომენდანტმა თემურ კორძაიამ გვითხრა, გასროლა დაახლოებით 19 საათსა და 20 წუთზე მოხდა. თუმცა, მას თავად არ გაუგია სროლის ხმა. იგი ამ დროისთვის მოპირდაპირე მხარეს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან იმყოფებოდა. იქიდან გამოსულს კი შენობის ფასადზე ნატყვიარები შეუნიშნავს, რაც სასწრაფოდ ჩოლარიასთვის უცნობებია. ეს უკანასკნელი კი მომხდარის შესახებ ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო სამსახურს დაუკავშირდა. ვაკე-საბურთალოს საგამომძიებო სამსახურის თანამშრომლის გოგა ღვინიაშვილის განცხადებით, ამჟამად მიმდინარეობს მასალების მოკვლევა. გამოკვეთილი ეჭვმიტანილი არ არსებობს. ერთადერთი ნივთმტკიცება "მაკაროვის" ტიპის იარაღის ორი ვაზნაა.

## მბომა ლიბიაში

აფრიკელი ფორვარდი პატრიკ მბომა, კარიერის მიწურულს, პროგრესის ნაცვლად, რეგრესისკენ მიდის. 31 წლის თავდამსხმელმა ვერაფრით მოახერხა იტალიურ "პარმაში" ფეხის მოკიდება და იმის ნაცვლად, რომ მუნდიალზე მიღწეული წარმატებით ესარგებლა და სერია ა-ში პოზიციების გამყარებისთვის ეზრუნა, სრულიად არასაფეხბურთო ქვეყანაში – ლიბიაში მოისურვა გადასვლა.

როგორც იტალიური სპორტული პრესა იტყობინება, "პარმა" აფრიკელ ფორვარდს ყველასთვის უცნობ ლიბიურ კლუბ "ალ იტიჰადში" უშვებს. მბომას შეძენა ვერონულ "კიევოს" უნდოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ფეხბურთელს არ სურს იტალიაში დარჩენა.

## კლოზე და იტალიელები

მუნდიალის მსვლელობისას გერმანიის ნაკრების ფორვარდი მიროსლავ კლოზე დიდი ხნის განმავლობაში ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იყო და ძალიან იზიდავდა ისეთ გრანდებს, როგორიც "რომა" და "იუვენტუსი" არიან. ორივე იტალიურ კლუბს სურდა კლოზეს შეძენა, მაგრამ "კაიზერსლაუტერნის" მაშინდელ თავკაცს ანდრეას ბრემეს არაფრის გაგონება არ უნდოდა და კლოზეს გუნდიდან არ უშვებდა.

ახლა კი სიტუაცია შეიცვალა. ბრემე "კაიზერიდან" გააგდეს და ყველაფერი აირია. "რომას" იმედი მიეცა, რომ ამღვრეულ წყალში ოქროს თევზს დაიჭერს. სანამ "კაიზერში" ქაოსია, რომაელები გერმანელებს მაცდუნებელი წინადადებებით აბრუებენ და კლოზეს ხელში ჩაგდებას ცდილობენ. იგივე სურვილი აქვს ტურინის "იუვენტუსსაც" და "კაიზერმა", ალბათ, ძალიან უნდა მოინდომოს, რომ თავისი სახელგანთქმული ფორვარდი შეინარჩუნოს.

## გალიანის იდეები

იტალიური "მილანისა" და "ლა ლიგას" შეფი ადრიანო გალიანი, როგორც ჩანს, ფანტაზიის სიღარიბეს არ უჩივის. მას შემდეგ, რაც სერია A-ს სტარტი 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრისთვის გადაიტანა, გალიანის კიდევ ერთი საინტერესო იდეა დაებადა.

ორი დღის წინ გაიმართა იტალიის სუპერთასის მატჩი, რომელიც არა ტურინში, მილანში ან რომში, არამედ ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლში ჩატარდა. ყველასთვის მოულოდნელად, იტალიის ჩემპიონი "იუვენტუსისა" და თასის მფლობელი "პარმას" დუელის ნახვის სურვილი გამოთქვა 50.000-მა გულშემატკივარმა, რაც მართლაც შთამბეჭდავია.

სწორედ ამის გამო გალიანის აზრად მოუვიდა, ეთქვა, რომ ცუდი არ იქნებოდა, სერია A-ს მატჩები საზღვარგარეთ გამართულიყო, რადგან იტალიურ პუბლიკას თითქოს უკვე აღარც კი აინტერესებს იტალიის ჩემპიონატის შეხვედრები და სტადიონზე აღარ დადის.

## კინს მძიმე დრო უდგას

"მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი როი კინი, შესაძლოა, ინგლისურ კლუბს ორი კვირით გამოაკლდეს. ექსცენტრულ ფეხბურთელს მუხლის ტრავმა აქვს და ექიმები, უკვე დიდი ხანია, ოპერაციის გაკეთებას ურჩევენ.

უტეხი ირლანდიელი ოპერაციის ვადას სულ უფრო შორს წევდა. კინს სურდა, დახმარებოდა "მან იუს" ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად და ამიტომაც არ გამოტოვა მესამე ეტაპის საკვალიფიკაციო მატჩი უნგრულ "ზალაეგერსეგთან", რომელიც "მან იუმ" 5:0 მოიგო. ახლა კი, რადგან კინის პროგრამა მინიმუმი უკვე შესრულებულია, ფეხბურთელს შეუძლია, მშვიდად დაანებოს ექიმებს ნატკენი მუხლი.

## უკან, სამშობლოში

თურქულ "გალათასარაის" უცხოელ ვარსკვლავებს, როგორც ჩანს, თანამემამულე ფეხბურთელები ურჩევნია. თურქებმა უკან დაიბრუნეს 29 წლის მცველი ჰაკან უნსალი, რომელიც ერთი წლის წინ ინგლისურ "ბლექბერნში" გაუშვეს.

"გალათასარაი" ჩემპიონთა ლიგაში გამოსასვლელად ემზადება და ცდილობს, რაც შეიძლება, უკეთეს ფეხბურთელებს მოუყაროს თავი. ჰაკან უნსალის გარდა, თურქებს ფინელი იარი ლიტმანენის შეძენაც სურდათ, მაგრამ "ლივერპულთან" შეთანხმებას ჯერჯერობით ვერ მიაღწიეს. რაც შეეხება ჰაკან უნსალს, მან მშობლიურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და თავს შესანიშნავად გრძნობს.

## „ფენერი" ბრაზობს

სანამ "გალათასარაი" ჩემპიონთა ლიგისთვის ემზადება, მეორე თურქულ გრანდს, სტამბულის "ფენერბახჩეს", იმისთვის აკრიტიკებენ, რომ ლიგის ძირითად ბადეში ვერ მოხვდა. "განტევების ვაცად", როგორც მოსალოდნელი იყო, იქცა გერმანელი მწვრთნელი ვერნერ ლორანტი, რომელსაც თურქულმა პრესამ ფეხბურთის უცოდინრობაში დასდო ბრალი.

ჰოლანდიურ "ფეიენოორდთან" პირველი მატჩის წაგების შემდეგ "ფენერმა" ვერც საკუთარ მოედანზე შეძლო სიტუაციის გამოსწორება და ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა. თურქეთში მიაჩნიათ, რომ კლუბის ეს წარუმატებლობა მხოლოდ ლორანტის ბრალია, რომელმაც არასწორი ტაქტიკა დაუპირისპირა ჰოლანდიელებს. ლორანტის შემცვლელად თურქული პრესა ასახელებს ისეთ ხმაურიან პერსონებს, როგორებიც არიან "ბაიერისა" და "ბეშიქთაშის" დოპინგ-სკანდალს შეწირული თავკაცი კრისტოფ დაუმი, არგენტინული "ბოკა ხუნიორსის" ხელმძღვანელი კარლოს ბიანკი და ბრაზილიის ნაკრებიდან წასული ლუიშ ფელიპე სკოლარი.

## ჩემპიონთა ლიგის საოცნებო გუნდი

ხუთშაბათს მონტე-კარლოში შემდგარმა ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრამ საფეხბუთო სამყაროს ახალი სეზონის დაწყება ამცნო. ორ კვირაში მსოფლიოს ისევ მიეცემა დიდი ფეხბურთით ტკბობის საშუალება - დაიწყება ჩემპიონთა ლიგა, რომელიც პირველივე წრეში ძალიან საინტერესო უნდა იყოს, რადგან ერთ ჯგუფში პირველი ორი ადგილისთვის ოთხი ისეთი გუნდი შეეცილება ერთმანეთს, როგორებიც არიან გერმანული "ბაიერნი", იტალიური "მილანი", ესპანური "დეპორტივო" და ფრანგული "ლანსი".

სანამ ლიგა დაიწყება, უეფამ გადაწყვიტა, სტიმული მიეცა ფეხბურთელებისთვის და ჩემპიონთა ლიგის სიმბოლური ნაკრები დაასახელა. ყველა დროის საუკეთესო გუნდი შემდეგი ფეხბურთელებით დაკომპლექტდა: შმაიხელი, ტასოტი, დესაი, ბარეზი, მალდინი, ბექჰემი, რაიკარდი, ზიდანი, გიგზი, ვან ბასტენი, რაული.

## "დეპორტივოს" ახალი შენაძენი

საზაფხულო სატრანსფერო სეზონის დასრულებამდე ორი დღით ადრე ლა კორუნიას "დეპორტივომ" ერთი მეტად საინტერესო ტრანსფერის განხორციელება მოასწრო. ესპანეთის თასისა და სუპერთასის მფლობელმა გუნდმა "მალიორკადან" 24 წლის ფორვარდი ლუკე შეიძინა.

ლუკემ მუნდიალზე თამაშით მიიქცია ყურადღება და "დეპორტივომ" უყოყმანოდ გაუფორმა მას რვაწლიანი კონტრაქტი. წლეულს "დეპორს" ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრისას არ გაუმართლა და "მილანთან" და "ბაიერნთან" ერთად მოხვდა ჯგუფში. მომდევნო ეტაპზე გასაღწევად გალისიელებს ლუკეს მსგავსი აქტიური ფეხბურთელი ნამდვილად ძალიან გამოადგებათ.

# „რეალის" პირველი სუპერთასი

დიმიტრი ობოლაძე


REUTERS

გუშინ მადრიდის "რეალმა" კიდევ ერთი ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. მონაკოს, მეფე ლუი მეორის სახელობის სტადიონზე სამეფო კლუბმა დამაჯერებლად, 3-1 დაამარცხა უეფა-ს თასის მფლობელი, ჰოლანდიის "ფეიენოორდი". აღსანიშნავია, რომ მადრიდელებმა სეზონის დასაწყისისათვის უჩვეულო, სწრაფი და გააზრებული ფეხბურთი აჩვენეს. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი, რობერტო კარლოსი დაასახელეს. პირველი გოლი კარლოსის აქტიურობის შედეგად გავიდა. ჰოლანდიელთა მცველმა, პაუვემ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მეორე გოლი კი თავად კარლოსმა, თანაც მარჯვენა ფეხით გაიტანა. "რეალის" შემადგენლობაში ბევრისათვის უცნობი, არგენტინელი კამბიასო გამოჩნდა. ამ 22 წლის ფეხბურთელმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ორ საგოლე კომბინაციაში მონაწილეობაც მიიღო. მეორე ტაიმი ჰოლანდიელებმა უკეთ დაიწყეს, რასაც 57-ე წუთზე ჰოიდონკის მიერ შესრულებული საჯარიმო მოჰყვა. თუმცა მადრიდელებმა სწრაფი გოლი გაიტანეს და საბოლოოდ 3-1 გაიმარჯვეს. გუნდმა ზუსტად შეასრულა ესპანური კლუბის პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის პირველი დავალება და პირველად მოიგო ევროპის სუპერთასი. საინტერესოა, რომ მატჩის წინ გამართულ შეხვედრაზე პერესმა გუნდის მიზნებზე საუბრისას პრიორიტეტი ესპანეთის ჩემპიონატის მოგებას მიანიჭა. " თუმცა, ძალაში რჩება ჩვენი მთავარი მიზანი, – დაამატა პერესმა – "რეალმა" უნდა მოიგოს ყველა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს."პირველი ნაბიჯი გადაიდგა. სამეფო კლუბი ესპანეთის პრიმერადივიზიონში ყველაზე გვიან, ორშაბათს ებმება. დღეს და ხვალ კი სხვა გუნდები პირველი ტურის შეხვედრებს გამართავენ.

# უეფა-ს თასის პირველი რაუნდის კენჭისყრა

ლიბერეცი (ჩეხეთი) – დინამო თბილისი (საქართველო)
პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) – უიპეშტი (უნგრეთი)
აბერდინი (შოტლანდია) – ჰერტა (გერმანია)
შტუტგარტი (გერმანია) – ვენტსპილსი (ლატვია)
გომელი (ბელარუსი) – შალკე 04 (გერმანია)
მეტალურგი (უკრაინა) – ვერდერი (გერმანია)
სპორტინგი (პორტუგალია) – პარტიზანი (იუგოსლავია)
ლეგია (პოლონეთი) – უტრეხტი (ჰოლანდია)
ბეტისი (ესპანეთი) – ზიმბრუ (მოლდოვა)
სარაევო (ბოსნია-ჰერცოგოვინა) – ბეშიქთაში (თურქეთი)
ცსკა (რუსეთი) – პარმა (იტალია)
ლევსკი (ბულგარეთი) – ბრონდბიუ (დანია)
ანდერლეხტი (ბელგია) – სტაბეკი (ნორვეგია)
ნაციონალი (რუმინეთი) – ჰეერენვეენი (ჰოლანდია)
ლაციო (იტალია) – ქსანტი (საბერძნეთი)
იფსვიჩი (ინგლისი) – სარტიდი (იუგოსლავია)
მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი) – ბოავიშტა (პორტუგალია)
აიკი (შვედეთი) – ფენერბახჩე (თურქეთი)
სპარტა (ჩეხეთი) – სიროკი (ბოსნია-ჰერცოგოვინა)
აუსტრია (ავსტრია) – შახტარი (უკრაინა)
დენიზლისპორი (თურქეთი) – ლორიენი (საფრანგეთი)
ჩელსი (ინგლისი) – ვიკინგი (ნორვეგია)
ჰაპოელი (ისრაელი) – ქერნთენი (ავსტრია)
დინამო ზაგრები (ხორვატია) – ზალაეგერსეგი (უნგრეთი)
კოპენჰაგენი (დანია) – დიურგარდენი (შვედეთი)
ჟიჟკოვი (ჩეხეთი) – გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)
ლიდსი (ინგლისი) – მეტალურგი (უკრაინა)
სერვეტი (შვეიცარია) – ამიცა (პოლონეთი)
ფერენცვაროში (უნგრეთი) – ქოჯაელისპორი (თურქეთი)
შტურმი (ავსტრია) – ლივინგსტონი (შოტლანდია)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია-ჰერცოგოვინა) – მალაგა (ესპანეთი)
ბორდო (საფრანგეთი) – მატადორ პუხოვი (სლოვაკეთი)
ლიტექსი (ბულგარეთი) – პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) – კიევო (იტალია)
ჰაიდუკი (ხორვატია) – ფულემი (ინგლისი)
პრიმორიე (სლოვენია) – ვისლა (პოლონეთი)
გრაცერი (ავსტრია) – აპოლი (კვიპროსი)
სელტა (ესპანეთი) – ოდენსე (დანია)
სელტიკი (შოტლანდია) – სუდუვა (ლიტვა)
პორტო (პორტუგალია) – პოლონია (პოლონეთი)
გრასჰოპერი (შვეიცარია) – ზენიტი (რუსეთი)
ანკარა (თურქეთი) – ალავესი (ესპანეთი)
ანორთოსისი (კვიპროსი) – ირაკლისი (საბერძნეთი)
მიდტიულანდი (დანია) – ვარტექსი (ხორვატია)
ცსკა (ბულგარეთი) – ბლექბერნი (ინგლისი)
სლავია (ჩეხეთი) – მუსკრონი (ბელგია)

# ჰერ ეფენბერგის ვნებანი

ნინო პირველი


შტეფან ეფენბერგი REUTERS

გერმანიას, ალბათ, არასოდეს ჰყოლია შტეფან ეფენბერგის მსგავსი სკანდალური ფეხბურთელი. არც ერთი გერმანელი სპორტსმენი არ ხვდება ყვითელი პრესის ყურადღების ცენტრში ისე ხშირად, როგორც "ბაიერნის" ექსკაპიტანი. რა გინდა, სულო და გულო, რომ ეფენბერგს არ შემთხვეოდეს – ეროვნული ნაკრებიდან გაძევება უსაქციელობის გამო, "ფლეი ბოისთვის" მიცემული თავხედური ინტერვიუ, მეგობრისთვის ცოლის წართმევა და საკუთარი და სხვისი ოჯახების დანგრევა, "ბაიერნიდან" ხმაურით წასვლა თუ დიდი ხნის მანძილზე შესაფერისი კლუბის ძებნა. 33 წლის შტეფან ეფენბერგმა უკვე ყველაფერი მოასწრო – აღზევებაც, დიდების მწვერვალზე ყოფნაც და დაცემაც. იგი ისე ხშირად ეხვევა ნაირ-ნაირ სკანდალებში, რომ, თამამად შეიძლება ითქვას, "ეფე enfant terrible" უფრო კარგადაა ცნობილი საზოგადოებისთვის, ვიდრე "ეფე" ფეხბურთელი.

უსკანდალოდ არც გასულ სეზონს ჩაუვლია. გაზაფხულზე "ფლეი ბოიმ" დაბეჭდა ეფენბერგის ინტერვიუ, რომელშიც "ბაიერნის" კაპიტანი უმუშევრებს აკრიტიკებდა - მუშაობა ეზარებათ და სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრება ურჩევნიათო, რამაც მთელ გერმანიაში უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია. ყველა გერმანელი, ვინც კი რაღაც მიზეზების გამო უმუშევარი იყო, სასტიკად შეურაცხყო ვიღაც ფეხბურთელის თავხედობამ, რომელსაც ფულს მხოლოდ იმაში უხდიან, რომ "ბურთს დააგორებს". სკანდალი იმდენად დიდი იყო, რომ "ბაიერნის" ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, "ეფე" კლუბიდან დაეთხოვა. იმის ნაცვლად, რომ დროებით მაინც დაწყნარებულიყო და საზოგადოებისთვის მის მიერ დაშვებული შეცდომების დავიწყების საშუალება მიეცა, "ეფემ" ცოტა ხანში კიდევ ერთხელ გააოგნა ყველა, როცა ტომას შტრუნცს ცოლი წაართვა. ამ მოულოდნელმა ამურულმა აფერამ ყველაზე მეტად ორი მოტყუებული ადამიანი დატოვა სახტად – "ეფეს" მეუღლე მარტინა და კლაუდია შტრუნცის ქმარი ტომასი. მარტინამ საკუთარი ოჯახის დანგრევის ამბავი სულაც ტელევიზიით შეიტყო...

"ეფეს" ყველა ლანძღავდა და უსინდისოს უწოდებდა, მაგრამ სკანდალი მალე ჩაცხრა. მარტინამაც და ტომასმაც ახალი გულისსწორები იპოვეს და მოღალატეები დაივიწყეს. ამჟამად "ეფეს" შვილები მარტინასთან და მის მეგობართან ერთად ცხოვრობენ ფლორიდაში, შტრუნცის მონაგარზე კი ეფენბერგი და კლაუდია ზრუნავენ ვოლფსბურგში, სადაც მოუსვენარმა "ეფემ", ალბათ, თავისი უკანასკნელი ნავსაყუდელი პოვა.

"ვოლფსბურგში" "ეფემ" ეს-ესაა დაიწყო კარიერა, მაგრამ სკანდალში გახვევა მაინც მოასწრო. ისეთ წყნარ და პროვინციულ ქალაქში, როგორიც ვოლფსბურგია, რა თქმა უნდა, დიდი მოვლენაა გერმანული ფეხბურთის ყველაზე ექსცენტრული ვარსკვლავის დასახლება. ადგილობრივი ფოტორეპორტიორები შეეცადნენ, ფირზე აღებეჭდათ ეფენბერგის ახალი საცხოვრებელი ადგილი და დილიდანვე ჩასაფრდნენ ფეხბურთელის სახლის გალავანთან, რაც "ეფეს" მაინცდამაინც არ მოეწონა. "ის გამოვიდა სახლიდან და გვითხრა, რომ შეგვეწყვიტა გადაღება. მე ვუპასუხე, რომ ჩემს საქმეს ვაკეთებდი. მაშინ ჰერ ეფენბერგი დამემუქრა, თუ არ გაჩერდები, ცხვირ-პირს დაგინაყავო. შემდეგ სახლიდან კლაუდია გამოვიდა და აყვირდა. ხმაურზე მოცვივდნენ მეზობლები - ერთი ისტერიული ქალი და ერთიც ასორმოცდაათკილოანი კაცი. მათ ლანძღვა დაგვიწყეს და იძულებული გავხდით, წავსულიყავით, თუმცა, ამ სცენის გადაღება მაინც მოვასწარით", - თავმომწონედ აღნიშნა ერთ-ერთი ჰანოვერული გაზეთის ფოტოკორესპონდენტმა ჰანკ დოისმა, რომელმაც არ დამალა, რომ, გარკვეულწილად, თავადაც გააღიზიანა ეფენბერგი. "მას რომ ჩემთვის დაერტყა, აუცილებლად ვუჩივლებდი, მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. ჩემი აზრით, ჰერ ეფენბერგი განსაკუთრებით იმან გააბრაზა, რომ ძალიან ქერა ვარ და რაღაცით ჰერ შტრუნცს ვგავარ", - სიცილით დასძინა "ეფესგან" დევნილმა რეპორტიორმა.

თავად ეფენბერგი ყოველგვარი კომენტარისგან თავს იკავებს. მომხდართან დაკავშირებით მან მხოლოდ ის განაცხადა, რომ აღშფოთებულია პაპარაცების თავხედობით და უფრო მაღალი გალავნის აშენებას აპირებს, რათა მისი და კლაუდიას სიმშვიდე აღარავინ დაარღვიოს.

# ბოლო შანსის ძიებაში


იარი ლიტმანენი REUTERS

"მე არ ვარ ბედნიერი "ლივერპულში" და ამიტომაც ვფიქრობ სხვა კლუბში გადასვლას". ფინელი იარი ლიტმანენის ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამსტერდამის "აიაქსის" ხელმძღვანელობას ფეხბურთელისთვის ყოფილ კლუბში დაბრუნება შეეთავაზებინა.

ლიტმანენის ასეთი განცხადების მიუხედავად, მერსისაიდელთა თავკაცს ჟერარ ულიეს ლიტმანენი გასაშვებად არ ემეტება, თუმცა, ორივემ, მწვრთნელმაც და ფეხბურთელმაც, მშვენივრად იციან, რომ ფინელს თამაშის შანსი იშვიათად მიეცემა. სწორედ ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ლიტმანენი "ლივერპულში" თავს კარგად ვერ გრძნობდა. არადა, იმ თითზე ჩამოსათვლელ შემთხვევებში, როცა ის მოედანზე გავიდა, "ლივერპულს" მშვენიერი სამსახური გაუწია. ჟერარ ულიეს ამიტომაც სურს ძალიან მისი გუნდში დატოვება, მაგრამ ისიც იცის, რომ ეს, შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი იქნება.

"ჩემს კლიენტს არ სურს "ლივერპულში" დარჩენა, რადგან არა აქვს გარანტია, რომ ითამაშებს. მისთვის კი ეს აუცილებელია, - განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა ჰარი კამპმანმა, – ასე რომ, მე მისთვის ახალ კლუბს ვეძებ. ჯერჯერობით საქმე იქითკენ მიდის, რომ იარი თავის ძველ კლუბს, ამსტერდამის "აიაქსს" დაუბრუნდება, თუმცა, არც სხვა ვარიანტია გამორიცხული".

სხვა ვარიანტი მართლაც არ არის გამორიცხული. ლიტმანენის გადაბირების სურვილი, "აიაქსის" გარდა, თურქულ "გალათასარაის" და იტალიურ "ინტერსაც" აქვთ.უფრო მეტად თურქები აქტიურობენ, თუმცა, თავად ფინელს დიდად არ ხიბლავს თურქეთში თამაშის პერსპექტივა. ალბათ, არც მოუწევს, რადგან თურქებზე ნაკლებ ანაზღაურებას ფინელს არც ჰოლანდიელები და, მით უმეტეს, არც იტალიელები ჰპირდებიან. ერთი ისაა,რომ "ინტერში" მას, "ლივერპულის" მსგავსად, თამაშის ნაკლები შანსი აქვს. მოკლედ, საუკეთესო ვარიანტი "აიაქსში" დაბრუნებაა. ჰოლანდიელთა სპორტული დირექტორის, ლეო ბენჰაკერის თქმით, ლიტმანენს "აიაქსში" ბრწყინვალე და თავისი კარიერის უმნიშვნელოვანესი წლები აქვს გატარებული და ამიტომ იქ დაბრუნება უნდა ხიბლავდესო. თავად ფეხბურთელი არავითარ კომენტარს არ აკეთებს. ინგლისური საინფორმაციო წყაროების მიხედვით, ყველაფერი მომავალ კვირას, ლიტმანენისა და "აიაქსის" ხელმძღვანელთა შეხვედრისას გაირკვევა.

ცურვა

# მარტო ტორპი რას გახდებოდა?

ბიბა ბურასაშვილი

ცისფერ ბილიკებს ორი აშკარა ფავორიტი ჰყავს – ავსტრალია და ამერიკა. ოზთა და იანკთა ნებისმიერი დაპირისპირება გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალო ასპარეზობა. ოლიმპიური თამაშების ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მწვანე კონტინენტის მოცურავეებმა ერთადერთხელ შეძლეს ამერიკელთა ბატონობის დამხობა და ისიც შინაურ კედლებში – მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელნი რიგ დისციპლინებში ამერიკელებს ჯაბნიან კიდეც. ეს, რაც შეეხება ოლიმპიურ თამაშებს. სხვა დანარჩენ ჩემპიონატებსა თუ ტურნირებში ავსტრალიელები უკეთ გამოიყურებიან. დასტურად შარშანდელი ფუკუოკას (იაპონია) საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატიც შეგვიძლია გავიხსენოთ. ამომავალი მზის ქვეყანაში ავსტრალიის ჰიმნი 13-ჯერ აჟღერდა. ამერიკელებს კი ასეთი პატივი ცხრაჯერ ხვდათ წილად. ოზებს წყნარი ოკეანის თამაშებზეც ჰქონდათ წარმატების მიზეზი. განსაკუთრებულ იმედებს "ოქროს ბიჭზე" - იან ტორპზე ამყარებდნენ. მართალია, ტორპს თანამემამულეთა იმედები არ გაუცრუებია, მაგრამ, ფაქტია, იანკთა შემოტევას მარტო ვერ შეაჩერებდა. ხუთგზის ჩემპიონობის მიუხედავად, ამერიკამ ხელახლა განიმტკიცა პლანეტის უძლიერეს მოცურავეთა ერის სახელი.

წყნარი ოკეანის ექვსდღიან ასპარეზობებში, რომელსაც იოკოჰამა (იაპონია) მასპინძლობდა, ავსტალიელებმა კარგი სტარტი აიღეს. პირველ დღეს მათ ხუთიდან ოთხი ფინალი მოიგეს. მერე და მერე კი ამერიკელები დაწინაურდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია შეჯიბრების ბოლო დღე. ამერიკელები, ვიდრე აუზში გადაეშვებოდნენ, საჩემპიონო ყულაბაში 16 ოქროს ითვლიდნენ. მათი უმთავრესი მეტოქე კი - ცხრას. წინ კიდევ შვიდი ფინალი იყო. თუ ავსტრალიელები შვიდივე გაცურვაში გაიმარჯვებდნენ, მაშინ ამერიკელებს დაეწეოდნენ. თუმცა, მას შემდეგ, რაც ამერიკელი ნატალი ქაუგლინი 100 მეტრზე "თავისუფალში" მეოთხე ოქროს დაეპატრონა, ავსტრალიელებმა ამერიკელებთან გათანაბრების შანსი დაკარგეს. მთლიანობაში კი ამერიკელებმა ასპარეზობის ბოლო დღეს შვიდიდან ხუთი ფინალი მოიგეს.

წყნარი ოკეანის თამაშები ისე გასრულდა, რომ მოცურავეებმა ერთადერთხელ შეძლეს მსოფლიო რეკორდის დამყარება და ისიც შეჯიბრების ბოლო დღეს. 4x100 კომბინირებულ ესტაფეტაში ამერიკელებმა ჩემპიონატი მაჟორული აკორდით დაასრულეს.

აღსანიშნავია, რომ ამ დისციპლინაში ყველა მსოფლიო რეკორდი, ახლანდელის ჩათვლით (12), ამერიკელებს ეკუთვნით. პლანეტის საუკეთესო თორმეტივე შედეგი მათ თავადვე გააუმჯობესეს. ბოლოს კი ასეთი რამ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე შეძლეს (3.33,73).

საწყისი გულაღმა გაცურვისას ამერიკელმა არონ პირსოლმა ხელთ იგდო უპირატესობა. წარმატებით გააგრძელა ესტაფეტა ბრასისტმა ბრენდან ჰანსენმაც. ამ დროისთვის ამერიკელები ავსტრალიელებს 0,39 წამს უგებდნენ. 300 მეტრის შემდეგ მსოფლიო რეკორდის შესაბამის დროს უჩვენებდა წამზომი ბატერფლაიშიც. აქ მაიკლ ფელპსმა იყოჩაღა და, ორი კორპუსით დაწინაურებულმა, თანაგუნდელ ჯეისონ ლეჟაკს გადაულოცა ესტაფეტა. დასკვნით კროლში ლეჟაკს იან ტორპთან მოუწია პაექრობა. მართალია, ავსტრალიელმა ლეჟაკზე სწრაფად გაცურა, შესაბამისად, - 47,20, 48,04, მაგრამ ორი კორპუსით დაწინაურებული ამერიკელის წამოწევა უკვე შეუძლებელი იყო. მსოფლიო რეკორდისთვის წამზომი 3.33,48-ზე შეჩერდა.

ავსტრალია-ამერიკის დარად, ერთმანეთში პირველობას არკვევდნენ ჩინელები და იაპონელებიც, თუმცა, ეს უკანასკნელნი ჩინელებზე ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ. მათ ორი ოქრო მოიპოვეს.

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ | 21 | 16 | 15 |
| ავსტრალია | 11 | 14 | 3 |
| იაპონია | 2 | 4 | 8 |
| კანადა | 0 | 0 | 7 |
| ჩინეთი | 0 | 0 | 1 |



*მაიკლ ფელპსი, არონ პირსოლი და ბრენდან ჰანსენი* REUTERS

კალათბურთი

# ამერიკელები საქმეს სერიოზულად მოეკიდნენ

**ინდიანაპოლისი. მსოფლიო ჩემპიონატი.**

*ჯგუფური ტურნირის პირველი მატჩები.*

**A ჯგუფი**
**იუგოსლავია – ანგოლა 113:63**
**კანადა – ესპანეთი 54:85**
**B ჯგუფი**
**ბრაზილია – ლიბანი 102:73**
**პუერტო-რიკო – თურქეთი 78:75**
**C ჯგუფი**
**აშშ – ალჟირი 110:60**
**ჩინეთი – გერმანია 76:85**
**D ჯგუფი**
**არგენტინა – ვენესუელა 107:72**
**ახალი ზელანდია – რუსეთი 90:81**

ოთხწლიანი ლოდინის დიდი მარათონი დასრულდა და ინდიანაპოლისში, როგორც იქნა, დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში. არენაზე თავი მოიყარა მსოფლიოს 16-მა საუკეთესო გუნდმა, რომელიც ოთხ ოთხგუნდიან ჯგუფად დაიყო. მეორე ეტაპზე თამაშის უფლებას თითო ჯგუფის სამი საუკეთესო ნაკრები მოიპოვებს და ორ ექვსგუნდიან ქვეჯგუფს შექმნის. მათგან კი პლეიოფში თამაშის პატივი თითო ჯგუფის ოთხ იღბლიანს ერგება.

წმინდა სათამაშო დროს ახალი ელექტრონული სისტემა გააკონტროლებს. სხვა სიახლეებთან ერთად, ახალი სისტემა შეიცავს სპეციალურ მიკროფონებს, რომლებსაც მოედნის გარშემო დაამონტაჟებენ. მიკროფონები მხოლოდ მსაჯის სასტვენს დააფიქსირებს და როცა თამაში შეჩერდება, მიკროფონები, სპეციალურ სიხშირეზე, სიგნალს წამმზომს გადასცემენ და დრო ავტომატურად გაჩერდება. ამ სიახლის ავტორები ამტკიცებენ, რომ ახალი სისტემის დანერგვით წმინდა სათამაშო დროს ერთი წუთი დაემატება.

ამას წინათ გაზეთმა "ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა ინტერვიუ ამერიკის ნაკრების მოთამაშეებთან. დალასელი მაიკლ ფინლი და დეტროიტელი ბენ უოლესი აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები უაღრესად სერიოზულად მოეკიდა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს და აპირებს, დაიბრუნოს ოთხი წლის წინათ დაკარგული ტიტული.

ამჟამად მსოფლიო ჩემპიონის რანგში იუგოსლავიის ნაკრებია წარმოდგენილი. ათენის 1998 წლის ჩემპიონატზე ამერიკელებმა მისთვის უჩვეულო ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. საქმე ის არის, რომ ოთხი წლის წინათ, აშშ-ის ნაკრები სტუდენტური ლიგის კლუბებით დაკომპლექტდა. nba-ის ვარსკვლავებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის არ ეცალათ. ისინი კლუბის ხელმძღვანელებთან და ასოციაციის ბოსებთან კოლექტიური შეთანხმების პირობებზე კამათით იყვნენ დაკავებულნი.

ამჯერად მდგომარეობა შეიცვალა. აშშ-ის ნაკრები nba-ის ვარსკვლავებით დაკომპლექტდა. თუმცა, მას ძველებურად "ოცნების გუნდი" არ ეწოდება, ვინაიდან ასოციაციის უძლიერესმა კალათბურთელებმა (შაკილ ო`ნილი, კობი ბრაიანტი, ვინს კარტერი, რეი ალენი, ჯეისონ კიდი) სხვადასხვა მიზეზით ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადეს.

მასპინძელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი ჯორჯ კარლი, რომელიც ამჟამად "მილუოკი ბაქსს" უდგას სათავეში, აცხადებს, რომ უმჯობესია, ნაკრებში ის კალათბურთელები გაისარჯონ, რომლებსაც გულით სურთ თამაში და მედლებისთვის ბრძოლა.

მოკლედ, ასეთი აჟიოტაჟია ამერიკის ნაკრების ირგვლივ. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ ტურში მასპინძლები იოლად გაუსწორდნენ ანგოლის გუნდს. ამავე ჯგუფის მეორე მატჩში საინტერესო შედეგი დაფიქსირდა. ესპანელებმა გაანადგურეს კანადის ნაკრები – 85:54. ეს შედეგი მოულოდნელი იყო, რადგან კანადური კლუბები nba-ის რეგულარულ ჩემპიონატში თამაშობენ და სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ პროფესიონალი კალათბურთელები ერთიორად გააძლიერებდნენ ამ ქვეყნის ნაკრებს, მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა.

სამშაბათს კანადელებმა გაიგეს, რომ თავიანთი ლიდერის, ენდრიუ კვიატკოვსკის გარეშე მოუწევდათ თამაში. ამას დაემატა ცნობა იმის თაობაზე, რომ ნაკრებში nba-ის არც ერთი მოთამაშე არ ითამაშებდა – სტივ ნეშმა, ტოდ მაკკალოხმა და ჯამალ მეგლუარმა სხვადასხვა მიზეზით ტურნირში გამოსვლაზე უარი განაცხადეს.

რაც შეეხება ესპანელებს, მათ შემადგენლობაში თავი გამოიჩინა პოლ გაზოლმა, რომელიც შარშან nba-ის წლის საუკეთესო დებიუტანტად იყო დასახელებული. გაზოლი გუნდს 19 ქულით შეეწია. ამ მატჩში მცველმა ხუან კარლოს ნავარომაც გამოიჩინა თავი. იგი წლევანდელი დრაფტის მეორე წრეში "ვაშინგტონ უიზარდსმა" აირჩია. დანარჩენი შეხვედრებიდან აღსანიშნავია ახალზელანდიელთა და რუსების მატჩი. გაიმარჯვეს ახალზელანდიელებმა – 90:81.



*აშშ – ალჟირი* REUTERS

ფრენბურთი

## დაამტკიცე, რომ ქალი ხარ!

დაახლოებით ამგვარ მოთხოვნას უყენებს ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს. ჩემპიონატი გერმანიაში უნდა გაიმართოს. საქმე ის არის, რომ წინა ჩემპიონატზე უპრეცედენტო ფაქტი მოხდა – ამერიკის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი წევრი აღმოჩნდა... მამაკაცი, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

მსგავსი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ფედერაციამ გადაწყვიტა, სამედიცინო შემოწმება ჩაუტაროს ჩემპიონატის ყველა მონაწილეს, რათა დარწმუნებული იყოს, რომ ქალთა პირველობისთვის მართლაც ქალები იბრძვიან და არა გადაცმული ან ქალად გადაკეთებული მამაკაცები.

Formula 1

## მაიმუნი პილოტად

ფორმულა 1-ის ტექნიკური აღჭურვილობა თანდათან უფრო თანამედროვე და სუპერგამძლე ხდება. სიჩქარის მოყვარულთა სამყაროს მბრძანებელმა იტალიურმა "ფერარიმ" ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ გააოცა მსოფლიო: ამიერიდან მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი რბოლებს ლაზერული ჩაჩქანით გამართავს, რაც მის საოცარ შედეგიანობას, ალბათ, კიდევ უფრო აამაღლებს.

ლაზერული ჩაჩქანი ფორმულა 1-ის მოყვარულთათვის მართლაც რომ დიდი სიურპრიზი გამოდგა. გულშემატკივრებმა და სპეციალისტებმა უკვე აღარ იციან, როგორი შეფასება მისცენ ამ ულტრათანამედროვე საოცრებას.

"გულწრფელად გეტყვით, თუ ფორმულა 1-ის პილოტები ყველა შესაძლებელ ტექნიკურ საშუალებას გამოიყენებენ, მაშინ მაიმუნიც კი შეძლებს შუმახერთან ერთად მსოფლიოს შემოვლას", - განაცხადა "იაგუარის" გუნდის დირექტორმა ნიკი ლაუდამ.

## ყველაზე ლამაზი

ფორმულა 1-ის პილოტები, ჩვეულებრივ მოკვდავებთან შედარებით, ბევრი უპირატესობით სარგებლობენ. აქვთ დიდი ანაზღაურება, არიან საოცრად ცნობილნი, დააქროლებენ უახლესი მოდელის საუცხოო მანქანებს და ჰყავთ ულამაზესი ქალები. გერმანულ "სპორტ 1-"ს აზრად მოუვიდა, გაერკვია, თუ რომელი პილოტის ცხოვრების თანამგზავრი ქალია ყველაზე ლამაზი.

გამოკითხვაში გულშემატკივრებმა ხალისით მიიღეს მონაწილეობა. როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანელი ფანების უმეტესობამ ყველაზე ლამაზად რალფ შუმახერის მეუღლე კორა ბრინკმანი მიიჩნია. მეორე ადგილზე გავიდა დევიდ კულტჰარდის მეგობარი სიმონე აბდელნური, მესამე იყო კიმი რაიკონენის გერლფრენდი ჯენი, მეოთხე ადგილი კი ხუან პაბლო მონტოიას რჩეულმა კონიმ დაიკავა.

## წმენდა "ტოიოტაში"

"ტოიოტას" პრეზიდენტს ოვე ანდერსონს ყელში ამოუვიდა თავისი გუნდის წარუმატებლობა და ქმედითი ღონისძიებების გატარება გადაწყვიტა. ფინელი მიკა სალო და შოტლანდიელი ალან მაკნიში "ტოიოტას" სეზონის დამთავრებისთანავე დატოვებენ.

მაკნიშის კონტრაქტს ისედაც მალე გასდიოდა ვადა და ამ გადაწყვეტილებას არავინ გაუკვირვებია. რაც შეეხება მიკა სალოს, მისი გუნდიდან გაშვება მართლაც დიდი მოულოდნელობა იყო, რადგან ფინელმა მთელი სეზონი სტაბილურად ჩაატარა და ცუდ შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებდა.

ოვე ანდერსონმა ორივე პილოტს მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება მისთვის ადვილი არ იყო. "ტოიოტამ" უკვე შეარჩია ერთი პილოტი მაკნიშის ნაცვლად – ეს გახლავთ ფრანგი ოლივიე პანი, რომელსაც გუნდმა ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

## რეკორდი მოიცდის

ერთადერთი, რაც გასარკვევი დარჩა ფორმულა 1-ის წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე, მეორე და მესამე ადგილოსნების მფლობელთა ვინაობაა, თორემ ჩემპიონი, უკვე კარგა ხანია, გარკვეულია. ჩემპიონატის ვერცხლის მოპოვების შანსი ერთბაშად ოთხ პილოტს აქვს: შუმახრის თანაგუნდელს რუბენს ბარიკელოს, უილიამსელებს რალფ შუმახერს და ხუან პაბლო მონტოიას და "მაკლარენის" პილოტს დევიდ კულჰარდს. იმის გათვალისწინებით, რომ ბარიკელოს შუმახერი უმაგრებს ზურგს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე ადგილზე სწორედ ის გავა. თუმცა, არის ერთი საკითხი, რომლის გამოც ბარიკელომ, შესაძლოა, მეორეობა სხვას დაუთმოს. საქმე ისაა, რომ შუმახერს წლეულს უკვე ცხრა რბოლა აქვს მოგებული, ზუსტად იმდენი, რამდენიც 1993 წელს მოიგო ნაიჯელ მენსელმა და რაც დღემდე რეკორდად ითვლება. ბუნებრივია, დარჩენილ რბოლებში გერმანელ პილოტს ამ შედეგის გაუმჯობესება და ახალი რეკორდის დამყარება შეუძლია. სწორედ ამისი ეშინია ბარიკელოს. მისი თქმით, შუმახერმა უნდა გადადოს რეკორდის დამყარება იქამდე, სანამ თავად ბრაზილიელი მეორე ადგილს არ გაინაღდებს. "გუნდისთვის შუმახერის რეკორდზე მეტად ჩემი მეორე ადგილი ფასობს. ამიტომაც ის პირველ რიგში მე უნდა დამეხმაროს", - განაცხადა ბარიკელომ.

## ფრენტცენი ფორმულას დაუბრუნდა

მას შემდეგ, რაც გაცხადდა, რომ "ეროუზს" ნება დართეს, ფორმულა 1-ის წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე გაეგრძელებინა გამოსვლა, გუნდმა ის პილოტებიც დაასახელა, რომლებიც მისი სახელით იასპარეზებდნენ. ერთ-ერთ მათგანია ენრიკე ბერნოლდი, მეორე კი - ჰაინ-ჰარალდ ფრენტცენი, რომელმაც ცოტა ხნის წინ კლუბიდან წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება.

"ეროუზის" დაბრუნება რბოლებში ამერიკელი მილიარდერის კალ სმიტის დამსახურებაა. სწორედ ის გახლავთ საჯინიბოს ახალი მფლობელი. ამერიკელმა ეს უფლება "ეროუზის" აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენით მიიღო, შემოსული ფულით კი გუნდმა ყველა ვალი დაფარა.

ჩოგბურთი

# უიღბლო ოთხი, რვა და ცხრა

**ნიუ-იორკი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. ვაჟები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 4 774 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია). მეორე წრე.**

ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 1) – ნოამ ოკუნი (ისრაელი) 7:6 (9:7), 6:4, 6:1

დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) – ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 4) 6:3, 6:1, 6:1

ანდრე აგასი (აშშ, 6) – ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:0, 6:1, 6:1

უეინ ფერეირა (სარ) – ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 8) 1:6, 6:7 (11:13), 6:4, 7:5, 6:4

იან-მაიკლ გემბილი (აშშ) – კარლოს მოია (ესპანეთი, 9) 6:3, 6:3, 6:1

როჟე ფედერერი (შვეიცარია, 13) – მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:3, 6:1, 6:3

ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 14) – ჯონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 6:4, 7:6 (7:3), 6:1

იუნეს ელ აინაუი (მაროკო, 20) – იშამ არაზი (მაროკო) 6:3, 6:4, 6:3

გასტონ გაუდიო (არგენტინა, 21) – ფელიჩანო ლოპესი (ესპანეთი) 6:2, 3:6, 6:4, 6:3

მარსელო რიოსი (ჩილე, 22) – რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 3:6, 6:3, 6:3, 6:4

ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 25) – ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:3, 4:6, 6:1, 6:3

ტომი რობრედო (ესპანეთი, 31) – ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 4:6, 6:3, 6:3, 4:6, 6:2

მაქსიმ მირნი (ბელარუსი, 32) – ანტონი დიუპიუი (საფრანგეთი) 6:4, 6:3, 3:6, 6:2

ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) – მერდი ფიში (აშშ) 7:5, 7:6 (7:4), 6:1

**ქალები. შარშანდელი ჩემპიონი ვინუს უილიამსი (აშშ). მეორე წრე.**

ვინუს უილიამსი (აშშ, 2) – ალიშა მოლიკი (ავსტრალია) 6:1, 6:2

ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 3) – თინა პიშნიკი (სლოვაკეთი) 6:4, 6:2

ლინდსეი დევენპორტი (აშშ, 4) – პეტრა მანდულა (უნგრეთი) 6:4, 6:2

მონიკა სელეში (აშშ, 6) – ბარბარა შვარცი (ავსტრია) 1:6, 7:6 (7:5), 6:2

კიმ კლიისტერსი (ბელგია, 7) – მაშონა ვაშინგტონი (აშშ) 6:1, 7:6 (7:1)

მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 9) – ანტონელა სიერა-ძანეტი (იტალია) 6:4, 6:1

ამელი მორესმო (საფრანგეთი, 10) – ქრისტინა ტორენს-ვალერო (ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:2

ჩანდა რუბინი (აშშ, 14) – ანკა ბარნა (გერმანია) 6:4, 6:1

მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 16) – ემილი ლუა (საფრანგეთი) 4:6, 6:3, 7:5

ამანდა კეტცერი (სარ) – ანა სმაშნოვა (ისრაელი, 17) 6:2, 6:4

ემი ფრეიზერი (აშშ) – აი სუგიამა (იაპონია, 18) 6:4, 6:2

ლაიზა რეიმონდი (აშშ, 21) – მირიამ კაზანოვა (შვეიცარია) 6:4, 6:2

ტატიანა პანოვა (რუსეთი, 22) – ფაბიოლა ზულუაგა (კოლუმბია) 5:7, 7:5, 6:4

პეტი შნაიდერი (შვეიცარია, 23) – მარტინა სუხა (სლოვაკეთი) 6:3, 6:3

მარტინა მიულერი (გერმანია) – ბარბარა შეტი (ავსტრია, 29) 5:7, 6:2, 7:5

მეგანი შონესი (აშშ, 30) – კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:3, 6:2

იუ იონგ ჰო (ს. კორეა) – პაოლა სუარესი (არგენტინა, 32) 6:4, 6:4

ვერა ზვონარევა (რუსეთი) – ჰენრიეტა ნადიოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:0

მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) – როსანა ნეფა-დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 3:6, 6:2, 6:2.

ამერიკის ღია პირველობა უიღბლო გამოდგა ტურნირის სამი განთესილისთვის: რუსი ევგენი კაფელნიკოვი და ესპანელები – ალბერტ კოსტა და კარლოს მოია სამშობლოში გაემგზავრნენ. თუმცა, ყველაზე დიდი მოულოდნელობა სლოვაკი დომინიკ ჰრბატისგან ევგენი კაფელნიკოვის ძლევა იყო. რუსმა მეოთხე ნომერმა, მეტოქეს არათუ ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია, არამედ ხეირიანადაც ვერ ითამაშა. ვერავინ გაიგო, როგორ მოხდა, რომ ტურნირის მეოთხე ნომერმა ხუთი გეიმის მეტი ვერ აართვა კლასით დაბალ საფეხურზე მდგომ მოწინააღმდეგეს. თამაშის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ კაფელნიკოვი ვერაფერს გააწყობდა ჰრბატის წინააღმდეგ.

ასეთ უსახურ გამოსვლას რუსეთშიც მწვავე რეაქცია მოყვა და სპეციალისტები უკვე ალაპარაკდნენ კაფელნიკოვის სპორტული კარიერის დასასრულზე, მის ასაკსა და იმაზე, ითამაშოს, თუ არა მან დევისის თასზე ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ამ კითხვებზე სკეპტიკოსებს სრულიად რუსეთის ჩოგბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა შამილ ტარპიშევმა უპასუხა.

"დარწმუნებული ვარ, წარუმატებლობის მიუხედავად, ევგენი შეძლებს სპორტული ფორმის აღდგენას და დევისის თასის ნახევარფინალისთვის არგენტინელების წინააღმდეგ სრულ მზადყოფნაში იქნება. კაფელნიკოვს ასეთი საქციელი ახასიათებს, – ამბობს ტარპიშევი, – სათასო შეხვედრების რამდენიმეწლიანი ისტორიის განმავლობაში კაფელნიკოვმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ გადამწყვეტ ფაზაში სრული მობილიზაციის უნარი აქვს და გუნდს ნამდვილ ლიდერად ევლინება. ჩემი სიტყვების დასტურად სამი წლის წინანდელი მატჩის გახსენებაც კმარა, როცა იმავე ჰრბატის წინააღმდეგ, უაღრესად პრინციპულ შეხვედრაში, კაფელნიკოვმა რუსეთის ნაკრებს მეტად საჭირო ქულა შესძინა, მიუხედავად იმისა, რომ პირად შეხვედრებში მას უარყოფითი ბალანსი აქვს. მთავარია, ჟენია სწრაფად გადმოვიდეს ჩვენი გუნდის განკარგულებაში, სადაც მას საჭირო კონდიციებში ჩავსვამთ".

რაც შეეხება ესპანელებს, კარლოს მოიამ, კაფელნიკოვის მსგავსად, იოლად წააგო, ხოლო ალბერტ კოსტამ უაღრესად დრამატულ ბრძოლაში გზა დაუთმო სამხრეთაფრიკელ უეინ ფერეირას.

# MTV 2002 დაჯილდოების ცერემონიალი

B2



შაკირა



ენრიკე იგლესიასი და ანა კურნიკოვა

# იქცევა თუ არა „იურული პარკი" რეალობად

თამარ სუხიშვილი

სტივენ სპილბერგის ცნობილი ფილმი "იურული პარკი" მეცნიერებისთვის ერთგვარ სტიმულად იქცა. თუმცა, კლონირებისა და გენური ინჟინერიის სფეროში მომუშავე მკვლევარებს გადაშენებულ ცხოველთა დედამიწაზე დაბრუნების იდეა უკვე დიდი ხანია აკვიატებული ჰქონდათ. გიგანტური ცხოველებიდან მათი არჩევანი მამონტზე შეჩერდა. მამონტების პოპულაცია ჯერ კიდევ 3700 წლის წინ (ეს ის პერიოდია, როცა პოპულაციამ გადაგვარება იწყო) მრავალრიცხოვანი იყო, ამიტომ თეორიულად მამონტის ნაშთების მოძიება უფრო ადვილია, ვიდრე ხმალკბილა ვეფხვის ან გრძელბეწვიანი მარტორქისა, თუმცა ისინი მამონტების გადაშენების შემდეგ კიდევ დიდხანს ცხოვრობდნენ.

ამას გარდა, მკვლევარები ვარაუდობენ, რომ არქტიკული კლიმატის წყალობით (ჩრდილოეთ ციმბირში ხომ უკვე 10 ათასი წელია ძლიერი ყინვაა) ე.წ. გენეტიკური მასალა "არ დაზიანებულა". ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გენურ რეკონსტრუქციას.

თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ბოლოდროინდელმა აღმოჩენებმა დაამტკიცა, რომ პრაქტიკულად კლონირებისათვის საჭირო გენეტიკური მასალის მოპოვება საკმაოდ რთულია. ამიტომაც სპეციალისტების უმრავლესობა მამონტის კლონირების იდეას სარკაზმით უყურებს. ბიოლოგი როს მაკფი, გამყინვარების პერიოდის ფაუნის ექსპერტი და აშშ-ის ნაციონალური ისტორიული მუზეუმის განყოფილების გამგე ამბობს, რომ ეს იდეა სულელური ფანტაზიის ნაყოფია.

მამონტების პოპულაციის აღორძინების იდეის მომხრეები თავისას მაინც არ იშლიან. როგორც იქნა, პირველი ნაბიჯებიც გადადგეს. გაზეთ "სკოტსმენის" ცნობით, სულ ახლახან რუს და იაპონელ მეცნიერთა ჯგუფი გათხრების ჩასატარებლად იაკუტიაში ჩავიდა. მეცნიერთა მიზანია გადაგვარებულ ცხოველთა ნაშთების მოძიება, რასაც შემდგომ კლონირებისთვის გამოიყენებენ.

ეს ამბიციური პროექტის მხოლოდ პირველი ეტაპია. პროექტის საბოლოო მიზანი ციმბირში გიგანტური ზოოლოგიური პარკის შექმნაა, სადაც ის ცხოველები იცხოვრებენ, რომელთა მოდგმა თავის დროზე აღიგავა პირისაგან მიწისა.

პროექტის ერთ-ერთი კოორდინატორი, 72 წლის იაპონელი პროფესორი აკირა ირიტანი საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი. ის ფიქრობს, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება სავსებით შესაძლებელია. პარკში აღდგება სათანადო ეკოსისტემაც, რასაც ხელს შეუწყობს გამყინვარების პერიოდიდან შემონახულ მცენარეთა ზოგიერთი სახეობის არსებობა. რა თქმა უნდა, ამას წლები დასჭირდება, მაგრამ იაპონელი მეცნიერი ფიქრობს, რომ ამ პარკს ადამიანებიც მოინახულებენ და პროექტში მონაწილე პირები უკვე სერიოზულად მსჯელობენ იმაზე, თუ როგორი ინფრასტრუქტურა უნდა შეიქმნას ციმბირის სუსხიან ზამთარში ტურისტების მისაღებად.

ექსპედიციის უპირველესი მიზანია, იპოვონ კლონირებისათვის აუცილებელი დნმ (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა), რომელიც გამქრალი ცხოველის მონათესავე ცხოველის უჯრედში უნდა გადაინერგოს. ამისათვის ყველაზე კარგი იქნებოდა გაყინული სპერმის გამოყენება, მაგრამ სპერმის აღმოჩენის ალბათობა თითქმის არ არსებობს. მეცნიერებმა უნდა იპოვონ იმ ცხოველის სხეული, რომელიც სიკვდილისთანავე გაიყინა და მთელი ამ პერიოდის მანძილზე 25-30 გრადუსი ცელსიუსის ტემპერატურაზე ინახებოდა. ეს კი საკმაოდ რთულ, თითქმის შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენს.

10 ოპტიმისტი სპეციალისტისგან შემდგარი ჯგუფი უკვე გაემგზავრა იმ რეგიონში, სადაც პრეისტორიული ცხოველების სასაფლაო აღმოჩნდა. მეცნიერები ტუნდრაში უნიკალური სახეობების - ციმბირული ვეფხვის, სტეპის ლომის, გიგანტური ირმის, მამონტებისა და გრძელბეწვიანი მარტორქების დნმ-ს პოვნას ვარაუდობენ.

ასე რომ, ექსპედიცია ოპტიმისტურად არის განწყობილი, მის წევრებს იმედი აქვთ, რომ გადაშენებული ცხოველების ძვლებთან ერთად სხეულის ნაშთებსაც იპოვიან. თუმცა, ჯერჯერობით ისინი მხოლოდ ფანტაზიორობენ.

"როცა ბოლოს რუსეთში ჩავედი, ჩემმა კოლეგებმა დამათვალიერებინეს ადგილი, სადაც პლეისტოცენური პერიოდის პარკი უნდა გაშენდეს. ბალახის ხარისხი მშვენირი იქნება მამონტებისათვის", - ამბობს ხანდაზმული იაპონელი მეცნიერი.

მთელ რიგ მეცნიერებს ეს ახირება სასაცილოდაც არ ჰყოფნით. ცნობილი მკვლევარი ალექს გრინვუდი, რომელიც მოლეკულური ბიოლოგიის დარგში მუშაობს და გამყინვარების პერიოდის სახეობების გადაშენების მიზეზებს იკვლევს, ამბობს, რომ ამ იდეის განხორციელება შეუძლებელია, რადგანაც უჯრედი და დნმ თვით ყველაზე ხელსაყრელი ტემპერატურის პირობებშიც კი არ ინარჩუნებს ერთნაირ მდგომარეობას და ორგანიზმის კვდომის შემდეგ მალევე იშლება.

მართალია, თავის დროზე რუსი მეცნიერი ალექსეი ტიხონოვი, რომელიც 1977 წელს აღმოჩენილი პატარა მამონტის, სახელად დიმას სხეულის შენარჩუნებას ცდილობდა, ამტკიცებდა, რომ ამის გაკეთება შესაძლებელია, მაგრამ ციმბირის პირობები ხომ ძალიან შორს დგას ლაბორატორიული პირობებისაგან.

გენური ინჟინრები ამტკიცებენ, რომ "რეანიმაციის პროცესის" გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი მიწყნარდება ისევე, როგორც ეს მოხდა ბიოტექნოლოგიაში პირველი წარმატებული ექსპერიმენტის შემდეგ, როცა ერთი სახეობის მცენარის გენი სახეობის გაუმჯობესების მიზნით მეორე სახეობის მცენარეს გადაუნერგეს.

"იურულ პარკში" მამონტების რეკონსტრუქციაში სპილოები მონაწილეობენ. ჯერ ცნობილი არაა, რა მოხდება (თუკი მოხდა) სინამდვილეში, გამოიყენებენ თუ არა სპილოს გენს მამონტების კლონირებისათვის.

კლონირების იდეის მომხრეებს ძალიან ბევრი საკითხის გარკვევა მოუწევთ, მაგალითად, ვირუსული დაავადებებისა და სხვადასხვა ინფექციის პრობლემა, რაც ასეული წლების შემდეგაც კი შეიძლება საზიანო იყოს ცხოველთა სამყაროსათვის, განსაკუთრებით სპილოებისათვის. ამ პრობლემის გადაჭრა განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს, რადგანაც არც ბიოლოგებს და არც არქეოლოგებს არა აქვთ პასუხი კითხვაზე, რა იყო მამონტების გადაშენების მიზეზი.

ბუნებრივია, ფილმში ყველა პრობლემა მარტივად გადაწყდა. სპილბერგს არც იმაზე უფიქრია, როგორ გააკონტროლებენ მამონტების გამრავლებას, ხომ არ დააზიანებს ეს ექსპერიმენტი ციმბირის ეკოსისტემას, რითი უნდა გამოკვებონ უზარმაზარი ცხოველები, ან ხომ არ გაჩნდებიან მამონტებზე მონადირე ბრაკონიერები.

რამდენიმე წლის წინ იაპონელმა მეცნიერებმა უკვე განიცადეს კრახი. ისინი მამონტების კლონირებას გრძელბეწვიანი ძუძუმწოვრის უჯრედის საფუძველზე აპირებდნენ და მთელი სერიოზულობით ემზადებოდნენ ამ ექსპერიმენტისთვის. მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ეს უჯრედი მამონტის კი არა, მარტორქის წინაპარს ეკუთვნოდა.

ისე კი, როგორც მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რაც არ უნდა მიმზიდველი იყოს პოპულაციის რეანიმაციის იდეა, ეს ევოლუციის კანონებს ეწინააღდეგება.





## TV პროგრამა 31 აგვისტო

### რუსთავი - 2

- 08.00 მუსიკა
- 09.00 კურიერი
- 10.00 პოლტერგეისტი
- 11.00 მულტსერიალი
- 12.30 სერიალი "ნიკიტა"
- 13.30 მხ.ფილმი
- 15.20 სიმფსონები
- 16.00 მხ. ფილმი
- 18.00, 00.00 კურიერი
- 18.20 რუსული ფილმი
- 20.00 ჯეოპოპი 21.00 კურიერი PS
- 22.00 ფსიქო. მხ.ფ. "შემოდგომის ზღაპარი"
- 00.15 მხ.ფ. "დიანა"
- 02.00 ღამის ჯაზი

### პირველი არხი

- 08.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე
- 08.10 მულტსერიალი "წყალქვეშა სამეფოს ასული"
- 09.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა"
- 10.00 "მხიარული კარუსელი"
- 10.30 დოკ. ფილმი "მეხუთე განზომილება"
- 11.00 სატ. სპექტაკლი "ნოველა სიყვარულზე"
- 12.25 "საწინდარი"
- 12.55 "ენა დედაა ერისა"
- 13.15 "კვალი"
- 13.40 დოკ. ფილმი "შარლ ტრენიე"
- 15.15 მხ.ფ. "ბოდიში, თქვენ ბელით სიკვდილი"
- 16.35 "ზუმი"
- 16.55 გოგი თოდაძის თეატრ-სტუდია წარმოგიდგენთ
- 17.15 დოკ. სერიალი "მშვიდობით, მე-20 საუკუნევ!"
- 18.10 "მუსიკალური ოქტაგონი"
- 19.00 "ვესტნიკი"
- 19.40 "დროშა"
- 20.25 "ქიმერიონი"
- 21.10 "მღერიან და ხუმრობენ"
- 23.10 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
- 23.30 "მეალომანია"
- 00.15 მხ. ფილმი "მამაცი"

### მეორე არხი

- 19.00 იყო და არა იყო რა
- 19.30 მხ. ფილმი "აკრძალული სიყვარული"
- 21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
- 22.00 მხ. ფილმი "გარპის სამყარო"

### ევრიკა

- 10.00 მხ. ფილმი "ოპერაცია "სპილო"
- 12.00 პროგრამა "სალონი"
- 13.30 ექიმი გვირჩევს
- 14.30 მუსიკა
- 15.00, 21.00 ვესტი
- 15.30 მულტფილმი "პრინცესა მონოკოკე"
- 17.30 თქვენი ადვოკატი
- 18.30 მულტფილმი
- 19.30 ცეროდენა ვარსკვლავები
- 20.00 თინეიჯერი
- 21.25 Зеркало
- 22.00 "გამარჯობა"
- 22.40 თეატრალური შეხვედრები
- 23.40 მსოფლიო სპორტი
- 00.40 მხ. ფილმი "მეორე კანი"

### იბერია

- 08.00 ანონსი, მულტფილმი
- 08.15 აღსავალი
- 08.20, 10.15, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
- 08.30 მხ.ფ. "ხვალინდელი დღე არასოდეს მოკვდება"
- 10.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
- 10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
- 10.50 მხ. ფილმი "არსება"
- 13.10, 17.30 მულტფილმი
- 18.00 დოკუმენტური ფილმი
- 19.30 ჩანახატი
- 20.00 მხ.ფ. "ზორტს მიღმა"
- 22.30 მხ. ფილმი "ქალაქებიდან შორს"
- 00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

- 07.30 "ცხოვრება სიტყვაში"
- 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
- 12.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
- 14.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
- 15.30 მხ. ფილმი
- 17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "გზაჯვარედინები"
- 19.00 ქართული მუსიკა
- 19.30 ვიდეო-რადიო
- 21.00 ქართული ათეული
- 23.00 მუსიკა
- 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "მწვრთნელი" მთ. როლში მაიკლ ბასეტი
- 01.50 "ღამურა" მხ.ფ. "უხამსი საქციელი".
- 03.20 ნონ-სტოპი

### კავკასია

- 12.00 მხ. ფილმი "პირადი მცველი"
- 14.10 მხ. ფილმი "მონადირე"
- 17.10 მხ. ფილმი "შფოთის თავები 2"
- 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
- 19.15 მულტფილმი
- 21.00 მხ. ფილმი "შემართულად"
- 22.30 მხ.ფ. "ლამაზმანი"
- 00.20 მხ.ფ. "პიანინო"

### მეცხრე არხი

- 09.00, 14.30, 17.30, 20.30, "დღის ამბები"
- 09.20 ლიმონი და ლიმონათი
- 09.35 მულტფილმი "შეჰრაზადი" 39-ე სერია
- 10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა"
- 11.20 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო", 39-ე სერია
- 11.45, 17.20, 21.10, 21.45, 00.20 მუსიკა
- 11.55 მხ.ფ. "თავგადასავლების მაძიებლები".
- 13.35 დისქავერი
- 14.00 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
- 14.45 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
- 16.20 დოკ. ფილმი "ცხოველთა სამყაროს კურიოზები"
- 17.45 დოკ. ფილმი "ფრანგული კინო_50/50"
- 18.40 მხ. ფილმი "ყინულის დედოფალი".
- 20.00 ევროპის სტადიონებზე
- 21.20 მულტფილმი "მეომარი ბაყაყები"
- 21.50 მხ. ფილმი "საძინებელ ოთახში".
- 00.40 მხ.ფ. "აფიორა".

### აჭარის ტელევიზია

- 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
- 09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ნოე"
- 11.10 "ექსკლუზივი"
- 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
- 12.15 კომედია "ფული წყვეტს ყველაფერს"
- 13.45 დრამა "შინდლერის სია", 1 სერია
- 16.15 მულტფილმი "პორკი პიგი"
- 17.00 ვესტერნი "შესანიშნავი შვიდეული"
- 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
- 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
- 19.30 "პრესდაიჯესტი"
- 19.40 კომედია "რომი და მიშელი კურსდამთავრებულთა შეხვედრაზე"
- 21.10 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ბურთი და მოედანი"
- 22.50 Слово
- 23.20 დოკუმენტური ფილმი
- 00.50 დრამა "შინდლერის სია", 2 სერია
- 02.10 დოკუმენტური ფილმი
- 03.30 ისტორიული ფილმი "სისხლი და ხორცი"

### VII არხი

- 18.00, 22.00,02.00 ანონსი
- 18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
- 18.15 "მელოდია"
- 18.25 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
- 19.45 "აჩიკუდა"
- 19.55 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით
- 20.25 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
- 21.00 "ღამის კაპრიზი"
- 22.10 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
- 22.45 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
- 23.20 "კინოკლუბი" - "მაღალი ქერა შავფეხსაცმლიანი მამაკაცი".
- 00.35 პრესის მიმოხილვა
- 00.45 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
- 01.20 "მელოდია"
- 02.00 პრესის მიმოხილვა.

### OPT

- 07.35 "Тайна двух океанов". 1-я серия.
- 09.00, 11.00, 15.00 Новости.
- 09.10 Играй, гармонь любимая!
- 09.50 Слово пастыря.
- 10.05 Детектив Агаты Кристи "ЗАБЫТОЕ УБИЙСТВО". Часть 1-я.
- 11.10 Смехопанорама Евгения Петросяна.
- 11.45 Смак.
- 12.05 Фильм "НЕЗНАКОМЫЙ НАСЛЕДНИК".
- 13.45 "Серебряный шар"
- 14.30 Дисней-клуб: "Утиные истории".
- 15.10 "Дикая охота - 2". Фильм Павла Шеремета.
- 15.55 Сериал "БЕГЛЕЦ".
- 16.50 "Ералаш".
- 17.00 "Знатоки" возвращаются. в детективе "ПОДПАСОК С ОГУРЦОМ". Дело N 14. 1-я серия.
- 19.00 Вечерние новости.
- 19.15 "Шутка за шуткой".
- 19.45 Комедия "КАК УКРАСТЬ МИЛЛИОН".
- 22.00 Время.
- 22.30 Хью Грант и Энди МакДауэлл в комедии "ЧЕТЫРЕ СВАДЬБЫ И ОДНИ ПОХОРОНЫ".
- 00.45 Роберт Де Ниро в триллере Мартина Скорсезе "МЫС СТРАХА".
- 03.10 Реальная музыка.

### PTP

- 07.45 Георгий Вицин, Марк Бернес в комедии "ЗАПАСНОЙ ИГРОК".
- 09.05 "Здоровье и жизнь".
- 09.35 "Золотой ключ".
- 10.00 "Военная программа" Александра Сладкова.
- 10.20 "Наука и техника".
- 11.20 "Сам себе режиссер".
- 11.20 "Сто к одному".
- 13.15 Валерий Гаркалин, Наталья Крачковская в комедии "ЛИФТ УХОДИТ ПО РАСПИСАНИЮ".
- 14.40 "ХА". Маленькие комедии.
- 15.00, 21.00 ВЕСТИ.
- 15.20 Екатерина Савинова и Анатолий Папанов в комедии "ПРИХОДИТЕ ЗАВТРА".
- 17.00 Футбол. Чемпионат России. "СПАРТАК" (Москва) - "САТУРН - REN-TV" Прямая трансляция
- 19.00 "Моя семья".
- 19.55 "Аншлаг".
- 21.25 Том Круз, Вэл Килмер и Мэг Райан в фильме "ТОП ГАН (ЛУЧШИЙ СТРЕЛОК)".
- 23.35 Ник Кэмпбелл, Кортни Кокс в остросюжетном фильме "КРИК - 2".
- 2.00 Чемпионат мира по автогонкам в классе "Формула-1".

### НТВ

- 07.50 Анонс дня.
- 07.50 Детское утро на НТВ.
- 09.00 Сегодня.
- 09.10 "ДАМЫ ПРИГЛАШАЮТ КАВАЛЕРОВ".
- 10.25 "Без рецепта". Доктор Бранд.
- 11.00 Сегодня.
- 11.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
- 12.25 "Квартирный вопрос". "Двушкины хоромы".
- 13.00 Сегодня.
- 13.30 Путешествия натуралиста.
- 14.05 "СУВЕНИР ДЛЯ ПРОКУРОРА".
- 15.50 Вкусные истории.
- 16.05 Своя игра.
- 17.00 Сегодня.
- 17.30 "Неизвестная планета".
- 18.25 "Женский взгляд" Оксаны Пушкиной.
- 18.00 "Шоу Елены Степаненко"
- 20.00 Сегодня.
- 21.35 "ОХОТА НА ЗОЛУШКУ"
- 22.40 "ВО ИМЯ СПРАВЕДЛИВОСТИ"
- 23.30 Профессиональный бокс.
- 00.20 - 02.40 "ДЕСЯТКА" (США).

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფორმაციებმა"

# ტაბაკოვმა თეატრი გადაარჩინა

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა სიტუაციაში აღმოჩნდებოდნენ მსახიობები, მათთვის დასვენების სეზონზე დამსახურებული ხელფასი რომ არ მიეცათ. იმისათვის, რომ თანამშრომლებს ზაფხულში მშვიდად დასვენების საშუალება ჰქონოდათ, ოლეგ ტაბაკოვს პირადი ფონდიდან შემნახველ სალაროში საკუთარი ვექსილების ჩადება მოუწია. ამ გზით მან თეატრში ხელფასები ბოლომდე გასცა.

"ზოგიერთები ფულებს ყულაბაში ინახავენ, მე კი - ვექსილებში,"- განაცხადა მსახიობმა და მატროსკინას როლიდან ერთ-ერთი ეპიზოდი გაიხსენა: – "Экономить буду!"

თავად ტაბაკოვმა ზაფხული მუშაობაში გაატარა, მან ამერიკელი სტუდენტები სამსახიობო ხელოვნებას აზიარა. ამასათან ერთად, MXAT-ის საქმე გარკვეულწილად მოგვარდა. მაყურებელმა ბოლო დროს თეატრი შეიყვარა და დააფასა. რეპერტუარიც საინტერესო გახდა. განახალებულ სეზონზე 12-მდე პროექტის რეალიზება იგეგმება.

თეატრში სეზონი 2 სექტემბერს გაიხსნება. უკვე 4 სექტემბერს კი პრემიერა გაიმართება – "ჰამლეტი ცხარე სანელებლებით". სპექტაკლში მონაწილეობენ იგორ უგოლნიკოვი და ალექსანდრე სემჩევი.

MXAT-ის მაყურებელი ახალ სეზონზე კიდევ ბევრ პრემიერას იხილავს.

# კამბოჯაში ოქროს ბუდას ქანდაკებები აღმოაჩინეს

კამბოჯაში, ჯუნგლების ტერიტორიაზე, ბუდის მინიატურულ ქანდაკებებს მიაკვლიეს. მცირე ზომის ფიგურათა დიდი ნაწილი – 27 ქანდაკება სუფთა ოქროსგანაა დამზადებული, სამი ფიგურა ვერცხლისაა, ერთიც – ბრინჯაოსი. თითოეული მათგანი 10 სანტიმეტრი სიმაღლისაა და დაახლოებით ნახევარ კილოს იწონის.

უკვე დაწყებულია ძველი ტაძრის აღდგენა-განახლების სამუშაოები, რომელიც სწორედ იმ ტერიტორიაზე იყო აგებული, სადაც ქანდაკებები იპოვეს. ეს ტაძარი მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, ტოტალური რელიგიური ტერორის პერიოდში, დაინგრა და მას შემდეგ დაკეტილი იყო. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ახალაღმოჩენილი ფიგურები ამ ტაძრის კუთვნილება იყო, ისინი მიწაში დაახლოებით ასი წლის წინ ჩამარხეს მაშინ, როცა ტაძარი ჯერ კიდევ თავის ფუნქციას ასრულებდა. თუ რა იყო ბუდების გადამალვის მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

ამჯერად ტაძრის გარშემო აღმოჩენილი საგანძურის მძარცველებისაგან დასაცავად უკვე განლაგებულია პოლიციის კორდონი. თავიდან ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბუდების ფიგურების ქალაქში გადატანა მოისურვეს, მაგრამ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სასტიკი პროტესტი გამოთქვეს და ნაპოვნი ქანდაკებები ჯუნგლებში დარჩა. ადგილობრივი რელიგიის მსახურები ამ აღმოჩენამ ისე გაახარა, რომ იქვე გამართეს იმპროვიზირებული რელიგიური ფესტივალი და სახალხო სეირნობა. ეს დღესასწაული კამბოჯის ჯუნგლებში სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

ასეთი აღმოჩენა კამბოჯას არ ახსოვს. კამბოჯელები ფიქრობენ, რომ ჯუნგლებში კიდევ ბევრი საიდუმლო იმალება.

OTO FOOX
& GLOBAL VENTURES (USA)

ოტო ფუქსისა და გლობალ ვენჩერსის (აშშ)

საერთაშორისო განათლების პროგრამა გთავაზობთ

ინგლისური ენის

შესწავლას შემდგომი სტაჟირებით

ამერიკასა და ინგლისში

რუსთაველის 36
ტელ: 99-72-04

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

# გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!



ლევან ხერხეულიძის ფოტო


რა იქნება ახალი ახალ სასწავლო წელს 2

გაყიდის თუ არა მამილო კარლო საორსექტემბროდ ქურთუკს? 3

როგორ გავაიაფოთ სახელმძღვანელოები? 5

როდემდე იქნება მოსკოვი ჩვე-ნი დედაქალაქი და ალიევი - ჩვენი პრეზიდენტი?! 5

რამ გადაგვაჩვია ბიბლიოთეკას 7

სიტყვა დროსა და სივრცეში არსებობს 7

წიგნთან ომი თუ მშვიდობა 15

სასკოლო სახელმძღვანელოები - რა? სად? რამდენად? 8-9

გრიფები და სახელმძღვანელოები 16

# რა იქნება ახალი ახალ სასწავლო წელს

ეკატერინე ბახუტაშვილი



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

### სასკოლო გრანტი

განათლების მუშაკთა პროფესიული განვითარების კომპონენტის ხელმძღვანელის მარინა ჟვანიას განცხადებით, "განათლების გარდაქმნისა და განმტკიცების" პროექტის ფარგლებში, კონკურსში მონაწილე 750 სკოლიდან 210 მიიღებს 1000 დოლარის ოდენობის გრანტს. საგრანტო პროგრამაში გამარჯვებულები 26 აგვისტოს გამოვლინდა. თანხების გაცემა კი დეკემბრიდან დაიწყება.

### გაცვეთილი ტაბულები, დამტვრეული გლობუსი და სხვ. ...

"განათლების გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის" ფარგლებში, ოქტომბერში საგამოფენო კომპლექსში – "ექსპოჯორჯია", სასწავლო თვალსაჩინოებები გამოიფინება. ექსპოზიციის დასათვალიერებლად და თვალსაჩინოების შესარჩევად სამინისტრო ყველა სკოლის 2 წარმომადგენელს იწვევს. მოსწავლეთა კონტიგენტის რაოდენობის გათვალისწინებით თითოეული სკოლა 200-1500 დოლარამდე თანხის თვალსაჩინოებებს მიიღებს და გაღარიბებულ მარაგს შეავსებს.

### ხელფასი ახალი და ძველი...

თბილისის განათლების განყოფილების გამგის ედიშერ მაჩაიძის განცხადებით დედაქალაქის მასწავლებლების ხელფასი სექტემბრიდან 30%-ით გაიზრდება. სამინისტროს დაპირებით, ახალ სასწავლო წელს ქვეყნის მასშტაბით არსებული ძველი სახელფასო დავალიანებები დაიფარება – განათლების მინისტრის მოადგილის, გორგილაძის თქმით, სასწავლო წლის დასაწყისში დაზუსტდება, პედაგოგთა დავალიანების რა ნაწილის დაფარვას შეძლებს სახელმწიფო.

### პენსია

სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში განათლების სამინისტრო მსოფლიო ბანკთან ერთად პენსიაზე გასული პედაგოგების უზრუნველყოფის პროექტს ამუშავებს. ამ საკითხზე კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციასთან ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და პასუხი დადებითია: "საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტისათვის" გამოყოფილი პირველი ტრანშიდან შესაძლებელია საბიუჯეტო სექტორიდან პენსიაზე გასული პედაგოგების სოციალური უზრუნველყოფა. განათლების სამინისტროს სურვილია, პენსიაზე გასვლის შემთხვევაში პედაგოგს 14 ლარიან პენსიაზე მეტი ჰქონდეს – განათლების მინისტრის მოადგილის, რუსუდან გორგილაძის განცხადებით, ეს პროექტი ჯერ არ დასრულებულა. "საქართველოში მასწავლებლების მიმართ პატივისცემა ფინანსურადაც უნდა გამოიხატებოდეს", – დასძინა გორგილაძემ.

### სახელმძღვანელოები და ისევ სახელმძღვანელოები

1999 წლის მარტიდან სახელმძღვანელოების კონკურსით შერჩევა "ფონდ ღია საზოგადოება – საქართველოს" ფინანსური დახმარებით ხორციელდება და 2002 წლის ბოლომდე გასტანს. შემდეგ ეს პროცესი მსოფლიო ბანკის ზემოთ აღნიშნული პროექტით გაგრძელდება("ექსპოჯორჯია"). დღეისათვის უკვე გამარჯვებული 28 სახელმძღვანელო გამოვლინდა, მათგან 12 – წელს. კონკურსის ორგანიზება განათლების სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შემდგარ კომისიას ევალება, რომელშიც 7 წევრია. თითოეულ სახელმძღვანელოს 5 დარგობრივი ექსპერტი განიხილავს. სახელმძღვანელოების შერჩევის კრიტერიუმებს საგნის ექსპერტები ადგენენ. საქართველოში კონკურსს, სახელმძღვანელოსთან ერთად, მასწავლებლის წიგნიც გადის, რომელიც კონკრეტულ მეთოდურ მითითებებს იძლევა.

### ექსპერიმენტი "გაქირავება"

სახელმწიფო სახელმძღვანელოებით ვერც პირველკლასელებს, ვერც მაღალმთიან რაიონებისა და ვერც დევნილ მოსწავლეებს ვერ უზრუნველყოფს.

წელს გრძელდება სახელმძღვანელოების გაქირავების ოთხწლიანი ექსპერიმენტი, რომელიც შარშან 33 სკოლაში დაინერგა. ყოველ წელს სახელმძღვანელოს ქირაობისათვის მშობელი სახელმძღვანელოს ღირებულების 25%–ს იხდის. წიგნები 4 წლის განმავლობაში სასკოლო ბიბლიოთეკებში რჩება, შემდეგ ახლით იცვლება. განათლების მინისტრის მოადგილის გორგილაძის თქმით, ეს პროცესი მოსწავლეებში სამოქალაქო აღზრდის განვითარებასაც უწყობს ხელს. სახელმძღვანელოთა გაქირავებიდან მიღებული თანხები სამინისტროს სპეცანგარიშზე აკუმულირდება და ოთხი წლის შემდეგ უბრუნდება სკოლას ახალი სახელმძღვანელოების სახით. ექსპერიმენტი წარმატებით ხორციელდება, გასულ წელს სახელმძღვანელოების გაქირავებიდან ამოღებულმა თანხამ 100% შეადგინა, ანუ სახელმძღვანელოების შესაძენად გაწეული თანხის 25%; "მშობლისთვის მეოთხედი თანხის გადახდა ბევრად იოლია, კარგი იქნება, თუ ექსპერიმენტი მეტ სკოლას მოიცავს", – განაცხადა აფხაზეთის განათლების მინისტრის მოადგილემ, ვახტანგ გასვიანმა. ექსპერიმენტი ზუგდიდში, დევნილთა ერთ–ერთ სკოლაშიც მიმდინარეობს.

### რა "ექსპერიმენტები" განხორციელდება აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაზე?!

პასუხი ერთია – გაგრძელდება ძველი ექსპერიმენტი – "უმოქმედობის"!

აფხაზეთის განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობა 38-40 ათასამდე მოსწავლესა და რამდენიმე ათეულ სკოლაზე ვრცელდება. აქედან გეოგრაფიულად აფხაზეთს მიახლოებული ზუგდიდის ე.წ. დევნილთა 12 სკოლაა. დევნილთა კომპაქტური სკოლებია ქუთაისსა და სენაკში, თბილისში: ვაშლიჯვარში, ისნის რაიონში, თემქაზე...

აფხაზეთიდან, ან თუნდაც, სამინისტროს ადგილ-სამყოფელიდან სიახლოვე–სიშორე არაფერს ნიშნავს, რადგან აფხაზეთის განათლების სამინისტრო ვერაფრით ეხმარება სამწყსოს.

ვახტანგ ყოლბაია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე და აფხაზეთის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე რომ არა, სახელმძღვანელოებით პირველკლასელების უზრუნველყოფასაც ვერ მოვახერხებდითო. როგორც შარშან, ასევე წელსაც ყოლბაიას ინიციატივებისა და მისი პირადი ურთიერთობების იმედად რჩებიან.

### სკოლების თვითმმართველობა

სექტემბრიდან, მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული, ჰარვარდის სკოლის წარმომადგენლებთან ერთად ქართველი სპეციალისტები სკოლის თვითმმართველობის მოდელის შესაქმნელად მუშაობას დაიწყებენ. გორგილაძის განცხადებით, მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ უმეტესად, სკოლების თვითმმართველობის ცენტრალიზებულ სისტემებში უკეთესი შედეგია, ვიდრე დეცენტრალიზებულ სისტემებში. თუმცა, თითქმის თანაბრად არსებობს როგორც ცენტრალიზებული სისტემებიდან დეცენტრალიზებულისკენ მიმავალი, ასევე პირიქით. გორგილაძის აზრით, საქართველომ საკუთარი მოდელი უნდა მოძებნოს, რომელიც სწავლების ხარისხის ამაღლებას ხელს შეუწყობს.

# სასკოლო სახელმძღვანელოების და ინვენტარის ყიდვის ხარჯები 2001-2002 სასწავლო წლისათვის

## გამოკვლევის შედეგები:

**აზრი იაფი, მაგრამ დაბალი ხარისხის სახელმძღვანელოების მიმართ:** მთლიანობაში საქართველოში სკოლის ბავშვებიანი ოჯახების მესამედი გამოთქვამს თანხმობას იაფი, მაგრამ დაბალი ხარისხის სახელმძღვანელოების შეძენაზე:

თბილისში 16.1%-ია. რეგიონებში - 20%.

მთლიანად ქალაქებში - 29.4, ხოლო სოფლებში - 44%.

თბილისელთა ოჯახებიდან 20%-ზე ნაკლებს აქვს სურვილი შეიძინოს იაფი, მაგრამ დაბალი ხარისხის სასკოლო სახელმძღვანელოები.

### სად ყიდულობენ წიგნებს:

შარშან თბილისელი მომხმარებლის მხოლოდ 30%-მა შეიძინა წიგნები სპეციალიზებულ სასკოლო წიგნის ბაზრობებზე.

ბაზრობაზე (სადგურის ტერიტორიაზე) საჭირო წიგნები მომხმარებელთა 44%-მა შეიძინა.

26%-მა შეიძინა სასკოლო წიგნები ქუჩაში მოვაჭრე კერძო პირებთან, სკოლაში ან წიგნის მაღაზიებში.

რეგიონებიდან მომხმარებლები, უფრო ხშირად, საცხოვრებელი ადგილის ახლოს, რაიონულ ცენტრში ყიდულობენ სკოლისათვის საჭირო სახელმძღვანელოებს, დაახლოებით 20%-მდე მომხმარებელი ამისათვის თბილისში ჩამოდის.

### ვინ ყიდულობს ჟურნალ-გაზეთებს

გამოკვლევაში მიღებული შეფასებით, მთლიანად საქართველოში ოჯახების 55% ყიდულობს ამა თუ იმ სიხშირით საინფორმაციო ან გასართობ გამოცემებს.

თბილისში ასეთების წილი 65.8%-ია, სხვა რეგიონებში – 46%, ქალაქის მოსახლეობაში – 58.7, სოფლის მოსახლეობაში – 41%.

### ვინ ყიდულობს წიგნებს

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მთლიანობაში საქართველოს ოჯახების 18% სხვადასხვა ინტენსივობით ყიდულობს მხატვრულ ლიტერატურას.

თბილისში ეს მაჩვენებელი 21%-ს უდრის, ხოლო სხვა რეგიონებში 16%-მდეა.

ოჯახების დაახლოებით 80% საერთოდ არ ყიდულობს არანაირი სახის მხატვრულ ლიტერატურას.

შედარებით უზრუნველყოფილ ფენაში მყიდველთა წილი თითქმის 30%-ია, ხოლო ცუდად უზრუნველყოფილ ფენაში 6-ჯერ ნაკლები (დაახლოებით 5%).

უმაღლესი განათლების წევრებიანი ოჯახების 28% ყიდულობს მხატვრულ წიგნებს, ხოლო ოჯახში, სადაც არც ერთი წევრი არ არის უმაღლესი განათლებით, ასეთების წილი მხოლოდ 8%-ია.

ქართველ რეალურ მომხმარებელთა 44% ყიდულობს ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს.

უცხოელი მწერლების ნაწარმოებების მყიდველები დაახლოებით 20%-ია.

რეგიონის მომხმარებელი უფრო ხშირად ყიდულობს დეტექტიურ ლიტერატურას, ვიდრე თბილისის მომხმარებელი.

3-5 ლარზე მეტი ფასის წიგნებს ყიდულობს მომხმარებელთა მხოლოდ მესამედი, დაახლოებით 10% ყიდულობს მხოლოდ დაბალი, 2-3 ლარზე ნაკლები ფასის წიგნებს.

მოსახლეობის დაახლოებით მესამედი მხატვრულ ლიტერატურას სპეციალიზებულ წიგნის მაღაზიებში ყიდულობს.

ოჯახების დაახლოებით 12% ყიდულობს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის წიგნებს. თბილისში წილი 20%-მდეა, ხოლო რეგიონებში 10 პროცენტამდე, ქალაქში – 15.5, ხოლო სოფელში – 8.2.

მყიდველების 80%-ს ბავშვებისათვის წიგნების ყიდვისას მისაღებ ფასად მიაჩნია 5 ლარამდე ხარჯის გაწევა. მცირეა მათი წილი, ვინც თანახმაა გადაიხადოს 5-დან 10 ლარამდე, დაახლოებით 15% ყიდულობს საბავშვო წიგნებს ფასის მიუხედავად.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

# კაკლის მურაბა და ბურატინოს ანბანი ანუ, რა ჯდება პირველი სექტემბერი



ეთერ მამულაშვილი

"მახსოვს, პირველად სკოლაში რომ წამიყვანეს, დიდედამ დილით კაკლის მურაბა გახსნა და ხუთი ცალი მაჭამა – ხუთებზე ისწავლიო. ჩემი პატარა დაძმა მურაბისთვის ამაოდ დაშვრნენ, ისინი ჯერ სასკოლოები არ იყვნენ", – იხსენებს ხანდაზმული ინჟინერი.

ერთი სქემა არ არსებობს, მაგრამ ყველა მშობელი, მდიდარი თუ ღარიბი და იმისგან დამოუკიდებლად, თუ მერამდენე შვილს უშვებს სკოლაში, ცდილობს, პირველი სექტემბერი შვილისთვის სამახსოვრო იყოს.

უმეტესად ეს იმ შემთხვევათაგანია, როცა საბნის სიგრძეს არ დაგიდევენ.

რა თანხა იხარჯება საპირველსექტემბროდ?

გამოკითხული რესპოდენტების პასუხებით თუ ვიმსჯელებთ, სულ ცოტა, ბიუჯეტიდან საპირველსექტემბროდ ოჯახს ერთი ბავშვისთვის 100 ლარის გამოყოფა უწევს.

სასკოლო ბაზრობა 15 აგვისტოდან დაიწყო. აუცილებელი თუ უბრალოდ, სასურველი საგნების შესაძენად, ზოგი ბაზრობაზე გარბის, ზოგიც მაღაზიაში – ბავშვათა სამყაროში,"ბამბინოში", თუ "ვვაიკიკიში". ზოგიერთები კი სასკოლო ნივთებს ევროპის ფეშენებელურ სალონებს კატალოგით უკვეთავენ.

დღეს იშვიათია ოჯახი, ერთ-ერთი წევრი საზღვარგარეთ რომ არ ჰყავდეს და ბავშვს ჩანთა-ფეხსაცმელი-პენალი მაინც არ გამოუგზავნოს. მათ შორის ბევრია ისეთი პირველკლასელიც, რომელსაც სასექტემბრო აღჭურვილობა დედამ ამერიკიდან თუ საბერძნეთიდან გამოუგზავნა.

მიუხედავად უცხოური ამანათური მომარაგებისა, ვაგზლის ტერიტორიაზე მოვაჭრეებს საწუწუნო ნამდვილად არაფერი აქვთ – კლიენტების მომსახურებას ვერ აუდიან. ვინ ფეხსაცმელს იზომებს, ვინ ჩანთებს ათვალიერებს, ახალბედა სტუდენტს კაბა არ მოერგო, შეწუხებული გამყიდველი მოცდას სთხოვს და საწყობში გარბის, "თქვენს ზომას ახლავე მოგიტანთო" .

განსაკუთრებული ხალხმრავლობა საკანცელარიო ნივთების და სასკოლო სახელმძღვანელოების დახლებთან შეიმჩნევა.

მშობლები ამ დღეებში მათთვის გვარიან თანხას ტოვებდნენ ბაზრობებზე. უფრო მეტს კი ის მშობლები ხარჯავდნენ, ვინც საკუთარი შვილებისთვის თბილისის პრესტიჟულ საბავშვო მაღაზიებში ყიდულობდა ახალ ნივთებს.

ვიღაცას კი წელსაც ძველებით მოუწევს სკოლაში წასვლა, რადგან მის მშობლებს ახლისთვის ფული არ ჰყოფნის. "ვერაფრის ყიდვას ვერ ვახერხებ. ჩემს შვილს 1 სექტემბერს ძველებით გავუშვებ. ტანისამოს ვინ ჩივის, ნეტავ წიგნების ყიდვა მოვახერხო. მარტო გეოგრაფიის სახელმძღვანელოში 15 ლარი მომთხოვეს," – წუხს მეხუთეკლასელის მამა.

"ჩემი შვილისთვის არაფრის ყიდვას არ ვაპირებდი, მაგრამ ჩვენი სკოლის დირექტორმა დაიჟინა, თეთრი პერანგი და შავი ქვედაბოლოების გარეშე სკოლაში არავინ დავინახოო. იძულებული ვარ 30 ლარი ვისესხო და იმით ვუყიდო, აბა ამის გამო დირექტორს ხომ არ გადავიკიდებ", – ამბობს მარტოხელა დედა.

ხომ გახსოვთ, როგორ გაყიდა მამილო კარლომ თავისი ქურთუკი და აღებული ფულით შვილს, ბურატინოს ანბანი უყიდა. უკვე რამდენიმე წელია, რაც საპირველსექტემბროდ ზოგიერთი მშობელი დურგალი კარლოს მსგავსად, რაღაცას ყიდის. "სამი გოგონა მყავს და სამივესთვის ახლების ყიდვა ცოტა მიჯდება?! წელს ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ძროხა გავყიდეთ, რომ ჩვენი გოგონებისთვის წიგნები, ჩანთები, ტანისამოსი და ფეხსაცმელი გვეყიდა", - გვითხრეს რაიონიდან ჩამოსულმა მშობლებმა.

უფულობის გამო რამდენიმე ბავშვს წლევანდელი წლის გაცდენა და სახლში ჯდომაც მოუწევს. "ჩვენი ბიჭი წელს სკოლაში ვერ მიგვყავს. ლარიც კი არ გვაქვს, რომ ერთი რვეული მაინც ვუყიდოთ, არადა რვეულის გარდა ათასი წვრილმანია საჭირო, მითუმეტეს პირველკლასელისთვის," – შეწუხებულია მთელი ოჯახი.

იმას კი ვინც შემოსავალს არ უჩივის, ამის თქმა და გაკეთება ნამდვილად შეუძლია: "იმდენს დავხარჯავ, რამდენიც საჭირო იქნება, ჩემს შვილს არაფერი არ უნდა აკლდეს, 1 სექტემბერს ის ყველასგან გამორჩეული და პირველი უნდა იყოს," – გვითხრა ლიდერობის მოყვარულმა დედამ.

საკუთარი შვილების პრესტიჟულ სკოლაში სწავლა მშობლებს ორმაგად ძვირი უჯდებათ. "ჩემი შვილები ისეთ სკოლაში დადიან, რომ ძველი და უბრალო ტანსაცმლით ვერ გავუშვებ. კლასელებს, რომ შეხედავენ, გული არაფერზე არ უნდა დაწყდეთ", – ამბობს მზრუნველი მამა.

ცუდი არ იქნება, თუ უზრუნველყოფილი ოჯახების შვილებს ძველი ჩანთა-ფეხსაცმლიანი თანატოლების დანახვა უფრო დაწყვეტთ გულს და პირველ სექტემბერს სკოლის გზაზე უცხოური მანქანით მიმავალნი ქუჩაში "მათხოვარ" თანამოქალაქეებსაც არ დაივიწყებენ.


## განათლების რაიონული განყოფილებების, სკოლის დირექტორების, მასწავლებლების საყურადღებოდ!

გამომცემლობა "ლოგოს პრესი" გთავაზობთ მე-7 და მე-8 კლასის **„მშობლიური ლიტერატურისა"** და მე-8 კლასის **„მითოლოგიის"** სახელმძღვანელოებს ადგილზე მიტანით (მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით).

| სახელმძღვანელოს დასახელება | შესასყიდი ფასი (ლარი) | სავარაუდო გასაყიდი ფასი წიგნის მაღაზიებსა და ბაზრობებზე (ლარი)* |
|---|---|---|
| **მშობლიური ლიტერატურა, VII (ვ. როდონაია და სხვ.)** | **4.90** | **5.00-5.50** |
| **მშობლიური ლიტერატურა, VIII (ვ. როდონაია და სხვ.)** | **5.40** | **5.50-6.00** |
| **მითოლოგია, VIII (ზ. კიკნაძე, ნ. ტონია)** | **3.90** | **4.00-4.50** |

* **შენიშვნა:** აღნიშნული ფასები მოქმედებს 100 ცალამდე შეკვეთის შემთხვევაში (თითოეული სახელმძღვანელოსთვის ცალ-ცალკე). 100 ცალზე ზემოთ გათვალისწინებულია დამატებითი ფასდაკლება.

გთხოვთ, დროულად შეავსოთ **მოთხოვნის ფურცელი** და სკოლიდან **ოფიციალურ წერილთან ერთად** გადასცეთ გამომცემლობის წარმომადგენელს, ან მოგვაწოდოთ გამომცემლობის მისამართზე:
**თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 13. ცნობებისათვის დარეკეთ: 25-02-58 ან 877 76-54-47.**
შესაძლებელია მოთხოვნის ფურცლის გადმოგზავნა ფაქსით თბილისში ნომერზე **29-47-86.**

გთხოვთ, განსაკუთრებული აკურატულობით შეავსოთ მოთხოვნის ფურცლის გრაფა „მიწოდების სასურველი თარიღები, საათები", რათა დათქმულ დროს მოხდეს მიწოდებაც და სრული ანგარიშსწორებაც.

გამომცემლობა „ლოგოს პრესი"

**მოთხოვნის ფურცელი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქალაქი | | სკოლა (№) | | |
| სკოლის მისამართი | | ტელეფონები | | |
| საიდენტიფიკაციო კოდი | | | | |
| დირექტორი | | პედაგოგი | | |
| მოსწავლეთა რაოდენობა | მე-7 კლასებში | | მე-8 კლასებში | |

| სახელმძღვანელოს დასახელება | შეკვეთილი რაოდენობა | თანხა | მიწოდების სასურველი თარიღები, საათები |
|---|---|---|---|
| **მშობლიური ლიტერატურა, VII (ვ. როდონაია და სხვ.)** | | | |
| **მშობლიური ლიტერატურა, VIII (ვ. როდონაია და სხვ.)** | | | |
| **მითოლოგია, VIII (ზ. კიკნაძე, ნ. ტონია)** | | | |
| | თანხა სულ | | |

შემკვეთის თანამდებობა, სახელი და გვარი ____________________

ხელმოწერა ____________________ (ხელმოწერის გარეშე შეკვეთა არ მიიღება)

## სკოლის დირექტორთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ!
## ფიზიკის მე-7; მე-8; მე-9 კლასის სახელმძღვანელოები










საგამომცემლო სახლმა **„მარსმა"** გამოსცა ავტორების კარლო ხვითარიასა და დავით ჭეიშვილის ავტორობით შედგენილი მე-7, მე-8 და მე-9 კლასის ფიზიკის სახელმძღვანელოები. **ეს არის საქართველოს ისტორიაში პირველი ქართული სასკოლო სახელმძღვანელოები ფიზიკაში.**

გთავაზობთ ზოგიერთი ცნობილი სპეციალისტის ამონარიდს აღნიშნული სახელმძღვანელოების რეცენზიებიდან:

**„თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს სახელმძღვანელო, ძირითადად, თავის შინაარსობრივ და პედაგოგიურ ასპექტებში სათანადო სახითაა წარმოდგენილი. ყურადღებას იქცევს კარგად მოფიქრებული აგებულება საგაკვეთილო დოზირება, ლაბორატორიული სამუშაოების ვარიანტები, სავარჯიშოები, ამოცანების ნიმუშები, ფიზიკურ სიდიდეთა ცხრილები და გრაფიკული ილუსტრაციები. ყველა ეს კომპონენტი ჯეროვანი სახითაა წარმოდგენილი".**

**„სახელმძღვანელოს ტექსტი ავტორებს შედგენილი აქვთ განსაზღვრული პროგრამის მიხედვით, რომელსაც ისინი ემყარებიან ამოსავალი მოცემულობის სახით. სახელმძღვანელოს აუცილებელი კომპონენტი, როგორიცაა საგაკვეთილო დოზირება, სავარჯიშოები, ამოცანები, საკონტროლო სამუშაოები და საერთოდ მთელი ტექსტი, პედაგოგიური და ლოგიკური თვალსაზრისით, ძირითადად, სათანადოდ არის შესრულებული. ყველა ელემენტი წარმოდგენილია ნათლად და შესაბამისობაში, რაც მასწავლებელს დაეხმარება რაციონალურად და გეგმიანად წარმართოს სასწავლო პროცესი".**

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ვალერიან კობახიძე**

**„პედაგოგიურ-მეთოდური თვალსაზრისით მოწონებას იმსახურებს ავტორთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფიზიკის სწავლება უმჯობესია მექანიკის შესწავლით იქნას დაწყებული.**

**სარეცენზიო წიგნის ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ შედგენის პრინციპი, შინაარსი და სტრუქტურა დიდად უწყობს ხელს სწავლების შინაარსის რეალიზაციას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ შერჩეული ლაბორატორიული სამუშაოები, სავარჯიშოები, დავალებები, ამოცანები და საკონტროლოები მოვლენათა არსისა და შინაარსის ადვილად აღქმა-და-დამახსოვრებისა და მტკიცე ცოდნის დაუფლების რეალურ პირობებს ქმნის".**

საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის კადემიკოსი,
აკადემიის ვიცეპრეზიდენტი **ნოე გელაშვილი**

**„მთელი სასწავლო მასალა დაყოფილია ცალკე გაკვეთილებად. თითოეულ გაკვეთილზე შესწავლილი მასალა წარმოდგენილია ძირითადი ინფორმაციების სახით, ლაკონიურად, თან ერთვის სავარჯიშოები, არის ორიგინალური ამოცანები სხვადასხვა კრებულებიდან, საცნობარო მასალა, ვარიანტები საკონტროლო წერისათვის, ყოველი ლაბორატორიული სამუშაოს შემდეგ მოცემულია საშინაო დავალება, არის ცალკე ვარჯიშისა და შემაჯამებელი გაკვეთილები.**

**თითოეული საგაკვეთილო მასალა დიდი მონდომებითა და პედაგოგიური ოსტატობით არის დაწერილი, სავარჯიშო მასალა ორ მიზანს ისახავს: პირველი – მოსწავლემ შეძლოს თვით შემოწმება; მეორე – სწრაფად მოახდინოს მასწავლებელმა წერითი საშინაო დავალების შემოწმება.**

**ჩვენც მხარს ვუჭერთ ავტორების ამ მოსაზრებას.**

**საერთოდ, წიგნი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის თვალსაზრისითაც".**

ქ. თბილისის თენგიზ გეგელიას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური
სკოლის მასწავლებელი, ფიზიკის მეთოდისტი **კოტე ვადაჭკორია.**

**გთხოვთ გაფრთხილდეთ!** მავანნი და მავანნი ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, თითქოს სახელმძღვანელოები ამოღებულია სასწავლო პროცესიდან, რაც სრული სიცრუეა.

წიგნების შესაძენი ფასებია: **VII კლასი 2,6-3,0 ლარი; VIII კლასი 3,0-3,5 ლარი; IX კლასი 3,5-4,0 ლარი.**

# მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა საყურადღებოდ!

## როგორ გავარჩიოთ „მშობლიური ლიტერატურის“ მე-7 და მე-8 კლასის ნამდვილი სახელმძღვანელოები ყალბისგან

© გამომცემლობა „ლოგოს პრესი“

2002 წლის გამოცემა



### მე-7 კლასი
**მშობლიური ლიტერატურა**
**ვ. როდონაია და სხვ.**
საცალო გასაყიდი ფასი 5.00-5.50 ლარი.
**4.50 ლარზე იაფი წიგნი ყალბია!**

### 2002 წლის გამოცემა

ნამდვილი წიგნის მთელ გარეკანზე უნდა გაირჩეოდეს შვიდიანებისაგან შედგენილი ორნამენტი (ორ ფერში: ცისფრად და ჟოლოსფრად).

2002 წლის

კიდეებს გასდევს და უნდა იკითხებოდეს ექვსი ერთნაირი წარწერა: „2002 წლის გამოცემა“

### 2001 წლის გამოცემა





ნამდვილ წიგნზე წარწერა და ორნამენტები ოქროსფრად არის ამოტვიფრული (და არა წითლად ნაბეჭდი) და მკაფიოდ ჩანს.

ილუსტრაციები 2001-2002 გამოცემებში ფერადია და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი.



გვ. 5



გვ. 30



გვ. 65

2002 წლის გამოცემა



### მე-8 კლასი
**მშობლიური ლიტერატურა**
**ვ. როდონაია და სხვ.**
საცალო გასაყიდი ფასი 5.50-6.00 ლარი
**5.00 ლარზე იაფი წიგნი ყალბია!**

### 2002 წლის გამოცემა

ნამდვილი წიგნის მთელ გარეკანზე უნდა გაირჩეოდეს რვიანებისაგან შედგენილი ორნამენტი (ცისფრად და ჟოლოსფრად).

2002 წლის

კიდეებში გასდევს და უნდა იკითხებოდეს ექვსი ერთნაირი წარწერა: „2002 წლის გამოცემა“

### 2001 წლის გამოცემა





ნამდვილ წიგნზე წარწერა და ორნამენტები ოქროსფრად არის ამოტვიფრული და მკაფიოდ ჩანს.

ილუსტრაციები 2001-2002 გამოცემებში ფერადია და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი.



გვ. 7



გვ. 17



გვ. 36



გვ. 284

## სკოლის დირექტორთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ!




### მითოლოგიის სახელმძღვანელო

გაცნობებთ, რომ 2001 წლიდან ძირითად საგანთა (მე-8 კლასი) ნუსხაშია ახალი საგანი „მითოლოგია“, რომლის სახელმძღვანელო გამოსცა „ლოგოს პრესმა“. ავტორები არიან თსუ პროფესორები **ზურაბ კიკნაძე** და **ნანა ტონია.**

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ქართულ პრესაში წიგნის თაობაზე გამოქვეყნებული რეცენზიებიდან.

“წიგნის ავტორები – ზურაბ კიკნაძე და ნანა ტონია მიმზიდველად, სადად და კომპაქტურად მოუთხრობენ მოზარდებს ძველი მსოფლიოს ხალხების, მათ შორის ქართველების, მითოლოგიური წარმოდგენების შესახებ. ისინი ახერხებენ ძალდაუტანებლად აგრძნობინონ მკითხველს მითოსის სიღრმე და მშვენიერება, დაანახონ მითოსში განფენილი სიბრძნე. წიგნში თვალნათლივ არის გახსნილი მითოლოგიის არსი – მითი სამყაროს და ადამიანური ყოფიერების დასაბამისეულ და ამავე დროს მუდმივ კანონზომიერებათა პირველადი ხატოვანი განმარტებაა. მითოლოგიური მასალის გადმოცემას ბუნებრივად ეხამება ავტორთა ზუსტი და სხარტი კომენტარები, მსჯელობა მითოსის ზოგად აზრობრივ სტრუქტურაზე, ძირითად პარადიგმებზე და სიმბოლურ სახეებზე. ეს დახვეწილი ენით დაწერილი, მწყობრი კომპოზიციის და ნათელი, მთლიანი კონცეფციის მქონე წიგნი ადასტურებს, რომ აუცილებელი არ არის სახელმძღვანელო მოსაწყენი და თავმომაბეზრებელი, თითქოს სპეციალურად ბავშვების დაფრთხობის მიზნით შექმნილი ოპუსი იყოს და რომ იგი შეიძლება საინტერესო და ცოცხალ ნააზრევს წარმოადგენდეს, რომელსაც მოზარდი მკითხველი ხალისით გაეცნობა.”

*არილი*

“ტექსტები ძალზე საინტერესოდაა შერჩეული და კარგი ქართულით მოწოდებული. ფაქტების აღქმასა და დახსომებაში მკითხველს ფოტომასალაც ეხმარება.
სახელმძღვანელოში აუხსნელი არ რჩება არც ერთი სიტყვა. ყველა თავს საჭიროებისამებრ მოსდევს განმარტებები, რომელშიც ცალკეულ სიტყვათა ახსნასთან ერთად მოცემულია დამატებითი ინფორმაცია პარაგრაფში მოთხრობილი ამბის ზოგიერთ დეტალზე.

*ჩვენი მწერლობა*

სახელმძღვანელოს საცალო ფასია 4.00-4.50 ლარი. სკოლების მხრიდან პარტიების პირდაპირი (ოფიციალური წერილის საფუძველზე, ნაღდი ანგარიშსწორებით) შესყიდვის შემთხვევაში გათვალისწინებულია ფასდაკლება.

## დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელო საშუალო კლასებისათვის (V-VII)




### ქართული მითების სამყარო
**გია ბუღაძის ილუსტრაციებით**

**რეკომენდირებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამხმარე სახელმძღვანელოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთათვის**

ქართველთა უძველესი მითოლოგიური წარმოდგენებისადმი მიძღვნილი პირველი საბავშვო გამოცემა.
წიგნში თავმოყრილია ჩვენამდე მოღწეული ლეგენდარული, ზღაპრული თუ მითოლოგიური ხასიათის ამბები, რომლებიც პირობითად შეგვიძლია ქართული მითების სახელწოდების ქვეშ გავაერთიანოთ. ქართველთა წარმომავლობა, უძველესი ქართული ღვთაებები, ქართველთა წარმოდგენები სამყაროსა და ღმერთებზე, კეთილ და ბოროტ ძალებზე, გმირებზე – ეს ის თემებია, რომლებზეც სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის გასაგები, სადა ენით მოგვითხრობენ ავტორები – ნატა ახმეტელი და ბესიკ ლორთქიფანიძე.
ცნობილი მხატვრის გია ბუღაძის ფერადი ილუსტრაციები მიმზიდველად აცოცხლებენ უძველეს ქართველ მითიურ პერსონაჟებს: ქართლოსსა და მის ვაჟებს, მორიგე ღმერთს, ბარბალეს, კვირიას, ელია-ლაზარეს, ხელსამძივარს, მინდორთბატონს, კოპალას, იახსარს, ლაშარელასა და ამირანს...
წიგნი ნომინირებული იყო 2000 წლის სახელმწიფო პრემიაზე საყმაწვილო ლიტერატურის დარგში.

წიგნის საცალო გასაყიდი ფასია 6.50-7.00 ლარი. სკოლებიდან პარტიების შესყიდვისას – 5.00 ლარი.

**გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 13, ტელ. 25 02 58**

# გაიაფდება თუ არა სასკოლო სახელმძღვანელოები?

ლაშა ბერაია

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

პასუხი ამ შეკითხვაზე ერთია: **წიგნის ჩამოყალიბებული ეროვნული პოლიტიკის გარეშე, რომელიც მისადაგებული იქნება საქართველოს ამჟამინდელ – განვითარებადი ქვეყნის – სტატუსს, სასკოლო სახელმძღვანელოები, ისევე, როგორც წიგნები, ზოგადად, ვერ გაიაფდება.** მსოფლიო გამოცდილება გვეუბნება, რომ განვითარებად ქვეყნებში ერთი და იგივე ხასიათის პრობლემები იჩენს ხოლმე თავს: პირველ რიგში, იქ, როგორც წესი, სუსტი აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებაა, რომელიც ჯეროვნად ვერ იცავს საავტორო უფლებებს. ამის ერთ-ერთი შედეგია ის, რომ გაჩნდა სახელმძღვანელოების შავი ბაზარი, რომელიც მოსახლეობის ნაწილში (და, რაც ძალიან სამწუხაროა, არცთუ იშვიათად – განათლებულ ადამიანებშიც) სასკოლო წიგნების გაიაფების ილუზიას ქმნის, სინამდვილეში კი ამგვარი ვითარება მთლიანად ანგრევს სახელმწიფოს საფუძვლებს, რადგან წიგნის გაყალბება სხვა არაფერია, თუ არა ქურდობის ნაირსახეობა – ინტელექტუალური საკუთრების მითვისების ფორმით. როგორც წესი, ასევე უძლურნი არიან ფინანსური მაკონტროლებელი ორგანოებიც, რომ უზრუნველყონ თანაბარი კონკურენციის პირობები, რის გამოც მეწარმე ადვილად იჩაგრება. შედეგად მესტამბეთა და წიგნით მოვაჭრეთა ნაწილი სახელმწიფოსთან თანამშრომლობას შავი ბაზრის სამსახურში ჩადგომას არჩევს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ-საფინანსო სიჯანსაღეს ვნებს.

## სად არის რეზერვი?

ამ ვითარების გასაჯანსაღებლად, კომპეტენტურ ექსპერტთა გამოცდილებით, აუცილებელია პრეფერენციული (შეღავათიანი) საგადასახადო პოლიტიკის წარმოება, კერძოდ: გამომცემლობათა მაქსიმალური გათავისუფლება ყველა ტიპის გადასახადისა და მოსაკრებლისგან. სხვათა შორის, ამგვარ პოლიტიკას ზოგადად წიგნის მიმართ, მთელ რიგ პარამეტრებში, ყველა განვითარებული სახელმწიფო ახორციელებს. და არა იმიტომ, რომ კარგი ცხოვრება თავზე გადასდით, არამედ იმიტომ, რომ **წიგნი ყველგან მიჩნეულია კულტურის, განათლების, პროგრესის გავრცელების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად**, ერთა ურთიერთდაახლოებისა და მშვიდობის დამკვიდრების იარაღად. ყველა განვითარებული ქვეყანა ღირსების საქმედ მიიჩნევს წიგნის მხარდაჭერას, ამ ქვეყნების პრეზიდენტები კი – წიგნის ბაზრობა-ფესტივალების გახსნას.



ალეკო კარტაშიანის ფოტო

## გვინდა თუ არა, სახელმძღვანელოები 20%-ით გაიაფდეს?

ამ რიტორიკულ შეკითხვას იოლად უპასუხებს ორი საკანონმდებლო ხასიათის ინიციატივა. პირველი შეეხება მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის – წიგნზე დამატებითი ღირებულების გადასახადის 0%-იანი (ან 0-თან მიახლოებული) განაკვეთის დაწესებას (ნაცვლად დღევანდელი ფორმულირებისა "გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან", რაც გარკვეულ ჟანრებზე ვრცელდება და სინამდვილეში მხოლოდ ნაწილობრივ ათავისუფლებს წიგნს დღგ-სგან – 20%-ით დაბეგრილი რჩება ქაღალდი და სხვა სასტამბო მასალები). მეორე ინიციატივა გულისხმობს საქართველოს მიერთებას ორ საერთაშორისო შეთანხმებასთან, რომელთაც აქ შემოკლებით მოვიხსენიებთ როგორც "ფლორენციის შეთანხმებას" (1950) და "ნაირობის პროტოკოლს" (1976). ამ შეთანხმებებზე პროგრესული ქვეყნების უმრავლესობას აქვს ხელი მოწერილი და მათ სრულ პაკეტთან მიერთება გულისხმობს წიგნის გამოსაცემად საჭირო ქაღალდის, მასალებისა და დანადგარების გათავისუფლებას ბაჟისა და მოსაკრებლებისგან. ზერელე გამოთვლებიც ცხადყოფს, რომ წიგნისთვის მსოფლიო მასშტაბით (განვითარებულ ქვეყნებშიც და განვითარებადთა დიდ ნაწილშიც) მოქმედი ამ შეღავათების გათვალისწინებით, სასკოლო სახელმძღვანელოები, საშუალოდ, 15%-ით, ზოგ შემთხვევაში კი 20%-ით გაიაფდება.

## რამდენიმე რეცეპტი გაიაფების 10%-იანი რეზერვი

დავასახელებ კიდევ რამდენიმე ზომას, რომლის გატარება რეკომენდირებული და აპრობირებულია განვითარებად ქვეყნებში წიგნის საქმის გამოცოცხლების მიზნით:

გამომცემლობათა გათავისუფლება მოგების გადასახადისგან დაფუძნებიდან ათი წლის განმავლობაში;

როიალტის (საავტორო ჰონორარის) გათავისუფლება საშემოსავლო გადასახადისგან;

შეღავათიანი საბანკო საკრედიტო ხაზები გამომცემლობებისთვის;

შეღავათიანი ან მთლიანად გაუქმებული საფოსტო გადასახადები და სხვ.

ყოველივე ეს მოიცავს საიმისო რეზერვს, რომ სასკოლო წიგნები კიდევ დაახლოებით 10%-ით გაიაფდეს. მაშასადამე, სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობის პირობებში, საერთო ჯამში, შეგვიძლია ვივარაუდოთ სახელმძღვანელოების გაიაფება დაახლოებით 25-30%-ით. სკეპტიკოსთა გასაგონად ვიტყვით, რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ მიერ მოყვანილი გათვლები მეტისმეტად ოპტიმისტურია, მათ მაინც ამყარებს ერთი უდავო გარემოება:

სახელმწიფო ხელშეწყობის პოლიტიკის შედეგად წიგნის ნებისმიერი ხარისხით გაიაფება გაზრდის ლეგალური პროდუქციის წილს, სხვა სიტყვებით, გაიზრდება სასტამბო ტირაჟები და შემცირდება სასტამბო თვითღირებულება, რაც, თავის მხრივ, უკვე გულისხმობს გარკვეულ გაიაფებას. იგივე ეფექტს მივიღებთ შავი ბაზრის შეზღუდვის შემთხვევაში, ოღონდ ამისთვის, პირველ ყოვლისა, გადასახედია ამჟამად მოქმედი ლოიალური კანონმდებლობა, კერძოდ, მნიშვნელოვნად უნდა გამკაცრდეს საჯარიმო სანქციები საავტორო უფლებების დარღვევისთვის, ხოლო სასამართლო მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგეს და შექმნას საავტორო უფლებათა საკითხის სამართლებრივი მოწესრიგების მყარი გარანტიები.

## რა შეუძლია პრეზიდენტს და რა შეუძლიათ მშობლებს

ივნისში, თბილისის წიგნის ფესტივალის გახსნის დღეს, ქვეყნის პრეზიდენტის შეკითხვას, რამდენია ამჟამად წიგნის საშუალო ტირაჟიო, ვუპასუხე: ხუთასიდან ათასამდე-მეთქი, რასაც მისი მხრიდან იმედიანი დაპირება მოჰყვა: ორიოდე წელიწადში 5000 იქნებაო. როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, თქვენს პირს შაქარი, ბატონო პრეზიდენტო! გამომცემლებს საფუძველი არა გვაქვს, არ ვენდოთ ქვეყნის პირველ პირს. დიდად იმედისმომცემია, რომ პარლამენტში, განსახილველი საკითხების დღის წესრიგში, ბოლოს და ბოლოს, ჩადგება საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც, ზოგადად, წიგნის ეროვნული პოლიტიკის ჩამოყალიბება-სრულყოფის კონტექსტში განიხილება. ასევე იმედი გვაქვს, რომ წიგნისთვის მოიცლის საკანონმდებლო ხელისუფლება.

ისღა გვრჩება, მშობლებს ვუსურვოთ, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საშუალება მიეცეთ, უფრო იაფად შეიძინონ სახელმძღვანელოების კომპლექტები თავიანთი შვილებისთვის.

წლეულს კი მშობლებს, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით, ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ, პირველ ყოვლისა, იმით, რომ მაცდურ სიიაფეს არ დახარბდნენ და ყალბი წიგნები არ შეიძინონ.

# როდემდე იქნება მოსკოვი ჩვენი დედაქალაქი და ალიევი - ჩვენი პრეზიდენტი?!

### ვინ მოამარაგებს სახელმძღვანელოებით არაქართულ სკოლებს

დალი კუპრავა

არაქართული სკოლების ნუსხაში განათლების სამინისტრო გვაწვდის რუსული, აზერბაიჯანული და სომხური სკოლებისთვის სახელმძღვანელოების ჩამონათვალს. როგორც აღმოჩნდა, ჩამონათვალი ზუსტია, ანუ მხოლოდ ამ სახელმძღვანელოებს სთავაზობს განათლების სამინისტრო არაქართულ სკოლებს. საქმეში ჩაუხედავ ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ამგვარ სკოლებში ძალიან ცოტა საგანი ისწავლება და საქართველოს საშუალო განათლების სასწავლო გეგმა მათზე არ ვრცელდება. მაგალითად, პირველკლასელები მხოლოდ ქართულ ენას სწავლობენ, ხოლო მეთერთმეტეკლასელებს, ჩამონათვალის მიხედვით, ქართული ენა-ლიტერატურის, ისტორიისა და სამართლის სწავლის გარდა, სხვა არაფერი მოეთხოვებათ.

არაქართულენოვანი სახელმძღვანელოების "მონოპოლისტმა" გამომცემელმა კახა კუდავამ გვითხრა, რომ მისი საქმე გამოცემაა და ამას თითქმის უანგაროდ აკეთებს. უანგაროდ იმიტომ, რომ ეს სახელმძღვანელოები არაქართულ რეგიონებში პრაქტიკულად "არ საღდება", თბილისში კი სულ ექვსი სომხური და ორი აზერბაიჯანული სკოლაა. სურვილის შემთხვევაში, მათ წიგნები უნდა შეიძინონ გამომცემლობისგან, ვინაიდან ბაზრობებზე ისინი არ იქნება.

ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს, სადაც სომხური სკოლების ძირითადი ნაწილია თავმოყრილი, სახელმძღვანელოებით სომხეთის რესპუბლიკა ამარაგებს. როგორც ამბობენ, მხოლოდ სახელმძღვანელოებით კი არა, სომხეთიდან შემოტანილი ცემენტითა და სხვა საშენი მასალებით რემონტდება სკოლებიც. იქაურმა მოსახლეობამ, ძალიანაც რომ მოინდომოს, სახელმწიფოებრივი მენტალიტეტი ჩამოიყალიბოს და მხოლოდ ქართული გრიფის სახელმძღვანელოები შეიძინოს, მოსწავლეები სიბნელეში დარჩებიან (ნინოწმინდელი ქართულენოვანი მოსახლეობა მდგომარეობას აზვიადებს და იმასაც ამბობს, რომ სომხეთი ნინოწმინდას საქართველოდან ნაყიდი ელექტროენერგიით ანათებს!).

საქართველოში ჯერჯერობით ვერ მოიცალეს საპროგრამო საგნების შესაბამისი სომხურენოვანი სახელმძღვანელოების მოსამზადებლად. სამაგიეროდ ქართული სკოლების მეხუთეკლასელებისთვის რამდენიმე ტიპის შრომისა და მუსიკის დამხმარე სახელმძღვანელოები მოუმზადებიათ. "დავბეჭდე მეექვსე კლასის ისტორიის სომხურენოვანი სახელმძღვანელო. ვიდრე სამინისტრო რეალიზაციას დაიწყებდა, ერევანმა ისტორიის სახელმძღვანელოები უფასოდ გამოუგზავნა მთელ რეგიონს; ჩემი ზარალის ანაზღაურება სამინისტრომ თავის თავზე არ აიღო", – ამბობს გამომცემელი. როგორც "აღმოჩნდა", დაუბეგრავ საქონელს "ვერავინ" აკონტროლებს.

ამბობენ, რომ აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეები დიდ პატივში არიან "თავიანთი" პრეზიდენტისგან (ასე მოიხსენიებენ ისინი ალიევს). სწორედ მისი ფოტოთი იწყება აზერბაიჯანული დედაენა და ამ წიგნებს პირველკლასელები საჩუქრად იღებენ. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, ქართული სასწავლო გეგმით და რუსეთის ან სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმძღვანელოებით სწავლება მოუხერხებელია. თუმცა, "ქართული" სახელმძღვანელოების ლოდინში სწავლის შეჩერება მოუწევთ. რაც შეეხება მათთვის განკუთვნილ ქართული ენის სახელმძღვანელოებს, მურმან ლებანიძისა თუ ნოდარ დუმბაძის თბილი მოწოდება – "შეისწავლე ქართული ენა, თუ გსურს საქართველოს მოქალაქეობა, თუ გსურს, საქართველო ნამდვილ დედად გექცეს", არ არის საკმარისი. მით უმეტეს, რომ ადრესატებს ნამდვილი დედებიც ჰყავთ და მშობლიური ენაც აქვთ. "ქართული ენის სახელმძღვანელოები ჩვენთვის უვარგისია, რადგან გათვლილია ქართულ გარემოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებზე. ჩვენთან კი ისეთი სოფლებიცაა, სადაც ქართველის ჭაჭანება არ არის", – გვითხრა გარდაბნის რაიონის პედაგოგმა, რომელიც სახელმძღვანელოს შესაქმნელად მზად არის: "მე კი შევადგენ, მაგრამ ვინ დამიბეჭდავს?" – კითხულობს ის და მართლაც, ხომ არ ეტყვი, "შენმა" პრეზიდენტმა დაგიბეჭდსო?! არადა, ვერც გამომცემელი აიღებს თავზე, მე გამოვცემო. აკი, როგორც აღვნიშნეთ, გამომცემლობა "ინტელექტმა" ერთხელ უკვე იზარალა.

აჭარის რუსულენოვანი სკოლები, ასლან აბაშიძისა და მოსკოვის მერის მეგობრობის წყალობით, სახელმძღვანელოებით რუსეთიდან მარაგდება და ბავშვები სწავლობენ, რომ მათი სამშობლოა "კალუჟსკი კრაი" და მათი ქვეყნის დედაქალაქი მოსკოვია. ეს კარგ შედეგს არ მოგვიტანსო, "იწინასწარმეტყველა" ერთ-ერთი რუსული სკოლის დირექტორმა.

თუ სახელმწიფოს არაქართულენოვანი სკოლების დახურვა არ გადაუწყვეტია, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნები შესაბამისი სახელმძღვანელოებითაც უნდა უზრუნველყოს.

არც გვიცდია, გადაგვერწმუნებინა ნინოწმინდელი სომხური სკოლის მეშვიდეკლასელი, რომელიც გვიმტკიცებდა, ქართული ანბანი სომხებმა შექმნესო. მის სახელმძღვანელოში ასე წერია და რა ქნას, წიგნი ხომ ცოდნის წყაროა.

# მუჰამედი მთასთან, თუ მთა მუჰამედთან - ფსიქოლოგია განათლებაში

ანა ტაბატაძე

**"ისეთ სკოლაში მინდა მივიყვანო, ფსიქოლოგიური ტრავმა რომ არ მიიღოს"**

ბევრი მშობლისთვის სკოლის შერჩევისას ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. იმედი აქვთ, რომ დანარჩენს თვითონ მიხედავენ, თუმცა, ეს დანარჩენი სკოლის უმთავრესი ფუნქციაა – სწავლება და სწავლა.

"ფსიქოლოგიას", "ფსიქოლოგიურს", როგორც მრავლისმთქმელ საყოფაცხოვრებო ტერმინებს, ბევრი მშობელი და პედაგოგიც ხშირად იყენებს, მაგრამ არსებობს მეცნიერული ფსიქოლოგიაც, რომელსაც ზოგჯერ არ, ზოგჯერ ვერ და ზოგჯერაც საეჭვო დროს, ანუ დაგვიანებით მიმართავენ ხოლმე.



ლევან კიკალიშვილის ნახატი

## ფსიქოლოგია მორიდებული დარგია

დღეს არსებობს სკოლის ფსიქოლოგის ინსტიტუტი – ყველა სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, მაგრამ მისი არსებობა ყოველთვის არ იციან, არამც თუ მშობლებმა, ხშირად მასწავლებელმაც კი.

რატომ არიან ფსიქოლოგები ჩუმად?

"თუ არ მომმართა მშობელმა ან მასწავლებელმა, დახმარებას ჩემით ვერ მოვახვევ თავს," – ამბობს თეა ბერძენიშვილი, სკოლის ფსიქოლოგი და, ალბათ, მართალია, რადგან ფსიქოლოგია მორიდებული მეცნიერებაა – ბევრი იცის, ბევრი შეუძლია, მაგრამ მას უნდა სთხოვონ დახმარება, რომ ისიც ასევე შეუმჩნევლად და ძალდაუტანებლად დაეხმაროს, ისერომ ვერავინ მიხვდეს, როგორ.

"მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგების ძირითადი საქმეა, გამოიყენონ ცოდნა სწავლა-აღზრდისთვის, ჩვენ მაინც ირიბად ვართ ხოლმე ჩართული ამ პროცესში, - ამბობს თსუ-ისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, ფსიქოლოგი გუგული მაღრაძე. – მართალია, სკოლებში არიან ფსიქოლოგები, მაგრამ მათთან უკვე გართულებული მდგომარეობებით მიდიან. საერთოდ, სასწავლო პროცესის სათავეებში, სასწავლო პროგრამებში, მეთოდიკების დამუშავებაში ფსიქოლოგები ჩართული არ არიან. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ შემთხვევებს, როცა თვითონ ფსიქოლოგიას კვლევისთვის აინტერესებს განათლების ესა თუ ის სფერო და საკითხი."

## სახლში მინდა!

ფსიქოლოგებმა, რომელთაც საშველად მიმართავენ მშობლები, – ბავშვებს რა ვუყოთო, თავად გადაწყვიტეს სკოლის შექმნა.

ოქტომბრიდან ფსიქოლოგიის ინსტიტუტის საავტორო სკოლა იწყებს მუშაობას. ისინი ხსნიან მოსამზადებელ კლასს, რომელიც სათავედ დაედება სკოლას: ჩვენვე განვახორციელებთ იმას, რასაც ყველას უნდა ვასწავლიდეთ, ან რის სწავლებასაც უნდა გვთხოვდნენ", – ამბობს გუგული მაღრაძე, რომელიც იათო კოტეტიშვილთან, შოთა ნადირაშვილთან და სხვებთან ერთად სკოლას აფუძნებს. ბავშვები ხუთ საათამდე სკოლაში იქნებიან და "შეემზადებიან" მომავალი პირველი კლასისთვის.

ტრადიციულად, სექტემბერში უხვად იღვრება პირველკლასელთა ცრემლები, ბავშვები ძნელად ეგუებიან "უცხო" გარემოს. შეგუება – არშეგუების პროცესი მხოლოდ ლოკალური პრობლემა არ არის, ხშირად შორსმიმავალია და, ისეთი უარყოფითი შედეგები აქვს, გვიან რომ იჩენს თავს.

"ახლაც თვალწინ მიდგას უამრავი უცხო ადამიანი და მათ დღემდე ვერ ვაიგივებ ნაცნობ სახეებთან და გარემოსთან, თუმცა, თერთმეტი წელი მათთან ერთად ვისწავლე. მას შემდეგ პირველ სექტემბერს სკოლაში აღარ მივდიოდი, მივდიოდი ორში, სამში. ამხელა კაცი ვარ და, საერთოდ, ყველაფერ "პირველის" დღემდე მეშინია", - ეს ადამიანი ახლა ხუმრობს, პირველ ცოლსაც, ალბათ, ამიტომ გავეყარეო. ისე კი, ყოველთვის რთულ ბავშვად ითვლებოდა.

სკოლაში მოსწავლე, მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარი ბავშვების მომრავლება იმითაც აიხსნება, რომ პედაგოგები, საფუძვლიანი ფსიქოლოგიური ცოდნის გარეშე, ძირითადად, საგნების სწავლებაზე არიან ორიენტირებულნი. ზოგადი ფსიქოლოგიის საუნივერსიტეტო ნახევარწლიანი კურსი კი საკმარისი არ არის. სამწუხაროდ, არც სახელმძღვანელოები და მეთოდიკური ლიტერატურაა შედგენილი ფსიქოლოგიური გათვლებით.

ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სკოლაში სწავლაზე ორიენტირებული ფსიქოლოგები ასწავლიან წერა-კითხვას, მათემატიკას. უკვე ოთხი კლასის ფარგლებში მეთოდიკა თეორიულად გამართულია და რამდენიმე სკოლაში პრაქტიკულადაც გამოცდილი. ახლა შემდეგ კლასებზე მიმდინარეობს მუშაობა. ეს იქნება განსხვავებული მეთოდებით მიწოდებული ჩვეულებრივი სასკოლო პროგრამა. მათ უნდათ, მეათემეტერთმეტე კლასელებისთვისაც იმუშაონ, რომ გამართული აზროვნება ჩამოუყალიბდეთ.

"მთავარია, როგორ ვასწავლით. სწავლის უნარ-ჩვევების გამომუშავების მეთოდები არსებობს და აუცილებლად გამოვიყენებთ", – ამბობს გუგული მაღრაძე.

## სად წავიდა სტანდარტები

ფსიქოლოგიაში არის თეზა, რომ ყველაფერი შეიძლება ასწავლო, გააჩნია, როგორ ასწავლი.

საბჭოთა სკოლაში მერხი, კედლის ფერი, დაფის სიმაღლე, წიგნში ასოების ზომა თუ კალმისტარ-კალმის ფორმა განსაზღვრული იყო. ავად თუ კარგად, ყველაფერში ჩანდა, რომ ამაზე ვილაცები ფიქრობდნენ და მუშაობდნენ. დღემდე ვერ ვხვდები, რატომ არ შეიძლებოდა "სემიჩკა" კალმით წერაო, კითხულობენ "ძველები", რომლებიც სკოლაში შალითიან სამელნეებსაც ატარებდნენ.

ქართველი ბავშვებისთვის ფერადი, გაფორმებული სახელმძღვანელო და მხატვრული წიგნები საოცნებო აღარ არის. დღეს ქართული გამომცემლობები ამას ახერხებენ, მაგრამ რა პარამეტრებს უნდა აკმაყოფილებდეს ესა თუ ის გამოცემა და როგორ უნდა იყოს ადრესატის ასაკთან სრულად მისადაგებული, მართალია, ეს მათ იტერესში კი შედის, მაგრამ მათი გასაკეთებელი საქმე არ არის. საქმე მხოლოდ ფერადოვნებასა და დიდ-პატარა ასოებში არ არის. სახელმძღვანელოთა საკონკურსო კამპანია ფსიქოლოგების გარეშე მიმდინარეობს და შეფასების კრიტერიუმსაც მხოლოდ დარგობრივი სპეციალისტები ადგენენ.

გამომცემელმა, რომლის პროდუქტმაც კონკურსზე გაიმარჯვა, არ იცის, კონკრეტულად რა პარამეტრებით აჯობა სხვებს. შეფასება ყველასთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ რისთვის გაფასებენ, ამის ცოდნაც, რა თქმა უნდა, სასურველია.

## მითხარი, რა არის განათლება და რატომ ვარ კარგი!

"როგორ დავარწმუნო ბავშვი, რომ განათლება საჭიროა, როცა ხედავს, რომ მისი დიპლომიანი ანუ განათლებული მშობლები გაჭირვებით ცხოვრობენ", – ხშირად ამბობენ მშობლები.

არის მეორე მხარეც: მამა, რომელიც სკოლაში ოროსანი იყო, მაგრამ დღეს მატერიალურად უზრუნველყოფილია, შვილებს უჩიჩინებს, რომ ისწავლონ, თორემ ცხოვრება გაუჭირდებათ. მაგალითად საკუთარი თავიც მოჰყავს, აი, მე რომ სკოლაში კარგად არ მესწავლა, დღეს ასე არ ვიცხოვრებდიო. ცრუობს, მაგრამ დამაჯერებელია.

ყველას უნდა, რომ უკეთესი იყოს, ვიდრე არის - ბავშვსაც და დიდსაც.

შეფასება ყველას სჭირდება: მოსწავლეს – მასწავლებლისგან და მასწავლებელს – მოსწავლისგან, მთავრობას – პრეზიდენტისგან და პრეზიდენტს – მთავრობისგან. ჯერჯერობით ასეა, ბავშვი შეფასებას ყოველთვის მოითხოვს. მოითხოვს ახსნასაც, თუ რატომ შეაქეს. თუმცა, ხშირად, უკვე მოზრდილები, ამაზე აღარ ფიქრობენ, თვლიან, რომ ღირსეულია და იმიტომ.

რა შეცდომები იქნა დაშვებული ერთის აღზრდაში, ან მეორე რატომ მოითხოვს, სწორად გამზარდეთო, ვინ იცის?!

ფსიქოლოგებმა ბევრი რამ იციან, რაც ბევრ ვინმეს და ბევრ საქმეს სჭირდება.

დასავლური ღირებულებები (მათკენ ლტოლვა, იცოცხლე, კარგია!) მარტივი ადამიანური ბუნებით არის ნაკარნახევი. განათლებაც ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა, აქაც და იქაც, მაგრამ გაუნათლებლად საქმის კეთება სულაც არ არის განათლება. დროული ფსიქოლოგიური დახმარება მხოლოდ ინდივიდებს კი არა, სახელმწიფო სისტემას უფრო სჭირდება.



შენ ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე ხარ !
შენ გიცავს კანონი!

გაერკვიე საკუთარ უფლებებში და ისწავლე კანონი.

*დარეკე 98 47 70*

დაიცავენ შენს უფლებებს, მიიღებ იურისტის რჩევას და ფსიქოლოგის დახმარებას

*დარეკე 98 47 70 ( შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 17 საათამდე.)*

ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი

# ვის რაში ეხმარება დამხმარე სახელმძღვანელო

დალი კუპრავა

სახელმძღვანელოების ჩამონათვალში მიითებულია დამხმარე სახელმძღვანელოები. განათლების სამინისტროში დამხმარე სახელმძღვანელო განმარტეს, როგორც ... დამხმარე! "ეს სახელმძღვანელოები საჭიროა საგნის უფრო გაღრმავებულად სწავლისთვის და როგორ შეიძლება, რომ არ იყოს სავალდებულო?!" – თქვა განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლია შალვაშვილმა.

რაოდენობით დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა ძირითადს არ ჩამოუვარდება.

განსაკუთრებით ხვავიანია მეხუთე კლასის დამხმარე ლიტერატურა – ოცი სახელმძღვანელოა. მაგალითად, მუსიკის სამი სახელმძღვანელო ფართო არჩევანის საშუალებას იძლევა: მოსწავლე, სურვილისამებრ, უნდა, საესტრადო სიმღერების განხრით გაიღრმავებს ცოდნას, უნდა, ახალგაზრდულ სიმღერებს შეისწავლის. მუსიკის სამყაროში შესაღწევადაც ცალკე დამხმარე სახელმძღვანელო არსებობს.

ასევე არჩევითია შრომითი სწავლების სახელმძღვანელოც – ქალაქელ მასწავლებელსა და მოსწავლეს შეუძლიათ, აირჩიონ გოგოლაშვილის "საყოფაცხოვრებო შრომის" სახელმძღვანელო, სოფლად კი, უდავოა, რომ არჩევანი კილაძის "სასოფლოსამეურნეო შრომის" სახელმძღვანელოზე შეჩერდება. აქვე აღვნიშნოთ, რომ ძირითად ნაწილში ამ ორი საგნის სახელმძღვანელო არ არის. გავითვალისწინოთ ისიც, რომ შრომა, მუსიკა და ხატვა-ხაზვაც სასწავლო პროცესში რეალურად, ნომინალურ საგანთა სიაშია და სასკოლო საგაკვეთილო რეჟიმის ცვლაც მათ ხარჯზე ხდება.

მეხუთეკლასელებს ასევე უხვად სთავაზობენ შინ საკითხავ ლიტერატურას.

"შარშან გვითხრეს, სახლში საკითხავი წიგნი შეიძინეთო. წიგნების მეტი რა მაქვს, ჩემით შევურჩევ, მაგათი თხუთმეტლარიანი წიგნები რომ არ ვიყიდო", – ამბობს მშობელი. მართალია, თხუთმეტი ლარი გაზვიადებული ფასია, მაგრამ ვერ შეეკამათები, მართლა მშობლის ნებაა, მისი შვილი სახლში რას წაიკითხავს, ან, საერთოდ, წაიკითხავს თუ არა.

მეორე მშობელმა აღშფოთება ვერ დამალა, ერთ სახელმძღვანელოში რატომ ვერ ატევენ სავალდებულო ცოდნის მასალასო და კატეგორიული უარი თქვა დამხმარე სახელმძღვანელოს შეძენაზე.

როგორც აღმოჩნდა, მასწავლებელს ევალება პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის შეფასება და უფლება არა აქვს, მოითხოვოს დამხმარე ლიტერატურაში მოწოდებული მასალა.

ე.ი. მშობელსაც უფლება ჰქონია, ნებით იყიდოს ან არ იყიდოს დამხმარე სახელმძღვანელო.

რამდენიმე მასწავლებლისგან ისიც მოვისმინეთ, რომ ზოგიერთი დამხმარე სახელმძღვანელო ძირითადზე უკეთესია.

"მოაქვთ თავისი და თავისიანების წიგნები და, გინდა თუ არა, უნდა იყიდო. არ მინდა, რა...", – ეს უკვე გვითხრა მეათეკლასელმა, რომელსაც ქიმია და ფიზიკა იმდენად არ აინტერესებს, რომ დამატებითი სახელმძღვანელოებიც იყიდოს.

ვფიქრობთ, ჯერჯერობით გასარკვევია, როგორ იზრდება დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა და რეალურად ვის ეხმარება – ყოველ შემთხვევაში, მშობლის ჯიბეს ნამდვილად არა.

# სიტყვა დროსა და სივრცეში არსებობს

თამაზ კვაჭანტირაძე

სიტყვების ქვეყანა – ზოგან მჭიდროდ, ზოგანაც მეჩხრადაა დასახლებული: ისევე, როგორც - საბერძნეთი, როგორც – საფრანგეთი; საბერძნეთში ბერძნები სახლობენ; საფრანგეთში – ფრანგები...

სიტყვების ქვეყანასაც ჰყავს თავისი მოსახლეობა: მასში სიტყვები ბინადრობენ, ქართული სიტყვები – ეს ადამიანზე არანაკლებ სულიერი არსებანი... ეგ კი არა, ხანდახან ისიც მეჩვენება, რომ სიტყვები ჩვენზე, ადამიანებზე, მეტადაც გაჯერებულან სულიერებით... არა, მე იმას როდი მოგახსენებთ, თითქოს ისინი მატერიისაგან სრულად განძარცულიყვნენ – სიტყვებს წონაც აქვთ, ფერიც და სურნელიც; ეს სიტყვები ჯერ კიდევ არ ქცეულან პლატონის წმინდა იდეებად, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ გზა ამ ღვთაებრივ იდეათა სამყარომდე სწორედაც ამ ფერხორციან სიტყვებზე გადის.

ქართველი ამაოდ როდი იტყვის - ცოცხალი სიტყვააო. სიტყვა ცოცხალია, ის ჟამიერი გახლავთ – დროსა და სივრცეში არსებობს, დრო-ჟამითაა დასაზღვრული; სიტყვას სული უდგას; ისიც ისახება, მწიფს, იბადება, ივსება, იტოტება, ბევრდება, სხვა სიტყვით ნაყოფიერდება და სხვა სიტყვას ანაყოფიერებს; სიტყვაც იბრძვის არსებობისათვის, სიტყვაც იკვებება და სიტყვითაც იკვებებიან; სიტყვა ზოგჯერ მჭლევდება, ზოგჯერაც – პირიქით, ქონს მოიდებს; სიტყვა მოძრაობს, ფეთქავს, ჩინჩხარსა ყრის, მაგრამ ზოგჯერ მძიმდება, ზანტდება, მდოვრდება... ზოგი სიტყვა კი სულაც ხევდება და ქვავდება.

სიტყვა ღვინოსა ჰგავს – ისიც ათრობს; სიტყვაც მტევანივით იწურება, ჯერ მაჭრდება, მერე ღვინდება და ზოგჯერ ძმარდება კიდეც...

და როცა სიტყვა აღარ მოძრაობს, როცა მას არ ამოიტყვიან, არ იხმარებენ, სიტყვა ჟანგდება და ობსაც მოიკიდებს... უხმარებელი სიტყვა კი მიიძინებს ხოლმე.

ხდება უარესიც – სიტყვა კვდება.

კვდება, მაგრამ, ადამიანისა არ იყოს, არც სიტყვა დაინთქმება არარაობაში ანუ სრულ სიკვდილში, სიტყვაც, კაცის მსგავსად, გარდაიცვლება: დაჰკრავს ჟამი და "გარდაცვალებული" სიტყვა, როგორც პარკიდან ჭუპრი, პეპელად წამოფარფატდება – ფრთებშესხმული და ხალასი. და ეს სიტყვა, ლაზარესავით მკვდრეთით აღმდგარი, ზოგჯერ ძნელადსაცნობია, მას მოძებნა, მიგნება, ამოცნობა სჭირდება.

სიტყვების სამყაროში მოგზაურობა სიტყვათა საუფლოს ანუ ენის სტიქიონის მოხილვასაც გულისხმობს.

კაცი კაცითაო და – სიტყვაც სიტყვითა: სიტყვაც ძალას სხვა სიტყვებთან ურთიერთობისას იკრებს. მარტო-სიტყვა, მარტო-კაცისა არ იყოს, ბრალია; სიტყვამ სიტყვა უნდა მიიზიდოს, სიტყვას შეეკრას, შეეწმახნოს ან, როგორც აკაკი იტყოდა, "შეუხმატკბილდეს". ასე იკვრება წინადადება,ფრაზა, ასე იქმნება სიტყვათჰარმონია, სიტყვათხმიანობა, სიტყვათმუსიკობა, და ასე იბადება ლექსი და, საერთოდ, ლიტერატურა, სადაც სიტყვები არა მარტო თავიანთი “სამოქალაქო კოდექსით” ანუ გრამატიკული წესებით, – ესთეტიკური კანონებითაც ცხოვრობენ. და, როგორც ქვეყნებს აქვთ ზოგჯერ რამდენიმე სახელი, როგორც საქართველო არის იგივე იბერია, ან იგივე კოლხეთი, ასევე გახლავთ "სასიტყვეთი" იგივე "საშოთაო", იგივე "ილიეთი". ამ "საშოთაოში" ანუ ლიტერატურაში ხეტიალისას აღმოვაჩენთ, რომ სიტყვები ყველაზე უკეთ, ყველაზე ძალმორჭმულად, ყველაზე სრულყოფილად სწორედ აქ, მწერლობაში, გამოგვივლენენ ხოლმე თავიანთ თავს...

სასიტყვეთში მოგზაურობა ლიტერატურის სამყაროს მოხილვასაც გულისხმობს.

სასიტყვეთში მოგზაურობისას ჩვენ გვიწინამძღვრებენ, ერთი მხრივ, თავად ქართული სიტყვასაოცრებები, ისეთები, როგორებიც არიან – *თავისუფალი, წუთისოფელი,* გარდაცვალება და მრავალი სხვა, მეორე მხრივ, ჩვენი დიდი მესიტყვეები, "ვეფხისა და მოყმის" უსახელო ავტორით დაწყებული, პოეტთა მეფე რუსთაველამდე.

ეს მოგზაურობა, უფრო ზუსტად – ხეტიალი სასიტყვეთში (ხეტიალი და არა – ბოდიალი, არა ყიალი), ჩვენ, ალბათ, დაგვარწმუნებს, რომ ამ სწრაფად მედინ წუთისოფელში ყველაფერი იცვლება, იცვლება სასიტყვეთიც, იცვლებიან სიტყვები, ვიცვლებით ჩვენც, მაგრამ ამ ცვლილებათა წიაღ მაინც რჩება მყარი ფასეულობები, მარადიული პრობლემები, მუდმივი პრინციპები, სამისდღეშიო სიტყვები და იდეები.

სასიტყვეთში მოგზაურობის მიზანიც ამ რწმენის განმტკიცება გახლავთ.

დამემგზავრეთ სიტყვათა სამყაროში.

# რამდენი ბიბლიოთეკა შემოგვრჩა?

## ზიმბაბვეში ბიბლიოთეკების საქმე ცუდადაა

ეკატერინე ბახუტაშვილი

ასზე მეტი გამოკითხული ბავშვიდან (ასაკი 10-12 წელი) ათიოდემ თუ იცოდა, რა არის ბიბლიოთეკა და ერთადერთი იყო, ვინც სარგებლობდა ბიბლიოთეკით. როგორც ვხედავთ, მათ შორის არც ბიბლიოთეკარების შვილები არ აღმოჩნდნენ, ან არსებობს კი დღეს ასეთი პროფესია?

ბოლო წლებში ჩვენში ბიბლიოთეკების ძირითად მკითხველს ასაკოვანი ადამიანები ან ზოგჯერ, სტუდენტები შეადგენენ. ამბობენ, მოზარდი თაობა ინფორმაციის მისაღებად ელექტრონულ საშუალებებს ამჯობინებს. მართალია, უფროსი ასაკისათვის წიგნი კვლავ სამყაროს შეცნობის საუკეთესო საშუალებად რჩება, თუმცა, ბიბლიოთეკებს ისინიც ნაკლებად მიმართავენ – ხშირად იმიტომაც, რომ ახალი წიგნები იქაც არ არის.

საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში ყველა ტიპისა და უწყების 8 ათასზე მეტ ბიბლიოთეკა იყო 40 მილიონზე მეტი ბეჭდური ერთეულით და მათ 11 ათასი თანამშრომლი ემსახურებოდა.

ყველაზე მეტი ბიბლიოთეკა კულტურის სამინისტროს სისტემას გააჩნდა. კონფლიქტებისა და მიწისძვრების შედეგად(!) ამ სისტემის 4 ათასამდე ბიბლიოთეკას 2 ათასამდე მოაკლდა. სამინისტროს დაქვემდებარებაშია ასევე რაიონული და სოფლის ბიბლიოთეკებიც.

მეორე დიდი ქსელი განათლების სამინისტროს ეკუთვნოდა. იგი 4 ათასზე მეტ სასკოლო ბიბლიოთეკას ითვლიდა და ამჟამად ეს ციფრი დაახლოებით ათასით არის შემცირებული. დანარჩენი სხვადასხვა უწყებებს განეკუთვნებოდა: მეცნიერებათა აკადემიას, მედიცინას, ტექნიკურ უნივერსიტეტს, სამხედრო სფეროს და სხვას.

ადრე თბილისში 70-ზე მეტი საქალაქო ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო დაფიქსირებული საკავშირო სტატისტიკაში.

დამოუკიდებელ საქართველოს ამდენი ბიბლიოთეკის შენახვა გაუჭირდა. 1992-93 წლების შემდეგ ქსელის მკვეთრი შემცირების პროცესი დაიწყო, მაგრამ პროცესი



იური ლობოდინის ფოტო

1996 წლიდან სახელმწიფოს მიერ ბიბლიოთეკების ქსელის გეგმაზომიერი მოწესრიგებით შეიცვალა.

ბიბლიოთეკების დაფინანსება ადგილობრივი ხელისუფლების ხელში გადავიდა. ბევრგან ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ სახელფასო თანხები არ ჰქონდათ და 500 მაცხოვრებლიან პუნქტებშიც კი სამკითხველოები დაიხურა, რაც ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევაა. კანონით 200-300 კაციან დასახლებებში ბიბლიოთეკები უნდა არსებობდეს. თუმცა, ზოგან გაუქმების პროცესი ბიბლიოთეკების გეგმაზომიერი გამსხვილებით შეიცვალა.

დღეისათვის სოფლის ბიბლიოთეკართა დიდი უმრავლესობა ნახევარ შტატზე მუშაობს და მათი ხელფასი 16-17 ლარია, რომელსაც ხშირად დაგვიანებით იღებენ. ზოგან ხელფასების ნაცვლად პროდუქტებს აძლევენ. ამ პროცესის დროს, განსაკუთრებით, მთიანი რაიონების მოსახლეობა დაზარალდა. აქ ბიბლიოთეკები საკრებულოების ცენტრებშიღა დარჩა. არსებული პარამეტრების მიხედვით, ქალაქად მაცხოვრებლებისაგან ბიბლიოთეკა 1,5 კმ-ით უნდა იყოს დაშორებული, ხოლო სოფლებში 3 კმ-ზე მაინც. ეს პარამეტრები ბევრგან დაირღვა. დღეისათვის 5 ათასზე მეტი სამკითხველო არსებობს. კულტურის სამინისტრო, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია ამჟამად ერთობლივად ადგენენ, თუ რამდენი ბიბლიოთეკა დარჩა საქართველოში.

“საბიბლიოთეკო ფონდები 40 მლნ-დან 15-16 მლნ-ით მაინც შემცირდა, რისი მიზეზიც ფონდების მოძველებაა. ადრე ისინი ცენტრალიზებული წესით ივსებოდა, ანუ წიგნები თბილისიდან იგზავნებოდა რეგიონებში. 7-8 წელია ბიბლიოთეკების 90-95% ახლად გამოცემული ლიტერატურით აღარ ივსება. ეს ნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ მხატრული ლიტერატურით ემსახურებიან მკითხველს. ახალი ბეჭდური მასალებით თუ არ გამდიდრდა ბიბლიოთეკა, იგი წიგნების საწყობს დაემსგავსება. ახალი წიგნებით დაკომპლექტება იმ რამდენიმე რეგიონში ხორციელდება, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება ბიბლიოთეკებისათვის მინიმალური თანხების გამოყოფას ახერხებს”, – განაცხადა ჩვენთან საუბრისას საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო მეთოდური განყოფილების ხელმძღვანელმა გურამ თაყნიაშვილმა.

“ოთარ ჩხეიძის “არტისტულ გადატრიალებას” ვეძებ რამდენი წელია. ვერც ჭილაძის “აველუმს” წავაწყდი ბიბლიოთეკებში, რომ სახლში წამეკითხა. საჯაროში ხომ არ დავჯდები?!” – შემოგვჩივლა ნამდვილმა მკითხველმა, რომელიც 50 წელია ბიბლიოთეკებით სარგებლობს.

ზამთრობით სოფლები სრულ ინფორმაციულ ვაკუუმშია. აქ ბიბლიოთეკების შენარჩუნება აუცილებელია. იმ რაიონული ცენტრების და ქალაქის ტიპის დასახლებებში, სადაც ბიბლიოთეკების მარაგი ნაწილობრივ მაინც ივსება, მკითხველთა რაოდენობამ იმატა. მომხდარი ცვლილებებით განსაკუთრებით ბავშვი დაზარალდა, რადგან საბავშვო წიგნობრივი ფონდები ქალაქებსა და რაიონებში დიდ ბიბლიოთეკებს შეუერთდა. გარდა ამისა, ისინი ფიზიკურად და მორალურად გაიცვითა – ჰარი პოტერს და პავკა კორჩაგინს დღევანდელი ბავშვი ერთნაირი ინტერესით ვერ წაიკითხავს.

დღეისათვის თბილისს 53 საქალაქო ბიბლიოთეკა შერჩა. ბოლო წლებში ქსელს 16 საბიბლიოთეკო შენობა ჩამოერთვა, ზოგი მათგანი მერიას გადაეცა. მოქმედი საქალაქო ბიბლიოთეკებიდან კომპიუტერი არცერთ მათგანში არ დგას. ყველაზე მეტი კომპიუტერი, 80-ზე მეტი, ეროვნულ ბიბლიოთეკაშია. ისინი საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით შეიძინეს. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინტერნეტით სარგებლობა გარკვეულ საათებში უფასოა. ხელმძღვანელობა უმოკლეს პერიოდში ავტომატიზაციაზე გადასვლასაც გეგმავს. მკითხველი ტრადიციულად კატალოგს აღარ მიმართავს და საჭირო ინფორმაციას კომპიუტერში მოიპოვებს, ხოლო ლიტერატურას ოპერატიულად სამუშაო მაგიდაზე მიიღებს. ინტერნეტის მეშვეობით, ასევე, უცხოურ ბიბლიოთეკებში დაცული მასალების გამოყენების საშუალებაც იქნება, რაც ნაწილობრივ უკვე ხორციელდება. საქართველოს დიდი ქალაქების ბიბლიოთეკებში კომპიუტერიზაცია ნელ-ნელა ინერგება.

2000 წელს საქართველოს საბიბლიოთეკარო ასოციაცია შეიქმნა. მისი პრეზიდენტის ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მათი მეშვეობით საქართველოს ყველა ბიბლიოთეკას საშუალება აქვს წაიკითხოს 1991 წლიდან დღემდე არსებული 7500 დასახელების ელექტრონული ჟურნალი. ეს სისტემა უკვე დანერგილია ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე ქუთაისის ბიბლიოთეკებში. შეიქმნა ელექტრონული ბიბლიოგრაფია საქართველოში გამოცემული წიგნებისა, რასაც შემდგომ მოყვება ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგის გამოშვება. ასოციაცია უკვე გამოსცემს ჟურნალს “საქართველოს ბიბლიოთეკა”, რომელიც პროფესიონალებისთვისაა განკუთვნილი და საქართველოში პირველად გამოიცემა.

“მიუხედავად ბოლო 10 წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენებისა, სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოს კარგი ბიბლიოთეკები აქვს. მე ვგულისხმობ ყოფილი საბჭოთა, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბიბლიოთეკებს. ეკონომიკური თვალსაზრისით ჩვენზე უკეთესი მდგომარეობაა ბოთსვანასა და ზიმბაბვეში, ჩვენზე უარესი – კონგოსა და ლაოსში. ბიბლიოთეკები კი მათზე უკეთესი გვაქვს. ამ სისტემის გასაუმჯობესებლად საჭიროა გარკვეული რეფორმების გატარება”, – განაცხადა საუბრისას ღარიბაშვილმა.

# საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროცესში 2002-2003 სასწავლო წლისთვის დაშვებულ სახელმძღვანელოთა ნუსხა

ნუსხის გრაფებში მითითებულია საგამომცემლო ფასი, რათა იოლად მივხვდეთ, რომ ამ ფასზე იაფი საეჭვო წარმომავლობისაა, გავუძლოთ ცდუნებას და არ ვიყიდოთ. გრაფებში მითითებულია ორი სასკოლო ბაზრობის ფასებიც, რათა შევძლოთ ჩვენთვის მოსახერხებელი არჩევანის გაკეთება. აქვე დავძენთ, რომ საბაზრო ფასები შესაძლოა შეიცვალოს, მაგრამ, ვიმედოვნებთ, რომ მყიდველის სასარგებლოდ.

გისურვებთ თქვენთვის საჭირო ყველა სახელმძღვანელოს შეძენას.

საეჭვო სახელმძღვანელოების ნახვის შემთხვევაში, გთხოვთ შეგვატყობინოთ. დარეკეთ 98-47-70.

"24 საათი"

| | საგანი | სახელმძღვანელო | ავტორი | გამომცემელი | საგამომცემლო ფასი | მახასიათებლები | პროფკავშირების ბაზრობა | სპორტის სასახლის ბაზრობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **პირველი კლასი** | | | | |
| 1 | მშობლიური ენა | დედაენა | ვ.რამიშვილი | "ლამპარი" | 4-00 | გარეკანი ფერადი,ტექსტი ფერადი, 127 გვერდი | 4,60 | 4,25 |
| 2 | მშობლიური ენა | დედაენა | ვ.როდონაია | | | | 9,60 | 4,00 |
| 3 | მათემატიკა | მათემატიკა | ზ.ვახანია, დ.ნაზირიშვილი | " ჯი სი აი" | | გარეკანი და ტექსტი ფერადი სახელმ. და ორი სამუშაო რვეული | | |
| 4 | მათემატიკა | მათემატიკა | გ.ბერიშვილი და სხვ. | " ბაკურ | | | 4,20 | 4,00 |
| 5 | ხელოვნება | ხელოვნება | ნ.მაჭარაშვილი | " მერიდიანი" | 3-20 | ფერადი გარეკანი და ტექსტი, ილუსტრაციებით | 3,80 | 3,60 |
| 6 | სახვითი ხელოვნება | ხატვა | ო.ალავიძე | " დია" | 2,00-2,50 | გარეკანი და ტექსტი ფერადი,2001წ | | |
| 7 | მუსიკა | მუსიკა | ნ.მამუკელაშვილი | " კონა" | | | 2,40 | 2,30 |
| 8 | შრომითი სწავლება | ცოდნის კონა | კ.ანთაძე, ნ.მამუკელაშვილი | " კონა" | | | 2,40 | 2,30 |
| | | | | **მეორე კლასი** | | | | |
| 1 | მშობლიური ენა | დედაენა | ვ. რამიშვილი | "ლამპარი" | 3-50 | გარეკანი ფერადი,ტექსტი ფერადი, 131 გვერდი. | 4,10 | 3,80 |
| 2 | მშობლიური ენა | დედაენა | ვ.როდონაია,ავ.არაბულილ.ვა | "საქართველოს | 4,00-4,50 | | | |
| 3 | მშობლიური ენა | ქართული ენა(გრ. მართლწ.) | ვ.რამიშვილი | "ლამპარი" | 2-10 | გარეკანი ფერადი,ტექსტი ფერადი, 64 გვერდი. | 2,40 | 2,30 |
| 4 | მშობლიური ენა | მართლწერის დედანი,მე2-3 | ვ.თოფურია | "განათლება" | 1-50 | გარეკანი ერთ ფერში,ტექსტი ორ ფერში, 3,5 თაბახი2001წ. | 1,80 | 1,70 |
| 5 | მათემატიკა | მათემატიკა | ი.რუხაძე | "განათლება" | 4-00 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში, 11 თაბახი, 2001წ. | 4,60 | 4,20 |
| 6 | ბუნებისმცოდნეობა | ბუნება | ნ.დარჩიაშვილი, | "დია" | 2,50-3,00 | გარეკანი და ტექსტი ფერადი,2000წ | 3,00 | 2,80 |
| 7 | ბუნებისმცოდნეობა | ბუნების კარი | მ.ღარიბაშვილი | "განათლება" | 3-30 | გარეკანი ოთხ ფერში,ტექსტი ოთხ ფერში,10 თაბახი,2000წ | 4,00 | |
| 8 | ხელოვნება | ხელოვნება | ნ. მაჭარაშვილი | "მერიდიანი" | 3-20 | გარეკანი და ტექსტი ფერადი. | 3,90 | 3,60 |
| 9 | შრომითი სწავლება | ცოდნის კონა | კ.ანთაძე, ნ.მამუკელაშვილი | "კონა" | | | 2,40 | 2,40 |
| | | | | **მესამე კლასი** | | | | |
| 1 | მშობლიური ენა | ქართული ენა | ზ,ბოცვაძე, თ.ბურჯანაძე | "ფორმა" | | | 3,60 | 3,30 |
| 2 | მშობლიური ენა | ქართული ენა | ვ.როდონაია, ავ.არაბულიდა | "საქართველოს | 4,00-4,50 | | | |
| 3 | მშობლიური ენა | ქართული ენა (გრ.მართლწ.) | ვ.რამიშვიალი | "ლამპარი" | 2-40 | გარეკანი ფერადი, ტექსტი 2 ფერში, 97 გვერდი | 2,70 | 2,70 |
| 4 | მშობლიური ენა | ქართ.წერის დედანი მე-2,3 | ე.თოფურია | "განათლება"- | | | | 1,70 |
| 5 | მათემატიკა | მათემატიკა | ი.რუხაძე | "პედაგოგიკა" | 3_20 | | 3,60 | 3,50 |
| 6 | ბუნებისმცოდნეობა | ბუნება | ნ.დარჩიაშვილი,ლ. კარდენახიშვილი | "დია" | 2-2,50 | გარეკანი და ტექსტი ფერადი,2000წ | 2,40 | 2,30 |
| 7 | ბუნებისმცოდნეობა | დედაბუნება | არნ.გეგეჭკორი,გ.კვანტალიან | "მერიდიანი" | 3-30 | | 3,60 | 3,50 |
| 8 | უცხოური ენა | რუსული ენა | ე.ნიორაძე და სხვ. | "განათლება" | 4-00 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში,12თაბ.2001-2002წ | 4,40 | 4,00 |
| 9 | უცხოური ენა | რუსსკოე სლოვო | კ.მაჭარაშვილი | "მერიდიანი" | 3-30 | | 3,90 | 3,80 |
| 10 | უცხოური ენა | რუსული წერის დედანი | ე.ნიორაძე | "განათლება" | 1-00 | გარეკანი ერთ ფერში,ტექსტი ორ ფერში,3 თაბ. 2001წ | 1,10 | 1,00 |
| 11 | ხელოვნება | ხელოვნება | ნ.მაჭარაშვილი | "მერიდიანი" | 3-40 | გარეკანი და ტექსტი ფერადი. | 4,10 | 3,80 |
| 12 | რელიგიის ისტორია და | რელიგიის ისტორია და | რ.თვარაძე | "საქართველოს | 1,50-1,80 | | 1,80 | 1,70 |
| 13 | საგანგებო | უსაფრთხოება | ო.მდივნიშვილი | "მერიდიანი" | 2-50 | | | |
| | | | | **მეოთხე კლასი** | | | | |
| 1 | მშობლიური ენა | ქართული ენა | ვ.რამიშვილი | "განათლება"- | 4-70 | გარეკანი ფერადი, ტექსტი 2ფერში,206 გვერდი | 5,40 | 5,00 |
| 2 | მშობლიური ენა | ქართული ენა | ვ.როდონაია, ავ.არაბული და | "საქართველოს | 4,30-4,80 | | | |
| 3 | მშობლიური ენა | ქართული ენა (გრ.მართწ.) | ვ.რამიშვილი | "ლამპარი" | 2-20 | გარეკანი ფერადი, ტექსტი 2ფერში,71 გვერდი | 2,50 | 2,40 |
| 4 | მათემატიკა | მათემატიკა | ი.რუხაძე | "პედაგოგიკა" | 3-20 | | 3,60 | 3,50 |
| 5 | ბუნებისმცოდნეობა | სამშობლო | ნ.დარჩიაშვილი | "დია" | 2,50-3,00 | გარეკანი და ტექსტი ფერადი,2000წ | 3,00 | 2,70 |
| 6 | ბუნებისმცოდნეობა | ჩვენი სამშობლო | გ.კვანტალიანი | "მერიდიანი" | 3-30 | | 4,00 | 3,70 |
| 7 | უცხოური ენა | რუსული ენა | ვ.ნიორაძე და სხვ. | "განათლება" | 4-00 | გარეკანი ოთხ ფერში,ტექსტი ოთხ ფერში,12ტაბ. 2001-2002წ | 4,30 | 4,00 |
| 8 | ხელოვნება | ხელოვნება | ნ.მაჭარაშვილი | "მერიდიანი" | 3-50 | გარეკანი და ტექსტი ფერადი. | 4,20 | 3,80 |
| 9 | რელიგიის ისტ. და კულტურა | რელიგიის ისტ. და კულტურა | რ.თვარაძე | "საქართველოს | 2,00-2,50 | | 2,40 | 2,30 |
| 10 | საგან.სიტ. და სამოქ. თავდაცვა | უსაფრთხოება | ო.მდივნიშვილი | "მერიდიანი" | 2-50 | გარეკანი და ტექსტი ფერადი | | |
| | | | | **მეხუთე კლასი** | | | | |
| 1 | მშობლიური ლიტერატურა | მშობლიური ლიტერატურა | ვ.როდონაია და სხვ. | "ნათია" | | | | 5,40 |
| 2 | მშობლიური ენა | ქართული ენა | ა.შანიძე, ი.იმნაიშვილი ლ.კვაჭაძე | "განათლება" | 2-50 | გარეკანი ოთხ ფერში,ტექსტი შავ-თეთრი,6,5 თაბ. 2001-2002წ | 2,90 | 2,70 |
| 3 | მათემატიკა | მათემატიკა | ე.ნურკი, ა.ტელგმა | "განათლება" | 2-50 | გარეკანი ოთხ ფერში,ტექსტი შავ-თეთრი,14,5 თაბ.2001-2002წ | | 2,70 |
| 4 | საქართველოს ისტორია | ჩვენი სამშობლოს მატიანე | რ.მეტრეველი ლ.სანიკიძე | "განათლება"- | | | 4,20 | 4,00 |
| 5 | ბუნებისმცოდნეობა | სამყარო | ბ.კვანტალიანი ნ.გელაშვილი | "მერიდიანი" | 3-30 | | 4,00 | 3,80 |
| 6 | უცხოური ენა | რუსული ენა | ლ.დოლიძე და სხვ. | "განათლება" | 3-50 | გარეკანი ოთხ ფერში,ტექსტი ოთხ ფერში,13 თაბ.,2001-2002წ | 4,20 | 3,50 |
| 7 | უცხოური ენა | ინგლისური ენა2000Plus | ტ.ბუკია ი.ჩიბურდანიძე | "დიოგენე" | სახ.5,00. ტესტი1,50, კასეტა2,50 | ახლავს ტესტების კრებული და აუდიო კასეტა | | 7,30 |
| 8 | უცხოური ენა | ინგლისური ენა | ლ.ბერიძე და სხვ. | "განათლება" | 3-50 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში, 9 თაბ.2002-წ | | 3,50 |
| 9 | უცხოური ენა | გერმანული ენა | ლ.კობახიძე ლ.მეტრეველი | "ინტელექტი" | 4,00 | | 4,80 | 4,50 |
| 10 | უცხოური ენა | ფრანგული ენა | ნ.ლეჟავა | "განათლება" | | | | |
| 11 | რელიგიის ისტორია და | რელიგიის ისტ. და კულტურა | რ.თვარაძე | "საქართველოს | 2,30-2,60 | | 2,60 | 2,50 |
| 12 | საგ.სიტუაც და სამოქალაქო | უსაფრთხოება | ო.მდივნიშვილი | "მერიდიანი" | 2-80 | | | |
| | | | | **მეექვსე კლასი** | | | | |
| 1 | მშობლიური ლიტერატურა | მშობლიური ლიტერატურა | ვ.როდონაია და სხვ. | "საარი" | | | | 5,60 |
| 2 | მშობლიური ენა | ქართული ენა | ა.შანიძე,ი.იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე | "განათლება" | 2-50 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი,9თაბ.2000-2002წ | 2,90 | 2,70 |
| 3 | მათემატიკა | მათემატიკა | ე.ნურკი,ა.ტელგმა | "განათლება" | 2-50 | გარეკანი ოთხ ფერში,ტექსტი შავ-თეთრი,13 თაბ.2001-2002წ | | 2,70 |
| 4 | ისტორია | ძველი მსოფლიოს ისტორია | ქ.თვალიაშვილი ც.ჩიკვაიძე | "კონა" | | | 5,30 | 5,00 |
| 5 | ბიოლოგია | ბოტანიკა | ე.კორჩაგინა | "განათლება" | 3-00 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში,9,5 თაბ. 2001-2002წ | 3,30 | 3,30 |
| 6 | გეოგრაფია | ფიზიკური გეოგრაფია | ნ.დარჩიაშვილი | "დია" | 3,50-4,00 | გარეკანი და ტექსტი ფერადი,1996წ | | 4,00 |
| 7 | უცხოური ენა | რუსული ენა | თ.ლორთქიფანიძე | "განათლება" | 4-00 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში,13 თაბ.2001-2002წ | 4,40 | 4,00 |
| 8 | უცხოური ენა | ინგლისური ენა | ლ.ბერიძე და სხვ. | "განათლება" | 3-50 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი,13,5 თაბ.2002წ | | 3,50 |
| 9 | უცხოური ენა | ინგლისური ენა სახელმძღვ. ტესტები და მასწ.წიგნი | ტ.ბუკია, ო.ჩიბურდანიძე | "ოცდამეერთე" | 6,00-1,50-3,00 | | | 8,50 |
| 10 | უცხოური ენა | გერმანული ენა | ლ,კობახიძე, ლ.მეტრეველი | "ინტელექტი" | 4,00 | | 4,80 | 4,50 |
| 11 | უცხოური ენა | ფრანგული ენა | ნ.ლეჟავა, ე.ლებანიძე, ნ.მოისწრაფიშვილი | "განათლება" | | | | |
| 12 | რელიგიის ისტორია და | რელიგიის ისტორია და | რ.თვარაძე | "საქართველოს | 2,50-2,80 | | 2,90 | 2,70 |
| 13 | საგ.სიტუაციები და | უსაფრთხოება | ო.მდივნიშვილი | "მერიდიანი" | 2-80 | | | |
| | | | | **მეშვიდე კლასი** | | | | |
| 1 | მშობლიური ლიტერატურა | მშობლიური ლიტერატურა | ვ.როდონაია და სხვ. | "ლოგოსპრესი" | 4,50 | გარეკანი ფერადი, 2002წ ცისფდაჟოლოსფერი ორნამენტებით. 2001წ ოქროს ფ. წარწერა და ორნამენტი ილუსტრაც. ფერადი | 5,80 | 5,50 |
| 2 | მშობლიური ენა | ქართული ენა | ა.შანიძე,ლ.კვაჭაძე | "განათლება" | 3-00 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი, 8,5 თაბ.2001-2002წ | 3,50 | 3,30 |
| 3 | მათემატიკა | ალგებრა | ი.მაკარევიჩი და სხვ. | "განათლება" | 4-00 | გარეკანი სამ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი, 16,5 თაბ.2000-2002წ | | 4,30 |
| 4 | მათემატიკა | გეომეტრია | გ.გოგიშვილი ი.ვეფხვაზე | "ინტელექტი" | 4,00 | | | 4,50 |
| 5 | მატემატიკა | გეომეტრია | თ.ბეიტრიშვილი,ე.პაპავა | "დია" | 2,50-3,00 | გარეკანი და ტექსტი ფერადი,2001წ | 3,00 | 2,80 |
| 6 | ფიზიკა | ფიზიკა | ე.სურგულაძე,მ.კასრაძე | "ინტელექტი" | 4,00 | | 4,80 | 4,50 |
| 7 | ფიზიკა | ფიზიკა | გ.გედენიძე ე.ლაზარასვილი | "ინტელექტი" | 4,00 | | | 4,50 |
| 8 | საქართველოს ისტორია | საქართველოს ისტორია | ი.ანთელავა,რ.მეტრეველი,მ. ლორთქიფანიძე | "არტანუჯი" | 3,70 | | 4,30 | 4,20 |
| 9 | ისტორია | შუა საუკუნეების ისტორია | კ.ანთაძე, ლ.ფირცხალავა | "კონა" | | | 5,30 | 5,00 |
| 10 | ბიოლოგია | ბოტანიკა/I სემესტრი ზოოლოგია/II სემესტრი | ე.კორჩაგინა | "განათლება" | 2-50 4-50 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში,7 თაბ.2001-2002წ | 2,80 | 2,80 |
| 11 | ქიმია | ქიმია | მ.ვარდიაშვილი | "ინტელექტი" | 4,00 | | | 4,50 |
| 12 | ქიმია | ქიმია | ლ.თევზაძე ნ.ჯავახიშვილი | "დიოგენე" | 5,00 | გარეკანი და ილუსტრაც.ფერადი | | 5,60 |
| 13 | გეოგრაფია | კონტინენტების გეოგრაფია | ნ.დარჩიაშვილიგ.მარგველან | "დია" | 4,50-5,00 | გარეკანი და ტექსტი ფერადი,1996წ | 5,30 | 5,00 |
| 14 | უცხოური ენა | რუსული ენა | ე.ბათიაშვილი და სხვ. | "განათლება" | 4-00 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში, 13 თაბ. 2001-2002წ | 4,40 | 4,00 |
| 15 | უცხოური ენა | ინგლისური ენა | ლ.ბერიძე და სხვ. | "განათლება" | 3-50 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი,8 თაბ. 2001-2002წ | | |
| 16 | უცხოური ენა | გერმანული ენა | თ.კავკასიძე და სხვ. | "განათლება" | 3-50 | გარეკანი სამ ფერში, ტექსტი ორ ფერში,9 თაბ. 2001-2002წ | 3,30 | 3,00 |
| 17 | უცხოური ენა | ფრანგული ენა | ე.ლებანიძე, ქ.ჩოჩია | "ფავორიტი" | 3,00 | გარეკანი ფერადი, საფრანგეთის ხედებით.ტექსტი შავ-თეთრი 2002წ ცისფდაჟოლოსფერი | 3,60 | 3,40 |
| 18 | რელიგიის ისტორია | რელიგიის ისტ. და კულტურა | რ.თვარაძე | "საქართველოს | 3,00-3,30 | | 3,3,50 | 3,40 |
| 19 | საგანგ.სიტუაციები და სამოქ. | უსაფრთხოება | ო.მდივნიშვილი | "მერიდიანი" | 2-80 | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მერვე კლასი | | | | | |
| 1 | მშობლიური ლიტერატურა | მშობლიური ლიტერატურა | ე.გულდამაშვილი | "განათლება" "ლამპარი" | | | | |
| 2 | მშობლიური ლიტერატურა | მშობლიური ლიტერატურა | ვ.როდონაია და სხვ. | "ლოგოსპრესი" | 4,50 | 2002წ გარეკანზე. ცისფ და ჟოლოსფ ორნამენტი; 2001წ ოქროსფერი წარწდა ორნამ. ილუსტრაც. ფერადი | 6,40 | 6,00 |
| 3 | მშობლიური ენა | ქართული ენა | ა.შანიძე,ლ.კვაჭაძე | "განათლება" | 1-50 | გარეკანი სამ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი, 5 თაბ. 2001 წ | 1,70 | 1,70 |
| 4 | მატემატიკა | ალგებრა | ი.მაკარევიჩი და სხვ. | "განათლება" | 4-00 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი,17 თაბ.2000-2002 | 4,60 | 4,30 |
| 5 | მათემატიკა | გეომეტრიაVII-XI კლ. | ა.პოგორელოვი | "განათლება" | 4-00 | გარეკანი სამ ფერსი, ტექსტი შავ-თეთრი,19<5 თაბ.2000-2002წ | 4,80 | 4,50 |
| 6 | ფიზიკა | ფიზიკა | ე.სურგულაძე,მ.კასრაძე | "ინტელექტი" | 4,00 | | 4,80 | 4,50 |
| 7 | ფიზიკა | ფიზიკა | კ.ხვითარია,დ.ჭეიშვილი | განათლება"- "ლამპარი" | 3,00-3,50- | | | |
| 8 | საქართველოს ისტორია | საქართველოს ისტორია | ნ.ასათიანი | "განათლება" | 4-00 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში, 13 თაბ. 2001-2002წ | 4,00 | 4,50 |
| 9 | საქართველოს ისტორია | საქართველოს ისტორია | მ.ვაჩნაძე, ვ.გურული,მ.ბახტაძე | "არტანუჯი" | 3,70 | | 4,50 | 4,20 |
| 10 | ისტორია | ახალი ისტორია | კ.ანთაძე,ნ.მამუკელაშვილი,სი მონიშვილი | "კონა" | | | 5,30 | 5,00 |
| 11 | ბიოლოგია | ზოოლოგია | დ.კობახიძე,ა.მაჩაბელი | "განათლება" | 4-50 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში, 15 თაბ.2001-2002 | | |
| 12 | ქიმია | ქიმია | ზ.ლომსიანიძე, გ.ცინცაძე | "განათლება"- | | | | 2,00 |
| 13 | გეოგრაფია | საქართველოს ფიზიკური | ნ.ბერუჩაშვილი, | "საქართველოს | | | 5,90 | 5,50 |
| 14 | ხაზვა | ხაზვა | ა.შავგულიძე | "განათლება" | 3-20 | გარეკანი სამ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი,8,5 თაბ. 2001-2002წ | 3,70 | 3,40 |
| 15 | უცხოური ენა | რუსული ენა | ნ.ბერიძე,და სხვ. | "განათლება" | 4-00 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში,12 თაბ.2001-2002 | 4,40 | 4,00 |
| 16 | უცხოური ენა | ინგლისური ენა | მ.ჯაფარიძე და სხვ. | "განათლება" | 3-20 | გარეკანი სამ ფერსი, ტექსტი შავ-თეთრი, 7,5 თაბ. 2001-2002წ | 3,70 | 3,40 |
| 17 | უცხოური ენა | გერმანული ენა | თ.კავკასიძე,ლ.ბასილაძე | "განათლება" | 3-00 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი,7,5 თაბ. 2002წ | 2,80 | 3,50 |
| 18 | უცხოური ენა | ფრანგული ენა | ე.ლებანიძე, ნ.მოისწრაფიშვილი | "ფავორიტი" | 3,00 | გარეკანი ფერადი ,საფრანგეთის ხედებით, ტექსტი ფერადი | 3,60 | 3,40 |
| 19 | საყოფაცხოვრებო შრომა | საყოფაცხოვრებო შრომა | ი.გურული- კამლაძე | "სტამბა" | | | | |
| 20 | მითოლოგია | მითოლოგია | ზ.კიკნაძე,ნ.ტონია | "ლოგოსპრესი" | 3,50 | ილუსტრირებულია მაღალხარისხ. ფერადიილუსტრაციებით | 4,80 | 4,50 |
| | | | მეცხრე კლასი | | | | | |
| 1 | მშობლიური ლიტერატურა | ძვ. ქართული ლიტ. ქრესტ. | მ.გიგინეიშვილი და სხვ. | "საქართველოს | 4,00-4,50 | | | |
| 2 | მშობლიური ენა | ქართული ენა | ა.შანიძე,ლ.კვაჭაძე | "განათლება" | 1-50 | გარეკანი ერთ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი, 5,5 თაბ. 2001 წ | 1,70 | 1,50 |
| 3 | მათემატიკა | ალგებრა | ი.მაკარიჩევიდა სხვ | "განათლება" | 4-00 | გარეკანი სამ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი, 18,5 თაბ. 2002წ | | 3,70 |
| 4 | მათემატიკა | გეომეტრიაVII-XIკლ. | ა.პოგორელოვი | "განათლება"- | | | | 4,50 |
| 5 | ფიზიკა | ფიზიკა | ი.კიკოინი,ა.კიკოინი | "განათლება" | 4-50 | გარეკანი ოთხ ფერსი,ტექსტი შავ-თეთრი, 17 თაბ.1999წ | 5,20 | 4,80 |
| 6 | ფიზიკა | ფიზიკა1 და ფიზიკა2 | ე.სურგულაძე, | "ინტელექტი" | 4,00 და 4,00 | | 4,60-2,30 | 4,50- |
| 7 | ფიზიკა | ფიზიკა | კ.ხვითარია,დ.ჭეიშვილი | "განათლება"- | 3,50 | | 4,20 | |
| 8 | საქართველოს ისტორია | საქართველოს ისტორია | ფ.ლომაშვილი | "განათლება" | 4-50 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში,16,5 თაბ.2001-2002წ | 5,00 | 4,50 |
| 9 | საქართველოს ისტორია | საქართველოს ისტორია | მ.ვაჩნაძე, ე.გურული | "არტანუჯი" | 4,70 | | 5,60 | 5,20 |
| 10 | ისტორია | უახლესი ისტორია | გ.ბოლოთაშვილი და სხვ. | "კონა" | | | 5,30 | 5,00 |
| 11 | საქ-ს სახელმწიფოს და სამართლის საფუძვ. | საქ-ს სახელმწიფოს და სამართლის საფუძვ. | გ.ინწკირველი | "განათლება" | 3-20 | გარეკანი ორ ფერსი, ტექსტი შავ-თეთრი,10,5თაბ. 2000-2002წ | 1,80 | |
| 12 | ბიოლოგია | ადამიანი | ა.ცუზმერი და სხვ. | "განათლება" | 4-20 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში 15 თაბ.2001-2002წ | 5,00 | 4,50 |
| 13 | ქიმია | ქიმია | ზ.ლომსიანიძე, გ.ცინცაძე | "საქართველოს | | | 2,30 | 2,00 |
| 14 | გეოგრაფია | საქ-ს სოც-ეკონ.გეოგრ. რეგიონები | ნ.ბერუჩაშვილი, ნ.ელიზბარაშვილი | "საქართველოს მაცნე" | 5,00-5,55 3,50-3,80 | | 5,90 | 5,60 |
| 15 | გეოგრაფია | მსოფლიოს სოც._ეკონ და პოლიტ.გეოგრაფია | გ.ჭანტურია | "დია" | 4,50-5,00 | გარეკანი და ტექსტი ფერადი,2001წ | 4,70 | 4,50 |
| 16 | ხაზვა | ხაზვა | ა.შავგულიძე | "განათლება" | 3-30 | გარეკანისამ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი,10თაბ.2000-2002წ | 3,90 | 3,60 |
| 17 | უცხოური ენა | რუსული ენა | ე.ცაავა,ე.გასპარიშვილი | "განათლება" | 4-00 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი შავ_თეთრი,12 თაბ.2001წ | | 4,50 |
| 18 | უცხოური ენა | რუსული ენა | ბ.ნემსაზე,ე.ქარდავა | "განათლება" | 3-50 | გარეკანი ოთხ ფერში,ტექსტი შავ-თეთრი,12თაბ. 2002წ | 4,40 | 4,00 |
| 19 | უცხოური ენა | ინგლისური ენა | მ.თუშმალიშვილი,ზ.ჯაფარიძ | "განათლება" | 2-30 | გარეკანი სამ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი, 7,5თაბ. 2001-2002წ | 2,60 | 2,30 |
| 20 | უცხოური ენა | გერმანული ენა | ა.კავკასიძე და სხვ. | "განათლება" | 3-40 | გარეკანი ოთხ ფერში,ტექსტი შავ-თეთრი,8 თაბ.2001-2002წ | 4,00 | 4,50 |
| 21 | უცხოური ენა | ფრანგული ენა | ე.ლებანიძე, ნ.მოისწრაფიშვილი | "ფავორიტი" | 3,00 | გარეკანი ფერადი, საფრანგეთის ხედებით.ტექსტი შავ-თეთრი | 3,60 | 3,40 |
| | | | მეათე კლასი | | | | | |
| 1 | მშობლიური ლიტერატურა | ქართული. ლიტ. ქრესტ.I | კ.დევდარიანი | "განათლება" | 2-00 | გარეკანი ორ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი,16 თაბ.2000წ | 2,40 | 2,20 |
| 2 | მშობლიური ლიტერატურა | ქართული ლიტ. ქრესტ.II | კ.დევდარიანი | "განათლება" | 4-60 | გარეკანი ორ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი,26 თაბ.2000-2002 | 5,40 | 5,00 |
| 3 | მშობლიური ენა | ქართული ენა | ზ.ჭუმბურიძე, რ.გაბეჩავა | "განათლება" | 4-00 | გარეკანი ორ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი, 11თაბ.2000-2002წ | 4,40 | 4,00 |
| 4 | მათემატიკა | გეომეტრია VII-XI კლ. | ა.პოგორელოვი | "განათლება"- | | | | 4,50 |
| 5 | მათემატიკა | ალგებრა და ანალიზის | ა.კოლმოგოროვი და სხვ. | "განათლება" | 4-60 | გარეკანი ორ ფერში, ტექსტი,25,5 თაბ.2000წ | 5,40 | 5,00 |
| 6 | ფიზიკა | ფიზიკა | ბ.გოგალაძე,ო.ზურაბიშვილი | "ინტელექტი" | 4,00 | | 4,80 | 4,50 |
| 7 | ინფორმატიკა | ინფორმატიკა X-XI კლ. | გ.გვარამია | "განათლება"- | | | 0,70 | |
| 8 | საქართველოს ისტორია | საქართველოს ისტორია | ო.ჯაფარიძე,რ.მეტრე-ველი,ო.ლორთქიფანიძე | "ცისარტყელა" | | | | 5,00 |
| 9 | საქართველოს ისტორია | საქართველოს ისტორია | მ.ვაჩნაძე,ვ.გურული, | "არტანუჯი" | 4,70 | | 5,60 | 5,20 |
| 10 | ისტორია | უახლესი ისტორია | მ.კალანდაძე და სხვ. | "კონა" | | | 5,30 | 5,00 |
| 11 | საზოგადოებათმცოდნეო-ბა | საზოგადოებათმც. X-XI კლ. | ე.ერქომაიშვილი | "განათლება" | 3 80 | გარეკანი ფერადი, ტექსტი შავ-თეთრი, 222გვერდი | 4,50 | 4,10 |
| 12 | გეოგრაფია | მსოფ სოც-ეკ გეოგრაფია | გ.ჭანტურია | "ნეკერი" | 11 | | | 12,50 |
| 13 | ბიოლოგია | ბიოლოგია X-XI კლ. | ი.პოლიანსკი და სხვ. | "განათლება" | 5-00 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში,21 თაბ.2001წ | 5,50 | 5,00 |
| 14 | ქიმია | ქიმია | ზ.ლომსიანიძე, გ.ცინცაძე | "საქართველოს | | | 2,30 | |
| 15 | უცხოური ენა | რუსული ლიტერატურა | ა.ნემსაძე და სხვ. | "კაბადონი" | | | 3,30 | |
| 16 | უცხოური ენა | ინგლისური ენა | რ.გაჩეჩილაძე და სხვ. | "განათლება" | 3-00 | გარეკანი ორ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი, 8თაბ.2000-2002წ | 3,10 | 2,80 |
| 17 | უცხოური ენა | გერმანული ენა | შ.შათირიშვილიდა სხვ. | "განათლება" | 3-00 | გარეკანი ოთხ ფერში,ტექსტი შავ-თეთრი,8,5თაბ.2000-2002წ | 3,10 | 2,80 |
| 18 | უცხოური ენა | ფრანგული ენა | გ.მეგრელიძე და სხვ. | "განათლება"- | | | | |
| 19 | დაწყებითი სამხედრო | დაწ. სამხედრო მომზადება | ბ.რამიშვილი, ე.მაღალთაძე | "ლომისი" | | | | |
| 20 | საგანგ.სიტუაციები და | უსაფრთხოება | ო.მდივნიშვილი | "მერიდიანი" | 2-50 | | | |
| | | | მეთერთმეტე კლასი | | | | | |
| 1 | მშობლიური ენა | ქართული ენა | ზ.ჭუმბურიძე, რ.გაბეჩავა | "განათლება" | 3-60 | გარეკანი ორ ფერში, ტექსტი შავ-თეთრი,11 თაბ.2000-2002წ | 4,00 | 4,00 |
| 2 | მათემატიკა | გეომეტრია VII-XI კლ. | ა.პოგორელოვი | "განათლება"- | | | | 4,50 |
| 3 | მათემატიკა | ალგებრა და ანალიზის საწყისებიX-XI კლ. | ა.კოლმოგოროვი და სხვ. | "განათლება"- "ლამპარი" | | | | 5,00 |
| 4 | ფიზიკა | ფიზიკა | ბ.გოგალაძე,ო.ზურაბიშვილი | "ინტელექტი" | 4,00 | | 4,80 | 4,50 |
| 5 | ასტრონომია | ასტრონომია | ე.ხარაძე | "განათლება" | 4-60 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ორ ფერში, 8თაბ. 2000წ | 5, 40 | 4,60 |
| 6 | ინფორმატიკა | ინფორმატიკა X-XI | გ.გვარამია | "განათლება"- | | | | |
| 7 | საქართველოს ისტორია | საქართველოს ისტორია | ფ.ლომაშვილი | "ბიზნეს- | | | 3,60 | 3,40 |
| 8 | საქართველოს ისტორია | საქართველოს ისტორია | მ.ვაჩნაძე,ვ.გურული | "არტანუჯი" | 4,70 | | | |
| 9 | ისტორია | ცივილიზაციების ისტორია | გ.ბოლოთაშვილი | "კონა" | | | | |
| 10 | საზოგადოებათმცოდნეობა | საზოგადოებათმც. X-XI კლ. | ე.ერქომაიშვილი | "ლამპარი" | 3-80 | | | 4,10 |
| 11 | ბიოლოგია | ზოგადი ბიოლოგია X-XI კლ. | ი.პოლიანსკი და სხვ. | "განათლება"- | | | | 5,00 |
| 12 | ქიმია | ქიმია | გ.ჭირაქაძე,მ.მამიაშვი-ლი, | "განათლება" | 3-50 | გარეკანი სამ ფერსი,ტექსტი შავ-თეთრი,7,5თაბ.1998-2002წ | 3,90 | 2,00 |
| 13 | უცხოური ენა | რუსული ლიტერატურა | ა.ნემსაძე და სხვ. | "კაბადონი" | | | 2,80 | 2,50 |
| 14 | უცხოური ენა | ინგლისური ენა | ნ.შათირიშვილი და სხვ. | "განათლება` | 3-50 | | 3,30 | 3,00 |
| 15 | უცხოური ენა | გერმანული ენა | შ.შათირიშვილი და სხვ. | "განათლება" | 3-50 | გარეკანი სამ ფერში,ტექსტი შავ-თეთრი, 8თაბ. 1999-2002წ | 3,10 | |
| 16 | უცხოური ენა | ფრანგული ენა | ნ.ქადეიშვილი და სხვ. | "განათლება"- | | | | |
| 17 | დაწყებითი სამხედრო | დაწყებითი სამხედრო | გ.რამიშვილი, ვ.მაღალთაძე | "ლომისი" | | | | |
| | | | ამოცანათა კრებულები | | | | | |
| 1 | ფიზიკა | ფიზიკის ამოც.კრებული II-VII-IX-X-XI კლ. | ე.ბასიაშვილი | "ლეთა" | 2,00 | | | 2,30 |
| 2 | ფიზიკა | ფიზიკ. ამოც.კრებ. VII კლ. | გ.გედენიძე, ე.ლაზარაშვილი | "არტანუჯი" | 2,00 | | | |
| 3 | ქიმია | ქიმიის ამოც.კრებ.VII-XIკლ. | ზ.ლომსიანიძე გ.ცინცაძე | "განათლება" | 2-00 | გარეკანი ოთხ ფერში, ტექსტი ოთხ ფერში, 7 თაბ.1999წ | | |
| 4 | ქიმია | ქიმიის ამოც.კრებ.VII-IX კლ. | ც.გაგოშიძე, მ.მამიაშვილი, | "კაბადონი" | | | | |
| | | | მხოლოდ 2002-2003 სასწავლო წლისთვის დაშვებული სახელმძღვანელოები | | | | | |
| 1 | მათემატიკა | მათემატიკა Iკლ. | ი.რუხაძე,ნ.აბაკელია | "პედაგოგიკა" | 3-20 | | | |
| 2 | ქიმია | ქიმია VIIკლ. | ზ.ლომსიანიძე, გ.ცინცაძე | "განათლება" | 2-20 | გარეკანი ოთხ ფერში,ტექსტი ოთხ ფერში,5<5 თაბ. 1999წ | | |
| 3 | ფიზიკა | ფიზიკა VIIკლ. | კ.ხვითარია, ჭეიშვილი | "განათლება"- | 2,50 | | | |
| 4 | ბუნებისმცოდნეობა | ბუნება Vკლ. | დ.დონდუა, ა.სკატკინი | "დია" | 3-3,50 | გარეკანი და ტექსტი ფერადი,1999წ | | |
| 5 | უცხოური ენა | რუსკოე სლოვო IV კლ. | კ.მაჭარაშვილი | "მერიდიანი" | 3 30 | | | |

გიორგი გახელაძე

# თხლე



ლევან ხეხელიძის ფოტო

საერთოდ მეცნიერება, ცოდნა, განათლება და ასეთი რამეები უცხოა ჩვენთვის. არადა, თავი კიტრებად მოგვაქვს - "ნიჭიერები და ინტელექტუალურები ვართო". ამ დებულების დასამტკიცებლად იმაზე უკეთესი ვერაფერი მოვიგონეთ, რომ "ძველ ინტელიგენტებად" და "ახალ ინტელექტუალებად" დავყავით წიგნიერი საზოგადოება. წიგნი ვახსენეთ - მანახეთ სუპერგანვითარებული, მეტნაკლებად განვითარებადი ან თუნდაც ჩამორჩენილი ქვეყანა, სადაც მეცნიერება, ცოდნა და განათლება წიგნის სიყვარულთან არ იყოს გაიგივებული და შესაბამისად, კარგი სახელმძღვანელო თუ ე.წ. სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა არ ფასობდეს? რომელიმე "ჭკუისკოლოფა" მუდრეგი დამცინავად იტყვის: "რაღა დროს ქაღალდის მტვრის ყლაპვაა. ახალი ათასწლეულია და სამყაროს შემეცნებაც ახალტექნოლოგიურად, ინტერნეტელექტრონულად ხდება". თანაც ამის მტკიცებას არ მოერიდება ძუნძგლიან ქუჩაზე, სადაც ფილტრის კიდემდე მოწეული "ტროიკის" ჩასაგდებად ურნასაც ვერ იპოვის და იმისაც ეშინია, გაცრეცილი ჯინსის უკანა ჯიბიდან სკოტჩით დაწებებული ორლარიანი ან ბაზრობაზე იაფად ნაყიდი, მოპარული მობილური "მალალეტკა კარმანნიკმა" არ ამოაცალოს.

სისულელეა. ძალიან დამაინტერესა გამომცემლების ნაწარმმა, თუ მყიდველ-მკითხველების მოთხოვნილებებმა. გამომცემლების შემთხვევაში ეს სტენდებზეა გამოფენილი. მყიდველი კი, ამა თუ იმ დახლებთან ცნობისმოყვარე შეყოვნებითა და ნავაჭრით ამოიცნობა.

თუ სასწავლო წლის დასაწყისის "ცხელ სეზონს" – გაწი-გამოჭიმე აგვისტოს ბოლოდა სექტემბრის ჩათვლით – არ ჩავთვლით, სტენდებზე სასკოლო სახელმძღვანელოებს – ცოდნის საფუძველს, კანტიკუნტად ნახავთ. სწორედ, იქ არ ჭაჭანებს მყიდველი.

სტუდენტებისათვის თუ საზოგადოდ რაიმეს ცოდნას მოწყურებული ადამიანებისათვის აუცილებელ წიგნები ოდნავ მეტად მოგხვდებათ თვალში. მართალია, ამ სიმწირეში რუსეთის, ევროპული და ამერიკული სასწავლებლების სახელმძღვანელოები ჭარბობს. მაგრამ, რიგები მაინც არ დგება.

ჩვენში გამოცემული სამეცნიერო შრომები, უცხო ენისა თუ სპეციალური განმარტებითი ლექსიკონები, ჯამში სამ ათეულ დასახელებას არ აღემატება. ამათგან, ნახევარი საქართველოში ათიოდე წლის წინათ დაბეჭდილი საისტორიო, ან ენათმეცნიერული შინაარსისაა, დანარჩენი კი სამართლისა და ეკონომიკის მოყვარულთათვისაა გადმოთარგმანებული. ასეთ დახლებთან ახლოს გავლსაც არავინ ფიქრობს, ან მათთვის მიუწვდომელ ფასს ერიდებიან ჩვენი მწიგნობარი "ძველ-ახლები". სულ ორიოდე წიგნს აღმოაჩენთ საბუნებისმეტყველო და ტექნიკური შინაარსისას. ერთია, ბლომად უწყვიათ ინტერნეტითა და კომპიუტერით სარგებლობის სახელმძღვანელოები. მაგრამ, ძირითადად, უწყვიათ....თან არ დაგავიწყდეთ, რომ მიკროჩიპების, სატელიტური ანტენებისა და კლონირების საუკუნეში ვცხოვრობთ.

სამაგიეროდ, ყველგან თვალში მოგვხდებათ რუსულად ნათარგმნი ათასი ჯურის საბავშვო ენციკლოპედია. მსგავსი ქართული გამოცემა კი სულ ათიოდეა და შეძენის მსურველსაც იქ უფრო ნახავთ ხოლმე. მაგრამ, ფასით ხალისდაკარგულების ბუზღუნს საგანგებო მიყურადება აღარ სჭირდება.

ახლა "პროგრესული" მუდრეგებისთვის საინტერესო ნაწარმით – საქართველოში დამზადებული შემეცნებითი კომპაქტ-დისკებით დავინტერესდეთ, მთელ ამ ორომტრიალში ალია-ბალია ხუთი CD აღმოვაჩინე. ვიფიქრე, ამ ნაწარმის მიმართ მაინც გაჩნდებოდა "ახალი ინტელექტუალების" ცხოველი ინტერესი. საკუთარი გულუბრყვილობით დავითრგუნე.

ასეთია სინამდვილე. არა, უარესია. ჩვენი "მეცნიერები" დეკადაში ერთხელ ერთ ვაი-უშველებელს ატეხენ ხოლმე: **"თურქები კაშხალსააშენებენ და უძველესი ქართული ძეგლები დაიტბორება", "რუსეთის "მართლმადიდებლურ ენციკლოპედიაში" ოშკი და ბანა სომხურად მონათლეს", "ახალი მსოფლიო წესრიგის პროკრუსტეს სარეცელზე საქართველოს ყოფნა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქართველების, როგორც ერის არსებობას"** და ასეთი რამდენი. ერთ კითხვაზე გამცენ პასუხი ამ მოწუწუნე და პატივნადებმა "მგოსნებმა": სანაცვლოდ რა გააკეთეს? თუკი დმანისელი ჰომინიდის ასაკის დადგენა შეიძლებოდა, რა ღმერთი გაწყრა ნეკრესის წარწერის ექსპერტიზაზე? ყბადაღებული ენციკლოპედია სამი წელია, ქართველების მონაწილეობით იქმნება და ის ერთადერთი გამოცემა არ არის, სადაც საქართველოს ისტორია მახინჯდება. მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად, უფრო ავტორიტეტულ და პოპულარულ გამოცემებში, უარესი იწერება. ჩვენ კი რას ვქმნით? არც არაფერს. თუ ვცდები, მხოლოდ გამეხარდება.

ხსენებულ მუდრეგებში ახლა დოჩანაშვილომანიის ისტერიაა. მათთვის ფსევდოსნობური მოდა ყველაზე ძვირფასია. მაგრამ აღარ ახსოვთ, უძრაობის ხანაში ერთი რამის სიყვარულს რომ გვასწავლიდა, დაფარვა რომ სჭირდებოდა, ისეთის.

ფუუ, ვერც სიყვარული ვისწავლეთ და ვერც დაფარვა გაგვიგია სწორად.

მართალია, ერთი გონიერი ქალბატონი, რომელმაც გულწრფელი დანანებით მითხრა: **"ყოველთვის დიდხანს გვძინავს ყურზე. ამასთან, საზოგადოებაში და სამეცნიერო წრეებში არის ორი რადიკალური მოსაზრება: ან უსასრულოდ მივსტირით წარსულს და, შესაბამისად, ველარ ვხედავთ საქართველოს განვითარებას მე-12 საუკუნის შემდეგ, ან განახლების რევოლუციური განწყობით ხელაღებით უარს ვამბობთ საკუთარ ისტორიაზე. ჭეშმარიტება შუაშია – წარსული ჩვენია და ის კარგად უნდა გავიაზროთ, რომ არსებული გამოცდილება წინსვლისთვის გამოვიყენოთ."**

თუკი საქართველოში შესაძლებელია ნუვორიშების ძვირადღირებული ევროსაბძლებისა და სრულიად ახალი ეკლესიების საკმაოდ ძვირადღირებული მშენებლობების წარმოება, რაც ბევრი მესაბძლისათვის ინდულგენციად იქცა, ე.ი. თავისუფალი სახსრები არსებობს. უბრალოდ, საქართველოში არ ან ვერ გვესმის ამოსახსნელ ამოცანათა თანმიმდევრობა მათი მნიშვნელობისა და შედეგების მიხედვით

რუსთაველი გადაიხვეწა და მის საფლავს ცხრა საუკუნეა "ვეძებთ". დავით მეოთხის გულზე ამაყად დავდივართ. ვახტანგ მეექვსისა და ვახუშტი ბატონიშვილის სამარესაც არ ვკითხულობთ. ილია ჭავჭავაძე მოვკალით და არც ვნანობთ. კიტრობისთვის აუცილებელი ეროვნული მემკვიდრეობის თავგანწირული მცველი ექთიმე თაყაიშვილი 50-მა ადამიანმა ძლივს გააცილა უკანასკნელ გზაზე. ნობელის პრემიის ლაურეატობისკენ სწრაფმავალ გოგი ჩიქოვანს ნახევარსაუკუნოვანი სიცოცხლეც არ ვაცალეთ და ზენიტში გული გავუხეთქეთ. ნობელზე წარდგენილი ნეიროფიზიოლოგი იური მალაშხია არც გაგვხსენებია და არც ახალგაზრდა გენიოსის, მრავალგანზომილებიანი სამყაროს საიდუმლოს მსოფლიოში აღიარებული ამომცნობის, გია დვალის ამბავს არ ვკითხულობთ. რამდენიმე ათასი გონიერის მსგავსად ისიც გახიზნულია.

რატომ? თხლედ დარჩენილი ქვეყანა თხლე საზოგადოებითაა დასახლებული. ოთარ იოსელიანმა თქვა ერთხელ: **"საქართველო ჰერმეტულად შენახული უგემრიელესი ძველი კონსერვის ქილაა, რომელიც გახსნისთანავე გარემოსთან შეხებით აყროლდება და უმსგავს ლაფად იქცევა."**

თხლე – ღვინოსგან დალექილად განმარტა სულხან-საბამ. ის კი აღარ დაწერა, ღვინო რომ დაილევა, თხლეს ფეხსალაგში აქცევენ ხოლმე.

ღვთიური სითხე – ასე ვუწოდებთ ხოლმე ღვინოს. ის კი არ გვესმის, რომ დახარჯული შრომით, დაუდეგარი დუღილის და რუდუნებით შენახულ-დაძველებული ღვინოა საუკეთესო. უმცირესი თხლეც თუ არ მოაშორე მიზანსწრაფული შრომის ამ შედეგს, გროშ-კაპიკია იმ ღვინის ფასი. თხლე ის ნაგავი და ჭუჭყია, რომელიც "მშობლიურ" ჭურჭელს ყველაზე მტკიცედ, მაგრამ ფსკერზე ეკვრის. ჩაბღაუჭებია კედლებს და ბედნიერია თავისი ყოფით. გონიერმა მეურნემ თუ იყოჩაღა, მშფოთვარე, ცინცხალ, ენერგიულ ახალგაზრდა ღვინოს ფაქიზად ამოიღებს ძველი ჭურჭლიდან და ახალ, გაკრიალებულ ბინას მიუჩენს. ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ თუ შეცდა და აამღვრია დალექილი ნაგავი, ის ხალას ღვინოს შურით გაჰყვება და ახალ სამოსელსაც წაუბილწავს. ჯობს დარჩეს იმ თავის ფსკერზე, მაგრამ მომავალ რთველს არ უნდა დაელოდოთ და საფუძვლიანად ამოფხიკ-ამორეცხოთ, თორემ წაახდენს საქმეს. წაახდენს.

ნაშრომ-ნადუღარ ხალას ღვინოს უგემოვნოდ სტომაქში ვიქცევთ და "მშვიდი" თვითკმაყოფილებით მდგრადად გავრთხმულვართ ფსკერზე თხლესავით.

სარცხია საჭირო, სარცხი.

# "სახელმძღვანელოები თბილისის გამომცემლობებიდან "ლევად" გამოაქვს"

## თავნებობა და უთანხმოება აჭარის ხელისუფლებაში

ნესტან ცეცხლაძე
ბათუმი

"სულ არ გვიხარია სკოლის დაწყება, რადგან მოუმზადებლები ვართ, ყველაზე დიდი პრობლემა კი სახელმძღვანელოებია. შარშან წიგნები წინასწარ ვიყიდე და მასწავლებელმა თქვა, ეს არ გამოადგებაო, კიდევ კარგი გამყიდველთან მოლაპარაკებული ვიყავი და დაიბრუნა,"- დაიჩივლა ერთმა ბათუმელმა ქალბატონმა. მშობელთა უმრავლესობა აცხადებს, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე წიგნების შეძენას არ აპირებენ, რადგან არ იციან, სხვადასხვა ავტორობით გამოცემული წიგნებიდან რომელი გამოადგებათ. ამიტომაც წიგნის გამოფენა-ბაზრობას, რომელიც 20 აგვისტოს გაიხსნა ბათუმის მე-3 სკოლაში, არც ისე ბევრი მშობელი სტუმრობს.

სახელმძღვანელოების გამოფენა–ბაზრობა წელს გამომცემლობა "აჭარამ" მოაწყო. 23 ათასი სახელმძღვანელო უკვე ჩამოიტანეს ბათუმში. ეს, რაღა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. ფაქტობრივად, ერთ მოსწავლეზე ერთი წიგნიც არ მოდის. აჭარის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, იოსებ ხიმშიაშვილმა ამის მიზეზად წელს გამომცემლობების მიერ ნაღდი ანგარიშსწორების მოთხოვნა დაასახელა. გამომცემლობა "აჭარას" კი ყველა წიგნის ერთად ჩამოტანის საშუალება არ აქვს და მათ ეტაპობრივად ჩამოიტანენ. თუმცა, აჭარის განათლების მინისტრის მოადგილე, შოთა ჯიბლაძე ამ ფაქტს ბაზრის მოთხოვნილებით ხსნის და ერთი შემაშფოთებელი განცხადებაც გააკეთა: **"შარშანდელი არასახარბიელო სტატისტიკა უნდა გითხრათ. წიგნის ბაზრობის დამთავრების შემდეგ მისმა ორგანიზატორებმა წარმოგვიდგინეს ინფორმაცია - წიგნი ჩამოტანილი იყო არსებული კონტიგენტის 10-15%-სათვის და წარმოიდგინეთ, რომ ზედა კლასებში გავრცელდა წიგნების მხოლოდ 2%".** ასეთი მონაცემები უნებურად აღძრავს ეჭვს ფალსიფიცირებული წიგნების თაობაზე. მაგრამ ჯიბლაძე ამაზე აქცენტს არ აკეთებს: **"მე არ ვამბობ, რომ შავი ბაზარია მაინც და მაინც ამის მიზეზი. ბევრი კერძო მეწარმეა, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ ლიცენზირებული წიგნების ჩაამოტანას. ეს მოემატებოდა ამ 2-3%. გარდა ამისა, ნაწილს გასული წლების წიგნები ექნებოდა. მაგრამ, უნდა ჩავთვალოთ, რომ გასულ წელს ნახევარს წიგნები არ ჰქონდა. სხვათა შორის, მე ვიყავი ღორჯომის საბჭოს 5 სკოლაში მინისტრთან ერთად. ვნახეთ, რომ იქ ბავშვების ნახევარს წიგნი არ ჰქონდა. მასწავლებლები იძულებული არიან, ლექციური მეთოდებით ატარონ გაკვეთილები."** მინისტრის მოადგილის ეს განცხადება ცოტათი უცნაურია და გაუგებარი. თუკი ჩვენს სკოლებში ასეთი საგანგაშო მდგომარეობა იყო, რატომ დუმდა აქამდე განათლების სამინისტრო?

ახლა სამინისტროში სკოლების გაკონტროლებაზე საუბრობენ, მაგრამ თუ შარშან არ მომხდარა, ბუნებრივია, მისი განხორციელება წელსაც ბადებს ეჭვს. მით უფრო, რომ განათლების სამინისტრო არალეგალურად დაბეჭდილი სახელმძღვანელოების გავრცელების წინააღმდეგ ვერანაირ ბერკეტს ვერ ფლობს.

შოთა ჯიბლაძეს "შავი ბაზრის" წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებად თავად ეს გამოფენა-ბაზრობა მიაჩნია. რამდენად რეალურია ეს "აჭარის" მიერ თბილისის გამომცემლობებიდან შეძენილი მხოლოდ 40 ათასი ლარის სახელმძღვანელოებით? როგორც ჩანს, ბათუმში ბევრი "შავი წიგნი" ინც გაიყიდება. თბილისიდან მათი შემოტანა საკმაოდ რთული იქნება, რადგან მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, გამომცემლობა "აჭარას", სახელმძღვანელოების წამოღებისას, თბილისის გამოსასვლელთან უშიშროება 3 საათს უშედეგოდ ჩხრეკდა. იოსებ ხიმშიაშვილი, რომელმაც, ამ სფეროში არსებული გარიგებების გამო, მისივე თქმით, წიგნით ვაჭრობაზე ხელი აიღო, გამორიცხავს, რომ წიგნები მათ დაქვემდებარებულ სტამბებში დაიბეჭდოს, რადგან თურმე მკაცრად აკონტროლებენ. თუმცა, ისიც დასძინა, რომ ბათუმში და რაიონებშიც ბევრი კერძო სტამბაა... მათ სახელმძღვანელოების ოფიციალურად ბეჭდვაზე გამომცემლობებიდან უარი მიიღეს. არადა, დიდი სურვილი ჰქონდათ - ასლან აბაშიძეს 1-4 კლასის მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოების (ჩანთებთან ერთად) საჩუქრად გადაცემა უნდოდა. **"სწორედ ამიტომ გვინდოდა წიგნების აქ დაბეჭდვა, ბუნებრივია, ჰონორარსაც გადავიხდიდით, მაგრამ არ გვენდნენ,"** – აშკარა უკმაყოფილებით განაცხადა იოსებ ხიმშიაშვილმა.




ლევან ხახულიძის ფოტო

ფალსიფიცირებული წიგნების "პოლიგონად" სავაჭრო ცენტრ "ალამს" (ე.წ. ხოფას ბაზრობას) ასახელებენ. იქ სახელმძღვანელოების დიდ პარტიას 1 სექტემბრის შემდეგ ელოდებიან. ჯერჯერობით კი ფალსიფიცირებული წიგნი ვერ აღმოვაჩინეთ. დახლებზე მხოლოდ "განათლების", "ლამპარის" და "დიას" გამოცემული სახელმძღვანელოები დევს. მხოლოდ ერთ ადგილზე დამაეჭვა სახელმძღვანელოების სიიაფემ და ჩემს "შეწუხებულ" კითხვას: **"ფალსიფიცირებული ხომ არ არის? მასწავლებლები მაფრთხილებენ,"** გამყიდველმა ასეთი პასუხი გასცა: **"ნახეთ რა ხარისხის სახელმძღვანელოა, ზუსტად ისეთი, როგორიც მე-3 სკოლაშია, ეგენი ფალსიფიცირებულს იმიტომ ეძახიან, რომ თბილისში გამომცემლობიდან "ლევად" გამომაქვს. მხოლოდ 20-30 თეთრს ვამატებ"...**

რაც შეეხება ალტერნატიულ სახელმძღვანელოებს, რომლებიც მშობლებს მართლაც სერიოზულ პრობლემას უქმნის, აჭარის განათლების სამინისტრომ სკოლები, შეიძლება ითქვას, "ულტერნატივოდ დატოვა. წიგნის ბაზრობაზე ყველა სახელმძღვანელო არ ჩამოუტანიათ. გამოფენის ინიციატორებს ხელთ აქვთ აჭარის განათლების სამინისტროს მიერ გადაცემული 2002-2003 სასწავლო წლისათვის დაშვებულ საგანთა ნუსხა, რომელშიც საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული ყველა სახელმძღვანელო ვერ მოხვდა. იოსებ ხიმშიაშვილმა აჭარის განათლების სამინისტრო ავტორებთან გარიგებებში დაადანაშაულა: **"შემოიტანეს სახელმძღვანელოები, რომლებიც კონკურსში მე-5 ადგილზეა. მაგალითად დაწყებითი კლასების მათემატიკა არის ვახანიასა და რუხაძის ავტორობით. რუხაძის წიგნები ჩამოტანილია, ვახანიასი - არა. ვახანიას სახელმძღვანელო პირველ ადგილზეა კონკურსში, რუხაძეს მე-5 თუ მე-6-ზე. ამიტომ მე მონაწილეობას ვერ მივიღებ ასეთ ბაზრობაში".** აჭარის განათლების მინისტრის მოადგილემ, შოთა ჯიბლაძემ ამასაც მოუძებნა ახსნა: **"შარშან ალტერნატიულმა სახელმძღვანელოებმა პრობლემა შექმნა და წელს ყველა სკოლას შევთავაზეთ ერთი სახელმძღვანელოთი სწავლება"...**

სახელმძღვანელოები სერიოზული პრობლემაა აჭარის მაღალმთიანი რაიონების სკოლებისათვის. ჯიბლაძემ განაცხადა, რომ სამინისტრომ განათლების ადგილობრივ განყოფილებებს წიგნის ბაზრობების ორგანიზება შესთავაზა, მაგრამ ჯერ უცნობია, რამდენად რეალიზდება ეს შეთავაზება. ყოველ შემთხვევაში "სახელმძღვანელოების ციებ-ცხელება" აჭარაში ჯერ ისევ წინაა.

# ვინ როგორ ამარაგებს თავის მოსწავლეებს სახელმძღვანელოებით

რუსეთის საზაფხულო ბანაკებში დსთ-ს ქვეყნებიდან რუსი ეროვნების მოსწავლეები ჰყავდათ ჩაყვანილი. სახლებში გამგზავრების წინ ბავშვებს შესაბამისი კლასის სახელმძღვანელოები აჩუქეს. თურმე, ჩვენსავით, დსთ-ს დამოუკიდებელ ქვეყნებში რუსულენოვანი სკოლები ჯერაც რუსეთის სახელმძღვანელოებით სწავლობენ.

■ ■ ■

კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებს ერთადერთი გამომცემლობა ამარაგებს წიგნებით. "მაკმილანის" უძველესი გამომცემლობა ნავით დაწყებული, ელექტრონული ფოსტით დამთავრებული, ყველა საშუალებით აწვდის წიგნებს პატარებს და თან როგორც გვეუბნებიან, მათთვის შეღავათიანად.

■ ■ ■

ასე თუ გაგრძელდა, შეერთებულ შტატებში ნაბეჭდი სახელმძღვანელო ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გახდება. წელს ანბანის შესასწავლი ელექტრონული ვერსიაც გამოჩნდა. როგორც ამერიკელი პედაგოგები ხუმრობენ, კომპიუტერი მალე ყველა პროფესიას გადააშენებს.

■ ■ ■

საფრანგეთში ერთ-ერთმა გამომცემლობამ ბავშვების ყურადღების მისაზიდად სახელმძღვანელოების ყდები "თანამედროვე გმირებით" დაასურათა. მაგ. მათემატიკის სახელმძღვანელოზე სფაიდერმენი ხატია, ბუნების წიგნზე - ჰარი პოტერი. სანიშნეები კი წებოვანი გადასაყვანი სურათებით არის მორთული.

გამომცემლობა **„დიოგენე“** დამოუკიდებელი ქართული გამომცემლობაა.

**„დიოგენეს“** მუშაობის ძირითადი მიმართულებებია:

**საბავშვო და საყმაწვილო წიგნები,**
**მხატვრული ლიტერატურა,**
**სახელმძღვანელოები,**
**სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული გამოცემები.**

**„დიოგენეს“** ინიციატივით ხშირად ეწყობა სადღესასწაულო და საქველმოქმედო ღონისძიებები.

# 2002




**ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ**
**ᲘᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲗᲐᲜ.**

დიოგენე

**ჩვენ:**

- **უფასოდ მოგაწვდით „დიოგენეს“ კატალოგს და ინფორმაციას ახალი გამოცემების შესახებ.**
- **შემოგთავაზებთ განსაკუთრებულ ფასდაკლებას საკუთარ წიგნებზე.**
- **მოგიწვევთ „დიოგენეს“ წიგნების პრეზენტაციებსა თუ შემეცნებით-სადღესასწაულო ღონისძიებებზე.**
- **დაგეხმარებით საინტერესო ქართული და უცხოური წიგნების შერჩევასა და შეძენაში.**

**გვეწვიეთ „დიოგენეში“: თბილისი, აღმაშენებლის გამზირი, 97**
**ან დარეკეთ: 95 63 94, 96 79 71**

# 2002

## გამომცემლობა „დიოგენე“ წარმოგიდგენთ ინგლისური ენის V კლასის სახელმძღვანელოს (სწავლების პირველი წელი).







სახელმძღვანელო ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით შექმნეს ქართველმა ავტორებმა ტატიანა ბუკიამ, ირინა ჩიბურდანიძემ და რუსუდან ტყემალაძემ.

წიგნმა გაიმარჯვა საქართველოს განათლების სამინისტროსა და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ ჩატარებულ სახელმძღვანელოთა კონკურსში. 2000 წელს წიგნს ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელოს გრიფი მიენიჭა.

წიგნი უცხო ენების სწავლების უახლეს მიღწევებს ეყრდნობა. სახელმძღვანელოს ახლავს მასწავლებლის წიგნი, ტესტების კრებული და აუდიოკასეტა.

პედაგოგს, რომელიც სახელმძღვანელოთი დაინტერესდება, შეუძლია უფასო კონსულტაციისათვის ავტორებს მიმართოს და გამომცემლობისაგან ასევე უფასოდ მიიღოს მასწავლებლის წიგნი.

სახელმძღვანელოს გამოყენება შესაძლებელია არაქართულენოვან სკოლებშიც.

**გამომცემლობა „დიოგენე“**
**თბილისი, აღმაშენებლის გამზირი, 97**

## გამომცემლობა „დიოგენე“ წარმოგიდგენთ ქიმიის VII კლასის სახელმძღვანელოს (სწავლების პირველი წელი, ავტორები ლია თევზაძე, ნუნუ ჯავახიშვილი).






**წიგნმა გაიმარჯვა საქართველოს განათლების სამინისტროსა და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ ჩატარებულ სახელმძღვანელოთა კონკურსში. 2002 წელს წიგნს ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელოს გრიფი მიენიჭა.**

წიგნი ქიმიის სწავლების თანამედროვე სტრატეგიებს ეყრდნობა. სახელმძღვანელოს ახლავს მასწავლებლის წიგნი და რვეული პრაქტიკული სამუშაოებისათვის.

პედაგოგს, რომელიც სახელმძღვანელოთი დაინტერესდება, შეუძლია უფასო კონსულტაციისათვის ავტორებს მიმართოს და გამომცემლობისაგან ასევე უფასოდ მიიღოს მასწავლებლის წიგნი.

არაქართული სკოლებისათვის გამომცემლობა „დიოგენემ” სპეციალურად მოამზადა სახელმძღვანელოს რუსულენოვანი ვარიანტი.

2002 წელს გამომცემლობა „დიოგენე” გთავაზობთ ქიმიის VII კლასის სახელმძღვანელოს გაგრძელებას ქიმიის VIII კლასის სახელმძღვანელოს, რომელიც ავტორებმა ლია თევზაძემ და ნუნუ ჯავახიშვილმა წამყვან ქართველ სპეციალისტ-ქიმიკოსებთან თანამშრომლობით მოამზადეს.

დიოგენე

**გამომცემლობა „დიოგენე“ თბილისი, აღმაშენებლის გამზირი, 97 ტელ. 96 79 71, 95 63 94**

# 2002

## პირველად საქართველოში!

გამომცემლობა „დიოგენე“ წარმოგიდგენთ

## ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სახელმძღვანელოს

VII-IX კლასებისათვის

ავტორები: შორენა ებრალიძე, ქეთევან მანჯგალაძე, გია ნოზაძე, მიმოზა ტყებუავა, ბადრი ხარაძე









სახელმძღვანელო:

- შეიცავს სავალდებულო სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებულ საკითხებს
- გაუადვილებს მოსწავლეებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში დამოუკიდებელ ყოფა-ცხოვრებას
- მოამზადებს ახალგაზრდებს უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად

სახელმძღვანელოს ახლავს მასწავლებლის წიგნი. პედაგოგს, რომელიც სახელმძღვანელოთი დაინტერესდება, შეუძლია უფასო კონსულტაციისათვის ავტორებს მიმართოს და გამომცემლობისაგან ასევე უფასოდ მიიღოს მასწავლებლის წიგნი.

**ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სახელმძღვანელო თანამედროვე მათემატიკის მეთოდები თანამედროვე სკოლისათვის!**

გამომცემლობა „დიოგენე“ თბილისი, აღმაშენებლის გამზირი, 97 ტელ. 96 79 71, 95 63 94

## 2002 წელს გამომცემლობა „დიოგენე“ გთავაზობთ:

### ფრანგული ენის სახელმძღვანელოს V-VI კლასებისათვის სწავლების საწყისი ეტაპი







სახელმძღვანელო უდიდეს ფრანგულ საგამომცემლო ჯგუფ HACHETTE-თან თანამშრომლობით შექმნეს ქართველმა ავტორებმა მზია დათინაშვილმა და თსამარ ლომიძემ.

2001 წელს წიგნმა გაიმარჯვა საქართველოს განათლების სამინისტროსა და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ ჩატარებულ სახელმძღვანელოთა კონკურსში.

2002/2003 წელს წიგნი გაივლის აპრობაციას საქართველოს სკოლებში.

წიგნი უცხო ენების სწავლების უახლეს მიღწევებს ეყრდნობა. სახელმძღვანელოს ახლავს მასწავლებლის წიგნი, სავარჯიშოთა კრებული და აუდიოკასეტა.

პედაგოგს, რომელიც სახელმძღვანელოთი დაინტერესდება, შეუძლია დაესწროს უფასო სემინარებს, რომლებიც საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით ტარდება და გამომცემლობისაგან უფასოდ მიიღოს მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნები.

### ბიოლოგიის VII კლასის სახელმძღვანელოს სწავლების პირველი წელი,

ავტორები: ლამარა ბურდილაძე, ნანა სიხარულიძე, გია ქაჯაია, ნანა ყაველაშვილი







2001 წელს წიგნმა გაიმარჯვა საქართველოს განათლების სამინისტროსა და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ ჩატარებულ სახელმძღვანელოთა კონკურსში.

2002/2003 წელს წიგნი გაივლის აპრობაციას საქართველოს სკოლებში.

წიგნი ბიოლოგიის სწავლების თანამედროვე მეთოდებს ეყრდნობა. სახელმძღვანელოს ახლავს მასწავლებლის წიგნი.

პედაგოგს, რომელიც სახელმძღვანელოთი დაინტერესდება, შეუძლია განაცხადით მიმართოს საქართველოს განათლების სამინისტროს და მონაწილეობა მიიღოს წიგნის აპრობაციის პროცესში. აპრობაციის ეტაპზე პედაგოგები უფასოდ მიიღებენ მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნებს.

დიოგენე

# ომი და მშვიდობა

ანა მაყაშვილი

*"რისი მაქნისია წიგნი, – გაიფიქრა ალისამ, – რომელსაც არც სურათები აქვს და არც ლაპარაკი"*

უკვე რამდენი წელია, რაც სიტყვა "წიგნი" ჩემში რაღაც უხალისოს, უსიამოვნოს, უინტერესოს ასოციაციას იწვევს. მაგრამ იყო დრო, ჩემი თავი თვითონ წიგნის გმირი მეგონა; ეს ბედნიერი დრო კი სამწუხაროდ დიდი, დიდი ხნის წინ იყო (დიდი, დიდი ხნის წინ იმდენად, რამდენადაც ჩემს ასაკს გაითვალისწინებ). მაშინ სულ სხვანაირი იყო ყველაფერი – ჭრელი, თბილი, ზღაპრული; ჰოდა მეც ზღაპრებით დავიწყე წიგნებთან ურთიერთობა; უფრო სწორად ზღაპრების თვალიერებით, ასოებს დედაჩემი კითხულობდა. "კონკიას", "წითელქუდას" და "ნაცარქექიას" უფრო სერიოზული ზღაპრები მერჩივნა; აი, მაგალითად: შარლ პეროს "ლურჯწვერა" და "ცეროდენა" და მერე მთლად სერიოზული – ანდერსენი! იაპონურ ზღაპრებსაც მიკითხავდნენ; რაღაც უცხო იყო და აგრესიული - გმირები ერთმანეთს ენებს აჭრიდნენ, ქოთნებს ახურავდნენ თავზე და რას აღარ შვრებოდნენ?! მაგრამ იაპონურზე მეტად ქართული ზღაპრები მავსებდნენ აგრესიით – ყველა დასახიჩრებული, დასისხლიანებული, ხელფეხ მოჭრილი იყო. ხანდახან ბუნდოვნად გამახსენდება და მომენატრება კიპლინგი – მე მგონი ძალიან მომწონდა; ხშირად სიყვარულით ვიხსენებ "ვინი პუჰსაც".

მერე ახალი პერიოდი დამეწყო – თოჯინებს წიგნის გმირების სახელებს ვარქმევდი; ეს პერიოდი "ბურატინომ" გახსნა – ორივე ძალიან მიყვარდა – ჩემი



ბურაც და "ბურატინოს თავგადასავალიც"; მერე იყო "ალისა", თან "ალისას" დაწერის ისტორიაც მიტაცებდა, სულ მეგონა, მამაჩემი ლუის კეროლს ბაძავდა... ხშირად ვფიქრობდი, რომ ალისა კიდევ ერთხელ წამეკითხა, მაგრამ გადავწყვიტე, ბავშვობის განცდები თავისთვის შემენახა და ხელი არ მეხლო წიგნისთვის.

გავიდა დრო, მეც გავიზარდე (სამწუხაროდ) და ასოებიც ისე ვისწავლე, რომ წიგნი თვითონ უნდა წამეკითხა (სამწუხაროდ). დიდი პრობლემის წინაშე დავდექი და ხელში რატომღაც "სამი მუშკეტერი" მომაჩეჩეს, თავიდან გული გამისკდა – უზარმაზარი, ასოებით სავსე, თითქმის დაუსურათებელი წიგნი! მაგრამ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მომეწონა ჩემი თავი წიგნით ხელში (ჩემების შემხედვარე), სანიშნეც კი მქონდა, მერე თანდათან ნაწარმოებსაც ავუღე ალღო: გავარჩიე ერთმანეთისაგან დ'არტანიანი, ათოსი, პორთოსი და არამისი, მოკლედ, კარგი იყო! მაშინ შევამჩნიე, რომ ცუდი პერსონაჟები უფრო მიზიდავდნენ, ვიდრე კარგები, ხოდა, ერთი სიტყვით, საფიქრალიც გამიჩნდა! მოხდა ისე, რომ "სამი მუშკეტერი" წავიკითხე! მაგას მივაყოლე ის, წლების მერე რომ არის, თუ რაღაც, მერე "გრაფი მონტე-კრისტო" (თანაც სამივე ტომი), "დედოფალი მარგო" და თავი ყველა ჩემ კლასელზე დიდი ინტელექტუალი მეგონა (ბევრი რამის მიუხედავად, დღესაც არ შემიცვლია აზრი).

ცოტა სულელურად ჩანს (რა თქმა უნდა, მშობლების მხრიდან), რომ დიუმას მერე პირდაპირ ლინდგრენზე გადავედი და კარგა ხანი მანდ დავრჩი, იმიტომ კი არა, რომ არ მომწონდა და ბევრი დრო დამჭირდა წასაკითხად, პირიქით, იმდენად მომეწონა, რომ ყოველთვე ვკითხულობდი, განსაკუთრებით "ბიულერბიუელ ბავშვებს" და განსაკუთრებით, როცა მუცელი მტკიოდა.

დიდი ხანი არ გასტანა ჩვენმა (ჩემი და კითხვის) სიყვარულმა, თან იმ ასაკში ვიყავი, რომ ჟიულ ვერნი უნდა წამეკითხა (რატომღაც), რაც მარტო რუსულად გვქონდა, ამიტომ დედაჩემი იძულებული გახდა, ძილის წინ "80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ" რუსულიდან ქართულად ეთარგმნა და არა მარტო ვერნი, მთელი სათავგადასავლო ბიბლიოთეკის თარგმნა მოუხდა. დიდი ბრძოლის შემდეგ მეც წავიკითხე რუსულად, ეს წიგნი იყო კოლინზის "მთვარის ქვა!"

ახლა უცებ ჩემი ზაფხულები გამახსენდა აგარაკებზე: ბევრი ბავშვი რომ ვიყავით და დრო რომ გვქონდა გამოყოფილი წასაკითხად – ყველა თავისთვის იჯდა წიგნით ხელში და მე მეგონა, რომ ყველა იტანჯებოდა, ან, თუ არ იტანჯებოდა, ცოტა ვერ იყო... მე მაშინ ამიტყდებოდა ხოლმე ყველაფერი: ჭამა, კუჭში გასვლა, ათასი სულელური ფიქრი. ვერც წარმოიდგენ, რამდენი წიგნი მაქვს ზაფხულში დაწყებული და დაუმთავრებელი (ეგ ჩემი კითხვის სტილია), ასე, მაგალითად: შარშანწინ თუ იმის წინ დაწყებული "ომი და მშვიდობა" კიდევ თაროზე მიდევს და თუ მკითხავენ, რას კითხულობ, ალბათ "ომს და მშვიდობას"-მეთქი, ვუპასუხებ. ხანდახან მგონია კიდევაც, რომ ჩემს გემოვნებას არსებული მწერლები ვერ აკმაყოფილებენ, ხან კიდევ პირიქით – ჩემი გემოვნება ვერ წვდება არსებული მწერლების შემოქმედებას.

არა, მთლად ეგრე კი არ არის! მეც მაქვს რამდენიმე წიგნი ამ ბოლო დროს თავიდან ბოლომდე წაკითხული და ვთვლი, რომ "თამაში ჭვავის ყანაში" საუკეთესოა, კიდევ ოსკარ უაილდი მომეწონა ძალიან, "მექანიკური ფორთოხალიც" და რომ იცოდე, არა მარტო! მაგრამ, რაც თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საფუძვლიანად ვიცი, ეს ეროვნული ლიტერატურაა (უბრალოდ, IX, X, XI კლასის ქართულის პროგრამა გამოცდებისთვის აუცილებლად მჭირდებოდა) – დაწყებული "შუშანიკის წამებით", "დიდოსტატის მარჯვენათი" დამთავრებული – თითქმის ყველაფერი ძალიან მიყვარს და ძალიანაც მეამაყება!!! ისე, ყველაზე აქტიურად საყვარელი სიმღერების ტექსტებს ვეცნობი; შევისწავლე NIRVANA-ს, Red Hot Chili Peppers-ის ლირიკა. საერთოდ, ლექსები უფრო მომწონს, ალბათ იმიტომ, რომ პატარებია და ვერსად გაექცევი, წაიკითხავ, მით უმეტეს მთელი ემოცია იქვე, ორ ხაზშია და არ სჭირდება დღეები და კვირები, ვისთვის თვეები და წლები (საკუთარ თავს ვგულისხმობ), რომ შეიგრძნო ეს ყველაფერი.

სამწუხაროდ, ხშირად დიდ განცდებში მიწევს ყოფნა, როცა ჩემზე და წიგნებზე ვიწყებ ფიქრს, თან კითხვით მიღებულ სიამოვნებაზე ლეგენდები რომ მესმის, მთლად მეშლება ნერვები. ხშირად ჩუმად, ჩემთვის ჩამომიწერია სია წიგნებისა, რაც წაკითხული მაქვს და გული ისე გამტეხვია... მაგრამ, სხვათა შორის, საკმაოდ ნაკითხი ბავშვის სახელი მაქვს გავარდნილი (მწარე სინამდვილე მარტო ჩემებმა იციან), ხო, რა, არ მეტყობა თუ?!

# ხომ გინდოდათ, რომ მეტირა? - აჰა, ვტირი!

## ბავშვისთვის "სავალდებულო" საკითხავის შესახებ

ანა კორძაია-სამადაშვილი

*ეს წიგნები, ალბათ, იმისთვისაა მოწოდებული, რომ ბავშვმა თანაგრძნობა ისწავლოს. მიზანი, თავისთავად, შესანიშნავია, უბრალოდ, რამდენად მიიღწევა ის ამ ლიტერატურის საშუალებით, ცოტა საეჭვოდ მესახება.*

ისევე, როგორც ჩემი თაობის უმრავლესობას, მე და ჩემს მეგობრებსაც ბედნიერი ბავშვობა გვქონდა – არ გვშიოდა, არ გვციოდა, არავინ გვცემდა, სათამაშოებიც გვქონდა, კინოშიც დავდიოდით და ზღვაზეც. როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ ასე გაზრდილი ბავშვები გატუტუცდებოდნენ და გულქვა ადამიანებად ჩამოყალიბდებოდნენ. დანამდვილებით ვერ გეტყვით, ვინ რას ფიქრობდა, ფაქტი ის გახლდათ, რომ მას შემდეგ, რაც კითხვა დავიწყე და ვიდრე დამოუკიდებლად შევძლებდი ჩემთვის სასურველი ლიტერატურის არჩევას, წიგნზე სისტემატურად ვტიროდი, განვცდიდი. იმდენს ვტიროდი, ალბათ, არც ერთ უსახლკარო და უპატრონო ბავშვს რომ არ უტირია.

ცხადია, ამას არ ვამბობდი, ცუდ ტონად მიმაჩნდა, წიგნი დამეწუნებინა. მხოლოდ შემდეგ, 15-16 წლის ასაკში გავარკვიე, რომ ჩემი მეგობრების უმრავლესობაც ამავე მდგომარეობაში იყო.

პირველი ტრაგედია "ბიძია თომას ქოხი" გახლდათ. თუ კარგად გახსოვთ, მიხვდებით ჩემს უბედურებას – ევას სიკვდილი, ჩაგრული ზანგები, ყინულზე მოხტუნავე გამწარებული დედა... ხომ შეიძლებოდა, რომ ეს ყველაფერი ცოტა უკეთესად დასრულებულიყო? არა!

მე სულაც არ ვცდილობ, ამ წიგნის ღირსებებს ხაზი გადავუსვა. მისი წამკითხველი ბავშვი მონობის სასტიკი წინააღმდეგი მაინც იქნება. უბრალოდ, ყველა კარგი პერსონაჟი კვდება ან ისეთი სუსტია, რომ მის იმედად ვერ ვიქნებით. დასკვნა: მონას მონად ამოხდება სული და კარგებმა, რაც უნდა იფართხალონ, ვერავის ვერაფერს დააკლებენ.

"ბიძია თომას ქოხის" მერე მეზობლის გოგომ "უსახლკარონი" წაიკითხა. მითხრა, უკეთესს ვერაფერს წაიკითხავო და, კარგა ხნის შემდეგ, უკვე სკოლაში რომ ვსწავლობდი, ძლივს მოვიშორე საძაგელი სიზმარი – ტყეში გზააბნეულები, მგლები, ყინვა და უბედურება. ხოლო რით იწყება ეს ამბავი და რით მთავრდება, აღარ მახსოვს და აღარც მაინტერესებს – ჩემი ნებით მაინც არ გადავიკითხავ.

მე კიდევ გამიმართლა: სანამ წერა-კითხვას ვისწავლიდი, მშობლები ლიტერატურულ ზღაპრებს მიკითხავდნენ და არა "ანანას ზღაპარს" და მსგავსებს. ამიტომ ცხვირმოჭრილი ქალები და ძმების მიერ ხეზე მიბმული ხუთკუნჭულა სიცოცხლეს არ მიწამლავდნენ. გაიხსენეთ, რა "ჰუმანურია": ძმებმა ხუთკუნჭულა ისე მიაბეს ხეზე, რომ ფრჩხილებიდან სისხლი ჟონავდა! გარწმუნებთ, ძვირფასო უფროსებო, არც ერთ ბავშვს არ ადარდებს ქართული ხალხური ზღაპრების მითოლოგიური ფესვები და ღრმა სიმბოლიკა – ისინი საშიშია, სასტიკი და სხვა არაფერი. არ დაიჯეროთ, რომ "წიქარა" თქვენს მემკვიდრეს პატრიოტად ჩამოაყალიბებს, მხოლოდ გული გაუსკდება და, როცა გაიზრდება, დიდი-დიდი, სავარცხელი გადაუგდოს გამოკიდებულ საგზაო პოლიციელის მანქანას.

მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ არც "წითელქუდა" იყო დიდად ტკბილი ამბავი. ეს ზღაპარი საერთოდ საოცარი მოვლენაა. დაფიქრებულხართ?! ვარიანტი უამრავია. პირველი: მგელმა ბებია და წითელქუდა შეჭამა, ტყისმჭრელებმა მგელს მუცელი გაუჭრეს და შეჭმულები გაათავისუფლეს; მორჩა, ანუ გაფატრული მგელი მოკვდა. მეორე ვარიანტი: მგელმა ბებია და წითელქუდა შეჭამა, ტყისმჭრელებმა მგელს მუცელი გაუჭრეს, მუცელში ქვები ჩაუწყვეს, ის მიწას დაასკდა და მოკვდა – ცხადია, საშინელ ტანჯვაში ამოხდა სული. თუ გინდათ, რომ თქვენი შვილი ჯალათი გახდეს, აუცილებლად წაუკითხეთ, თან ხმამაღლა და გამოთქმით. წითელქუდას მესამე ვარიანტმა კი ჩემი სრული აღფრთოვანება გამოიწვია: მგელმა ბებია და წითელქუდა შეჭამა, აქედან შეგონება – პატარა გოგოებო, ღამღამობით ტყეში ნუ იბოდიალებთ.

მამაჩემმა მიამბო, რომ მგელმა ბებია და წითელქუდა შეჭამა, ტყისმჭრელებმა მუცელი გაუჭრეს და შეჭმულები გაათავისუფლეს, მგელს მუცელი გაუკერეს და მან დაიფიცა, რომ აღარასოდეს აწყენინებდა პატარა გოგოებს და ბებიებს. მე მთელი ცხოვრება მამაჩემის მადლობელი ვიქნები ამ უწყინარი ტყუილისთვის, რადგან ახლა მგლებისა არ მეშინია და არა იმიტომ, რომ არ შემხვედრია, არამედ იმიტომ, რომ, როცა შემხვდა, არ შემეშინდა და ენაბლუდ არ დავრჩი – მგლის სიტყვაც სიტყვაა.

ბაბუამ, სვანეთში, "მასწავლა", რომ, თურმე, მდინარის ნაპირას ქვასროლია ცხოვრობს, კენჭებს ისვრის, რომ მიგახედოს. კი, ძალიან უშნოა, ელამი და გაჩეჩილი, მაგრამ საცოდავია და, თუ შეგეშინდა და გაიქეცი, მერე მწარედ გამოიტირებს თავის სიმახინჯეს. ამიტომ არ უნდა შეგეშინდეს, ცოდოა – ისაა ცოდო და არა შენ. ამიტომ, ქვასროლიასი კი მეშინოდა, მაგრამ არც იმდენად, რომ მდინარის პირას ვერ გამევლო, მაინტერესებდა კიდეც, თუ არ გავექცეოდი და შევხედავდი, რა მოხდებოდა.

საბედნიეროდ, ადრეულ ბავშვობაში ამცდა ანდერსენის, შობა ღამეს ასანთჩაბლუჯული გაყინული გოგონას გვამი, კალის ჯარისკაცის დამწვარი სიყვარული და სხვა და სხვა. ამათ მერე შევხვდი, როცა უკვე ვიცოდი, რომ ზღაპრებში მაინცდამაინც კარგ ამბებს არ უნდა ველოდე.

აი, სასკოლო პროგრამაც არ ყოფილა მამაჩემივით კაცთმოყვარე: "თინას ლეკური", "ღვინია გადაიჩეხა", "გოგია უიშვილი", "შინელი", "ჩინოვნიკის სიკვდილი" – საშველი არ იყო. სკოლაში წავიკითხე "ამირანიც" და ვერავინ გამაგებინა, რატომ ხოცავდა გმირი დევებს, ბოლოს და ბოლოს, რა მისი გასარჩევი იყო, მახინჯები იყვნენ თუ მზეთუნახავები.

სულ მთლად გადარეული რომ არ გეგონოთ, მოგახსენებთ, რომ "შვლის ნუკრის ნაამბობი" ძალიან მიყვარდა, დღემდე მიყვარს და გააფთრებული ვეგეტარიანელი ვარ. მაგრამ ჩამოთვლილმა წიგნებმა (ეს სულაც არაა სრული ნუსხა) ისე მომსპო, რომ ხმელი წიფლის იმედი, მწვანე ყლორტი გაიხარებსო, დღემდე უაზრო ოპტიმიზმად მიმაჩნია – კარგი ხომ არაფერი ხდება და აღარც მოხდება...

# რომელი უნდა იყიდოთ, ანუ ალტერნატიული სახელმძღვანელოები და სამი გრიფი

რამდენიმე კლასში, ერთსა და იმავე საგანში, ორი ან სამი სახელმძღვანელოა მითითებული და თუ რომელი უნდა შეიძინოს მოსწავლემ, სკოლაში საგნის მასწავლებლისგან შეიტყობს.

სახელმძღვანელოს არჩევის ნება აქვს სკოლასა და მასწავლებელს და შერჩევის კრიტერიუმებიც მათვე მოეხსენებათ - შესაფერისს ირჩევენ.

საერთოდ, ალტერნატიული სახელმძღვანელოები მრავალ ქვეყანაში მიღებული ფორმაა, მაგრამ, ბუნებრივია, თითოეული უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტს, რაზეც პასუხისმგებელია განათლების სამინისტრო.

რაც შეეხება განათლების სამინისტროს მიერ დაშვებულ ძირითად სახელმძღვანელოებს, მათ შორის ალტერნატიულებსაც, თითოეულ მათგანს თავისი გრიფი აქვს.

სამინისტროს სტანდარტით სამგვარი გრიფი არსებობს:

**ს/გ – “დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ**”;

**ს/გკ – “სახელმძღვანელოს მიენიჭა გრიფი კონკურსში წარმატებული მონაწილეობისა და აპრობაციის საფუძველზე;**

**დს/გ – “დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ**”

ამასთან, ზოგიერთი სახელმძღვანელო დაშვებულია 1999 წლამდე, ვიდრე განათლების სამინისტრო შემოიღებდა სახელმძღვანელოთა შერჩევის საკონკურსო წესს(*****)

ზოგიერთი სახელმძღვანელო კი, გამონაკლისის წესით, მხოლოდ 2002-2003 სასწავლო წლისთვის არის დაშვებული(******).

### ალტერნატიული სახელმძღვანელოები

**პირველი კლასი**
**დედაენა: 1. ვ. რამიშვილი; ***
**2. ვ. როდონაია; ***
**მათემატიკა: 1. ზ. ვახანია, დ. ნაზირიშვილი-ს/გკ 2002**
**2. გ. ბერიშვილი, .კოტეტიშვილი, ბ. სულაკაური - ს/გკ 2002**
**3. ი. რუხაძე, ნ. აბაკელია; მხოლოდ 2002-2003 სასწ.წ.**
**ხელოვნება: 1. ნ. მაჭარაშვილი; ***
**2. ო. ალავიძე; ს/გკ 2002**

**მეორე კლასი**
**დედაენა: 1. ვ. რამიშვილი; ***
**2. ვ. როდონაია; ს/გ 1999**
**ბუნებისმცოდნეობა: 1.ბუნება - ნ. დარჩიაშვილი, ლ. კარდენახიშვილი; ***
**2. ბუნების კარი - მ.ღარიბაშვილი; ***

**მესამე კლასი**
**ქართული ენა: 1. ბოცვაძე; ***
**2. როდონაია; ს/გ 1999**
**ბუნებისმცოდნეობა- 1. ბუნება - ნ. დარჩიაშვილი და სხვ; ***
**2. დედაბუნება - ა. გეგეჭკორი, გ. კვანტალიანი; ***
**რუსული ენა: 1. ვ. ნიორაძე და სხვ; ს/გკ2000**
**2. რუსკოე სლოვო - კ. მაჭარაშვილი; ***

**მეოთხე კლასი**
**ქართული ენა - 1. ვ. რამიშვილი; ***
**2. ვ. როდონაია და სხვ;****
**ბუნებისმცოდნეობა: 1. სამშობლო- ნ. დარჩიაშვილი, ლ. კარდენახიშვილი; ***
**2. ჩვენი სამშობლო - გ. კვანტალიანი; ***
**რუსული ენა: 1. ვ. ნიორაძე და სხვ; ს/გკ 2000**
**2. რუსკოე სლოვო; კ. მაჭარაშვილი;**

**მეხუთე კლასი**
**ინგლისური ენა - 1. ტ. ბუკია, ი. ჩიბურდანიძე; ს/გკ 2000**
**2. ლ. ბერიძე და სხვ.; ***
**ბუნებისმცოდნეობა: 1. სამყარო - გ. კვანტალიანი, ნ. გელაშვილი; ს/გკ 2000**
**2. ბუნება - დ. დონდუა, ა. სკატკინი;**

**მეექვსე კლასი**
**ინგლისური ენა: 1. ტ. ბუკია, ი. ჩიბურდანიძე; ს/გკ 2002**
**2. ლ. ბერიძე და სხვ; ***

**მეშვიდე კლასი**
**მათემატიკა: 1. გეომეტრია - გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე და სხვ; ს/გკ 2002**
**2. გეომეტრია - თ. ბეიტრიშვილი, ე. პაპავა; ს/გკ 2002**
**ფიზიკა: 1. ვ. სურგულაძე, მ. კასრაძე; ს/გკ2002**
**2. გ. გედენიძე, ე. ლაზარაშვილი; ს/გკ 2002**
**3. კ. ხვითარია, თ. ჭეიშვილი;**
**ქიმია: 1. მ. ვარდიაშვილი; ს/გკ 2002**
**2. ლ. თევზაძე, ნ. ჯავახიშვილი; ს/გკ 2002**
**3. ზ. ლომსიანიძე, გ. ცინცაძე;**

**მერვე კლასი**
**მშობლიური ლიტერატურა: 1. ე. გულდამაშვილი; ***
**2. ვ. როდონაია და სხვ.****
**ფიზიკა: 1. ე. სურგულაძე, მ. კასრაძე; ***
**2. კ. ხვითარია, დ. ჭეიშვილი; ***
**საქართველოს ისტორია: 1. ნ. ასათიანი; ***
**2. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, მ. ბახტაძე; ****

**მეცხრე კლასი**
**ფიზიკა: 1. ი. კიკოინი, ა. კიკოინი; ***
**2. ვ. სურგულაძე, მ. კასრაძე, ი. ლომიძე - (ორ წიგნად); ****
**3. კ. ხვითარია, დ. ჭეიშვილი; ***
**საქართველოს ისტორია: 1. ფ. ლომაშვილი; ****
**2. ვ. გურული, მ. ვაჩნაძე;****
**რუსული ენა: 1. ვ. ცაავა, ვ. გასპარაშვილი (ორ წიგნად); ****
**2. ბ. ნემსაძე, ე. ქარდავა; ****

**მეათე კლასი**
**საქართველოს ისტორია: 1. ო. ჯაფარიძე, რ. მეტრეველი, ო. ლორთქიფანიძე; ****
**2. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, მ. ბახტაძე; ****
**მეთერთმეტე კლასი**
**საქართველოს ისტორია: 1. ფ. ლომაშვილი; ****
**2. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული ****
**ფიზიკის ამოცანათა კრებული: 1. მე-7-11 კლ. ე. ბასიაშვილი; * 2. მე-7 კლ. გ. გედენიძე, ე. ლაზარაშვილი; ს/გკ 2002**
**ქიმიის ამოცანათა კრებული: 1. მე-11 კლ. ზ. ლომსიანიძე, გ. ცინცაძე; ***
**2. მე-11 კლ. ც. გაგოშიძე, მ. მამიაშვილი; ****

# სიბრძნის პარადოქსები



ანტიკური დროის დიდი მეცნიერი, მექანიკოსი და გეომეტრი **არქიმედე** (ძვ.წ.აღ. III ს.) დედიშობილა გამოვარდა აბაზანიდან და შესძახა “ევრიკა!” (აღმოვაჩინე!). ეს ის აღმოჩენა იყო, სითხეში ჩაძირულ სხეულზე ამომგდები ძალა რომ მოქმედებს.

ინგლისელი მეცნიერი, მათემატიკოსი, მექანიკოსი და ფიზიკოსი ისააკ **ნიუტონი** 27 წლის განმავლობაში ინგლისის პარლამენტის წევრი იყო და მხოლოდ ერთხელ ამოიღო ხმა - ფანჯრის დახურვა ითხოვა, ორპირი ქარია და გავცივდებიო.

მანვე თავისი დიდი და პატარა კატისთვის, სახლში შემოსასვლელად კარზე ორი - დიდი და პატარა ხვრელი გააკეთა.

ევარისტ **გალუას** გამოკვლევებმა უდიდესი გავლენა მოახდინა ალგებრის განვითარებაზე. ის ოცი წლის ასაკში დუელში დაიღუპა. გალუა მისაღებ გამოცდებზე მათემატიკაში ჩაიჭრა.

ფილოსოფოსი **თალესი** (ძვ.წ.აღ. V-IV სს) მუდამ მაღლა იყურებოდა და ვარსკვლავებს აკვირდებოდა. მან ზუსტად გამოთვალა მზის დაბნელება 585 წლის 28 მაისს. ერთხელ, ჩვეულებისამებრ, როცა ცისკენ იყურებოდა, ორმოში ჩავარდა და ფეხი მოიტეხა. ეს კაცი ცხვირწინ ვერ ხედავს და ცაში რა უნდა დაინახოსო, იცინოდნენ ნათესავები.

ფილოსოფოსი **პლატონი** (427-347 წწ) ერთ-ერთი მოგზაურობისას ტყვედ ჩავარდა და ბაზარზე გაიყვანეს, რომ მონად გაეყიდათ. ბედად, ნაცნობმა დაინახა, გამოისყიდა და ათენში დააბრუნა.

ანტიკური დროის დიდი მატერიალისტი ფილოსოფოსი **დემოკრიტე** (ძვ.წ. V ს) ცნობილი და მდიდარი საგვარეულოს შთამომავალი იყო. მან უარი თქვა მემკვიდრეობაზე: “მთელ სიმდიდრეს ერთი კანონზომიერების ამოხსნა მირჩევნიაო.”

დემოკრიტეს შეუნიშნავს ახალგაზრდა კაცი, რომელიც მარჯვედ ალაგებდა შეშას. მისი საქმიანობით აღტაცებული, გასაუბრებია და მოწაფედ აუყვანია. ეს მუშა შემდეგში ცნობილი სოფისტი ფილოსოფოსი **პროტაგორა** (480-410 წწ) იყო.

**ჰერაკლიტემ** (540-480) სამეფო ტახტი ძმას დაუთმო და მთელი ცხოვრება ფილოსოფიას მიუძღვნა. რთული აზრების გამო მას ბ ნ ე ლ ს უწოდებდნენ: კარგი მყვინთავი უნდა იყო, რომ ჰერაკლიტეს აზრებს ჩაწვდეო, ამბობდა პლატონი.

**დიოგენე სინოპელმა** (~ 400-325წწ) ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი კასრში გაატარა. როდესაც მასთან ალექსანდრე მაკედონელი მისულა, რითი დაგეხმაროო, “გაიწიე, მზეს ნუ ეფარებიო”, - მიუღია პასუხად.

იტალიელი ფილოსოფოსი **ჯორდანო ბრუნო** (1548-1600) კოცონზე დაწვეს. როცა სასიკვდილო განაჩენი წაუკითხეს, ბრუნომ მსაჯულებს უთხრა: ”თქვენ უფრო გეშინიათ ამ განაჩენის წაკითხვა, ვიდრე მე - მისი მოსმენა.”

დიდი გერმანელი ფილოსოფოსი **იმანუილ კანტი** (1724-1804 წწ) განსაკუთრებული მოწესრიგებულობით გამოირჩეოდა. კენიგსბერგელები მისი სეირნობის დროის მიხედვით საათს ასწორებდნენ. ალკოჰოლურ სასმელებთან მწყრალად იყო, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ლუდზე იყო ამრეზილი. როცა ვინმეს ავადმყოფობას ან სიკვდილს გაიგებდა, “ლუდს ხომ არ სვამდაო”, - იკითხავდა.

ფრანგმა მწერალმა და ფილოსოფოსმა **ჟან-პოლ სარტრმა** უარი თქვა ნობელის პრემიის მიღებაზე, რომელიც მას 1964 წელს მიანიჭეს. “ნებისმიერი პრემია პიროვნებას გარკვეულ ჩარჩოში აქცევს, რაც ჩემთვის მიუღებელია”, - განაცხადა მან.



ლევან კიკალიშვილის ნახატები